



დიბეხანი

№ 4 / 1 - 14 ივლისი / 2009

გზვიღობით, გაერო! **33.14**

თანამშრომლობა დიალოგის გარეშე **33.20**

ისევ ომის მოლოდინში **33.40**

ქართველები და აფხაზები: რა იქნება მერე **33.42**

ხელისუფლების აქილევსის ქუსლი **33.47**

სასკოლო რეფორმა ფერხდება **33.54**

მაესტრო - მიკერძოებული სიმართლე **33.58**

ქართული ფარმაცეუტის ბნელი მხარე **33.60**

ავტრათი თუ მოვკლათ? **33.64**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი



33.24

ახალი ირანი



რადიო „უცნობი“ წარმოგიდგინებთ დილის გადაცემას „**დილა მშვიდობისა**“

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოქიტხვები
- მატარის სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID:ucnobidila



www.ucnobifm.ge



ფოტო REUTERS / სტრინგერი



ბარაკანაზა:
მირ ჰოსაინ მუსაავის მხარდამჭერი,
თეირანი 2009



ქურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა
ფონდ „ლია საზოგადოება -
საქართველოს“ მხარდაჭერით.

04 წერილები

06 მოკლად

08 პრესად

12 ორი აზრი

კონსტიტუციის
ამერიკული მოდელი
*მიხეილ თავხელიძე v.s.
გია ჯანდიერი*

14 პოლიტიკა

ბაერო-ს მისიამ
საქართველო
დატოვა
გვპიღობით, ბაერო!

18/ ბაერო-ს მისიის
სოცუმის და ბალის
ფილიალები
დაიკაბა
მისიის დასასრულის
დასაწყისი

20/ ხელისუფლების
შეთავაზება
ოპოზიციას
თანამშრომლობა
დიპლომის გარეშე

22/ თვალსაზრისი
მარტოხელა რუსეთი
ალექსანდრე (კახა) ლომაია

24 ფოკუსი

არჩევნები ირანში
თეირანი 2009 -
აჰმადინეშადის არჩევნები

30/ პოლიტიკური
კანდიდატები
ვინ არის აჰმადინეშადის
ოპოზიციის

32/ ახალი მედია და
ირანული საპროტესტო
ტალღა
ახალი ირანი

34 მეზობლები

TWITTER-ის რევოლუცია
ნატო-ს ჩანაცვლების
რუსული
გეგმა

37/ განმეორებითი
არჩევნები
პოლიტიკური
დეჟა-ვუ

38 კონფლიქტები

ახალგორი
ოსების პროექტი
ახალგორში

40/ კონფლიქტის ზონა
ისევ მისი მოლოდინში

42/ ქართულ-აფხაზური
შეხვედრა
ქართველები და
აფხაზები: რა იქნება
მერა

45 ადამიანის უფლებები-სამართალი

თბილისის ვოლიციის სამართლებლო ცენტრის აქტივისტების დარბაზი 15 ივნისი - „თავდაცვითი ინსტიტუტის ფარგლებში“

47/ თვალსაზრისი ხელისუფლების აქტივისტების ქსელი

თინათინ ხიდაშელი

48 ჟურნალისტური გამოძიება

ჟურნალისტური გამოძიება ფარმაცეუტის ბნელი მხარე

54 საზოგადოება

სასკოლო რეფორმა რატომ ფერხდება სასკოლო რეფორმა

58/ მიდია

მიკერძოებული სიბერძნული

60/ ჯანდაცვა

დაზღვევის გარეშე ჯანდაცვა არ არსებობს

გამომცემელი შპს „ლიბერალი“.
 მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108.
 ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326.
 ელ-ფოსტა: info@liberali.ge
 დაბეჭდილია: სტამბა შპს „საზანი“.
 მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
 სხვა გამომცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „გიგანტები: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
 „ლიბერალი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აპრობირებულია. ISSN 1987-7528



24▶



◀70



14▶

62/ დავა „ლალიის წყლების“ გამო
 18 საფეხურით ძველი

64/ ცხოველების უფლებები
 ავტობუსი თუ მოტოციკლი?

66/ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები
 თანასწორობის გარანტიები ერთი პირობით

68/ გავრცელება სახლში
 სოციალურად მოზოლი

70/ გარემო
 თრუსოს ხეობა საკუთარ სიბინძურეს ემსხვერპლა

72/ თვალსაზრისი
 გუნების შედეგები აუტორი

74/ კრიტიკა
 საკონტროლო გასროლა

75/ ნიგნები
 ცინიკური სიბრძნე

76/ ინტერვიუ
 „უცოდველი დემოკრატიის“ დასასრული
ინტერვიუ ლინკოლნ მიტჩელთან

რედაქცია

ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირად ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდიაშვილი** / ადამიანთა უფლებების რედაქტორი **ნინო ჯავახიშვილი**
 საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / პოლიტიკა და სამართლებრივი ამბები **სოფო ჭავჭავაძე** / საპარტოლო და კონფლიქტები **სოფო ბუაია** / ადამიანის უფლებები და სამართლებრივი **ნინო ბერიძე** / კავკასია **მარგარიტა ანდრონიკიანი** / ახალი ამბები **ნათია ახალავაშვილი**
რედაქცია: არტ-რედაქტორი **მანანა არაგული** / ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე**
 / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითია**
ადმინისტრაცია: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაგუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითია**
 / გიგანტის მენეჯერი **მინაშვილი გიორგი** / რედაქციის და გავრცელების მენეჯერი **ნესტან ავალიანი**
 / IT მენეჯერი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / ოფისის ადმინისტრატორი **ეთუნა ინციკრაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შვებელია**



... და ერთი ჭიქა ღვინო

თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით
მიღებული სიამოვნება.



TBILVINO

მეთორმეტკლასელები სკოლიდან მიდ-იანს



განათლების შესახებ სტატიაში (№3, „მეთორმეტკლასელები სკოლიდან მიდ-იანს“), ვფიქრობ, ერთი საკითხია ხაზგასასმელი: როცა ქართული ლიტერატურის (ან სხვა საგნის) სწავლებაზე ლაპარაკი, ბავშვებს უნდა შეეძლოთ რაღაც მეთოდის გამოყენება, მაგალითად ტექსტის ანალიზი, საკუთარი აზრის შექმნა მისი ნაწილებად განხილვის საშუალებით და შემდეგ აზრის სინთეზური გადმოცემა. რა მნიშვნელობა აქვს, რა ტექსტზე ისწავლიან ამ მეთოდის გამოყენებას: „დიდოსტატის მარჯვენაზე“ თუ „ხევისბერ გოჩაზე“. როცა სიკო ჯანაშია ამბობს:

„თუ ისეთი საკითხები, რომლებიც პროგრამაში შედის, სკოლაში არ გაუვლიათ, ეს პრობლემაა“, – ის უნდა გულისხმობდეს შემდეგს: თუ აბიტურიენტს ტექსტის ანალიზს სთხოვენ და მას სკოლაში ტექსტის ანალიზი არ ასწავლეს –

პრობლემაა. ამასვე ამბობს სტატიაში ია გამყრელიძე გამოცდების ეროვნული ცენტრიდან, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი იდეა უკანა პლანზე დარჩენილი. ერთმა მასწავლებელმა მოსწავლეები იმით რომ დააინტერესა, – ეს ტექსტი გამოცდაზე შეგხვდებათო, – ვფიქრობ, შეცდომაში შეიყვანა ისინი. უნდა ეთქვა, – მე რომ ახლა ნაწარმოების გარჩევას გასწავლით, ისე უნდა გაარჩიოთ თქვენც გამოცდაზეო. აი, მაშინ აღარ დაინუნებდა სახელმძღვანელოს იმის გამო, რომ მასში საგამოცდო ტექსტები არ არის.

ზ.ხ. რუსთავი
(მე-15 საშუალო სკოლადამთავრებული)

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე.



ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 18,40 ლარი

13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი

25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

23 37 31, (877) 78 78 05

ან მოგვანოღეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge



რუსული ბაზა ოჩაჩირაში

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის, ადმირალ ვლადიმერ ვისოცკის თქმით, ოჩაჩირაში სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა უკვე დაიწყო და ორ-სამ წელში დასრულდება. „რაიმე მსხვილი ობიექტის მშენებლობას ჩვენ იქ არ ვაპირებთ. მხოლოდ ცალკეული ტაქტიკური ჯგუფები განთავსდება“, – აცხადებს ახლა ვისოცკი. თუმცა, იანვარში სამხედრო საზღვაო ძალების განმარტავდნენ, რომ ბაზის მშენებლობის პარალელურად, წელსვე დაიწყებოდა ოჩაჩირის პორტში ფსკერის გაღრმავების სამუშაოები, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს ნებისმიერი კლასის სამხედრო ხომალდის, მათ შორის, კრესერების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისი საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებდა, ყურადღებით მოჰყვიდებოდნენ ამ საკითხს, მშენებლობის თავიდან აცილება მაინც ვერ შეძლო. **0**

გრიგოლ ვაშაჩის ვიზიტი აშშ-ში

ჯეიმს სტინბერგი: ჩვენ გვჯერა, რომ თუ შვეიცარია რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, ეს საქართველოზე დადებითად იმოქმედებს

სამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომაზე ქარტიის დებულებებით გათვალისწინებული თანამშრომლობის განვითარების კონკრეტული მიმართულებები განიხილეს. სხდომას საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯეიმს სტინბერგი თავმჯდომარეობდნენ. ამერიკის შეერთებული შტატები შეხვედრაზე სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს უნდა წარმოედგინა, თუმცა მოტეხილი ხელის გამო, იგი შეხვედრას ვერ დაესწრო.

სხდომის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე სტინბერგმა განაცხადა, რომ საბჭო არის „ორი ქვეყნის ხანგრძლივი და ღრმა მეგობრობის ახალი ეტაპი“. თავის მხრივ, გრიგოლ ვაშაძემ ამ დღეს საქართველოსთვის ისტორიული უწოდა: „ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში, რომელსაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოვანერეთ ხელი“. სტინბერგის თქმით, აშშ კვლავ განაგრძობს საქართველოში შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის

ამაღლების მხარდაჭერას. აშშ დაეხმარება საქართველოს, განახორციელოს რეფორმები, რომლებიც ნატო-ში გაწევრიანებისთვისაა საჭირო“.

სტინბერგი ობამა-მედევედვის მომავალი შეხვედრის საკითხსაც შეეხო. „ჩვენ გვჯერა, რომ თუ შევძლებთ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, ეს საქართველოზე დადებითად იმოქმედებს“, – განაცხადა მან.

საბჭოს სხდომის ფარგლებში გაიმართა ოთხი ორმხრივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ქარტიის დებულებებით გათვალისწინებული კონკრეტული სფეროების – დემოკრატიის განვითარების, ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და კულტურულ-ჰუმანიტარული საკითხების განხორციელების მიზნით.

ვიზიტის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის, სენატის, სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტების წარმომადგენლებს შეხვდა.

აშშ-საქართველოს სტრატეგიული საბჭოს შემდეგი შეხვედრა ა.წ. შემოდგომაზე თბილისში გაიმართება. **0**



ფოტო REUTERS / ირალ ბაღენიძე

სააკაშვილი სომხეთს ესტუმრა

საქართველოს პრეზიდენტი სომხეთში ვიზიტისას პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს შეხვდა, სადაც მათ სხვა საკითხებთან ერთად ლარსის საბაჟო პუნქტის გახსნისა და ტვირთების გადაზიდვის ტარიფებზე ისაუბრეს. სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე მზადაა, გახსნას ზემო ლარსის საკონტროლო-საბაჟო გამშვები პუნქტი, თუ რუსეთისგანაც იქნება შესაბამისი სურვილი.

ამ ვიზიტისას განისაზღვრა სომხეთიდან ბათუმამდე გზის მშენებლობის შეჩერებული პროექტის აღდგენის გეგმა და გადაწყდა, რომ ქსანი-რაზდანის 400-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაც დასრულდება. **0**



რუსეთს სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკებები სურს

დამიტრი მედვედევმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, დაავალა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მოლაპარაკებები გამართონ, რათა ხელი მოეწეროს სახელმწიფოებს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. პრეზიდენტის დავალემა რუსული მხარის მიერ მონონებულ პროექტში შეთანხმების საფუძველზე ცვლილებებს ითვალისწინებს. თუმცა კრემლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს ცვლილებები პრინციპული ხასიათის არ იქნება. ადრე გამოქვეყნებული შეთანხმების პროექტები, რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის, ერთმანეთის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობას გულისხმობდა. მხარეები ასევე მზად არიან, ითანამშრომლონ სამხედრო უსაფრთხოების გაუმჯობესების, საჰაერო სივრცის კონტროლის, სამხედრო დაზვერვისა და სამხედრო ტვირთების სახელმწიფოთაშორისი გადაზიდვის საკითხებშიც. **О**



პასუხისმგებელი პირი დაკავებულია

თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე სამაუნყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ჩამონგრევის ფაქტზე ჩატარებული წინასწარი გამოძიების შედეგად დაკავებულია სამშენებლო სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირი დავით გვასალია. მას ბრალად წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, პროკურორის შუამდგომლობით გვასალიას, აღკვეთის ღონისძიების სახით, დაპატიმრება შეუფარდა.

240-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (უსაფრთხოების ნესის დარღვევა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი) ჩადენა ისჯება თავისუფლების შეზღუდვით, ვადით 5 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. **О**

ფრაზები

„დიახ, ფულის საშოვნელად ვიყავი წასული. დრო მოვა და ვიტყვი, სად ვიყავი და ვის ვვხვდები. საკმაოდ ოპტიმისტური შევირბით ვარ ჩამოსული; ფული გვჭირდება გამარჯვებისთვის და ჩვენი მოძრაობის გასაძლიერებლად“.

ლევან გაჩეჩილაძე
თბილისი, 19 ივნისი

„სამწუხაროდ, ის, რაც ახლა ხდება, იძლევა სერიოზულ საფუძველს ვიწიქროთ, რომ ივლისში რუსეთ-საქართველოს ომს, შესაძლოა, უფრო ინტენსიური გაბრძოლება მოჰყვეს“.

ანდრეი ილარიონოვი
რადიო „ეხო მოსკვი“, 24 ივნისი

„საქართველო გააპეთებს ყველაფერს, პარტნიორობთან ერთად, რომ ამ ზაფხულის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე მოვლენები იყოს ყურადღაის ცენტრში, რათა გვქონდეს მაქსიმალური პოლიტიკური შემაჯავებელი რუსეთის ნებისმიერი შემდგომი აბრეხის წინააღმდეგ“.

გიგა ბოკერია
თბილისი, 19 ივნისი

„პოლიციელების მომზადებაში ევროკავშირის ექსპერტები გვეხმარებიან, თუმცა ზოგჯერ მათ [პოლიციელებს] ხელები ექვევებათ და ჩხუბობენ სოფლებს“.

მიხეილ სააკაშვილი
გაზეთი „ელ პაი“

პიცლომის განმარტება

წინა წომერში რუბრიკაში „მოკლედ“ სამხედრო წვრთნების „კავკასია-2009“-ს შესახებ გასულ ინფორმაციაში ფრაზა - „რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 500 სამხედრო მოსამსახურე“-ს ნაცვლად, უნდა ყოფილიყო „რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 8 500 სამხედრო მოსამსახურე“.

გააჩრით მანქანა? გაღიხალეთ! ავტომობილი არასწორად, დგომა-გაჩრების ამკრძალავ ნიშანთან, ან ტროტუარზე გააჩრით? შესაძლოა, დაბრუნებულს მანქანა აღგილზე აღარ დაგხვდეთ. ნათია ახალაშვილი



CT Park

ფოტო: შოთა კობახიძე

თუ მანქანა ადგილზე აღარ დაგხვდათ, ჯერ 822 555-123-ზე (CT Park-ის ცხელი ხაზი) დარეკეთ და გაარკვიეთ, ევაკუატორმა ხომ არ გადაიყვანა თქვენი ავტომობილი დაცულ სადგომზე. თუ ასეა, მის დასახსნელად ათლარიანი ჯარიმის და ევაკუაციის ღირებულებების – 60 ლარის გადახდა მოგიწევთ. თბილისში პარკინგის ახალი წესები მოქმედებს.

პარკირების ადგილები უკვე თეთრადაა დახაზული, იქვეა დამონტაჟებული პარკირების საერთაშორისო ნიშანი – P და აბრა, რომელზეც პარკირების საფასური და ცხელი ხაზის ნომერია მითითებული. ნახაზისა და ნიშნის მიხედვით, თბილისში ავტოტრანსპორტის პარკირების სამი მეთოდი მოქმედებს – მართობული, პარალელური და 45-გრადუსიანი.

საფასურის გადახდაც სამი მეთოდით ხდება – პარკომეტრის მეშვეობით, მობილურის და გადასაფხეკი ბარათებით. ბარათები ჯიხურებსა და სუპერმარკეტებში უკვე იყიდება. ახალი წესის

მიხედვით, დგომის საფასური მძლოლებმა წინასწარ უნდა გადაიხადონ. საპარკინგე ადგილები და ზონები ქალაქის მთავრობამ დაადგინა. ერთი საათი პარკირების ფასი ზონების მიხედვით 20 თეთრიდან ერთ ლარამდე განისაზღვრა. დღეისათვის დედაქალაქში სულ 10 ათასამდე საპარკინგე ადგილია განსაზღვრული.

2007 წლამდე თბილისში პარკირების ზედამხედველობას 5 ადგილობრივი კომპანია ახორციელებდა. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პარკირების ორგანიზების განყოფილების უფროსის გიორგი მიქაძის თქმით, „მთავარი იყო, გაუქმებულიყო ფულის ხელზე გადახდის მეთოდი. გვინდოდა, გამოგვეყენებინა უცხო ქვეყნების გამოცდილება და ამიტომაც აუქციონში ძირითადად უცხოური კომპანიები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვა იმ ებრაულმა კომპანიამ, რომელმაც დააკმაყოფილა მენეჯმენტი. მათგან შემოთავაზებული წლიური შემოსული თანხის პროცენტული გადანაწილებაც ყველაზე მეტია

ქალაქის ბიუჯეტისთვის“. გამარჯვებულ კომპანია „ამაგონი და შოჭარ პარკინგ სერვისის“, რომელმაც საქართველოში CT Park დააარსა, თბილისში პარკირების მართვის უფლება 15 წლით გადაეცა.

CT Park ქალაქის ბიუჯეტში მთლიანი შემოსული თანხის (პარკინგის საფასური, ჯარიმები) 60 პროცენტს იხდის. თანხა სრულად ჯერ ქალაქის ბიუჯეტში შედის და დანარჩენი 40 პროცენტი CT Park-ს ერიცხება. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პირველ წელს ქალაქის ბიუჯეტში CT Park-ს მინიმუმ მილიონი ლარი აქვს შესატანი, შემდეგ კი სავალდებულო თანხა ნელ-ნელა გაიზრდება. წინამორბედი 5 კომპანიისთვის კი დედაქალაქის ბიუჯეტში ყოველწლიურად შესატანი ჯამური თანხა მინიმუმ 2,7 მილიონი ლარი იყო.

კომპანია CT Park-ის ექსპლუატაციის მენეჯერის ირაკლი ჯიბლაძის თქმით, 2007 წლიდან მძლოლები ვალდებული აღარ იყვნენ ე.წ. „სტაიანშჩიკებისთვის“ დგომის საფასური გადაეხადათ და ეს დღემდეც მხოლოდ ავტომფლობელების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ახალი წესების აღსრულებას სპეციალურ ფორმირებულ პარკინგ-ინსპექტორები გააკონტროლებენ. ჯარიმის თავიდან ასაცილებლად გადაფხეკილი ბარათი ან პარკომეტრში აღებული ქვითარი ავტომობილში თვალსაჩინოდ ადგილას უნდა იდოს (ტორპედოზე ან საქარე მინის შიგნიდან). პარკირების თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მძლოლები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, უკანონო პარკირების ხანგრძლივობის მიხედვით 20-დან 100 ლარამდე თანხით დაჯარიმდებიან. თუ დაჯარიმებული პირი 30 დღეში არ გადაიხდის თანხას, მას სხვადასხვა შემთხვევაში 150-დან

500 ლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს.

დგომის ხანგრძლივობის შესაბამისი ზუსტი თანხის გადახდა მხოლოდ მობილური ბარათის მეშვეობითაა შესაძლებელი – გაჩერებთ ავტომობილს, უნდა დარეკოთ, დაასრულებთ პარკინგს, უნდა დარეკოთ. დანარჩენი ორი ფორმით, მხოლოდ საათამდე დამრგვალებით ხდება გადახდა. თუმცა, არც მობილური ბარათით გადახდა ამ მხრივ რეალურად შეღავათიანი, რადგან სატელეფონო ანგარიშიდან ამავე დროს იჭრება სალაპარაკო დროის თანხაც. CT Park-ში აცხადებენ, რომ მობილური კავშირის კომპანიებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა ზარის განხორციელება უფასო გახდეს, თუმცა რთულია შეთანხმების მიღწევა.

ცენტრალურ გამზირებზე ავტომობილის გაჩერება, უკვე რამდენიმე წელია, აკრძალულია. ასეთ ადგილებზე მანქანები საფეხმავლო ზონაში იყო გაჩერებული, სადაც ხშირ შემთხვევაში, ასევე „სტაიანშიკები“ არეგულირებდნენ სიტუაციას. დღეს ჯარიმას ავტომობილის არასწორად გაჩერების გამოც მიიღებთ და ვეღარც „სტაიანშიკისთვის“ მიცემული ლარი გიშველით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საკრებულომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. „ამ გადაწყვეტილების თანახმად, დაახლოებით ერთ თვეში, სადაც საშუალებაა, სადაც საფეხმავლო გზა განიერია, პარკინგის ადგილები მოეწყობა. ახლა ამ საკითხზე მერიის სხვადასხვა სამსახური მუშაობს, პოლიციაც განიხილავს და შემდეგ კი საბოლოოდ მთავრობის სხდომაზე დამტკიცდება“.

CT Park-ის ექსპლუატაციის მენეჯერის, ირაკლი ჯიბლაძის თქმით, ამ დროისათვის კომპანიას პარკინგის ინფრასტრუქტურა

რის მოსაწყობად 3 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტიცია აქვს ჩადებული. სრულმასშტაბიანი კონტროლი ივლისიდან დაიწყება. „ჯერჯერობით საინფორმაციო კამპანიას ნარემართავთ, რომ ყველამ გაიგოს ახალი სისტემის შესახებ. თუმცა, „დგომა-გაჩერება აკრძალულია“ ნიშნის არეალში გაჩერებული ავტომობილების მძღოლები უკვე ჯარიმდებიან. ასეთ ჯარიმას უკვე ჩვენი ინსპექტორი წერს. ადრე მას პატრული წერდა. ვიდრე სრულ ოპერირებას დაიწყებთ, სამი ევაკუატორი გვყავს, შემდეგ კიდევ დავამატებთ“, – აცხადებს ირაკლი ჯიბლაძე.

ჯერჯერობით ქალაქში ვერსად შეხვდებით საპარკინგე ადგილებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ამოსაცნობიანი ავტომობილებისთვისაა განკუთვნილი. CT Park-ში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე მერიისგან ელიან ამ კატეგორიის ადგილებისა და რაოდენობის კონკრეტულ ჩამონათვალს და, ვიდრე სრულად ოპერირებას დაიწყებენ, ასეთი სადგომებიც მოეწყობა.

მოსახლეობა, რომელსაც სახლთან მოუწევს პარკინგის მონიშნულ ადგილებზე ავტომობილის გაჩერება, წელიწადში ერთხელ შექმნილი 12-ლარიანი ბარათის მეშვეობით ღამით და დასვენების დღეებში უფასოდ გააჩერებს ავტომობილს. სხვა დროს საკუთარ სახლთან მისულებს ჩვეულებრივი ტარიფის გადახდა მოუწევთ.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ პარკირების თითოეული ტარიფი 24 საათის განმავლობაში მოქმედებს. ზუსტად განსაზღვრეთ ავტომობილის გაჩერების დრო წინასწარ, დაიცავით გაჩერების წესიც, თორემ, შესაძლოა, უმანქანოდ დარჩეთ. 0

დაპარბული მილიონები

ქვეყნიდან ინვესტიციების გადინების პროცესი დაიწყო.

საქართველომ 2009 წლის

პირველ კვარტალში 28

მილიონ დოლარზე მეტი

დაკარგა. **მაია დემეტრაშვილი**

წელს ქვეყანაში 2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4-ჯერ ნაკლები უცხოური ინვესტიცია, სულ 125 მილიონამდე დოლარი შემოვიდა. ინვესტიციები ნაწილობრივ უცხოური კაპიტალის გადინების ხარჯზეც შემცირდა.

ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი, თითქმის 23 მილიონი დოლარი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორმა, საბანკომ კი თითქმის 6 მილიონი დაკარგა.

ექსპერტი გიორგი ლაღანიძე მიიჩნევს, რომ ქვეყნიდან ინვესტიციების გადინება არც დასამალია და არც გასაკვირი. „კრიზისის შედეგად, კაპიტალი მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ დაკარგა და გამოწვეულია არც საქართველოა. ქვეყანაში საინვესტიციო გარემოზე გავლენა ჯერ აგვისტოს ომმა მოახდინა, მოგვიანებით ამას გლობალური კრიზისი დაერთო, 2009 წლის დასაწყისში კი მდგომარეობა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ დაამძიმა“, – განმარტავს ლაღანიძე.


საქართველოში ინვესტიციების გადინების პირველი ნიშნები ჯერ კიდევ 2008 წლის მესამე კვარტალში, ომის შემდეგ გაჩნდა. მაშინ 129 მილიონზე მეტი დოლარი ენერგეტიკის სექტორს, საბანკოს კი 129 ათასი დოლარი დააკლდა. მეოთხე კვარტალში საბანკო სფეროს დანაკარგმა 62 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი არჩილ მესტიერიშვილი განმარტავს, რომ ინვესტიციების შემცირების ტენდენციის მიზეზი შესაძლოა უარყოფითი რეინვესტიცია გამხდარიყო. მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო უცხოელმა ინვესტორებმა ადრე მიღებული მოგების ნაწილი დაკარგეს. „მთლიანობაში, პირველი კვარტლის მონაცემები საბანკო სექტორში უცხოური კაპიტალის შემოდინების გაუმჯობესების ტენდენციაზე მიანიშნებს“, – განმარტავს მესტიერიშვილი.

შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსის, მინდია გადაყვის თქმით, ინვესტიციების გადინება ნეგატიური მოვლენაა, მაგრამ ქართულმა საბანკო სისტემამ ამ კრიზისულ მდგომარეობაში ვალდებულებების გასტუმრება შეძლო, რაც სექტორის მდგრადობაზე და, შესაბამისად, მის კრედიტუნარიანობაზე მიუთითებს.

პარკინგის საფასური

ზონა	მთავრობის მისაღობით	1 საათის საფასური
პარკინგისა და მატარებლის მოძრაობის კომპლექსური ავტომატური სისტემის ადგილი	1 ლარი	
კომპლექსური ავტომატური სისტემის ადგილი	50 თეთრი	
საზოგადოებრივი ადგილი	20 თეთრი	



გადავი მიიჩნევს, რომ საქართველოში ინვესტიციების შემცირება ბუნებრივი პროცესია და ეს ქვეყნის კერძო პრობლემას არ წარმოადგენს. „ეს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური ნგრევის შედეგია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არ არის პირველი რიგის ინვესტიციების ქვეყანა, 2009-2010 წლებში ინვესტიციების შემოდინების დიდი იმედი არ უნდა გექონდეს“, – განმარტავს გადავი.

პირველი კვარტლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში კაპიტალის დაბანდება 18 ქვეყნის ბიზნესმენებმა შეამცირეს, მათ შორის ყველაზე მეტი, თითქმის 46 მილიონი – ამერიკიდან. აშშ-დან საქართველოში გასული წლის პირველ კვარტალში 65 მილიონზე მეტი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა.

2009 წლისთვის მთავრობა 1,7 მლრდ. დოლარის ოდენობის ინვესტიციის შემოდინებას ვარაუდობდა, თუმცა ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილის განმარტებით, საპროგნოზო მაჩვენებელი 1,1 მლრდ. დოლარამდე შემცირდა.

ღალანძვე მიიჩნევს, რომ ინვესტიციების გადინების ფონზე „მთავარია, ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობიდან გამოსავალი კონსტიტუციის ჩარჩოებში მოიძებნოს. ეს უცხოელ ბიზნესმენებს იმას მიანიშნებს, რომ ქვეყანაში სტაბილურობა აღდგა და კაპიტალის დაბანდება კვლავ მომგებიანი გახდა“, – განმარტავს ღალანძვე. O

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ქვეყნების ათწლიანი:

ინვესტორი ქვეყანა	განხორციელებული ინვესტიციები (მლნ. დოლარი)
არაბეთის ბაჰრთაიანული საემირატები	50.138
ბაჰრთაიანული საემირატები	24.79
ჩინეთი	23.674
თურქეთი	21.091
ნიდერლანდები	19.287
იაპონია	12.266
ვიეტნამის კავშირები	9.931
აშშ	9.12
გერმანია	3.02
ავსტრია	2.019

დაკარგული ოსები ცხინვალის მხარეში, შესაძლოა, უარი თქვას ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე.

სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი პოსტკონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევი, უკვე რამდენიმე კვირაა, ჟურნალისტებთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ჟენევის მოლაპარაკებებში ოსური მხარის მონაწილეობა ეჭვქვეშ დადგება, თუ გასული წლის ოქტომბერში დაკარგულ სამ ოსს არ გაათავისუფლებენ.

ოსური მხარე ამბობს, რომ სპეცრაზმელი სულთან პლიევი და მისი ორი მეგობარი – ალან ხაჩიროვი და ალან ხუგაევი სოფელ ხელჩუასთან შეიარაღებული პირების ჯგუფმა ალყაში მოაქცია.

„ეს გზა ქართულ სოფლებთან დისევენს და კოშტანს ახლოს გადის. საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ბიჭები ალყაში მოაქციეს და გაიტაცეს“, – ჰყვება დავით ხუგაევი, ერთ-ერთი დაკარგულის მამა.

„თვითმხილველებმა გვითხრეს, რომ ჩვენი შვილები სოფელ კოშკის პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს და სასტიკად სცემეს. შემდეგ ჩასვეს უცხოურ ავტომანქანაში და გორისკენ წაიყვანეს. გორში სამი დღე ჰყავდათ, შემდეგ თბილისში გადაიყვანეს. მერე არაფერი ვიცით“.

დაკარგულების მშობლებს სამი თვის წინ გადასცეს მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეომასალა, სადაც გადაღებულია, როგორ ურტყამს რამდენიმე კაცი ფეხებს სამ ახალგაზრდას. არც მოძალადეების სახეები ჩანს და არც ის, თუ სად ხდება მოქმედება.

ოსური მხარის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე ტყვეობაში 36 ოსი რჩება. მათი ინფორმაციით, ამათგან 13 ომის შემდგომ პერიოდში გაიტაცეს.

საქართველოს შს მინისტრო-

ში აცხადებენ, რომ დაკარგული სამი ოსის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

ცხინვალის მიერ გავრცელებული 36-კაციანი სიიდან საქართველოს ციხეებში მხოლოდ ხუთი ადამიანი იმყოფება. შს მინისტროში აცხადებენ, რომ ამ ხუთ პატიმარს ბრალად ედება პოლიციელების წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობა და მაროდორობა, ამდენად მათ განთავისუფლებას ქართული მხარე არ აპირებს.

ოფიციალური ცხინვალის ზემოთ აღნიშნულ ვიდეორჩანწერს განიხილავს, როგორც იმის მტკიცებულებას, რომ ახალგაზრდები ქართულმა პოლიციამ გაიტაცა. დაკარგულების ადგილსამყოფელის დადგენამდე ოსურმა მხარემ შეაჩერა თავისი მონაწილეობა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მიმდინარე რეგულარულ შეხვედრებში. ცხინვალის წარმომადგენლები უკვე ორ წინასწარდაგეგმილ შეხვედრას არ დასწრებიან.

ბოლო შეხვედრის ჩაშლის შემდეგ ევროპული სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიერ ჰაბერმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, რომ ოსური მხარე მოლაპარაკებების მაგიდას დაუბრუნდება, რათა „რაც შეიძლება, სწრაფად განახლდეს არსებითი საკითხების განხილვა“.

ევროპული სადამკვირვებლო მისიისა და ეუთო-ს წარმომადგენლები ცხინვალში დაკარგული ახალგაზრდების მშობლებს შეხვდნენ და შეჰპირდნენ, რომ მიღებულ ინფორმაციას ქართულ მხარეს გადასცემდნენ. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პიერ მორელის ცხინვალში უკანასკნელი ვიზიტის დროს, დაკარგულების ნათესავებმა საპროტესტო აქცია გამართეს და მორელის კორტეჟს გზა გადაუქცეს. O



შეხვედრა ბერლინში კონფიდენციალური

შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ერთიანობა მორიგი გამომწვევის წინაშე დადგა.

ბერლინში გამართული შეხვედრის ამსახველი ვიდეომასალა პოპულარულ საიტზე youtube.com-ზე მომხმარებელმა ottolimb-berg 2714-მა 24 ივნისს გაავრცელა.

ვიდეომასალას თან ერთვის მინანერი, სადაც აღნიშნულია, რომ ფირზე გადაღებული შეხვედრები ბერლინში 15-18 ივნისს სასტუმრო Adlon Kempinski-ში გაიმართა.

„ბერლინში ისედაც მქონდა ჩემი საქმე. „კემპინსკიში“ ვცხოვრობდი, ისინიც იქ დაბინავდნენ. არავის ვემალებოდით, ქალაქშიც ვსეირნობდით“, – ჰყვება კახა თარგამაძე.

ევროპიდან დაბრუნებული გაჩეჩილაძე პარლამენტის წინ მიტინგზე და „მავსტროს“ ეთერით რამდენჯერმე აცხადებს, რომ ევროპაში ფულის საშოვნელად იყო წასული და უცხოელი ბიზნეს-პარტნიორებთან დადებითი პასუხიც მიიღო.

ბერლინის შეხვედრის ჩანაწერის გავრცელების შემდეგ კი მას თბილისში და თარგამაძეს მოსკოვში უწევთ იმის მტკიცება, რომ ყოფილი შს მინისტრი არ არის ის ადამიანი, ვისგანაც ოპოზიცია ამჯერად ელოდება ფულს.

„ეგენი ევროპაში სხვა ქართველებსაც შეხვდნენ. რამდენადაც ვიცი, ფული ჯერ მაგათთვის არავის მიუცია. ის ვიცი, რომ ერთმა, ვინც ფულს შეჰპირდა, ამ ჩანაწერებისა და პანიკის შემდეგ გადაიფიქრა. ფულზე ინფორმაცია ლევანმა ჯინაზე გაავრცელა, ისინი [ხელისუფლება] რომ ენერჯიულებინა“, – ამბობს სატელეფონო საუბარში შს ყოფილი მინისტრი.

შეხვედრის სამივე მონაწილე ამბობს, რომ ვიდეოკამერა სასტუმროში რამდენჯერმე შენიშნეს, მაგრამ არ შემფოთებულან, რადგან დასამალი არაფერი ჰქონდათ. კითხვაზე, თუ რატომ დაელოდნენ კადრების ტელევიზიით გავრცელებას და თავად არ მოჰყენენ შეხვედრის შესახებ, გაჩეჩილაძე პასუხობს: „არ ვთქვი იმიტომ, რომ ვიცი ამ ხელისუფლების ამბავი, სხვანაირად ააგოვებდნენ შავ პიარს“.

თუმცა, პიარი მაინც „აგორდა“ – დეპუტატები და თავად პრეზიდენტიც ამ შეხვედრას, უკანონოს ვერა, მაგრამ მორალურად მიუღებელს უწოდებენ. მათი

აზრით, ყოფილ შს მინისტრთან შეხვედრა მთელი ოპოზიციის დისკრედიტაციაა.

სავარაუდოდ, ამ შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდა დავით გამყრელიძის თანააღიანსებელმა ირაკლი ალასანიამ. „ნებისმიერ პოლიტიკურ ლიდერს აქვს იმის უფლება, თუ თავისუფლება, რომ თავად გადაწყვიტოს ვის შეხვდეს, სად და რა საკითხებზე ელაპარაკოს“, – ამბობს ალასანიას თანაგუნდელი ვიქტორ დოლიძე, რომელიც ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაციას ტელევიზიით 24 ივნისს გებულობს.

„შო, არ იცოდნენ, მაგრამ არც ერთ ლიდერს არ გაუკეთებია უარყოფითი კომენტარი. მოდით, ასე დავაყენოთ საკითხი – რატომ უნდა მეთქვა?“ – ამბობს გაჩეჩილაძე.

ოპოზიციის წარმომადგენლები სავარაუდოდ ერთხმად ამტკიცებენ, რომ კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი 9 აპრილის აქციების ორგანიზატორებზე არ ვრცელდება და ყველა ლიდერს საკუთარი გზა აქვს.

თუმცა, ფულის წარმომავლობა ყველას აინტერესებს და მომავალი გადაჯგუფება ოპოზიციამ იმის მიხედვით მოხდება, თუ ვისთვის როგორი დამფინანსებელია მიუღებელი. „ვისაც სურს ბატონ თარგამაძესთან შეხვედრა, ის ხვდება. მე პირადად ამის სურვილი არ მაქვს“, – ამბობს ნინო ბურჯანაძე, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტ სააკაშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის ხმაურთან შეხვედრამ გააღიზიანა.

„ვინც ხალხის ზურგს უკან რაიმე ტიპის ფარულ გარიგებებს ნამოინყებს, ჩვენ გავემიჯნებით და დამოუკიდებელ მოქმედებებს დავენიჭებთ“, – ამბობს ეკა ბესელია.

გზების გაყოფა სავარაუდოდ იელის-ში მოხდება. ლევან გაჩეჩილაძე ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებას გეგმავს, რომელიც, მისი თქმით, პოლარული „სოლიდარობის“ ანალოგი იქნება. უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები ოპოზიციურ ძალებთან ამ მოძრაობაში შესაძლო გაერთიანების თაობაზე.

მინიშნებას „საკუთარი გზის“ შესახებ ნინო ბურჯანაძეც აკეთებს. „დადგა დრო, როცა პარტიებმა სერიოზულად უნდა იმუშაონ სტრატეგიაზე, ტაქტიკაზე და პარტნიორების სწორად შერჩევაზე. შეიძლება რამდენიმე პოლიტიკური პარტია

დაჯგუფდეს, მაგრამ შეიძლება დარჩე მარტო. სამწუხაროდ, რეალური პოლიტიკა ასეთია – მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები არ არსებობენ“.

Youtube-ით გავრცელებულ კადრებზე არ ისმის, რაზე საუბრობენ სასტუმროში შეკრებილები. ამ შეხვედრის შინაარსის საერთო ვერსიაზე ვერც თავად მონაწილეები შეთანხმდნენ. დავით გამყრელიძემ თქვა, რომ თარგამაძემ მათ დადასტურებული ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, რომ ვლადიმერ პუტინი რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენებს ქართული ოპოზიციის დაფინანსებას უკრძალავს და რომ რუსეთის პრემიერისთვის საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე თითოეული მათგანის კანდიდატურა მისაღებია. „რისი პუტინის სახელით მოლაპარაკე ვარ მე? რომელი ჩემი ძმაცაა. ნეტა იყოს ჩემი ძმაცა, რალაცით მაინც დაგეგმარებოდით“, – უარყოფს ინფორმაციას კახა თარგამაძე.

კიდევ ერთი თემა, რომელზეც ვერ თანხმდებიან შეხვედრის თბილისელი და მოსკოველი მონაწილეები, მიხეილ სააკაშვილისა და კანონიერი ქურდების ფინანსური ურთიერთობაა. გაჩეჩილაძე ამბობს, რომ „რკინის მინისტრს“ სწორედ 2003 წლის რევილუციის დამფინანსებლების შესახებ ცნობების მოსაპოვებლად შეხვდა. „ეს რა ინფორმაციაა, ამას შეხვედრა რად უნდოდა. ამას ყოველდღე წერენ გაზეთებში“, – ამბობს თარგამაძე სატელეფონო საუბარში. ყოფილი მინისტრი ოპოზიციის ლიდერებთან საკუთარი ვერსიის განსხვავებებს ასე ხსნის: „მაგათაც შეიძლება რალაც წამოცდეთ და თქვან. ცდილობენ, დარტყმის ქვეშ არ დამაყენონ. ამიტომაც, რალაც თემებზე ვერ საუბრობენ და მეც ვერ ვამბობ“.

მათ, ვინც ottolimb-berg 2714-ს ბერლინის შეხვედრის გადაღება დაავალეს, სავარაუდოდ, 15-დან 18 ივნისს გამართული სხვა შეკრებების შესახებაც იციან. ევროპიდან დაბრუნებული პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ჩანაწერები აღარ იქნება, რადგან კახა თარგამაძისგან განსხვავებით, ქართულ ოპოზიციასთან ერთად გამოჩენას საგულდაგულოდ მაღავენ მათი სხვა პარტნიორები და ამიტომაც მათთან შეხვედრები გაცილებით კონფიდენციალურ ადგილებში შედგა, ვიდრე სასტუმრო „კემპინსკის“ კაფეა. 0

კონსტიტუციის



მონინალაქაჯა
მიხეილ თაქვალიძე
ექსპერტი

ჭეშმარიტებაა, რომ ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა საპარლამენტოზე გაცილებით სტაბილური და სასარგებლოა, რომ გაბედულ და ძლიერ ლიდერს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე რამდენიმე ათეულ მყვირალა პოლიტიკოსს, რომლებიც ერთმანეთს განუწყვეტლივ ეჯიბრებიან არჩევნებზე. ეს ჭეშმარიტება მითია!

როცა პარლამენტის უმრავლესობა პრეზიდენტის მოკავშირეა, ასეთი მმართველობა სტაბილური და ეფექტურია. პრობლემები იწყება მაშინ, როცა პარლამენტი პრეზიდენტს „განუდგება“. მთავრობის შემადგენლობის შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება; ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტართა წინააღმდეგობას აწყდება; ბიუჯეტის მიღება კი ინტერესების შეჯერების პროცესად იქცევა. ასეთ დროს, პრეზიდენტი იძულებული ხდება ქვეყანა, პარლამენტის გვერდის ავლით, ბრძანებულებებით მართოს; პარლამენტი კი – მთელი ძალით პრეზიდენტის გადაყენებას ეცადოს. რადგან ხელისუფლების ორივე შტოს დამოუკიდებელი ლეგიტიმაცია აქვს, კრიზისის დაძლევა შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, პრეზიდენტი ქვეყნის ერთპიროვნული მმართველია და ნებისმიერი კრიზისიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ პრეზიდენტის შეცვლით, რაც ქვეყნის განვითარების ვექტორისა და გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლასაც შეიძლება ნიშნავდეს.

ეს რისკი არ არსებობს წმინდა საპარლამენტო სისტემისთვის, რომლის არსია ხელისუფლების შტოთა ურთიერთდამოკიდებულება: აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის მიერ შედგენილი მთავრობა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელიც გამარჯვებულ პარტიას ან კოალიციას წარმოადგენს.

უმრავლესობაზე დაყრდნობით, მთავრობას შეუძლია გაბედულად განახორციელოს საკუთარი პოლიტიკური პროგრამა. მრავალპარტიულობა აღარ არის დესტაბილიზაციის ფაქტორი, რადგან ნებისმიერ პარტიას აქვს შანსი მმართველ კოალიციაში მოხვედეს. მსოფლიო გამოცდილებით დამტკიცებული საპარლა-



საფრანგეთის პარლამენტი

მენტო რეჟიმების სტაბილურობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სისტემა გულისხმობს პოლიტიკური კრიზისებიდან ბუნებრივ გამოსავალს – რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. მაგრამ საპარლამენტო სისტემას აქვს ერთი მნიშვნელოვანი „ნაკლი“: მის წარმატებას აუცილებლად სჭირდება განვითარებული პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება, ძლიერი, არაპოლიტიზირებული ბიუროკრატია, თავისუფალი პრესა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და ქვეყნის მიერ არჩეული დემოკრატიული კურსის გარედან არ შეცვლის გარანტია. ამიტომ საქართველოსთვის წმინდა საპარლამენტო სისტემა მიუღებელია.

საქართველოსთვის დღეს იდეალური იქნებოდა შუალედური, ნახევრად-საპრეზიდენტო (ან, თუ გნებავთ, ნახევრად-საპარლამენტო) სისტემა, რომელიც აღინერგება ფორმულით: „ძლიერი პრეზიდენტი – ძლიერი პარლამენტი და მთავრობა“.

ამ სისტემაში ორივე მხარე არის პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული და ძლიერია საკუთარი გამიჯნული უფლებამოსილების ფარგლებში. ამ სისტემაში პრეზიდენტი ქვეყანას „სტრატეგიულად“, ხოლო მთავრობა „ოპერატიულად“ მართავს.

მთავრობის ფუნქცია და არსი იგივეა, რაც წმინდა საპარლამენტო სისტემაში და პრეზიდენტი ამ სისტემაში არ არის მთავრობის მეთაური. ამავე დროს, იგი არის ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიის ხელშეუხებლობის, მოქალაქეთა უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სტაბილურობისა და არჩეული გეოპოლიტიკური კურსის შენარჩუნების გარანტი. როგორც უმაღლესი მთავარსარდალი და სპეცსამსახურების უშუალო ხელმძღვანელი, პრეზიდენტი ასევე გარანტია სამხედრო-პოლიციური სახელმწიფო აპარატის პოლიტიკური ნეიტრალობისა.

საკანონმდებლო ინიციატივის, ვეტოსა და პარლამენტის დათხოვნის უფლებები მას საშუალებას აძლევს ქვეყანა დაიცავს თუნდაც ყველაზე რადიკალური და უპასუხისმგებლო მთავრობის მოქმედებისგანაც კი.

დროთა განმავლობაში, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პარალელურად, პრეზიდენტის უფლებამოსილება შესაძლოა შემცირდეს წარმომადგენლობით ფუნქციებამდე და ქვეყანა ნელ-ნელა გადავიდეს წმინდა საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე. ჯერჯერობით, საქართველოსთვის ეს ნაადრევი და სახიფათოა. **0**

ამერიკული მოდელი



მომხრა

გია ჯანელიძე

ახალი ეკონომიკური სკოლის ვიცე-პრეზიდენტი

საზოგადოების ერთი ნაწილის მოსაზრება – რომ ჩვენში საპრეზიდენტო ინსტიტუტმა არ გაამართლა და საჭიროა საპარლამენტო მოდელზე გადასვლა – ჩემი აზრით, საკითხის არასწორად დაყენებაა. ძალიან მნიშვნელოვანია, ზუსტად გაირკვეს კონკრეტულად რამ არ იმუშავა, ან იმუშავა ცუდად, რამ შეუწყო ხელი პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას, როგორ შეიძლება ამის თავიდან აცილება.

ვფიქრობ, კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესი საქართველოში მოკლებულია ლოგიკას და მთლიანად ემოციებს ეყრდნობა. არადა, კონსტიტუციის ლოგიკის რაობაზე მასზე მომუშავე ყველა ადამიანი განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს.

ჩემი აზრით, ამ ლოგიკას ქმნის იდეები, რომელიც აშშ-ს დამფუძნებელ მამებს ეკუთვნით.

1. შეზღუდული მთავრობა. მოქალაქეებს, ანუ მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ადამიანებს, აქვთ ყველა ის უფლება, რომელიც კონსტიტუციით არ აქვს გადაცემული ხელისუფლებას. ეს პრინციპი ნათლად განსაზღვრავს, რომ ადამიანი არის თავისუფალი და მთავრობას აქვს მკაცრად შეზღუდული ფუნქციები, რომლებიც მითითებულია კონსტიტუციოში; და არ შეუძლია მითვისოს ადამიანების კუთვნილი სხვა უფლებები. ნებისმიერი მცდელობა, მთავრობა უკეთესი გავხადოთ, იმ პირობებში, როდესაც მას უკვე მრავალი ფუნქცია აქვს მინიჭებული, ძალიან რთულია. ჯერ არ არსებობს მაგალითი, რომ პოლიტიკურ პროცესებს არ მიეცა სტიმული მთავრობისთვის საკუთარი ფუნქციების გასაფართოებლად.

2. პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლი და ბალანსი. ასეთი ინსტიტუტური სისტემა პირველ რიგში კონკურენციას გულისხმობს, რომელიც აიძულებს მხარეებს, ანგარიში გაუწიონ ერთმანეთს და მოსახლეობას დაანახონ სხვებთან შედარებით საკუთარი უპირატესობა. ეს ასევე არ იძლევა ახალი უფლებების მითვისების საშუალებას.

3. არჩეული პრეზიდენტი. არჩეულ პრეზიდენტს პირდაპირი პასუხისმგებლობა აქვს აღმასრულებელი

ხელისუფლების ლიდერების და ორგანოების საქმიანობაზე. შესაბამისად, ყოველთვის ცხადია – ვის უნდა დაბრალდეს შექმნილი პრობლემები.

4. პრეზიდენტი – აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერი. მისი ფუნქციაა, წარმართოს ამ შტოს სწორი საქმიანობა. მას ეკონომიკის მართვა კი არ ეხება, არამედ ისეთი პოლიტიკის წარმართვა, როდესაც განსაკუთრებულად შეზღუდულია მთავრობის ჩარევა. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი არის პოლიტიკური ლიდერი და არა ეკონომიკის განმკარგავი.

5. აღმასრულებელი შტოს თითოეული ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობა. კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების სისტემა მითოლოგიზებული გამოგონებაა და კარგი საშუალებაა პასუხისმგებლობის ასაცილებლად. ასეთი კოლექტიური საქმიანობის ოპონირებისთვის გამოდგება კოალიციური მთავრობის მაგალითი, სადაც პოტენციური კონკურენტები – პოლიტიკური პარტიები – ერთმანეთის პარტნიორები ხდებიან. ეს კი ადვილად ხდება პოლიტიკური ვაჭრობისა და დიდმასშტაბიანი კორუფციის საბაბი.

6. აღმასრულებელი შტოს დამოუკიდებლობა. ლიდერის პირდაპირი არჩევა საშუალებას იძლევა ამ შტოს ხელმძღვანელი თეორიულად მაინც იყოს დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანოსაგან, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს მის არასწორ გადაწყვეტილებებს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის ზემოთ ჩამოთვლილ უპირატესობებს აშშ-ს კონსტიტუცია უზრუნველყოფს. ეს ფუნდამენტური პრინციპები ალბათ ქართულ პროექტშიც უნდა გაითვალისწინონ, ქვეყანა რევოლუციების გარეშე რომ განვითარდეს.

ცხადია, ამ მცირე სტატიაში შეუძლებელია ეგრეთ ნოდებული საპარლამენტო რესპუბლიკის უარყოფითი მხარეების დანვრთვით განხილვა, თუმცა ის მაინც უნდა ითქვას, რომ ასეთი მმართველობის პირობებში პოლიტიკოსებს უფლება აქვთ, შეუზღუდავად მიითვისონ უფლებები ინდივიდთა თავისუფლების შემცირების ხარჯზე, ხოლო პასუხისმგებლობას კოლექტიური გადაწყვეტილების უკან დაემალონ.

ამერიკული მოდელი გაცილებით კარგად იცავს პიროვნებას სახელმწიფოსაგან, მისი გადაჭარბებული, შეუზღუდავი დიქტატისგან. ეს ფუნდამენტური ცვლილება დაგვეხმარებოდა ტოტალიტარული, მათ შორის, რუსული იდეოლოგიისაგან გათავისუფლებაში. **0**



ფოტო REUTERS / ჯეიმს ჰინდი

■ აშშ-ს კონგრესი



■ ქართული საგზაო სოფელ ხურჩის
შენახვა, ივნისი 2009

გაერო-ს მისიამ საქართველო ღაზოვა

მშვიდობით, გაერო!

საქართველოდან გაერო-ს მისიის
გასვლის შემდეგ მოსახლეობის
უსაფრთხოებას ქართველი
პოლიციელები და ევროკავშირის
მონიტორები იცავენ. არც ერთ
მათგანს ადმინისტრაციული საზღვრის
გაკონტროლების საშუალება არ აქვს.
საზღვრისპირა სოფლებში 45 ათასზე
მეტი ადამიანი ცხოვრობს.

ეკა ქადაგიშვილი, გუგა ლაგვილავა

ნელინადის ამ დროს მდინარე
ენგური ადიდებულია და გაღმა
ნაპირიდან გადმოსვლა – შეუძ-
ლებელი. ამიტომაც, სოფელ შამგონაში
შედარებით სიმშვიდეა.

სოფელი, რომელშიც 2 500 მოსახ-
ლეა, კუნძულს ჰგავს, რადგან ენგური
შამგონას გარშემო უვლის. აქ, ისევე,
როგორც სხვა საზღვრისპირა სოფლე-
ბში, ბოლო 16 წლის განმავლობაში
გაერო-ს დამკვირვებელთა მანქანებს
ყოველდღე ხედავდნენ. „მაინც იმედი
იყო, როდესაც გაერო-ს მანქანა ჩაი-
ვლიდა. თუმცა, დაცულად თავს არც
მაშინ ვგრძნობდით და არც ახლა“, –

ამბობს ადმინისტრაციული საზღვრის-
პირა სოფელში მცხოვრები მარინა
გულუა.

გაერო-ს მონიტორინგის მისიის
მუშაობა საქართველოში 15 ივნისს,
ნიუ-იორკის დროით ღამის 12 -ზე,
სოფელ შამგონას დროით კი დილის
8 საათზე შეწყდა. ახალმა ამბავმა აქ
მალე ჩამოაღწია, თუმცა მოსახლეობას
მნიშვნელოვანი ცვლილება არ უგრძე-
ნია. მარინა გულუას, ისევე, როგორც
მის თანასოფლელებს, უჭირს, გაიხ-
სენოს, კონკრეტულად რა დახმარება
გაუწევიან გაერო-ს წარმომადგენლე-
ბს აქაურებისთვის.



ქირიების საცხოვრებელი სახლი სოფელ შამგონაში ენგურის პირას დგას. დიასახლისი იხსენებს, რომ 2009 წლის 4 იანვარს ყაჩაღები ენგურზე გადმოვიდნენ და მათ სახლში შევარდნენ. ოჯახის წევრების თქმით, ყაჩაღები ქართულად საუბრობდნენ. „ფული და ოქრო მოგვთხოვეს. ჩვენ არც ერთი გვექონდა და არც მეორე. ვერაფერი რომ ვერ იპოვეს, ჩემი ქმარი, დემურ ქირია, გარეთ გაიყვანეს და მალე სროლის ხმა გავიგე. მთელი ღამე ვეძებთ დემური და დილის 6 საათზე სახლთან ახლოს, ენგურის პირას მკვდარი ვიპოვეთ. ვფიქრობ, ჩემმა მეუღლემ ერთ-ერთი ყაჩაღი იცნო და ამიტომ ცოცხალი არ დატოვეს“. ქვირევმა გაერო-ს სთხოვა მკვლელობის გამოძიებაში დახმარება. მათაც გულდასმით გამოიკითხეს საქმის დეტალები და ოჯახს დახმარებას დაჰპირდნენ. მას შემდეგ 5 თვე ისე გავიდა, რომ ქირიებს აღარავინ დაკავშირებია.

ადგილობრივი მცხოვრები ალიკ თორია ამბობს – მიუხედავად იმისა, რომ სოფელში გაერო-ს დამკვირვებლები და ქართული პოლიცია პატრულირებდა, ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მცხოვრებლების უსაფრთხოებას აქამდეც ვერავინ იცავდა. 66 წლის თორია იხსენებს, რომ თანასოფლელებთან ერთად ენგურის პირას თევზაობდა, როცა თავს აფხაზები დაესხნენ და ენგურს იქით გადაიყვანეს. „გალში წაგვიყვანეს და გამოსასყიდს გვთხოვდნენ. ჩემმა ოჯახმა დოლარები გადაუხადა და გამომიშვეს. დანარჩენების გასათავისუფლებლად გაერო-ს მივმართეთ, მაგრამ ვერაფრით დაგვეხმარნენ“.

თუმცა შამგონაში ისიც ახსოვთ, რომ მათ თანასოფელს გაერო-მ გატაცებული ოჯახის წევრი აპოვნინა. „წავიდნენ აფხაზეთში და ჩემი ძმა იპოვეს. გვითხრეს, – გალის ციხეშიაო. გამოყვანაში კი ვერ დაგვეხმარნენ. ჩემი ძმის გათავისუფლება

მხოლოდ გამოსასყიდის გადახდის შემდეგ მოვახერხეთ“, – ამბობს შამგონას მცხოვრები, რომელიც ანონიმურად გვესაუბრა.

გაერო-ს მონიტორინგის მისია, დამკვირვებლების გარდა, საგამოძიებო ჯგუფებისგანაც შედგებოდა. ფაქტების მოძიების გუნდი (Fact Finding Team, FFT) უფლებამოსილი იყო, გამოეძიებინა ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული არალეგალური ქმედება ან კრიმინალური ფაქტი, რომელიც მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელდა. გაერო-ს მისიის ეს ჯგუფი გამოძიების პროცესში აფხაზეთისა და საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობდა. ფაქტების მოძიების ჯგუფის კომპეტენცია იყო შემთხვევის ადგილის მონახულება და კონფლიქტის მხარეებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

გაერო-ს მისიის დასრულების შემდეგ ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლებში უსაფრთხოების დაცვა მთლიანად ქართულ პოლიციას მოუწევს. სამართალდამცავების თქმით, სოფელ ხურჩაში 15 ივნისამდე მხოლოდ ერთი მანქანით პატრულირებდნენ. უკვე 2 კვირაა, სოფელს ორი მანქანით იცავენ.

სოფელი ხურჩა ენგურს გაღმაა და მას გალის რაიონის სოფელ ნაბაკევისგან პატარა მდინარე ნოველა ჰყოფს. ქართული საგუშაგო სოფლის შესასვლელთან, მდინარე ენგურზე გადებულ რკინის ხიდზეა. ზუგდიდის განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოს თანამშრომლები სოფელში შემსვლელ ყველა მანქანას და ფეხით მოსიარულეს აჩერებენ, ამონებენ ზუგდიდიდან მომავალ სამარშრუტო ტაქსებსაც.

ხურჩაში ჟურნალისტებს სპეციალური ნებართვის გარეშე აღარ უშვებენ. სოფელში შესვლა სამმართველოს უფროსთან ტელეფონით გასაუბრების შემდეგ ხდება შესაძლებელი, ისიც ერთი პირობით – პოლიციელების თანხლებით. სამართალდამცავები უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლევიან, რადგან მას შემდეგ, რაც გალის რაიონში არც ერთი საერთაშორისო დამკვირვებელი არ დარჩა, ადმინისტრაციული საზღვრის შეუმჩნეველად გადმოლახვა კიდევ უფრო გამარტივდა.

სწორედ ამიტომ, ახლა უფრო მეტად ეშინია თავდასხმის შამგონაში მცხოვრებ თემურ აბსანძეს: „გაერო მსოფლიო ორგანიზაცია იყო და ამიტომ რუსებს და აფხაზებს მათი რიდი ჰქონდათ. ახლა რუსი გათამამდება და რასაც უნდა, იმას გააკეთებს. ვინ შეძლებს მათ დაკავებას? უკვე ყველაფერი მოსალოდნელია“.



ფოტო: დარს სულაიაური

თუმცა, აგვისტოს ომის დროს გაერო-ს მონიტორინგის მისიის არსებობას ხელი არ შეუშლია აფხაზური და რუსული დაჯგუფებებისთვის ადმინისტრაციული საზღვარი გადაეკვეთათ. სამხედრო მოქმედებები არ ყოფილა, მაგრამ საზღვრისპირა სოფლებში მობილიზებული იყო რუსული ჯარი. სოფელ განმუხურში იხსენებენ, რომ ომის დღეებში აქ დაძაბულობამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა აფხაზები მათ სოფელში გადმოვიდნენ და გამაგრდნენ. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ აფხაზებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის არაფერი დაუშავებიათ. მათ სოფელი რამდენიმე დღეში მშვიდობიანად დატოვეს, თუმცა მას შემდეგ მოსახლეობა ყოველდღე შეიარაღებული კონფლიქტის განახლების მოლოდინშია.

სოფელ განმუხურის, ხურჩისა და შამგონას მაცხოვრებლები იხსენებენ, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტში მარტო აღმოჩნდნენ. „ომის დღეებში ჩვენ დასახმარებლად არავინ მოსულა. პოლიცია არ გამოჩენილა. დამკვირვებლები კი პირველად სექტემბერში ვნახეთ“, – ამბობს გალიდან დევნილი ზაზა ხურცილავა, რომელიც ახლა შამგონაში ცხოვრობს.

„მესმის ადგილობრივი მოსახლეობის, როდესაც ამბობს, რომ მისიის წარმომადგენლები მათთან არ გამოჩენილან. გარწმუნებთ, სამშვიდობო მისიის არც ერთ წარმომადგენელს საკუთარი ვალდე-

„ომის დღეებში ჩვენ დასახმარებლად არავინ მოსულა. პოლიცია არ გამოჩენილა. დამკვირვებლები კი პირველად სექტემბერში ვნახეთ“, – ამბობს გალიდან დევნილი ზაზა ხურცილავა, რომელიც ახლა შამგონაში ცხოვრობს.



■ სოფელ შაგომონის მოსახლეობა

ბულებების შესრულება არ შეუწყვეტია. ჩვენ ზუგდიდში დავრჩით და ამით ქალებსა და ბავშვებს მივეცით მაგალითი, რომ ქალაქი არ დაეტოვებინათ. ზოგიერთი მათგანი უკან დაბრუნდა კიდევ. ჩვენი დამკვირვებლები იძულებულნი იყვნენ ყოველდღიური საქმიანობა უფრო ფრთხილად ენარმოებინათ და ხალხის თვალში ამიტომაც არ ჩანდნენ. თუმცა პატრულიორებსა შედარებით ფარული ფორმებით განვაგრძობდით, – განმარტავს გაერო-ს სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, იოჰან ვერბეკე.

მშვიდობა, რომელიც არ არსებობს

კონფლიქტურ რეგიონებში და ადმინისტრაციულ საზღვრისპირა ტერიტორიებზე 15 ივნისამდე გაერო-ს 135 სამხედრო დამკვირვებელი და 20 პოლიციელი პატრულირებდა. გაერო-ს მისიის დამკვირვებლები უიარაღო სამხედრო პირები არიან. იარაღის გარეშე მშვიდობის შენარჩუნება სადამკვირვებლო მექანიზმის მუშაობის მთავარი პრინციპია. გაერო-ს სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში იოჰან ვერბეკე ამბობს, რომ იარაღით ვერ გაკეთდებოდა ის, რაც მის გარეშე გაკეთდა: „უიარაღოდ მოქმედება ნიშნავს იმას, რომ ვერ ჩაერევი მწვავე კონფლიქტში ან სამხედრო შეტევაში. ხშირად ეს რთული ასახსნელია, მაგრამ სადამკვირვებლო მექანიზმი იქ იმისთვის არ არის, რომ დამყარდეს მშვიდობა, არა-

მედ შეინარჩუნოს მშვიდობა, რომელზეც კონფლიქტის მხარეები შეთანხმდნენ“.

მშვიდობა ამ სოფლებში, უკვე 18 წელია, აღარ არსებობს. მოსახლეობა ამბობს, რომ გაერო-ს მისიას პოლიციური მანდატიც რომ ჰქონოდა, უფრო ეფექტურად შეძლებდა მათ დაცვას. გალიდან დევნილი 55 წლის მამაკაცის აზრით, გაერო-ს მხარდაჭერა ყოველთვის მხოლოდ სიტყვიერი იყო და ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „იარაღის გარეშე მშვიდობის დამყარება წარმოუდგენელია. ამიტომაც თავი უსაფრთხოდ არასდროს გვიგრძენია“.

მოსახლეობა შიშობს, რომ დამკვირვებელთა წასვლის შემდეგ აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი მათთვის ჩაიკეტება და მიმოსვლა სამუდამოდ შეწყდება. გაერო-ს მისია ადგილობრივებს ყველაზე ეფექტურად ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთაში ეხმარებოდა. სამეგრელოდან ენგურს გაღმა სისტემატოურად გადადიან და ამიტომ ცდილობენ, აფხაზეთთან ურთიერთობა არ გაიფუჭონ. იციან, რომ ამ დროს მათ უსაფრთხოებას არავინ იცავს, მაგრამ ამბობენ, რომ არც მესაზღვრეები ერჩიან და არც გალში მცხოვრებნი. გაღმა გადასვლა ფული ღირს – 5 ქართული ლარი, ან რუსული რუბლის ეკვივალენტი. გალიდან დევნილი ზაზა ხურცილავა ამბობს, რომ გალში იშვიათად დადის. „ყოველდღე აფხაზეთისთვის მისაცემი 10 ლარი რომ მქონდეს, აქ კი არა, შვეიცარიაში ვიცხოვრებდი“. „თუ გადავდივართ, მხო-

ლოდ იმიტომ, რომ ლუკმა პური ვიშოვოთ. უფრო ხშირად ახალგაზრდები დადიან, ოჯახები რომ არჩინონ. გალიდან თხილი ან ხილი მოაქვთ გასაყიდად. აქ სამუშაო არ არის, ყველას უჭირს მატერიალურად“, – ამბობენ ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში.

გაერო-ს მისიის დასრულების შემდეგ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ერთადერთი საერთაშორისო მისია რჩება. ევროკავშირის უიარაღო დამკვირვებლები კონფლიქტური ზონების სიახლოვეს 2008 წლის სექტემბრიდან მუშაობენ. თუმცა მათი მონიტორინგი ცალმხრივია, რადგან აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ აძლევს. ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას, სავარაუდოდ, ვერც ევროკავშირის მონიტორინგის მისია შეძლებს. გაერო-ს მანდატის დასრულებიდან ერთ კვირამდე მისიას თავად შეექმნა საფრთხე – 21 ივნისს წალენჯიხის რაიონში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, ევროკავშირის დაჯავშნული მანქანის სიახლოვეს ნაღმი აფეთქდა. სასწრაფო მანქანის მძღოლი, რომელიც ევროკავშირის დამკვირვებლებს ახლდა, საავადმყოფოში გარდაიცვალა. მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიორგ ჰაბერმა განაცხადა, რომ წინასწარი გამოძიების შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ინციდენტი ევროკავშირის მონიტორების წინააღმდეგ საგანგებოდ იყო მოწყობილი. □

გაერო-ს მისიის სოხუმის და გალის ფილიალური დაიკავა

მისიის დასასრულის დასაწყისი

აფხაზეთიდან გაერო-ს მისიის გაცვლა სოხუმში არ უხარიათ. ადგილობრივი მოსახლეობა სამუშაო ადგილებს და ჰუმანიტარულ დახმარებას კარგავს, თუმცა ეს ხელისუფლებას მისიის ძველი სახელწოდებით დატოვების ფასად არ უღირს >>

ანტონ კრივინუკი



UNOMIG-ის ოფისი, გალი

ალიკ თედევი, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქთან ახლოს ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს, 15 წელია, ყოველდღე, ზუსტად 17 საათზე სოხუმის სასტუმრო „აიტარის“ ეზოდან მანქანით გამოდის. სასტუმროში გაერო-ს მისიის ოფისია განთავსებული. ჭიშკართან ალიკს თანასოფლელები ელოდებიან. მათ იციან, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ლოდინი აღარ მოუწევთ და სახლში ალიკს წაყვებიან. ბოლო რამდენიმე კვირაა, სახლისაკენ გზად გამართული ყველა საუბარი გაერო-ს მისიის დახურვას ეხება, რომელშიც, ალიკის მსგავსად, კიდევ 200-მდე ადგილობრივი იყო დასაქმებული. მისიის დახურვის გამო, ყველა მათგანი არცთუ ურიგო ხელფასს დაკარგავს. ალიკი უკვე ეძებს ახალ სამსახურს. „დღეს კიდევ შეიძლება იშოვო სამსახური, და ნორმალური

ანაზღაურებითაც, ათი წლის წინ კი გაერო-ს ხელფასი ძალიან დიდი ფული იყო“, – ამბობს თედევი. სოხუმის ოფისის „არაადგილობრივი“ თანამშრომელი, ეთიოპიელი, რომელმაც გვარის დასახელება არ ისურვა, ასევე შეწუხებულია, ბარგის ჩალაგება ასე მოულოდნელად რომ მოუხდა. „ჩვენ მნიშვნელოვან მისიას ვასრულებდით, რეგიონში მშვიდობას უზრუნველვყოფდით. მიჭირს აფხაზეთის დატოვება. აქ 11 წელი ვიმუშავე და ძალიან მივეჩვიე თქვენ ხალხს“, – ამბობს ის. ამ წლების განმავლობაში გაერო-ს მისიის საქმიანობა აფხაზეთში არაერთხელ გაუკრიტიკებიათ, მაგრამ ახლა მისიის შეწყვეტა აქ არავის გაუხარდა და მხოლოდ შემფოთებას იწვევს. აფხაზეთში მისიის ორი ოფისია დაბინავებული – სოხუმსა და გალში. სოხუმის

ოფისი ჯერ კიდევ მუშაობს სასტუმრო „აიტარის“ შენობაში, ქალაქის გრილ, საკურორტო ნაწილში. ოფისის მოპირდაპირე მხარეს პლაჟია, იქვეა ქალაქში ცნობილი რესტორანი, რომელიც სასტუმროს სახელს ატარებს. ორივე ადგილს ხშირად სტუმრობდნენ გაერო-ს თანამშრომლები. ქალაქში უკვე გავრცელდა ჭორი, რომ მალე გაერო-ს ქონების გრანდიოზული გაყიდვა მოეწყობა და ბევრი უკვე ფულსაც ამზადებს. ვის მისიის ავტომობილები აინტერესებს, ვის – კომპიუტერული ტექნიკა ძალიან დაბალ ფასად. თავად სასტუმრო კი თავის პირდაპირ დანიშნულებას დაიბრუნებს, ტურისტებს მოემსახურება. თუმცა ამ „პირდაპირ დანიშნულებაზე“ გადასვლა მისი დირექტორის, ანატოლი გოლანძიას თქმით, ძნელი იქნება. ობიექტს გაერო-სგან

არცთუ ურიგო, სტაბილური შემოსავალი ჰქონდა და საბაზრო კონიუნქტურაზე აღარ იყო ორიენტირებული. მას შემდეგ, რაც კორპუსების დიდი ნაწილი გაერო-ს მისიამ 90-იან წლებში დაიჭირა, აქ ჩვეულებრივი ტურისტები აღარ შეუსახლებიათ. სასტუმრო „აიტარი“ არც ერთ ტურისტულ კატალოგში არ შეგხვდებათ. „აიტარს“ ძალიან გაუჭირდება კონკურენცია გაუნიოს ახალ, თანამედროვე სოხუმურ სასტუმროებს. სასტუმროს დირექტორი მალე ალბათ მომსახურე პერსონალის ნაწილს დაითხოვს.

გაერო-ს გალის ოფისი ნაკლებად ელიტურია. თუმცა, თუკი სოხუმში ყველამ არ იცოდა, თუ რისთვის იყო საჭირო გაერო-ს მისია, გალში მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „როდესაც ათი წლის წინათ, მეორე დევნილობის შემდეგ სოფელში დაბრუნდით, თან გაერო-ს დიდი დროშა ჩავიტანეთ და სახლის თავზე დავეკიდეთ. გვეჩვენებოდა, რომ ასე უფრო უსაფრთხოდ ვიყავით“, – ამბობს ტყვარჩელის რაიონის სოფელ კოხორას მკვიდრი. გაერო-ს გალის ოფისი ადგილობრივ მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარებითაც ამარაგებდა. გალის რაიონის სოფელ ბარბეგელმა ფერმერმა თემურ კალანდიამ, რომელიც დღეს 5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გადაჭიმულ ბოსტნეულის წარმატებულ მეურნეობას ფლობს, სწორედ გაერო-ს გრანტის წყალობით მოახერხა დამწვარი სახლის აღდგენა და პირველი წარგავის გაკვეთვა. „პირველი ფული 2001 წელს მივიღე, ეს ჯერ კიდევ რთული დრო იყო, როცა გალიდან ჩემს სოფლამდე ჩასვლაც კი არ იყო უსაფრთხო. მისიის თანამშრომლების ქცევა ხშირად მაკვირვებდა – მაგალითად, ჩემს მეურნეობაში ჩასასვლელად ყოველთვის დაჯავშნული ჯიპით მგზავრობდნენ, მე კი ჩემი ჩვეულებრივი საბჭოთა მანქანით მივყვებოდი გვერდით. ალბათ ფიქრობდნენ, რომ მე სიცოცხლის განირვის უფლება მქონდა, მათ – არა. და მაინც, ძალიან დამეხმარნენ ფეხზე დადგომაში“.

გაერო-ს მისიის აფხაზეთიდან წასვლის გამო, ნუხილი გამოთქვა პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა. „აფხაზეთში გაერო-ს მისიამ ბევრი რამ გააკეთა ვითარების სტაბილიზაციისა და საომარი მოქმედებების განუახლებლობისთვის“, – განაცხადა 19 ივნისს ბალაფშმა, როდესაც აფხაზეთში გაერო-ს საქმიანობას აფასებდა. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბან კი მუნს მადლობის წერილიც კი გაუგზავნა იმ „ფასდაუდებელი წვლილისთვის“, რაც გაერო-ს დამკვირვებელთა მისიამ შეიტანა აფხაზეთის ტერიტორიაზე უსაფრთხოების შენარჩუნების პროცესში. „ნება მიბოძეთ, გამოვხატო მადლიერება ჩატარებული სამუშაოებისთვის და იმ მხარდაჭერისთვის, რაც მისიამ ჩვენს რესპუბლიკას გაუწია მისთვის რთულ პერიოდში“, – აღნიშნულია წერილში.

ოფიციალური სოხუმი მიიჩნევს, რომ აფხაზეთიდან გაეროს-ს მისიის წასვლა უსაფრთხოების

რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ გადადგმული ნაბიჯები 2008 წლის შუაგულში:

2008

16.04 რუსეთის პრეზიდენტმა დაავალა სახელმწიფო უწყებებს, დაამყარონ პირდაპირი ურთიერთობები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკების სახელმწიფო სტრუქტურებთან.

21.08 სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობამ დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით მიმართა რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს.

25.08 რუსეთის ფედერაციის საბჭომ და სახელმწიფო სათათბირომ რუსეთის პრეზიდენტს მიმართა, რომ მოეხდინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკების აღიარება და დაემყარებინა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები.

26.08 პრეზიდენტმა მედვედევმა გამოსცა ბრძანება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ. მან მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც მიივხა ნაბიჯის გადადგმისაკენ მოუწოდა.

04.09 ნიკარაგუას პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ განაცხადა, რომ მიესალმება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების აღიარებას. ორტეგას თქმით, ნიკარაგუა ასევე აღიარებს ორი დე-ფაქტო რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, თუმცა ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ ქვეყნის პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, რაც დღემდე არ მომხდარა.

16.12 რუსეთმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკუთარი ელჩები წარგზავნა.

22.12 რუსეთმა ვეტო დაადო ეუთო-ს მისიის გაგრძელებას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. რუსეთის მხარის განცხადებით, ეუთო-მ უნდა გადახედოს ახალ პოლიტიკურ რეალობას და თუ სურვილი აქვს, მისია სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში წარგზავნოს. ეუთო-ს მიერ რეგიონის დატოვების შემდეგ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არც ერთი საერთაშორისო დამკვირვებელი არ დარჩა.

2009

18.05 გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა თავისი ანგარიშის სახელწოდებლად ამოიღო ფორმულირება „აფხაზეთი, საქართველო“. საქართველოს მთავრობის მტკიცებით, ეს განწყვეტილება ბან კი მუნმა რუსეთის ზეწოლის შედეგად მიიღო.

05.06 ბელარუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ უწინაღობით განაცხადა, რომ რუსეთმა მას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ, 500 მილიონ აშშ დოლარის ტრანში შესთავაზა. ბელარუსს რესპუბლიკები არ უღიარებია

რუსეთმა ვეტო დაადო გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც გაერო-ს მისიას საქართველოში მანდატს უგრძობებდა.

15.06 რუსეთმა შეიმუშავა საკუთარი რეზოლუცია, რომლის მიხედვით, გაერო-ს მისია აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობას მხოლოდ იმის გათვალისწინებით გააგრძელებდა, თუ ორგანიზაცია აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებდა. 16 ივნისიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო სადამკვირვებლო საქმიანობა შეწყდა.

საბჭოს მუდმივი წევრი რიგი ქვეყნების „არაპორსმჭერტელური“ პოლიტიკის შედეგია. „ჩვენს ძალისხმევას აფხაზეთში გაერო-ს მისიის შენარჩუნებასთან დაკავშირებით გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს მხრიდან სათანადო თანადგომა და მხარდაჭერა არ მოჰყოლია, რამაც მის შეწყვეტამდე მიგვიყვანა“, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ გაერო-ს გენერალური მდივნის ახლა უკვე ყოფილ სპეცნარ-მომადგენელთან, იოჰან ვერბეკესთან ბოლო შეხვედრისას. სოხუმში ფიქრობენ, რომ ის ქვეყნები, რომლებიც დათანხმდნენ მისიის არსებული სახელწოდებით გაგრძელებას, უბრალოდ თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ მისიის სტატუსი და მუშაობის ფორმატი აუცილებლად უნდა შეცვლილიყო მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა გაერო-ს წევრმა ორმა ქვეყანამ – რუსეთმა და ნიკარაგუამ აღიარა.

„აფხაზეთი გააგრძელებს საერთაშორისო აღიარების მისაღებად ბრძოლას, და ამ პროცესში დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური ვითარების შენარჩუნება, რაც ჩრდილს მიაყენებს ჩვენ დამოუკიდებლობას და დღევანდელი რთულ პრობლემებს მომავალ თაობებს დაუტოვებს გადასაწყვეტად“, – განაცხადა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ სტანისლავ ლაკობამ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქართულ-აფხაზეთური ურთიერთობების ძალიან რთულ პროცესშიც კი, გაერო მაინც ახერხებდა მხარეებს შორის „ცოცხალი“ მოლაპარაკებების გამართვას. მაგალითად, თავის დროზე დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული მხარის წარმომადგენლების, მათ შორის – დავით ბაქრაძის, გიორგი ხაინდრავას და ირაკლი ალასანიას ვიზიტებმა აფხაზეთში, რომელიც გაერო-ს ეგიდით ჩატარდა.

აქ ფიქრობენ, რომ გაერო-ს მისია აფხაზეთში პირველ რიგში იმისთვის იყო საჭირო, რომ მსოფლიოში არაღიარებული სახელმწიფოს შესახებ საზოგადოებრივი აზრის სწორი ფორმულირება მოეხდინა. „გაერო ერთადერთი ორგანიზაცია იყო, რომელიც ასე მჭიდროდ თანამშრომლობდა აფხაზეთთან. მისი მეშვეობით იგებდა მსოფლიო ჩვენთან არსებულ რეალურ სიტუაციას. სწორედ მისი წყალობით იყო, რომ ჩვენმა ოპონენტებმა ვერ მოახერხეს აფხაზეთის „ტერორის ზონად“ წარმოჩენა“, – ამბობს გალელი მასწავლებელი ლარისა კაცია.

გაერო-ს მისიის სოხუმის ოფისის თანამშრომლები ამბობენ, რომ მისიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები უკვე ერთ თვეში გაემგზავრებიან. აფხაზეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მზადაა, განაგრძოს გაერო-სთან თანამშრომლობა, თუმცა, ჯერჯერობით, ამ თანამშრომლობის პერსპექტივა არ ჩანს. ■

ხელისუფლების შეთავაზებაი ოპოზიციას

თანამშრომლობა დიალოგის გარეშე

რატომ აღმოჩნდა ხელისუფლების მიერ ოპოზიციისთვის შეთავაზებული ყველა წინადადება უნაყოფო? საკუთარ უარს ოპოზიცია ძლიერი არგუმენტებით ხსნის, მაგრამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის „ღია ფანჯარას“ მაინც ელოდება >>

ბაია წიკლაური



■ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა ოპოზიციის ლიდერებთან, 11 მაისი 2009

FOTO REUTERS / ირალი ბაგენიძე

ხელისუფლებამ არასაპარლამენტო ოპოზიციას დიალოგი ჯერ კიდევ სპორტესტო აქციების დაწყებამდე შესთავაზა. სიტყვა დიალოგი აპრილის დასაწყისიდანვე გახდა ორმხრივი ბრალდებისა თუ ქილიკის საბაბი. ოპოზიციის ნაწილი დიალოგისკენ მონოდებას ემშაქისულ საცდურად აღიქვამდა, ნაწილი კი მოლაპარაკებებისთვის შეთავაზებულ საკითხებს „არაადეკვატურს“ უწოდებდა. „რა დროს გლობალურ ფინანსურ კრიზისზე საუბარია, როცა ქვეყანაში უმწვავესი პოლიტიკური კრიზისია? ეს დაცინვაა და არა დიალოგი“, – ამბობდა მაშინ ეკა ბესელია.

ბევრი ჭოჭმანის შემდეგ ოპოზიციის ლიდერები მაისის დასაწყისში დიალოგს დათანხმდნენ, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მათთან შეხვედრა პრეზიდენტმა მოინდომა. შეხვედრიდან გამოსულები კი ერთხმად ამბობდნენ, რომ კომუნიკაცია არ შედგა.

„ძალიან დამთრგუნველია დიალოგი, როდესაც ხედავ, რომ შეხების ნერტილები ვერასდროს მოინახება. ჩემი და მათი დიალოგი ალბათ დღეს დამთავრდა“, – ამბობდა სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ. თუმცა, პრეზიდენტთან შეხვედრა მეორედ მაინც შედგა. მიხეილ სააკაშვილმა თავისთან მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძე მიიწვია. 9 ივნისს შავნაბადას რეზიდენციიდან გამოსული გაჩეჩილაძე აღნიშნავდა, რომ შეხვედრა ისევე უშედეგო იყო: „ჩვენი აღქმა რეალობისა და სიმართლისა განსხვავდება“. მისი თქმით, ერთადერთი საკითხი, რაზეც მან პრეზიდენტთან შეთანხმებას მიაღწია, იყო სხვადასხვა ბრალდებით დაკავებული ოპოზიციური აქტივისტების საქმეების გადახედვა. „წარმოიდგინეთ, ეს თქვა

და რამდენიმე დღეში, 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან ნამდვილი ბართლომეს ღამე მოგვიწყო“, – ამბობს თინა ხიდაშელი. მისი თქმით, სწორედ ასეთი შემთხვევების ბრალია, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის რეალურ შეთანხმებას პერსპექტივა არასდროს ჰქონია. „ნდობა არ გვაქვს. ვიცით, რომ ადვილად შეუძლია თავისი სიტყვის გადათქმა“, – ამბობს ხიდაშელი.

უნდობლობა არც ერთ მხარეს არ აკლია. მაშინ, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციის ნაწილს ღიად ადანაშაულებენ რუსეთთან ფარულ კავშირში, პრეზიდენტი მთავრობის სხდომაზე არასაპარლამენტო ოპოზიციას, უშიშროების საბჭოს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს მუშაობაში ჩართვას სთავაზობს. „პოლიტიკური გუნდის სახელით განცხადებას ვერ გავაკეთებ. ჩემი აზრით კი, გეტყვით, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის წევრობა უშიშროების საბჭოში ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სარისკო იქნება. როცა დადგება

ეს საკითხი, მე ჩემს პოზიციას აუცილებლად გამოვთქვამ“, – ამბობს პარლამენტის წევრი გიორგი გაბაშვილი.

პრეზიდენტის შეთავაზება მინისტრის მოადგილეების თანამდებობების დაკავების შესახებ ოპოზიციიდან მხოლოდ სალომე ზურაბიშვილმა მიიღო. „სალომემ სააკაშვილის შეთავაზებების ფარისევლობის ლუსტრაცია გადაწყვიტა და ნახეთ, რომ ყველაფერი გაცხადდა. არანაირი სერიოზული შეთავაზებები ეს არ არის“, – ამბობს ეკატერინა.

საქმე ისაა, რომ პრეზიდენტმა ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის თანამდებობების დარიგების შესახებ ტელევიზიით მხოლოდ ზოგადი განცხადება გააკეთა. თანამდებობებზე დანიშვნის პირობები არც მას დაუკონკრეტებია და არც ხელისუფლების რომელიმე სხვა წარმომადგენელი შეხვედრია ოპოზიციას ამ თემაზე სასაუბროდ. პრეზიდენტის ტელე-შეთავაზებას ზურაბიშვილიც ტელევიზიით დათანხმდა, რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ მინისტრის მოადგილის პასუხისმგებლობის შესახებ განმარტებები მოჰყვა, ასევე ტელეეთერით. „რეალურად თუ გინდა, რომ ჩაიხედო ორგანოს მუშაობაში, პოლიტიკურ ოპონენტად დარჩე და საქმე აკეთო, ამის პარალელურად არ უნდა აკეთო განცხადებები, თითქოს მიდიხარ კრიმინალურ ბანდასთან საბრძოლველად“, – განაცხადა გიორგი გაბაშვილმა. „მან კონკრეტულ უწყებაში უნდა მოავგაროს ის პრობლემები, რაც საზოგადოებას აწუხებს და არა ქუჩაში. არ შეიძლება მინისტრის მოადგილე სამსახურის მერე საპროტესტო აქციაზე გამოდიოდეს“, – ამბობს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.

სალომე ზურაბიშვილი კი ხელისუფლებისგან საბოლოო, წერილობითი პასუხის მიღებამდე შეთავაზების შეფასებისგან თავს იკავებს. „მე მოთმინებაც მაქვს და სიჯიუტეც, ველოდები პასუხს. ბევრი განცხადება იყო მათი მხრიდან და მგონი, დროა, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება“. ნინო ბურჯანაძე ზურაბიშვილის გამბედაობას მიესალმება, თუმცა თვლის, რომ არსებული სისტემის შეცვლა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან შეუძლებელია: „მე პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი და მაშინ ვერ შეეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება. მინისტრის მოადგილეს კი გაცილებით ნაკლები შეუძლია“.

პრეზიდენტის ინიციატივა თავიდანვე უარყვეს „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრებმა. „გახსოვთ, როგორ თქვა, – მათ ექნებათ დიდი კაბინეტები. ვერ შეძლო ბოლომდე ტონალობის შენარჩუნება, როცა დიდ კაბინეტებზე საუბრობდა. ამით მხოლოდ ის უნდოდა ეჩვენებინა, რომ ჩვენ კაბინეტებისთვის ვიბრძვით“, – ამბობს თინა ხიდაშელი. ის ფიქრობს, რომ ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული ყველა შეთავაზება ფიქტიურია და მხოლოდ პოლიტიკური ქულების დაწერისთვის არის გამიზნული, პირველ რიგში – საერთაშორისო საზოგადოების დასანახად. ხიდაშელს მაგალითად მოაქვს საკონსტიტუციო კომისიის შექმნა.


პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილი საკონსტიტუციო კომისია არასაპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობის მთავარი ადგილი უნდა გამხდარიყო, თუმცა მათგან უარის მიღების შემდეგ კომისია უმრავლესობის წარმომადგენლებით, საპარლამენტო ოპოზიციითა და დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტდა. ხელისუფლებამ მათ, ვისაც რადიკალებს უწოდებს, კომისიაში 10 ადგილი დაუთმო. საბოლოო გადაწყვეტილება სიითი რაოდენობის 2/3-ით, ანუ 46 ხმით მიიღება. კომისიის დაკომპლექტების ვადა 20 ივნისს გავიდა, თუმცა ეს 10 ადგილი ახლაც თავისუფალია. კომისიის თავმჯდომარის, ავთანდილ დემეტრაშვილის განმარტებით, პრეზიდენტმა სპეციალურად არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის ეს ვადა ოქტომბრის ბოლომდე გაახანგრძლივა. საკონსტიტუციო ცვლილებებზე სამუშაოდ სულ 20 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია მიწვეული. კომისიის 69 წევრმა 2009 წლის ბოლომდე ქვეყნის მთავარ კანონში ცვლილებების პაკეტი უნდა შეიმუშავოს.

თინა ხიდაშელი ამბობს, რომ კომისია მხოლოდ ფასადია. „პრეზიდენტმა თავის გამოსვლებში უკვე არაერთხელ გამოაცხადა კონკრეტული მოდელი, რომელიც მას უნდა, რომ ნახოს. ეს არის – ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი სასამართლო, ანუ ამერიკული მოდელი. არსად სხვაგან ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტი არ თანაარსებობს“. თავად „ალიანსი საქართველოსთვის“ ქვეყნის საპარლამენტო მოწყობის მომხრეა და საკონსტიტუციო ცვლილებების საკუთარ ვარიანტს კომისიის დასკვნის პა-

ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციის ნაწილს დიად აღნაგავალებზე რუსეთთან ფარულ კავშირში, პრეზიდენტი კი მთავრობის სტრატეგია პრასაპარლამენტო ოპოზიციას, უშიშროების საბჭოს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს გუშაობაში ჩართვას სთავაზობს.

რალელურად წარუდგენს საზოგადოებას.

20 ივნისს პრეზიდენტმა არასაპარლამენტო ოპოზიციას კიდევ ერთი ტელე-შეთავაზებით მიმართა. საღამოს თოქ-შოუში სტუმრობისას მან დეპუტატის მანდატების დაბრუნება ოპოზიციის იმ წევრებს შესთავაზა, ვინც, პროტესტის ნიშნად, ამ მანდატზე 2008 წლის მაისის არჩევნების შემდეგ თქვა უარი. შეთავაზებას ჯერჯერობით არც ერთი ყოფილი დეპუტატი არ დათანხმებია.

ოპოზიციამ კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების წინადადებებში მზარდი დინამიკაა. შემდეგი ნაბიჯი, პოლიტიკოსების თქმით, ამ შეთავაზებების სანდოობაში დარწმუნებაა. ამისათვის კი ოპოზიციის ნაწილი მოლაპარაკებებში საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართვას მიიჩნევს აუცილებლად. გაერთიანებულ ოპოზიციას კი არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ ხელისუფლების რა შეთავაზება იქნება მათთვის მისაღები და ადეკვატური. ყველაზე რადიკალური ნაწილი ისევ მხოლოდ პრეზიდენტის პოსტს ითხოვს. შედარებით ზომიერია ირაკლი ალასანიას გუნდის პოზიცია: „იმიტომ ვართ პოლიტიკოსები და არა მეომრები, რომ უნდა შეგვეძლოს გრძელვადიანი ბრძოლაც და მართაობის სირბილიც. როგორც კი დავინახავთ, რომ გამოჩნდა ღია ფანჯარა ხელისუფლებასთან რეალური თანამშრომლობისთვის, თავს არ შევიკავებთ, თუნდაც ეს ნაბიჯი არაპოპულარული იყოს“, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში თინა ხიდაშელი. 



ალექსანდრა (კახა) ლომაია
გაეროსთან დაკავშირებული პრაქსის
ორგანიზაციის მთავარი
საპარტოვალო მენეჯერი
ნარკომადგენელი

მარტოხელა რუსეთი

რუსეთის ნარკომადგენლის ჩურკინის შეცბუნება

15 ივნისის საღამოს ადვილად აიხსნებოდა. მან

დიპლომატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური წესი

დაარღვია. ალექსანდრა (კახა) ლომაია

წესი – „მარტო ნუ დარჩები!“ დიპლომატს მოუწოდებს, გამუდმებით ეძებდეს და პოულობდეს მოკავშირეებს, ქმნიდეს ახალ ან უერთდებოდეს არსებულ კოალიციებს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისთვის უშიშროების საბჭოში რუსეთმა მოკავშირეები უნაყოფოდ ეძება. მან ეს დიპლომატიური – პოლიტიკური რაუნდი 10 - 1 ნააგო. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ რეზოლუციას ხმა მისცეს: აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, თურქეთმა, იაპონიამ, მექსიკამ, ხორვატია, ავსტრიამ, ბურკინა-ფასომ და კოსტა რიკამ. სანინა-ალმდეგო პოზიციას, რუსეთის ფარდა, არავინ.

მსოფლიომ იზოლირებული რუსეთი დაინახა. ბოლო 14 წლის განმავლობაში რუსეთმა ვეტოს უფლება მხოლოდ მეოთხედ გამოიყენა.

რუსეთის დიპლომატიური მარცხი სამმა ფაქტორმა განაპირობა.

პირველი: აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია რუსეთთან ლია კონფრონტაციას არ მოერიდა. ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ ეს ხდება მოსკოვში პრეზიდენტობამას ვიზიტამდე. თუ ამას დაფუძნებთ აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის კომიტეტის დაფუძნებას და ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის საქართველოში ვიზიტის გამოცხადებას, კრემლისადმი გზავნილი ნათელია – ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეების ეროვნული ინტერესები რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციაში არ იცვლება.

მეორე: საქართველოს მეგობართა ჯგუფის ევროპელი წევრების კონსოლიდირებული პოზიცია.

მესამე: საქართველოს ერთდროული სიმტკიცე და მოქნილობა, რამაც, საყოველთაო აღიარებით, გაზარდა ჩვენი ქვეყნის, როგორც საიმედო პარტნიორის საერთაშორისო ავტორიტეტი.

საქართველოს და მის მეგობრებს უნდოდათ, აფხაზეთში ემუშავა გაერო-ს ისეთ მისიას, რომელიც დააკვირდებოდა რუსული საოკუპაციო ჯარების გაყვანას და უზრუნველყოფდა დევნილთა ღირსეულ დაბრუნებას.

ახალი ვითარება ამ მიზნის სხვა გზებით მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

გაერო-ს და ეუთო-ს მისიები ჩვენი ქვეყნის ატრიბუტი იყო. ისინი თითქმის იმდენივე ხანია არსებობენ, რაც დამოუკიდებლობები ვართ. მალე ეს ასე აღარ იქნება. ისევე, როგორც ყველა ცვლილებას, ამ ცვლილებასაც მოჰყვება როგორც რისკები, ასევე შესაძლებლობები. უახლოესი პერიოდის განმავლობაში

საქართველოს ამოცანა იქნება პირველის შემცირება და მეორეს გამოყენება.

ახალი ვითარება ახალ სტრატეგიას მოითხოვს. იკვეთება ამ სტრატეგიის ზოგიერთი ელემენტი: ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის დაწესება, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერება და ჩვენს ტერიტორიაზე რუსული ჯარის ყოფნისთვის ოკუპაციის კვალიფიკაციის მინიჭება.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მოთხოვნა ეფუძნება როგორც უნივერსალურ, ასევე კონკრეტულ სამართლებრივ საფუძველს: 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით, რუსეთმა ივალდებულა, ხელი შეეწყოს ჰუმანიტარული მისიების შეუფერხებელ მუშაობას. მონიტორინგის განხორციელება შეუძლიათ, როგორც

გაერო-ს სტრუქტურებს, მაგალითად, UNHCR, Unicef, UNDP, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს – საერთაშორისო ნიტიელი ჯვარი, Human Rights Watch, Amnesty International, ICG და სხვ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერების მოტივაცია: აქამდე მოქმედი სამი საერთაშორისო მისიიდან იგი ერთადერთია, რომელზეც რუსეთს პირდაპირი ზეგავლენის ბერკეტები არ გააჩნია. მისიის ეფექტურობას ამაღლებდა მისი უკეთესი ტექნიკური აღჭურვა (რისი შესაძლებლობაც მისიის მანდატით არის გათვალისწინებული) და რაოდენობრივი გაძლიერება, მათ

შორის, კავშირის არანაერთი სახელმწიფოების წარმომადგენლებით.

გაერო-ს მისიის დასრულებამ სამართლებრივი ვითარება ჩვენს სასარგებლოდ „გამარტივა“ – მას აღარ აბუნდოვანებს მოსკოვის „სამშვიდობო“ შეთანხმება და რუსი „სამშვიდობოები“. გამოიკვეთა, რომ არსებობს ქვეყანა, თავის საერთაშორისოდ ცნობილ საზღვრებში, რომლის ტერიტორიაზე, მისი მთავრობის ნების სანინააღმდეგოდ და საერთაშორისოდ აღიარებული საფუძვლის გარეშე, იმყოფება უცხო ქვეყნის ათასობით ჯარისკაცი. რუსული სამხედრო ყოფნის ოკუპაცია შეფასებისთვის გამოსაყენებელია ისეთი საერთაშორისო ფორუმები, როგორცაა გაერო-ს გენასამბლეა, ევროპარლამენტი, ეუთო-ს, ნატო-ს და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეები და ეროვნული პარლამენტები.

ახალი სტრატეგიის განხორციელება ურთულეს პოლიტიკურ და დიპლომატიურ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. მაგრამ, ჯილდოც დიდია. ყველაფერთან ერთად, მისი წარმატებული განხორციელება მარტოხელა რუსეთის დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს – შეცბუნებისთვის, ხოლო საქართველოს და მის მეგობრებს კმაყოფილებისთვის კიდევ ერთ მიზეზს მისცემს.



რუსეთის მუდმივი
ნარკომადგენელი ბაქოში მისიის
ჩურკინი ალექსანდრა (კახა) ლომაია
რუსეთის დიპლომატიის, 15 ივნისი 2009



WWW.LIBERALI.GE



არჩევნები ირანში

თეირანი 2009 - სკეპტიციზმის არჩევნები



ღმრთადადამოუკიდებელი საერთაშორისო ირანის საპროპორციული
არჩევნების შედეგებს, 600-იორკი, 19 ივნისი 2009



ირანის ოპოზიციის მომხრეების აზრით, სულიერმა ლიდერმა ალი ჰამენეიმ არჩევანი ხალხისა და სამართლიანობის წინააღმდეგ გააკეთა. ჰამენეის მიერ აჰმადინეჟადის მხარდაჭერის მიღმა ხალხის ნაწილი გარიგებას ხედავს.

ლექსო ჩქარაული

ფოტო REUTERS / ჯანსაზი

ორიოდე კვირის წინ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა და მისმა შედეგებმა მოსახლეობის ისეთი უკმაყოფილება ააგორა, რომ ქვეყნის დედაქალაქში 1979 წლის ისლამური რევოლუციიდან დღემდე ყველაზე მასშტაბური საპროტესტო აქციები იმართება. ოფიციალური მონაცემებით, პოლიციასა და აქციების მონაწილეების დაპირისპირების შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა. ხალხის უკმაყოფილება არჩევნების ტოტალურმა გაყალბებამ გამოიწვია, რომელში გამარჯვებულად კვლავაც ისლამური რესპუბლიკის წინა პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი გამოცხადდა.

აჰმადინეჟადის გამარჯვება წინა პრეზიდენტო არჩევნებშიც კი ბევრისთვის მოულოდნელობა იყო, თუმცა მაშინ მან ამ პოსტზე „რეფორმატორი“ ხათამი შეცვალა და რაღაც გამართლებად მიანიც მოეძებნებოდა ამ ცვლილებას. აჰმადინეჟადმა და კონსერვატიული ხაზის მომხრეებმა მაშინ ხათამის პოლიტიკის ყველა მარცხი წარმატებით გამოიყენეს და ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის ხელშესახები გაუარესება ლიბერალური იდეების სატანისუელ გავლენას დააბრალეს. ამ ფონზე, მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსულმა აჰმადინეჟადმა, რომლის მსგავს ორატორულ ნიჭსაც ძალზე ცოტა ადამიანი თუ ფლობს, მოახერხა დაერწმუნებინა ირანული ელექტორატი, რომ ქვეყნის ხსნა რევოლუციური იდეების განუხრეულ ერთგულებამი უნდა მოეძებნათ.

ლიბერალიზმის საწინააღმდეგო ლოზუნგებმა მაშინ მოსახლეობის დაბალ ფენებზე წარმატებით იმუშავა, რადგან მხოლოდ ინტელიგენცია ხვდებოდა, რას ნარმოადგენდა რეალურად ხათამის მიერ წარმართული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა. ჩვეულებრივ ადამიანებს კი გამოხატვის თავისუფლებას – ყველა ქვეყა-

ნასა და, მით უფრო ირანში – საკვები პროდუქტების სიიაფე ურჩევნიათ. ამიტომ შესაძლებელია, წინა არჩევნებში მნიშვნელოვნად გაყალბდა, მაგრამ ოთხი წლის წინ საზოგადოებას ამაზე მწვავე რეაქცია არ ჰქონია; პირიქით, თეირანში ხშირად შეხვედებოდა ადამიანთა ჯგუფებს, რომელთაც გულწრფელად სჯეროდათ ახალი პრეზიდენტისა და მას თითქმის ყველაფერში ენდობოდნენ.

ნდობა განპირობებული იყო უბრალო ხალხთან მაჰმუდ აჰმადინეჟადის მიერ საგანგებოდ აქცენტირებული სიახლოვით. პრეზიდენტს აქვს უნარი, ილაპარაკოს მარტივად, სადად, ყველასათვის გასაგები ენით; მაშინ, როცა ხათამის გამოსვლებს ყოველთვის აზნდა წიგნიერებიდან წამოსული ფილოსოფიურ-თეოლოგიური სიმძიმის დალი.

შავჩალიჩიანი ანუ სეიედი, ესე იგი, ისლამის წინასწარმეტყველის მუჰამადის ჩამომავალი ხათამი, მართალია, ხალხში სასულიერო ტანსაცმლით ჩნდებოდა, მაგრამ თმა-წვერი მუდამ ლამაზად ჰქონდა შეკრეჭილი და სამოსიც საგანგებოდ დაუთოებული ეცვა. სახეზე არისტოკრატიული ფუფუნების ნათელი ფენა და რთული – თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებებით ლაპარაკობდა. ლაპარაკისას ხშირად იშველიებდა ციტატებს არაბული თუ სპარსული წიგნებიდან. ხოლო მისი იმიჯმეიკერები ხაზს საგანგებოდ უსვამდნენ, რომ პრეზიდენტმა ოთხი ევროპული ენა, ამა შორის ინგლისური, წყალობით იცოდა.

დეკლარირებული იდეების დონეზე ხათამის არაფერი დაეწინებოდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, პირადი ურთიერთობისას ჩანდა, რა საშინელ ხიბლში იყო ჩავარდნილი და როგორ ამპარტაყუნულად ტკებებოდა თავისი არისტოკრატიული ღირსებებით. ამპარტაყუნებს, რაც შეიძლება ირანელთა საერთოეოგნულ თვისებადაც განვიხილოთ, დიდად არც მაჰმუდ აჰმადინეჟადი ისაკლისებს, მაგრამ ამ კაცში, ხათამისაგან განსხვავებით, არის ის პლეტური გულითადობაც, რაც მასაზე მომწუსხველად მოქმედებს. ამ გულითადობის შემადგენელი ნაწილია არჩეული პრეზიდენტის ჩაცმულობა და იერსახე. აჰმადინეჟადი ირანში შეკერილი კოსტიუმით დადის, წვერი მუდმივად სამი-ოთხი დღის გაუპარსავს უგავს და ძალზე იშვიათად აცვია დაულქავებელი პერანგები. ფეხსაცმელს კი, რომელსაც მტვრის საკმაოდ სქელი ფენა უფარავს, პირველივე შესაძლებლობისთანავე იხდის საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით.

აჰმადინეჟადის ჩაცმულობის მიზანია,

არა იმდენად გარემოსთან შესაბამება, რამდენადაც უბრალო მასებისათვის განკუთვნილი ერთი მაგიური მესიჯი: მეც ერთი თქვენგანი ვარ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კაცი, თუმცა ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა სამართლიანმა სისტემამ საშუალება მომცა, ჩემი ნიჭითა და მონდომებით დამეკავებინა უმაღლესი პოსტი, გადამელახა მოსახლეობის ფენებს შორის არსებული ყველანაირი სოციალური წინააღმდეგობა და თქვენ საკეთილდღეოდ ქვეყნის სათავეში მოვსულიყავი.

ილუზია არჩევნებიდან რამდენიმე თვეში დაიმსხვრა, რადგან ნელ-ნელა ცხადი გახდა, რომ „გლეხის ბიჭი“ მმართველად არ ვარგოდა, რადგანაც საერთაშორისო სარბიელისთვის აუცილებელი „მეფური მანერები“ მისთვის თავის დროზე არავის ესწავლებინა. გარდა ამისა, სამეფო კარზე მან გარს თავისი „მეგობარი მწყემსები“ შემოიკრიბა და ამით არისტოკრატია და პოლიტიკური ისტაბლიშმენტი სამუდამოდ გააგულისა.

მმართველი ფენების გალიზიანებას მალე უბრალო ხალხის უკმაყოფილებაც დაემატა, რადგან აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდში განუხრელად მზარდმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ინფლაციამ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. თუ ხორცი 10 წლის წინ დაახლოებით ორნახევარი დოლარი ღირდა, დღეს მისი ფასი თითქმის 6-7 დოლარია. კატასტროფულად გაძვირდა კვების სხვა პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები. კრიზისის შესაჩერებლად კი, თუნდაც თავისი რენომეს გადარჩენის მიზნით, მთავრობამ ბევრი ვერაფერი იღონა. გაიზარდა უმუშევრობა და სიღატაკე: თუ წლების წინ თეირანის ქუჩებში მათხოვარს ვერსად შეხვდებოდა, ახლა ქუჩები სასუსეა მანანნალა ბავშვებითა და უპატრონო მოხუცებით, ქვეყანაში ყვავის პროსტიტუცია და ნარკობიზნესი.

უმუშევრობის დამანგრეველი ტალღის შეჩერებას აჰმადინეჟადის ხელისუფლება ისედაც მეტისმეტად გაბერილი სახელმწიფო სტრუქტურების გაზრდით შეეცადა. ამ მცდელობამ იმდენად კურიოზული სახე მიიღო, რომ ცოტა ხნის წინათ ქვეყანაში „მოლოდინის სამინისტრო“ დაარსდა. ამ სამინისტრომ, ირანული ოფიციალის განცხადებით, „უნდა მოამზადოს ნიდაგი გაუჩინარებული იმამის ღირსეული დახვედრისთვის“. საქმე ისაა, რომ ოფიციალური ირანი ე. წ. „12-იმამიანი შიიზმი“ აღმსარებელია. ტრადიციის მიხედვით, უკანასკნელი, მე-12 იმამი მაჰდი გაუჩინარდა და, ხალხის რწმენით, იგი ალაჰმა ზეცაში ცოცხლად აიყვანა. იმამ

ერთი, რასაც აჰმადინეჟადმა მართლაც შესანიშნავად აუღო ალლო, ქვეყნის ფაქტობრივ მმართველ ფინანსურ კლანებთან მისი ურთიერთობაა. ის ამ კლანების მძვავლია და თუ მათ ნებას არ გაატარებს, ურჩევნია თანაგვებობას გამოეშვიდებოდეს.



მაჰდის გამორჩენა კი, შიიტების რწმენით, ქვეყნიერების დასასრულს მოასწავებს და ამის შემდგომ განკითხვის დღე დაიწყება. აჰმადინეჟადი გულმხურვალე შიიტია. ის თავის გამოსვლებში მუდმივად ცდილობს, ურთულეს თეოლოგიურ საკითხებს შეეჭიდოს, თუმცა ტექნიკური განათლების პრეზიდენტს აშკარად არ ჰყოფნის სასულიერო ცოდნა და ამიტომაც, იმ მარადიულ პრობლემებს, რასაც ირანული ჰუმანიტარული აზროვნება, საუკუნეებია, წარმატებით სვამს და გადაჭრის, მაჰმუდ აჰმადინეჟადი საესებით პრაგმატულ და მიწიერ პლანში გაიზარებს. როგორც ჩანს, პრეზიდენტის აპოკალიპსური შეგრძნებები სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აბსოლუტურად სერიოზული სახელმწიფო სტრუქტურა ე. წ. „მოლოდინის სამინისტრო“ დაეარსებინა.

ერთი, რასაც აჰმადინეჟადმა მართლაც შესანიშნავად აულო ალლო, ქვეყნის ფაქტობრივ მმართველ ფინანსურ კლანებთან მისი შესაშური ურთიერთობებია. თავის დროზე ისლამური რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლოზუნგი იყო ის, რომ ქვეყნის სიმდიდრე ხალხის ხელში უნდა გადასულიყო. სასულიერო ფენა ამ საკითხს შაჰის წინააღმდეგ აგიტაციაში აქტიურად იყენებდა და ხალხს ეუბნებოდა, რომ მათი ეკონომიკური სიდუხჭირე შაჰის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით იყო განპირობებული. ერთი მხრივ, სამეფო ოჯახის ასტრონომიული დანახარჯები, მეორე მხრივ კი, ქვეყნის ყველა ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრის უცხოელების (ინგლისისა და ამერიკის) ხელში კონცენტრაცია ირანელთა ფართო ფენების ნივთიერ სიდუხჭირეს და მხოლოდ მმართველ ელიტასთან დაახლოებული პირების არაადეკვატურ გამდიდრებას იწვევდა. ისლამური რევოლუციის ლიდერები, მათი გამარჯვე-

01

01/ ირანელი ქალი აჰმადინეჟადის კლასატის წინ

02/ აჰმადინეჟადი და მოჰამად ჯაჰ-რაზი, თეირანი 2009

03/ აჰმადინეჟადი საარჩევნო კამპანიის დროს, თეირანი 2009



02



03



რუსეთმა აპმადინეჟალი აირჩია

2008 წლის აგვისტოში, შანშაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე, ტაჯიკეთში, ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა თქვა, – რუსეთსა და ირანს საერთო მტრები ჰყავთ, რომელთაც არ სურთ ამ ორი ქვეყნის გაძლიერება.

სადავო და სისხლიანი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აპმადინეჟადი პირველი ოფიციალური ვიზიტით რუსეთში, ამავე ორგანიზაციის სამიტზე ჩავიდა.

თეირანში მიმდინარე მილიონიანი საპროტესტო აქციების პარალელურად, პაკისტანის სამხედრო დაჯგუფების „ჰაბასის“ შემდეგ მედვედევი პირველი იყო, ვინც მაჰმუდ აპმადინეჟადს არჩევნების შედეგები მიულოცა.

23 ივნისს არაბული სახელმწიფოების ლიგის შეხვედრაზე გამოსვლისას დიმიტრი მედვედევა თავის მხრივ დასავლეთს მოუწოდა, – „არ მოახვიონ დემოკრატია თავს“ ისლამურ ქვეყნებს. „ისლამური სამყაროსგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, ამიტომ მენტორობა, დემოკრატიზაცია და, მით უმეტეს, პირდაპირი ჩარევა გარედან, აბსოლუტურად დაუშვებელია“; - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

ისინი, ვისაც მაჰმუდ აპმადინეჟადი და დიმიტრი მედვედევი „გარე ძალეზად“ მოიხსენიებენ, ახლა საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ გამოვლენილი განსაკუთრებული სისასტიკისთვის აკრიტიკებენ ირანის მთავრობას. აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას, ბრიტანეთის საგარეო უწყებისა და ევროკავშირის განცხადებების შემდეგ ირანის არჩევნების შედეგებზე პოზიციის დაფიქსირება რუსეთმა კიდევ ერთხელ ჩათვალა საჭიროდ.

„დარწმუნებულები ვართ, რომ ყველა საკითხი, რომელიც შემდგარ არჩევნებს უკავშირდება, უნდა გადაწყდეს ირანული კანონებით, იმ პროცედურების შესაბამისად, რასაც ეს კანონები ითვალისწინებს. როგორც მე მესმის, სწორედ ეს ხდება ახლა იქ“, – განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 25 ივნისს. მან დაადასტურა, რომ რუსეთი გამართლებულად მიიჩნევს არჩევნების შემდეგ თეირანის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას.

რუსეთის გარდა, აპმადინეჟადს არჩევნებში გამარჯვება მიულოცეს ჩრდილოეთ კორეისა და ვენესუელას ლიდერებმა. უგო ჩავესის თქმით, ირანის არეულობის უკან ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები დგას.



01



02

- 01/ აპმადინეჟადის მხარდამჭერი, თეირანი 2009
- 02/ მირ ჰოსეინ მუსავის მხარდამჭერი პოლიციასთან შეტაკებისას, თეირანი 2009

ფოტო 01 REUTERS / აბინე სალოლავი, 02 REUTERS / აკბაე ჯაბალაი

ბის შემთხვევაში, ამ სიმდიდრის ხალხისათვის გადაცემის პრობას იძლეოდნენ.

„რევოლუცია გარანტიას გაძლევთ, – ამბობდნენ ისინი, – თქვენი ქვეყნის სიმდიდრე თქვენსავე ოჯახებს მოახმაროთ. ცოტა ხანში ჩვენთან აღარ იქნება უბინაო, გაჭირვებული და მშიერი ადამიანი. ირანს მხოლოდ ის ნავთობი აცხოვრებს, ახლა რომ დაუკითხავად გადის ქვეყნის გარეთ და ჩალის ფასად იყიდება!“ ხალხმა გულუბრყვილოდ დაუჯერა ამ მონოდებას. რევოლუციის პირველ ხანებში მართლაც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ეროვნულ სიმდიდრეთა ნაციონალიზაციის მიმართულებით. თუმცა მალე ყველა მსხვილი ბიზნესი ხელისუფლებასთან ასოცირებული დანაშაულებრივი კლანების ხელში გადავიდა. დღემდე არსებობს რამდენიმე სერიოზული კლანი, რომელთაგან თითოეული გარკვეულ შემოსავლიან სფეროს აკონტროლებს.

მაგალითად, ამბობენ, რომ ნავთობისა და ფსტის (ბუსტულის) ძირითადი წილი ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის შაჰემი რაფსანჯანის კუთვნილებაა. ამ და კიდევ სხვა მაფიოზური წარმონაქმნების თარეშმა და ჩრდილოვანმა ფინანსურმა მანიპულაციებმა ქვეყნის ეკონომიკა ისეთ დღეში ჩააგდო, რომ თავისთავად უმდიდრესი პოტენციალის ირანი ლამის ტოტალურ სიღატაკემდე მიიყვანა. ქვეყნის პრეზიდენტი, პრაქტიკულად, ამ კლანების მძევალია და თუ მათ ნებას არ გაატარებს, ურჩევნია თანამდებობას თვითონვე აუღლებულად გამოემშვიდობოს.

მაჰმუდ აჰმადინეჟადს, რომელსაც დასაწყისში შაჰემი რაფსანჯანის კლანთან ჰქონდა საკმაოდ მწვავე და სერიოზული უთანხმოება, ახლა მისგან აღარავითარი საფრთხე არ ემუქრება. აჰმადინეჟადმა ყველა გავლენიან მაფიოზთან მეგობრული ურთიერთობები დაამყარა. ამან კი დიდწილად განაპირობა მის მიმართ ქვეყნის სულიერი ლიდერის ალი ხამენეის კეთილგანწყობაც.

ეს კეთილგანწყობა კარგად გამოჩნდა 12 ივნისის არჩევნების შემდეგ, როცა აჰმადინეჟადის ერთადერთ სერიოზულ დამცველად და ქომავად მხოლოდ ალი ხამენეი მოგვევლინა. ხამენეიმ გამოაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, მისი შედეგები საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება. ირანის სულიერი ლიდერის და ყოფილი პოლიტიკური პარტნიორის მხარდაჭერის იმედი ოპოზიციურ კანდიდატ მუსავისაც ჰქონდა. თუმცა, რო-

გორც ჩანს, ხამენეიმ, პირნმინდად პრამატული მოსაზრებებით, ძველ, ერთგულ თანამებრძოლს აჰმადინეჟადის თავი ამჯობინა.

არჩევნების მონაცემების გამოქვეყნებას მაშინვე მოჰყვა დიდი უკმაყოფილება და საერთო სახალხო მღელვარება. პროტესტი თეირანიდან დაიწყო, სადაც აჰმადინეჟადს პრაქტიკულად გამარჯვების არავითარი შანსი არ გააჩნდა და საარჩევნო კომისიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია თეთრი ძაფით ნაკერს ნააგავდა. თეირანის სხვადასხვა წრეში და საერთოდ ირანში წელს უფრო პოპულარული იყო მირ ჰოსეინ მუსავი, რომელსაც მოსახლეობა, ძველი დამსახურებებისა და გონივრულად წარმართული საარჩევნო კამპანიის გამო, დიდად ენდობოდა და აფასებდა.

ამ ფონზე აჰმადინეჟადი სრულ პოლიტიკურ ბანკროტად გამოიყურებოდა: ინტილიგენცია და ქვეყნის მოაზროვნე ნაწილი მას ვერ იღებდა და ვერ იღებს თავისი ზედმეტად „ხალხური“, უფრო ზუსტად კი პლებეური აზროვნების გამო, ხოლო ხალხს არ უყვარს იმიტომ, რომ მისი პრეზიდენტობის განმავლობაში ირანში ცხოვრება ათასწილად უფრო გაძვირდა და გაძნელდა. ამიტომაც არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღეს თეირანის მთავარ მოედანზე თავი უამრავმა ხალხმა მოიყარა. ოპოზიციურად განწყობილი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ამ საპროტესტო აქციაში დაახლოებით ორ მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა.

ამის საპირისპიროდ, მეორე დღეს მაჰმუდ აჰმადინეჟადმა თავისი მომხრე ამომრჩევლები შეკრიბა და ოფიციალური წყაროები ამტკიცებდნენ, რომ ამ შეკრებას 2 მილიონ 500 000 კაცი ესწრებოდა. არჩევნების პირველ დღეებში თეირანი მასობრივ ეროვნულ დაპირისპირებასა და სამოქალაქო ომს ლამის სასწაულის ძალით გადაურჩა. სწორედ ამ დაპირისპირების განსამუხტად ხალხი ქვეყნის უმაღლესი სასულიერო ლიდერის განაჩენს ელოდა.

ალი ხამენეის მსჯავრს ელოდა საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული ორი მთავარი კანდიდატიც – მირ ჰოსეინ მუსავი და მოჰსენ რეზაი. ამ კანდიდატებს სერიოზული ელექტორატი ჰყავდათ და ამიტომაც, აჰმადინეჟადის 65-პროცენტული გამარჯვება, მათი თქმით, ხალხის წინაშე ყველანაირ ზნეობრივ მოვალეობაზე უარის თქმა იყო. ხამენეის მიერ პოზიციის დაფიქსირე-

ბის შემდეგ მოჰსენ რეზაიმ, რომელმაც, ოფიციალური მონაცემებით, 680,000 ხმა მოიპოვა, არჩევნების გაყალბების ბრალდება მოხსნა. თუმცა, ალ ხამენეის მიერ აჰმადინეჟადის მხარდაჭერამ სულიერი ლიდერის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია და ქვეყანა კიდევ ერთხელ მოიცვა მასობრივმა საპროტესტო აქციებმა. ამ ეტაპზე კრიტიკის ტალღა არაიმდენად აჰმადინეჟადის, რამდენადაც უმაღლესი სასულიერო ხელისუფლისადმი იყო მიმართული.

ხალხმა ალი ხამენეის 30 წლის წინათ ყუმის თეოლოგიურ აკადემიაში თავისი გამოსვლის ტექსტი შეახსენა, სადაც ამბობდა: „შაჰის ცოდვა ის იყო, რომ ამტკიცებდა, – მთავარია, მე რას ვიტყვი და არა ის, რაც ხალხს სწავლია! დღეს ვინც ამ მეთოდს გაიმეორებს, საძულველ და გასაკიცხ საქმეს ჩაიდენს!“ ირანულ პრესაში გაჩნდა მანამდე ამ ქვეყნისათვის უჩვეულო, სულიერი ლიდერის მისამართით გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები და უკმაყოფილო შენიშვნები. აღმოჩნდა, რომ სულიერი ლიდერის განწყობა დღევანდელ ირანში უკვე სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ხალხიც მთლიანად ასევეა განწყობილი.

ალი ხამენეი კი, როგორც ჩანს, ამ მღელვარებას მშვიდად უყურებს და აცხადებს, რომ ეს საპროტესტო ტალღა უცხო ძალების, კონკრეტულად კი, ირგლისის მიერ არის ორგანიზებული. ირანის სულიერმა ლიდერმა სწორედ ამ გამოსვლისას განაცხადა: „ნურავის ეგონება, რომ ირანი საქართველოა!“

ალ ხამენეის მიერ აჰმადინეჟადის მხარდაჭერამ სულიერი ლიდერის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია და ქვეყანა კიდევ ერთხელ მოიცვა მასობრივმა საპროტესტო აქციებმა.

პოლიტიკური კანდიდატები

ვინ არის აჰმადინეჟადის ოპოზიცია

ირანის არჩევნებში ტრადიციონალისტებისა და რეფორმატორების ბრძოლა ამ უკანასკნელის დამარცხებით დასრულდა >>

ლემსო ჩხარაული



მხარდამჭერი მირ ჰოსეინ მუსავის კლასიკით ხელში, თეირანი 2009

ფოტო: REUTERS / დამირ სალოუჯი

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის თანახმად, არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენება 35 წელს ზემოთ ქვეყნის ყველა მოქალაქეს შეუძლია. ოფიციალურ საარჩევნო ტურში კანდიდატებს ვიზირებას ქვეყნის უმაღლესი მმართველი ორგანო ე.წ. „ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭო“ აძლევს, რომელიც 12 წევრით არის დაკომპლექტებული და მასში რელიგიური წრიდან გამოსული, პატივსაცემი და ისლამური რევოლუციისა თუ რესპუბლიკის წინაშე დიდი დამსახურების მქონე ადამიანები ერთიანდებიან.

2009 წლის 12 ივნისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს ირანის ისლამური რესპუბლიკის რიგით მეშვიდე პრეზიდენტი უნდა გამოეყვინა, რომელსაც ოთხწლიანი უფლებამოსილების ვადა მზის პიჯრის

კალენდრის 1388 წლის 12 მორდადს ანუ 2009 წლის აგვისტოში დაეწყება. არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე კი დაიწყო წინასაარჩევნო ციებ-ცხელება – ერთმანეთს ირანული საზოგადოების ორი ფრთა, ე. წ. „ტრადიციონალისტები“ და „რეფორმატორები“ ერიკინებოდნენ.

რეფორმატორული ფრთიდან კანდიდატურები პრეზიდენტობის ხუთმა მსურველმა წამოაყენა:

1. ქალბატონმა მასუმე ებთეჟარმა – თეირანის საქალაქო საბჭოს რეფორმატორმა წევრმა და გარემოს დაცვის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ.
2. აბდოლ-ლაჰ ნურიმ – პრეზიდენტ ჰამედი რაფსანჯანის პირველი მთავრობისა და პრეზიდენტ მოჰამად ხათამის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც სხვადასხვა დროს ასევე იყო თეირანის

საქალაქო საბჭოს წევრი და ოპოზიციური გაზეთის „ხორდად“ პასუხისმგებელი დირექტორი. „ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს“ მიერ მისი კანდიდატურის დამტკიცების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო ესარგებლა ე. წ. „ერთიანობის განმტკიცების ბიუროსა“ და „რევოლუციის მებრძოლთა ორგანიზაციის“ მხარდაჭერით. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ კაცს პრეზიდენტ ხათამის ალტერნატივად მიიჩნევდა და ალბათ სწორედ ამიტომ, როცა თავისი კანდიდატურა ხათამიმაც წამოაყენა, აბდოლ-ლაჰ ნური არჩევნებს საკუთარი ნებით გამოეთიშა.

3. მოჰსენ მეჰრ ალიზადემ – ფიზიკური აღზრდის ცენტრის ყოფილმა თავმჯდომარემ და წინა საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთმა კანდიდატმა.

4. მოჰამად ხათამიმ – ირანის ისლამური

რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა. მან რამდენიმე წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა რეგიონების მოსახლეობასთან, თუმცა დაახლოებით ერთ თვეში თვითონვე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

5. ქალბატონმა აზამ თალეყანი – პირველი მონვევის ისლამური პარლამენტის წევრმა და ისლამური რევოლუციის ქალთა საზოგადოების გენერალურმა მდივანმა. კანდიდატურის წარდგენისას ქალბატონი თალეყანი აცხადებდა, რომ ამ ნაბიჯის გადადგომა ქვეყნის საარჩევნო კანონის დისკრიმინაციულმა ინტერპრეტაციამ აიძულა. თალეყანი გულისხმობდა საარჩევნო კანონის იმ მუხლს, რომლის თანახმადაც, საპრეზიდენტო კანდიდატი „პოლიტიკისა და რელიგიის კაცთა რიგებს უნდა ეკუთვნოდეს“. „პოლიტიკისა და რელიგიის კაცნი“ ამ კონტექსტში, ცხადია, პოლიტიკურ ანდა რელიგიურ მოღვაწეს გულისხმობს, თუმცა შეიძლება მისი იმგვარი ინტერპრეტაცია, რომ ქალებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ და კანდიდატურის წამოყენება მხოლოდ მამაკაცთა პრეროგატივაა. აზამ თალეყანი აცხადებდა, რომ კანდიდატურის წამოყენება ამ დისკრიმინაციული კანონის, უფრო სწორად, კანონის დისკრიმინაციული ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილმა გადაწყვიტინა. სხვათა შორის, მან ეს წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც გააკეთა, მაგრამ „ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭომ“ მისი კანდიდატურა ოფიციალურ არჩევნებამდე არ მიუშვა.

„ტრადიციონალისტების“ პირობითი დაჯგუფებიდან წელს, მაჰმუდ აჰმადინეჟადის გარდა, შემდეგი კანდიდატურები მოგვევლინენ:

1. ალი აქბარ ვილაიათი – ქვეყნის სულიერი ლიდერის ალი ხამენეის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში.

2. მოჰამად რეზა ბაჰონარი – მან მეშვიდე მონვევის პარლამენტში დააარსა ფრაქცია „პროგრესი და სამართლიანობა“, რითაც, ექსპერტთა ვარაუდით, საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვების შანსი გაორმაგდა. თუმცა მოგვიანებით, როცა მისი დისშვილი – მოჯთაბა სამარე ჰაშემი – მაჰმუდ აჰმადინეჟადის საარჩევნო შტაბის უფროსად დაინიშნა, ნათელი გახდა, რომ არჩევნებში სერიოზული მიზნები არ ამოძრავებდა.

3. მოჰამად ჯაჰრები – ქვეყნის მეცხრე მთავრობის შრომისა და საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი, რომელმაც განაცხადა, რომ თავის კანდიდატურას იმ შემთხვევაში წამოაყენებდა, თუკი შეიქნებოდა ხელსაყრელი პირობები.

4. მოჰამად ბაყერ ყალიბაფი – თეირანის მერი და წინა საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი კანდიდატი.

„ისლამური რევოლუციისა და ძირითადი კანონის გუშაგთა საბჭომ“ განხილვის შემდეგ, არჩევნებში ოფიციალურად დაუშვეს ოთხი კანდიდატი:

1. მაჰმუდ აჰმადინეჟადი
2. მირ ჰოსეინ მუსაჟი
3. მეჰდი ქარუბი
4. მოჰსენ რეზაი.

ამ ოთხი კანდიდატიდან ასაკით ყველაზე უფროსი მეჰდი ქარუბი დაიბადა 1937 წელს ალიგუდარზეში, მიღებული აქვს უმაღლესი სასულიერო განათლება და სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო და რელიგიურ პოსტებზე. 1989-1992 და 2000-2004 წლებში ქარუბი ისლამური საკონსულტაციო ასამბლეის თავმჯდომარე იყო. ის 2004 წელს საპარლამენტო არჩევნებშიც მონაწილეობდა, თუმცა მეორე ტური ვერ გაიარა. მეჯლისის წევრობამდე ის ექსპერტთა საბჭოს წევრი და უმაღლესი სასულიერო ლიდერის პირადი მრჩეველი იყო.

2005 წელს ქარუბიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. მაშინ მისი კანდიდატურა რეფორმისტთა პარტიამ, კერძოდ კი, ყოფილი პრეზიდენტის ალი ჰაშემი რაფსანჯანის გუნდმა წამოაყენა. ქარუბი არჩევნებში აჰმადინეჟადთან მეტოქეობისას დამარცხდა. მაშინაც, არჩევნების მეორე დღეს ქარუბიმ აჰმადინეჟადი და ქვეყნის უმაღლესი სულიერი ლიდერის ვაჟი, მოჯთაბა ხამენეი, ხმის დათვლისას მაქინაცეების გამოყენებასა და საარჩევნო ორგანოებზე ზეწო-

ნლევანდელი არჩევნების ყველაზე კოლორიტული კანდიდატი მოჰსენ რეზაი იყო. ეს კაცი 1954 წელს დაიბადა ირანის პროვინციის ხუზესტანის სოფელ მასჯედ-სოლეიმანში. სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა სამხედრო თანამდებობაზე. ბოლო ხანებში კი იყო სამხედრო სარგებელთა ეროვნული საბჭოს მდივანი. ირან-ერაყის ომის დროს, უფრო ზუსტად კი 1981-1997 წლებში, მეთაურობდა ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს. 1981 წელს, 27 წლის რეზაი, ირან-ერაყის ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვეში სათავეში ჩაუდგა ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს. მან ამ პოსტზე შეცვალა 1981 წლის 21 სექტემბერს ირანელი კამიკაძის მიერ აფეთქებული 49 წლის მოსთაფა ჩამრანი. ამრიგად, რეზაი გახდა თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით გამორჩეული ამ სამხედრო კორპუსის მეორე და დღემდე ყველაზე ახალგაზრდა მეთაური.

1997 წელს მოჰსენ რეზაიმ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. ცოტა ხნის შემდეგ კი იგი სამხედრო სარგებელთა საბჭოს წევრად აირჩიეს პოლიტიკურ სარგებელთა ორიენტირების მიმართულებით. მალე ამავე საბჭოს მდივანი გახდა და, გარდა ამისა, საბჭოში კომერციისა და ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეობაც შეითავსა.

ისლამურ რევოლუციამდე რეზაი ირანის ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობდა. 2001 წელს კი თეირანის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მაგისტრი გახდა. 2006 წელს მოჰსენ რეზაი არგენტინის

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენიანი კანდიდატი მირ ჰოსეინ მუსაჟი. 68 წლის მუსაჟი, განათლებით მხატვარი და პრაქტიკოსი, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობდა.

ლაში დაადანაშაულა. საპასუხოდ, ალი ხამენეიმ ქარუბის ღია წერილი გაუგზავნა, რომელშიც მისი ბრალდებების უსაფუძვლობაზე მიუთითა და დასძინა, რომ ირანში პოლიტიკურ კრიზისს არაფრით დაუშვებდა. 2005 წლის 19 ივნისს მეჰდი ქარუბი თავისი ნებით გადადგა ექსპერტთა საბჭოს წევრისა და სასულიერო ლიდერის მრჩეველის თანამდებობიდან. მეორე დღეს კი შინაპატიმრობა მიესაჯა. ქარუბი დაიცვა და ბოლომდე უქომაგა პრეზიდენტ აჰმადინეჟადის ყველაზე სახიფათო და გავლენიანმა კრიტიკოსმა – ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანამ.

მთავრობამ ინტერპოლს გადასცა და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, ირანის იმ ექვს მოქალაქესთან ერთად, ვინც ეჭვმიტანილი იყო 1994 წელს ბუენოს-აირესში ებრაული კულტურის ცენტრის აფეთქების ორგანიზებაში. ამ აფეთქებისას 85 ადამიანი დაიღუპა და 151 დაიჭრა. ამერიკაში გაქცეული რეზაის ვაჟის, აჰმედის დაუდასტურებელი ჩვენებით, ამ აფეთქების მომზადებაში მამამისიც მონაწილეობდა. ამის მიუხედავად, არგენტინას ირანისათვის ოფიციალურად არასოდეს მოუთხოვია რეზაის გადაცემა.

12 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნე-

ბის ყველაზე მნიშვნელოვანი ოპოზიციური კანდიდატი მირ ჰოსეინ მუსავი ხამენე იყო. იგი 1941 წლის 29 სექტემბერს ხამენეში დაიბადა. 68 წლის მირ ჰოსეინ მუსავი, განათლებით მხატვარი და არქიტექტორი, სხვადასხვა დროს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობდა. 1981 წელს იყო ირანის საგარეო საქმეთა, ხოლო 1981-89 წლებში – პრემიერ-მინისტრი, სანამ 1989 წელს კონსტიტუციური რეფორმების შედეგად ეს თანამდებობა არ გაუქმდა.

ბოლო დრომდე მუსავი იყო სამხედრო სარგებელთა საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.


პრემიერ-მინისტრის პოსტზე 1981 წელს მირ ჰოსეინ მუსავი მამინ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა და დღევანდელმა უმაღლესმა სასულიერო ლიდერმა ალი ხამენემ დაამტკიცა, როცა ის ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა. მირ ჰოსეინ მუსავიმ ალი ხამენის მთავრობაში მისი პრეზიდენტობის ბოლომდე იმუშავა. მუსავი ირანის მთავრობას ქვეყნისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში – ირან-ერაყის შვიდწლიანი ომის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ დროს მოიპოვა მან ფიზიკური პრაგმატიკოსის რეპუტაცია და ხალხის ფართო ფენების სიყვარული დაიმსახურა.

1989 წლის 3 აგვისტოს, როცა ხამენეი უკვე ქვეყნის უმაღლესი რელიგიური ლიდერის პოსტზე მოღვაწეობდა, მირ ჰოსეინ მუსავიმ პრემიერ-მინისტრობის პოსტიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. თუმცა მანამდე, 1989 წლის 28 ივლისს საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად (რომელშიც გამარჯვება ალი აქბარ ჰამენეი რაფსანჯანიმ მოიპოვა) ჩატარდა რეფერენდუმი კონსტიტუციური ცვლილებების შემოღების თაობაზე და ამ ცვლილებებმა, სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრის პოსტის გაუქმებაც გაითვალისწინა.

2009 წლის 9 მარტს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების არენაზე ოცნლიანი პასიურობის შემდგომ მუსავიმ მოულოდნელად განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებდა, რის შემდეგაც, მუჰამად ხათამიმ მის სასარგებლოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, პრაქტიკულად, ერთმანეთს სამი ადამიანი უპირისპირდებოდა – მაჰმუდ აჰმადინეჟადი, მირ ჰოსეინ მუსავი და მოჰსენ რეზაი. თუმცა, რადგან მოსახლეობას კარგად ახსოვდა ისლამური რევოლუციის გუშაგათა კორუპციის საქმიანობა, მოჰსენ რეზაის გამარჯვების შანსი ნაკლებად ჰქონდა. ამის მიუხედავად, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მოჰსენ რეზაიმ კანდიდატებს შორის შესამე ადგილი დაიკავა. საარჩევნო კომისიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

მაჰმუდ აჰმადინეჟადი – 24, 527,516 – მთელი ხმების 62, 63%
მირ ჰოსეინ მუსავი – 13, 216, 411 – მთელი ხმების 33,75%
მოჰსენ რეზაი – 678, 240 – მთელი ხმების 1, 73
მეჰდი ქარუზი – 333,635 – მთელი ხმების 0, 85%
ბათილად ჩათვალა 409,389 ბიულეტენი, რამაც მთელი ხმების 1,04% შეადგინა. ამრიგად, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, წლევეანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა მისცა სულ 39, 165, 191 ადამიანმა.

ამრიგად, გარეგნულად, წლევეანდელ არჩევნებში ყველაფერი ძალიან ორგანიზებულად და მონესრიგებულად წარიმართა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასევე კარგად იყო ორგანიზებული ხმების გაყალბების მექანიზმი, რამაც ირანის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია; ხოლო რადგან წელს ოპოზიციურ ფრთას გონიერი და გავლენიანი კანდიდატები წარმოადგენდნენ, როგორც წყარობიდან ჩანს, ისინი შესანიშნავად იყენებენ მასობრივ უკმაყოფილებას. 

ახალი მელა და ირანული საპროტესტო ტალღა

ახალი ირანი

ირანის მთავრობა ცენტრალიზებულ მდილას ეფუძნებად აკონტროლებს, თუმცა ის უძლური აღმოჩნდა ახალი მდილის სოციალური ძსელების წინააღმდეგ >>

გიორგი ცხადაია

2009 წლის 12 ივნისის ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, მიუხედავად ჯერ კიდევ გაურკვეველი დასასრულისა, უკვე ბევრი პოპულარული წარმოდგენა შეცვალა.

უპირველეს ყოვლისა, ეჭვის ქვეშ დადგა უმაღლესი რელიგიური ლიდერის, აიათოლას ძალაუფლება, რამაც ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას სერიოზული ზზარები გაუჩინა. ტრადიციულ პარასკევის გამოსვლაში, 19 ივნისს, აიათოლა ალი ხამენემ მხარი დაუჭირა კონსერვატორი პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჟადის გამარჯვებას და, საპროტესტო აქციების გაგრძელების შემთხვევაში, ძალადობაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას დააკისრა. არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების დღიდან ირანელების ნაწილი შედეგებს აქტიურად პროტესტებდა. საკუთარი ხმის დაცვის მოთხოვნით გამოსული მოქალაქეები არც უმაღლესი რელიგიური ლიდერის სიტყვას დაემორჩილნენ და აიათოლას გამოსვლის მეორე დღეს მათ მრავალრიცხოვანი აქცია გამართეს, რომელიც ბასიჯის სამხედრო დაჯგუფებასთან დაპირისპირებით დასრულდა.

პირველად 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ივნისში თეირანში ლამლამობით შენობების სახურავებიდან ისმოდა შეძახილები: „სიკვდილი დიქტატორს!“ რეჟიმის მიერ დაწესებული არნახული ცენზურის პირობებში, პროტესტის მონაწილე-

ები მაინც ახერხებდნენ, რომ სიტყვა ერთმანეთისთვის მიეწვინათ. რელიგიური და პოლიტიკური პირების ძალისხმევის მიუხედავად, ხალხის ხმა მაინც მკაფიოდ გაისმა და ამაში ლომის წილი ახალ ინდივიდუალურ მდილას ეკუთვნის.

მობილური ტელეფონები, ტექსტური მესიჯები, ციფრული კამერები, ინტერნეტ ბლოგები, სოციალური ვებგვერდები – კომუნიკაციის ტექნოლოგიის ეს საშუალებები სახალხო პროტესტის ორგანიზაციის ეფექტურ მექანიზმებად იქცა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ირანში ვირტუალური სოციალური ქსელი Twitter. მთელი ამ აქციების განმავლობაში, არ წყდებოდა ახალი ამბების, ვიდეოების, მიმართვების ამ ქსელის მეშვეობით გავრცელება. მთავრობის მიერ დაწესებული ცენზურისგან თავდასაღწევად ირანში უცხოეთიდან მოხალისეების მიერ მინოდებული სპეციალური პროქსი სერვერებით სარგებლობდნენ. ასე ახერხებდნენ თეირანიდან ბლოკირებული ვებგვერდების გაცნობას და საკუთარი ახალი ამბების მსოფლიოთვის დროულად მიწოდებას. ინტერნეტმა განვითარებულ მოვლენებში იმდენად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რომ პროტესტის საწყის ეტაპზე, Twitter-ის ამერიკული სერვერის განახლება მისმა მფლობელებმა მხოლოდ იმ მიზეზით გადადეს, რომ ირანელი მოქალაქეებისთვის მხარი დაეჭირათ. სერვერის გადატვირთვა



■ მირ ჰოსაინ მუსაჰის მხარდამჭერი, ფრანკფურტი 2009 ■ ნაფას ხსოვნისადმი მიძღვნილი აქცია, სან-დიეგო 2009

გარკვეული პერიოდის განმავლობაში კომუნიკაციის შეწყვეტას ნიშნავდა.

ახალმა ტექნოლოგიებმა წარმოდგენები სახელმწიფო ძალაუფლების შესახებ მნიშვნელოვნად შეცვალა. ცენტრალიზებული მედიის, ტელევიზიის და რადიოს გაკონტროლებას აქამდე ავტორიტარული რეჟიმები წარმატებით ახერხებდნენ.

დღეს სახელმწიფოსთვის ინფორმაციით მანიპულირება გაცილებით უფრო გართულდა. ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტის მდივნის რობერტ გეითის სიტყვებს თუ მოვიხმობთ, „მთავრობის მიერ ყველაფრის ერთ ბადეში მოქცევა შეუძლებელი გახდა“.

ასევე, შეიცვალა წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა არის ხილული და უხილავი. თუ აქამდე საპროტესტო მონაწილეებზე განხორციელებული ძალადობა შეტაკებებში დალუპულების, დაჭრილების ან დაკავებულების რიცხვის მიხედვით ფასდებოდა, დღეს ემოციური მუხტი ელვის სისწრაფით გადაიცემა.

პროტესტის მონაწილე ახალგაზრდა გოგონას, ნედას მკვლელობის საზარელი ვიდეო youtube-ისა და Twitter-ის მეშვეობით მსოფლიოში მილიონობით ადამიანმა იხილა. საგარაუდოდ, ამ კადრებმაც განაპირობა ამერიკის პრეზიდენტის ბოლო გამოსვლის მკაცრი ტონი, სადაც ის აქციების დროს მომხდარ ძალადობას გმობს. ნედას მკვლელობის კადრებმა ერთიანად გაამძაფრა არსებული რეჟი-

მის მიმართ ხალხის დამოკიდებულება ირანში, და მის საზღვრებს გარეთ. ვიდეო ჩვეულებრივმა მოქალაქემ გადაიღო, რომელიც ნედას მკვლელობას შეესწრო. მან კადრები მეგობარს იმილით გაუგზავნა, მეგობარმა კი – რადიო „ამერიკის ხმას“, ბრიტანულ გაზეთ „გარდიანს“ და ევროპაში მყოფ მის რამდენიმე მეგობარს. Youtube-ზე განთავსებული კადრები, რამდენიმე დღეში, მთელმა მსოფლიომ ნახა. იმავე დღეს Twitter-ის სპეციალურ ონლაინ არხზე ნედას მკვლელობის შესახებ პირდაპირი დისკუსიები მიმდინარეობდა. მსოფლიო ძალიან ახლოდან ადევნებდა თვალს ირანს.

ირანიდან მიწოდებული ინფორმაციის შემდგომ გავრცელებას ხელს უწყობს ირანული დიასპორა დასავლეთში, რომელიც არჩევნების დღიდან სხვადასხვა ქალაქში მუსაჰის მხარდამჭერ აქციებს აწყობს. ისინი აქტიურ კამპანიას ეწევიან ვირტუალურ სივრცეშიც და აქციების კოორდინირებას სპეციალური ვებ-გვერდების დახმარებით ცდილობენ. ერთ-ერთ პოპულარულ საიტზე – „სად არის ჩემი ხმა?“ – შედგენილია საპროტესტო მსვლელობის და აქციების განრიგი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქისთვის.

ირანელი ახალგაზრდების ფოტოებისა და ჩანაწერების გავრცელებამ მსოფლიოში დამკვიდრებული სტერეოტიპები მკვეთრად შეცვალა. დიასპორის წარმომადგენლები თამამად ახდენენ თავიან-

თი ახალი იმიჯის პოპულარიზებას და რეფორმისტული ირანელის იდენტობის დამკვიდრებას. ტრადიკულად დალუპული ნედა იქცა ირანული დემოკრატიის და თავისუფლების სახედ. ახალი ირანის სიმბოლო, 1979 წლის რევოლუციის ირანისგან განსხვავებით, შუა ხნის წვეროსანი მამაკაცები კი არა, თავისუფლებისთვის და სამართლიანობისთვის მებრძოლი ახალგაზრდა სტუდენტები გახდნენ. ჩრდილოეთ ამერიკის დიასპორის ერთ-ერთ აქციაზე, ირანელმა იმიგრანტმა განაცხადა, რომ ამაცობს იმით, რაც ირანში ხდება და მისი იდენტობა ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა. მსოფლიოს თვალში ირანი ახალგაზრდული საპროტესტო ტალღით აღიბეჭდა.

20 ივნისის აქციების ბრუტალური დარბევის შემდეგ საპროტესტო მუხტი მინელდა, თუმცა გრძელდება ვირტუალური ბრძოლა. ირანელების მიერ საკუთარი უფლებების დაცვის მოთხოვნამ სამოქალაქო ჟურნალისტიკის ახალი ტალღა წარმოშვა. ამან ირანული რეჟიმის შეურყევლობისა და რელიგიური ტოტალიტარიზმის მითის დანგრევა გამოიწვია, სახელმწიფოს როლისა და ძალაუფლების შესახებ კი ფუნდამენტური ხასიათის კითხვები წარმოშვა. შესაძლოა, დღეს ირანულმა პროტესტმა არა მარტო ამ ქვეყანაზე შეცვალოს ზოგადი წარმოდგენები, არამედ – მთელ მსოფლიოზეც. [\[1\]](#)

პოლიტიკური კრიზისი მოლდოვაში

TWITTER-ის რევოლუსია

მოლდოვას პოლიტიკურმა კრიზისმა მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის სერიოზული პრობლემები წარმოაჩინა, რომელთა გადაჭრაშიც კონკურენტები ევროკავშირის და რუსეთის იძნებებიან >>

ნიკუ პოპეკუ საბარო ურთიერთობების ევროპული საბჭოს (ECFR) მკვლევარი, თარგმანი ღვიმე ახალაძე



ღამონსტრანტი რუმინეთის დროშით ხალხი, კიბინიოვი 2009

ალიანსმა „მოლდოვა ნოასტრამ“ მხოლოდ ხმათა 35% დააგროვა და საკანონმდებლო ორგანოში სულ 41 ადგილი მოიპოვა.

უკანასკნელ არჩევნებს წინ უძღოდა მოლდოვას 18-წლიანი ისტორიაში უბინძურესი წინასაარჩევნო კამპანია. საზოგადოებრივი ტელევიზია ტენდენციურად წარმართავდა მაუწყებლობას და ოპოზიციის სანინაღმდეგოდ დაუფარავად მუშაობდა. პოლიცია და გენერალური პროკურატურა აკავებდა ოპოზიციის აქტივისტებს, ხურავდა სხვა პარტიების გაზეთებს, ხელს უწყობდა და ხელს აფარებდა მშვიდობიან მომიტინგეებზე თავდამსხმელებს და ავინრობდა ჟურნალისტებს. ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიამ არჩევნებს, საბოლოო ჯამში, ნაწილობრივ დადებითი შეფასება მისცა, რადგან არჩევნებში ყველა ოპოზიციურმა პარტიამ თავისუფლად მიიღო მონაწილეობა, ხმის მიცემის პროცედურამ მშვიდ გარემოში ჩაიარა და 1000-ზე მეტ დამკვირვებელს რაიმე სერიოზული დარღვევა არ დაუფიქსირებია.

მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ირწმუნებოდა, რომ ადგილი ჰქონდა საარჩევნო სიებით მანიპულირებას (წინა არჩევნებთან შედარებით, 300 000-ით მეტი ხმა დარეგისტრირდა), მაგრამ ამის დამტკიცება ადვილი არ იყო. 6 აპრილის საღამოს კიშინიოვის ცენტრში რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა პროტესტის მშვიდობიანად გამოსახატად. მათი უმრავლესობა Twitter-ისა თუ Facebook-ის მსგავსი ელექტრონული სოციალური ქსელებით, სმს-ებითა და ელექტრონული ფოსტით – გავრცელებულ საპროტესტო მოწოდებებს გამოუხმაურა. მოგვიანებით, სწორედ ამის გამო, ამ აქციებს „Twitter-ის რევოლუცია“ უწოდეს.

მეორე დღით ქუჩებში კიდევ უფრო მეტი, დაახლოებით 15 000-20 000 ადამიანი გამოვიდა. მომიტინგეთა ძირითადი მასა მთავრობის სასახლის წინ, დედაქალაქის მთავარ მოედანზე შეიკრიბა. შუადღისთვის აქციის ზოგიერთმა მონაწილემ პრეზიდენტის სასახლისა და პარლამენტის წინ გადაინაცვლა. ეს შენობები მთავარი მოედნიდან 500 მეტრის დაშორებით, ერთმანეთის პირდაპირ მდებარეობს. იქ რამდენიმე ასეულ მომიტინგესა და პოლი-

6 აპრილს, არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ ოპოზიციის მომხრეებმა მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში დაიწყეს შეკრება. კომუნისტების მმართველმა პარტიამ მესამედ დააგროვა ხმათა უმრავლესობა (49.5%), რითაც პარლამენტში 101-დან 60 ადგილი, ასევე მთავრობისა და სპიკერის არჩევის შესაძლებლობა მოიპოვა. კომუნისტებს მხოლოდ ერთი ხმა დააკლდათ პრეზი-

დენტის ასარჩევად საჭირო უმრავლესობის შესაგროვებლად. ამგვარი შედეგების წყალობით, მოლდოვას პრეზიდენტსა და კომუნისტური პარტიის ლიდერ ვლადიმირ ვორონინს, თავისი მეორე და ბოლო საპრეზიდენტო ვადის ამონურვის მიუხედავად, მოლდოვას პოლიტიკაში დომინირების გაგრძელების საშუალება ეძლევა. სამმა ოპოზიციურმა პარტიამ – ლიბერალებმა, ლიბერალ-დემოკრატებმა და

ციას შორის გააფთრებული შეხლა-შემოხლა დაიწყო, თუმცა აქციის მონაწილეთა ძირითადი მასა ფიზიკურ დაპირისპირებაში არ ჩართულა. ოპოზიციური პარტიების ლიდერები ხალხის დამშვიდებას ცდილობდნენ და მოუწოდებდნენ მომიტინგეებს, არ აპყლოდნენ პროვოკაციას. რამდენიმესათიანი ლოკალური შეტაკებების შემდეგ მომიტინგეებმა პოლიციას სძლიეს და პრეზიდენტის სასახლეში, მოგვიანებით კი – პარლამენტში შეიჭრნენ. პრეზიდენტის სასახლესა და პარლამენტის თავზე ევროკავშირის, მოლდოვასა და რუმინეთის დროშები აფრიალდა.

მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციები მაშინვე გავრცელდა. ხელი-სუფლება ოპოზიციას რუმინეთის მხარდაჭერით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში სდებდა ბრალს. ოპოზიცია კი მთავრობას, საპროტესტო მოძრაობისა და მოთხოვნების დისკრედიტაციის მიზნით, მასობრივი არეულობის ორგანიზებაში ადანაშაულებდა. ზოგიერთ ვიდეომასალაში თვალნათლივ ჩანს, რომ პოლიციამ განზრახ აიღო ხელი პარლამენტის შენობის დაცვაზე, რომელიც იმ მომენტისთვის სულაც არ წარმოადგენდა მომიტინგეთა სამიზნეს. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლებამ შეგნებულად დატოვა დაუცველი სახელმწიფო დანესებულებები და, ოპოზიციური მოძრაობისთვის სახელის გასატეხად, პროვოკატორების საშუალებით ხალხი უკანონო ქმედებებისკენ წააქეზა. მთავრობა კი ამბობს, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა პარლამენტი და პრეზიდენტის სასახლე უფრო დიდი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად მიატოვეს.

მომდევნო დღეებში ხელისუფლებამ წინააღმდეგობის ჩასახშობად მკაცრი ზომები მიიღო. პოლიციამ დააპატიმრა და სცემა (ხშირ შემთხვევაში, ქუჩებში) ასობით მომიტინგე. სამი ადამიანი გარდაიცვალა. მთავრობამ სავიზო რეჟიმი შემოიღო რუმინეთის მოქალაქეთათვის, შეწყვიტა თითქმის ყველა რუმინული ტელეარხის მაუწყებლობა, ოცზე მეტი რუმინული ჟურნალისტი ქვეყნიდან გააძევა და უზარმაზარი მედიაკამპანია ააგორა ოპოზიციის წინააღმდეგ. ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემდეგ პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა ამისტია გამოაცხადა და დაკავებულ ოპოზიციონერთა უმრავლესობა გაათავისუფლა (თუმცა ეს ითვალისწინებდა იმასაც, რომ სამართლებრივი დევნა არც ძალადობაში მონაწილე პოლიციელთა მიმართ განხორციელდებოდა). ამავდროულად, მედიასივრცეში გრძელდებოდა ანტიოპოზიციური კამპანია.

მალე არჩევნების შემდგომი კრიზისი

პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა. ოპოზიცია კვლავაც არ აღიარებდა არჩევნების შედეგებს, მაგრამ სადეპუტატო მანდატებზე უარი არ უთქვამს. კომუნისტურმა პარტიამ სცადა საეჭვო გამარჯვების კანონით განმტკიცება – კონსტიტუციურმა სასამართლომ არჩევნების შედეგები არ გააბათილა. ვლადიმირ ვორონინი პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს, რაც მას ორი საპრეზიდენტო ვადის ამონწურვის შემდეგ ქვეყნის დე-ფაქტო ლიდერად დარჩენის საშუალებას აძლევს. კომუნისტურმა პარტიამ აირჩია პარლამენტის ორი ვიცე-სპიკერი, ერთი ადგილი კი ოპოზიციას დაუტოვა, მაგრამ ოპოზიციურმა პარტიებმა სპიკერის მოადგილის თანამდებობაზე კანდიდატურა არ წარადგინეს.

ყველაზე დიდი ინტრიგა მომავალი პრეზიდენტის არჩევნების ირგვლივ დაიწყო. ქვეყნის პრეზიდენტი 61 ხმით ირჩევა, მაგრამ კომუნისტურ პარტიას მხოლოდ 60 დეპუტატი ჰყავს. ამიტომაც მას, სულ მცირე, ერთი ოპოზიციური ხმა მაინც ესაჭიროება. თავის მხრივ, ოპოზიციურმა პარტიებმა ახალი არჩევნების პროვოცირების მიზნით განაცხადეს, რომ არც ერთი მათი დეპუტატი არ დაუჭერს მხარს ახალ პრეზიდენტს. პირველად 20 მაისს და მეორედ 3 ივნისს ოპოზიციამ შეძლო გაერთიანებული ფრონტის შენარჩუნება და პრეზიდენტის არჩევნების ბოიკოტირება. ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნების ორჯერ ჩავარდნამ პარლამენტის დაშლა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გამოიწვია. ადრეული საპარლამენტო არჩევნები 29 ივლისს დაინიშნა.

რეზიუმე

მოლდოვის კრიზისმა მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის საგარეო პოლიტიკაზე იქონია ზეგავლენა. ამ საარჩევნო ორომტრიალში რუსეთი შედარებით აქტიურად იყო ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლიდან, კომუნისტური მთავრობის მმართველობის პერიოდში მოლდოვა-რუსეთის ურთიერთობებმა მრავალი აღმასვლა და დაღმასვლა განიცადა (დანეშვებული სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბრებით და მოლდოვურ ლეინობზე რუსული ემბარგოთი დამთავრებული), რუსეთი აშკარად ეხმარებოდა ვორონინის ადმინისტრაციას აპრილის არჩევნებამდე და მას შემდეგაც. არჩევნებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი პირადად შეხვდა ვორონინს; ამავე პერიოდში ენვიგენ კიმიჩიოვს რუსეთის საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრებიც, რაც კომუნისტური პარტიის მხარდაჭერის აშკარა ნიშანი იყო.

გარდა ამისა, ვორონინს ორი გახმაურებული შეხვედრა ჰქონდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალ წინამძღოლ კირილთან. დიმიტრი მედვედევმა კომუნისტურ პარტიას პოსტსაარჩევნო კრიზისის განმავლობაშიც ცალსახა მხარდაჭერა შესთავაზა. მოსკოვის ამგვარი საქციელი იმით აიხსნება, რომ იგი მოლდოვას კომუნისტურ პარტიაში, სხვებთან შედარებით, ნაკლებ პრობლემას ხედავს. თუკი ოპოზიციური პარტიები აშკარად ანტირუსულად არიან განწყობილნი, კომუნისტები რუსეთთან და ევროკავშირთან ერთდროული თანამშრომლობის პოლიტიკას ემხრობიან. რამდენადაც რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში გარკვეული გავლენის შენარჩუნებას ცდილობს, მისი ხელისუფალნი ამ პოლიტიკურ ძალაზე ამყარებენ იმედს.

რეზიუმე

რუმინელები და მოლდოველები ერთ ენაზე ლაპარაკობენ. მათ საერთო ისტორია და კულტურა აქვთ. მაგრამ ეს ფაქტორები, გაერთიანების ნაცვლად, მრავალი თვალსაზრისით, ხლექს კიდევ მათ. რუმინეთთან შესაძლო გაერთიანებაზე საუბარი 1991 წელს, მოლდოვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო, მაგრამ ამ პერსპექტივას მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. მიუხედავად ამისა, ორ ქვეყანას შორის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები მაინც ძალიან ძლიერია.

მაგალითად, რუმინეთი უფრო დიდი სავაჭრო პარტნიორია მოლდოვისთვის, ვიდრე რუსეთი, ან უკრაინა. თითქმის 120 000 მოლდოველი რუმინულ პასპორტს ფლობს (დაახლოებით, ოთხმილიონიანი მოსახლეობიდან) და 800 000-ს განაცხადი აქვს შეტანილი რუმინეთის მოქალაქეობაზე, რადგან ისინი ამით ევროკავშირის ტერიტორიაზე ვიზის გარეშე გადაადგილების შეძლებენ. ამგვარი სიახლოვე მოლდოვის ელიტურ წრეებში წარმოშობს შიშს, რომ ქვეყანამ შეიძლება დაკარგოს სახელმწიფოებრიობა და რუმინეთს შეუერთდეს.

ზოგიერთი რუმინელი პოლიტიკოსი, მათ შორის, ამჟამინდელი პრეზიდენტი ტრაიან ბასესქუცუ, აცხადებს, რომ რუმინეთი არ ცნობს მოლდოვასთან საზღვარს და რომ ოდესმე, მომავალში აუცილებლად მოხდება „ორი ქვეყნის კვლავ გაერთიანება“. ამგვარ განცხადებებს ხშირად აკეთებს მოლდოვური პოლიტიკური სპექტრიც, რადგან ქვეყნის ზოგიერთი პარტია ლიად პრორუ-

პოლიტიკური კრიზისი საპარლამენტო არჩევნების შედეგად

06.04 მმართველი კომუნისტური პარტია

საპარლამენტო არჩევნების გამარჯვებულად გამოცხადდა. მათ ხმების 49% და პარლამენტში 101-დან 60 ადგილი მოიპოვეს. სამმა ოპოზიციურმა პარტიამ – ლიბერალურმა პარტიამ, ლიბერალ-დემოკრატიულმა პარტიამ და „მოლდოვა ნოვასტრა“ ალიანსმა, ჯამში, პარლამენტში 41 ადგილი მოიპოვეს. ოპოზიციის მომხრეებმა იმავე დღეს გააპროტესტეს არჩევნების შედეგები. დემონსტრაციები პარლამენტის შენობასა და პრეზიდენტის სასახლეში შეიჭრნენ. მოგვიანებით ხმების ხელახალი დათვლის შედეგით გამარჯვებულად კვლავ კომუნისტური პარტია გამოცხადდა. ოპოზიციამ არც ეს შედეგები ცნო, თუმცა დეპუტატის მანდატებზე უარი არ თქვა.

12.05 კომუნისტური პარტიის წევრმა დეპუტატებმა

პრეზიდენტი ვორონინი, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა ამოეწურა, პარლამენტის სპიკერად აირჩიეს.

20.05 ოპოზიციურმა დეპუტატებმა დაბლოკეს

პრეზიდენტის არჩევის პროცედურა. პრეზიდენტობის კანდიდატმა, ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა და ვორონინის გუნდის წევრმა ზინაიდა გრეცენაძე 60 ხმა მიიღო, პრეზიდენტის ასარჩევად კი 61 ხმაა საჭირო.

03.06 ოპოზიციურმა დეპუტატებმა მეორედ

დაბლოკეს პრეზიდენტის არჩევის მცდელობა. რეგლამენტის მიხედვით, თუ საკანონმდებლო ორგანო ორი თვის განმავლობაში პრეზიდენტს ვერ აირჩევს, ქვეყანაში ხელახალი საპარლამენტო არჩევნები ინიშნება. ვორონინმა ხელახალი არჩევნების თარიღად 29 ივლისი დაასახელა.

მინულია, (განსაკუთრებით, ლიბერალები). სხვები კი, მათ შორის კომუნისტებიც, რუმინეთს დიდი უნდობლობით უყურებენ. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაში რუმინეთის დადანიშნულების მიუხედავად, კომუნისტურ პარტიას არეულობების მოწყობაში ამ ქვეყნის მონაწილეობის დამატკიცებელი არც პირდაპირი და არც ირიბი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. თუმცა „რუმინულმა ფაქტორმა“ კრიზისის გაღრმავებაში განსაზღვრული ფსიქოლოგიური როლი ითამაშა.

რუმინეთის პრეზიდენტის მიერ საპროტესტო აქციების ღია მხარდაჭერამ მოლდოვის მთავრობაში ძველი შიშები გააღვიძა და კიდევ უფრო დაძაბა ორ ქვეყანას შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები.

მოლდოვა ემიგრაციის ძალიან მაღალი მაჩვენებლის მქონე ევროპის უღარიბესი სახელმწიფოა. მისი მოსახლეობა ქვეყანაში მძიმე მდგომარეობით ძალიან დაღლილი და გაღიზიანებულია. ზოგიერთი ადამიანისთვის ერთადერთი ხსნა რუმინეთია – ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი და დემოკრატიული ქვეყანა, რომელსაც გასულ წლებში სწრაფი ეკონომიკური აღმასვლა ჰქონდა. ეს კი მხოლოდ ზრდის – მოლდოვას სკლეროტიკული რეფორმების, დემოკრატიის დეფიციტისა და ევროკავშირისკენ არასაკმარისი ლტოლვის გამო – ხალხში წარმოქმნილ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. ზოგი რუმინეთთან შეერთებაში ევროკავშირში გაწევრიანების უმოკლეს გზას ხედავს. თუმცა ასეთი ადამიანები მოსახლეობის უმცირესობას (დაახლოებით 5%-ს) წარმოადგენენ.

გარდა ამისა, რუმინეთი დიდ როლს თამაშობს მოლდოვასთვის თავისუფალი ინფორმაციის მინოდების საქმეში. როცა კომინიოვის ცენტრში საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, მოლდოვას მთავარი საზოგადოებრივი ტელევიზია მულტივიდეოებს, სატელევიზიო სპექტაკლებსა და ხალხურ მუსიკას გადასცემდა. ქალაქში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის პრაქტიკულად ერთადერთი წყარო სწორედ რუმინეთი იყო.

დენსტრისპირაში

პოლიტიკურმა კრიზისმა გავლენა იქონია მოლდოვასა და მის სეპარატისტულ რეგიონ დნესტრისპირეთს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების პროცესზეც. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციებსა და დნესტრისპირეთს შორის არანაირი პირდაპირი კავშირი არ არსებობს, კომინიოვის კრიზისმა სეპარატისტთა დამოუკიდებლობისკენ ლტოლ-

ვა კიდევ უფრო განამტკიცა. საქმე ისაა, რომ თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ ან მოლდოვას პრორუმინული ძალები ჩათვალა ძალიან ძლიერად (მისი გამოყოფის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მოლდოვას რუმინეთთან გაერთიანების შიში იყო), ან მიიჩნია, რომ თუკი ქვეყანაში დემოკრატია ასე სუსტია, მოლდოვა დნესტრისპირეთის შეერთებისკენ მიმართულ ნებისმიერი ტიპის ორმხრივ შეთანხმებას ადვილად უგულვებელყოფს.

ევროკავშირი

ევროკავშირმა თავისი სპეციალური წარმომადგენელი მოლდოვაში კრიზისის დაწყების პირველივე დღეს, 7 აპრილს გააგზავნა. გარდა ამისა, მან მრავალი განცხადება გააკეთა ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით და შეეცადა, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეამავალი ყოფილიყო. კრიზისის დაწყებიდან ორი კვირის თავზე მოლდოვას ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი, მირეკ ტოპოლანეკი და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ხაიერ სოლანა ეწვივნენ.

მოლდოვას მთავრობამ, ერთი მხრივ, დადებითად შეაფასა ევროპელთა მხრიდან სიტუაციის სტაბილიზებისთვის გაწეული ძალისხმევა, მაგრამ ამასთან ერთად მან თითქმის არ მისცა ევროკავშირს ქვეყანაში წარმოქმნილი დაძაბულობის განმუხტვის საშუალება.

მოლდოვას ევროპასთან, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ყველაზე მჭიდრო კავშირები აქვს. ამას ისიც ემატება, რომ ქვეყანა მტკიცედ არის მიბმული რუმინეთთან, მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი ევროკავშირში შესვლის მომხრეა, ქვეყნის ექსპორტის 50% ევროკავშირში გადის (და მხოლოდ 15% რუსეთში) და მოლდოველ გასტარბაიტერთა უმრავლესობა ევროპაში მუშაობს. ასეთი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მიუხედავად, მოლდოველი პოლიტიკოსები, გასულ წლებში გამუდმებით აუარესებდნენ დასავლელ მეზობლებთან ურთიერთობას.

რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების მიმართ ევროკავშირის ყურადღებამ შესაძლოა, გარკვეულწილად შეამციროს დაძაბულობა, მაგრამ ვერ განმუხტავს ამ მძიმე პოლიტიკურ კრიზისს და ვერც ხელისუფლების მზარდ ავტორიტარულ ტენდენციებს შეასუსტებს. მოლდოვას მოვლენები პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი ტენდენციების ზრდისა და რუსეთსა და ევროკავშირს შორის ამ სივრცის გამო არსებული ნაპრალის გაღრმავების ბოლო დასტურად იქცა. **[R]**

პოლიტიკური ღაქა-ჰუ

29 ივლისის განმეორებითი არჩევნებით მოლდოვა პოლიტიკური კრიზისის დაკლევას ცდილობს. კრიზისში პასუხისმგებლობას ოპონენტები ერთმანეთს აკისრებენ >>>

ანასტასია ნანი კიხინიოვი



■ დამონსტრანტები, კიხინიოვი 2009

მოლდოვას ისტორიაში პირველად, ადრეული არჩევნები დაინიშნა. კიდევ ერთხელ იბეჭდება საარჩევნო ბიულეტენები, რომლებშიც პირველი ნომერი კომუნისტური პარტიაა. მას 2005 წელს კომუნისტებთან კოალიციაში გაერთიანებული ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია მოსდევს. ამ ორ მოკავშირე ძალას მოჰყვება ოპოზიციური – ლიბერალური და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიები და ალიანსი „მოლდოვა ნოასტრა“ („ჩვენი მოლდოვა“).

პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო კამპანია წელს უკვე მეორედ გააჩაღეს. წინასწარჩევნო ბრძოლა ძირითადად კომუნისტებისა და ოპოზიციის ურთიერთბრალდებებისგან შედგება. 5 აპრილის არჩევნების შემდგომ პოლიტიკური კრიზისის შექმნას ისინი ერთმანეთს აბრალუბენ.

ოპოზიცია ამბობს, რომ მათ მიერ პრეზიდენტის არჩევნების ბიოკოტირების მიზეზი სწორედ ის ძალადობა იყო, რომელსაც პოლიციამ 7 აპრილს 5 აპრილის არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად გამოსული ათასობით ადამიანის წინააღმდეგ მიმართა.

„თუკი კომუნისტები კვლავაც ხმათა უმრავლესობას მოიპოვებენ, ჩვენ რადიკალურ ოპოზიციად ვიქცევით“, – განაცხადა პრეზიდენტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვალადიმირ ფილატმა. ცოტა ხნის შემდეგ იგივე განაცხადეს დანარჩენი ორი ოპოზიციური პარტიის თავაკცებმა – მიჰაი გიმპუშ და სერაფიმ ურეკიანმა.

ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის, ვლადიმირ ვორონინის განცხადებით, „ოპოზიციისთვის ხელმეორე არჩევნების დანიშვნა „კამიკაძეობის“ ტოლფასია“. იგი ხშირად ამბობს, რომ პოლიტიკური კრიზისი მისი მონინააღმდეგეების მიერ არის გამოწვეული. ის ლიბერალებს რუმინეთთან ფარულ კავშირებში სდებს ბრალს და ამბობს, რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში, მოლდოვა თვითმყოფად სახელმწიფოდ არსებობას შეწყვეტს. მმართველი პარტიის ეს განცხადებები ხშირად გადაიცემა ქვეყნის ყველაზე მსხვილი ტელევიზიის – საზოგადოებრივი მაუწყებლო კომპანიის მიერ.

პროკომუნისტური საზოგადოებრივი

მაუწყებლობა ოპოზიციას ძალადობასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში სდებს ბრალს. „ოპოზიციას აზრის გამოხატვის თავისუფლებისათვის ბრძოლა წაგებული აქვს“, – განაცხადა ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა მერიან მიკომ საპროტესტო აქციებიდან სამი კვირის შემდეგ კიშინიოვში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე. მოლდოვაში, ინფორმაციისა და დამოუკიდებელი მედიის დეფიციტის გამო, მმართველი პარტია რეგიონებში პოპულარობით სარგებლობს. ოპოზიცია ვარაუდობს, რომ სწორედ ამის ხარჯზე გაიმარჯვეს აპრილის არჩევნებში კომუნისტებმა.

სოციოლოგიური გამოკითხვის არარსებობის მიუხედავად, აშკარაა, საზოგადოებრივი აზრი ისევ გაყოფილია, როგორც აპრილში. 21 წლის სტუდენტი სერგიუ ტოდორეანი კი ამბობს: „მე ლიბერალებს ვუჭერ მხარს, რადგან ისინი კიშინიოვის მერად დორინ კირტოაკეს დანიშნავენ“. კიშინიოვის მაცხოვრებელი 34 წლის ეკატერინა ვოლნა კი ლიბერალ-დემოკრატებს ემხრობა: „მათ საუკეთესო გუნდი ჰყავთ და, ჩემი აზრით, თუკი ისინი პარლამენტში შევლენ, იმედებს არ გაგვიცრუებენ“. ზოგს მიაჩნია, რომ ოპოზიციამ მათი მოლოდინი ვერ გაამართლა და, სასიკეთო ცვლილებების ნაცვლად, მხოლოდ დესტაბილიზაცია მოუტანა ქვეყანას. 62 წლის ვერა ბადარაუ ამბობს, რომ აპრილში მან ხმა ოპოზიციას მისცა, თუმცა ახლა კომუნისტებს ემხრობა. „პენსიები გაზარდეს, მართვის გამოცდილება აქვთ, მე რა, რომ შეცდომები დაუშვეს. შეცდომა ყველას მოსდის“, – ამბობს ბადარაუ.

საზოგადოება მხოლოდ ერთ საკითხზე თანხმდება – იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური პარტია ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს, აპრილის სისხლიანი აქციების გამო, მთელ პასუხისმგებლობას ოპოზიციას დააკისრებს და მკაცრად აზღვევინებს. ■



■ ახალგორი

ახალგორი ოსების პროექტი ახალგორში

ახალგორის რაიონის ოსური ადმინისტრაცია ახალ კამპანიას იწყებს, რომლის მიზანია რაიონში ქართული მოსახლეობის დაბრუნება >>

ოლესია ვართანანიანი ახალგორი – ნაროვანი

ახალგორის კულტურის სახლი გაივსო, როდესაც სამასზე მეტი ადამიანი იქ იმისთვის მივიდა, რომ პირადად ენახათ კაცი, რომელიც მანამდე მხოლოდ ტელევიზორით თუ ენახათ. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ახალგორში კოკოითი ჩავიდა. კულტურის სახლში კოკოითთან შეხვედრას ისინიც ესწრებოდნენ, ვინც ახალგორი აგვისტოს ომის შემდეგ მიატოვა.

„ჩვენ, მოძმე ხალხი, ქართველები და ოსები ერთად ცხოვრებას უნდა შევეჩვიოთ“, – განაცხადა კოკოითი გამოსვლისას.

მაშინ ამ სიტყვებს ცოტა ვინმემ თუ მიაქცია ყურადღება. კოკოითის გამოსვლა პოლიტიკოსების ჩვეულ რიტორიკად შე-

აფასეს. თუმცა, რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ახალგორის ოსური ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ცხინვალში კოკოითის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები უკვე ღიად აცხადებენ, რომ სადავო რეგიონში ქართული მოსახლეობის დაბრუნება აუცილებელია.

ახალგორში იშვიათად თუ შეგხვდებით გამველი. ქუჩები დაჭაობებული წუმპეებითაა დაფარული. ბაყაყებს, დიდი ხანია, მანქანები აღარ აფრთხობენ. სახლების ფანჯრებზე ფარდებია ჩამოფარებული. მწიფე ხილის სიმძიმით დახრილი ხეები და სარეველამოდებული ეზოები იმას მიანიშნებს, რომ პატრონებმა აქაურობა მიატოვეს.

გასული წლის აგვისტოში ახალგორი ექვსი ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა.

რაიონში ამ დრომდე 2500-მდე მოსახლე რჩება, ძირითადად ოსური ან შერეული – ქართულ-ოსური ოჯახები. ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა ახლა დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს.

47 წლის ნანა ეთნიკური ქართველია. ომის დაწყების შემდეგ იგი პირველად ჩავიდა ახალგორში თავისი სახლის სანახავად. მისი ოჯახიც წეროვანში, მოკრძალებულ კოტეჯში გადასახლდა, რომელიც ბევრად უფრო პატარაა, ვიდრე მისი სახლი ახალგორში.

ნანას მსგავსად, ადგილობრივი ქართველები ახალგორში მხოლოდ მინის დასამუშავებლად ჩადიან. ადგილობრივი ოსური ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ მათი ნაწილი მაინც დარჩება რაიონში ზამთარშიც. თუმცა ქართველები ამ გადაწყვეტილებას იოლად ვერ იღებენ.

„არ შემიძლია, იქ ვიცხოვრო, სადაც ოსური დრომა ფრიალებს. როცა მის გვერდით ქართულსაც დაკიდებენ, მაშინ ვიფიქრებ დაბრუნებაზე“, – ამბობს ნანა.

ახალგორიდან ლენინგორამდე

ახალგორს ლენინგორი გასული საუკუ-



ნის 20-იან წლებში დაარქვეს და სწორედ ამ დროს მიუერთეს ეს რაიონი სამხრეთ ოსეთის ოლქს. თუმცა, ცხინვალთან კავშირი აქ არასდროს ყოფილა მჭიდრო. 90-იან წლებში რაიონი მცხეთა-მთიანეთის ნაწილი გახდა, 2007 წელს კი იგი დიმიტრი სანაკოევის დროებით ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს.

უკანასკნელ წლებში ეთნიკური ოსები ახალგორის მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენდნენ. აქაური ოსები ქართულად ლაპარაკობდნენ და მათ ქართველებისგან ძნელად თუ გაარჩევდით.

38 წლის ინგას ოჯახში ოსურად იშვიათად საუბრობენ. გასული წლის აგვისტოში მან ახალგორში დარჩენა გადაწყვიტა. ინგას ნათესავებთან ერთად ძველებურად მოჰყავს პომიდორი და თაფლივით ტკბილი ბლის ბაღებს უვლის.

„ჩემი ცხოვრება ისეთი აღარ არის, როგორც ადრე. ყველა პირადი პრობლემა დამავიწყდა. ძალიან მაკლია ჩემი მეზობლები“, – ამბობს იგი.

როცა გასულ ზაფხულს ომი დაიწყო, ინგა, ისევე, როგორც სხვა აქაურები, სახლში ჩაიკეტა და შიშით ელოდა მოვლენებ-

ბის განვითარებას.

„მთელი კვირა მეორე სართულზე არ ავსულვარ, სახლში შუქი არ ამინთია. სპორტული ტანსაცმელი ჩავიცვი, ჩანთაში საბუთები ჩავილაგე და ფანჯარასთან ავიტუზე. ვიჯექი და სმენად ვიქეცი, რომ დროზე გამეგო, რომელი მხრიდან მოვიდოდნენ ისინი [ოსები]“.

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ქართული სპეცრაზმის რამდენიმე მანქანა ახალგორის მეზობელ სოფელში შევიდა. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე რუსული ტანკები ქალაქის ცენტრალურ გზაზე გამოჩნდებოდნენ, მათ რაიონი დატოვეს. მათთან ერთად აქაურობას ტოვებდნენ ხალხთა და ავეჯით სავსე მანქანებიც. 16 აგვისტოს ახალგორში ოსი სამხედროები შევიდნენ.

ინგა სხვებთან ერთად ახალგორის მახლობლად მთაზე ავიდა და ტყეს შეაფარა თავი. იქიდან უყურებდა, როგორ აღმართეს ადგილობრივი გამგეობის შენობაზე ოსური დროშა. ეს სწორედ ის დღე იყო, როცა ახალგორი ცხინვალის მიერ კონტროლირებდა მხარედ გამოცხადდა. იმ დღესვე ახალგორს საბჭოთა სახელი – ლენინგორი დაუბრუნეს.

ოცნება

„მე ძალიან მომწონს თქვენთან“, – თქვა ედუარდ კოკოითი ახალგორში პირველი ვიზიტისას.

ადგილობრივებთან საუბრისას კოკოითი გამოტყდა, რომ ახალგორში პირველად. მისი სტუმრობისას ქალაქის ყველა მთავარი ქუჩა შეიარაღებული მცველებით სავსე მანქანებით გადაიქედა. ქართულმა მხარემ კი ამ ვიზიტის აღსანიშნავად ახალგორს შუქი მთელი დღით გამოურთო.

კოკოითი რეგიონში ვერტმფრენით ჩავიდა. დედები შვილებთან ერთად საკვირველი მფრინავი აპარატის სანახავად მოედანზე გაიქცნენ. უცებ, მათ სიახლოვეს დიდი ჯიბი გაჩერდა და იქიდან დაცვის თანხლებით კოკოითი გადმოვიდა.

„ჩვენებს შეშინებულ და სწრაფად მოკურცხლეს“, – ჰყვება ერთ-ერთი თეთომხილველი. „მოიცა, სად მივინახართ?“ – ყვიროდა კოკოითი. სამხრეთ ოსეთის გაბადრულმა პრეზიდენტმა თითოეულს 5 ათასი მანეთი დაურიგა.

ახალგორის ოსურ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ კოკოითი პირადად მონაწილეობს ქართული მოსახლეობის დასაბრუნებლად აუცილებელი პირობების შექმნაში.

როგორც ექსპერტი კონფლიქტების საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, „ჯავის მახლობელ სოფლებში ჩატარებუ-

ლი ეთნიკური წმენდის შემდეგ ცხინვალის იმიჯის შეცვლაზე ფიქრობს. ქართული მოსახლეობის დაბრუნება უნდათ, რომ შემდეგ თქვან, – ქართველებთან ცხოვრება შეგვიძლიაო. ამავე დროს შიშობენ, რომ თუ ახალგორი ცარიელი დარჩება, შესაძლოა, პარტიზანული მოძრაობა დაიწყოს, ან იქაურობა კრიმინალების ბუდედ იქცეს“.

ახალგორის ადმინისტრაციის ფორმირებას თავად კოკოითი ხელმძღვანელობდა. ადმინისტრაციაში ახალგორელი ეთნიკური ოსები დაპატიჟეს, რომლებმაც რაიონი 90-იანი წლების ომის დროს დატოვეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ისინი უკეთ იცნობდნენ რაიონის სპეციფიკას და ადგილობრივი ქართველებისთვისაც უფრო მისაღები იქნებოდნენ.

ერთ-ერთი მათგანია ვლადიმერ გაბარაევი. მისის ბოლოს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად 60 წლის გაბარაევი დეპუტატი გახდა ლენინგორიდან.

ჭალარათმიანი გაბარაევი, ცისფერი თვალებითა და დიდი თეთრი წარბებით, ახალგორის გარეუბნის ერთ-ერთ კორპუსში, თავის პატარა ბინაში ცხოვრობს. თაროები ქართული წიგნებითაა აქვს სავსე. იგი ამ ბინიდან 90-იანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა გააძევეს. მაშინ მისმა ოჯახმა მშობლიური ქალაქი ფეხით დატოვა.

გაბარაევი ამბობს, რომ ომის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ ახალგორში ქართველების დასაბრუნებლად სათანადო პირობები შექმნილიყო. მისი თქმით, აქ განსაკუთრებულად იცავენ ქართველების დაკვიტულ სახლებს.

„ბევრი ჩამოვიდა იმისთვის, რომ ცარიელ სახლებში შესულიყო, მაგრამ ჩვენ ამის უფლება არავის მივეცი“, – ამბობს იგი.

გაბარაევი ასევე ჰყვება, რომ მათ უფლება მისცეს, ახალგორში ჩამოსულებს შორის პოლიციელები შეარჩიონ. მისი თქმით, ცდილობენ, ისეთი ბიჭები შეარჩიონ, რომლებიც „ომით არ არიან ავად“.

დარჩენილ მოსახლეობას ხელფასს რუსული რუბლებით უხდიან. ჰუმანიტარული დახმარებაც რუსეთიდან მოდის.

„მე აქ გავიზარდე და ყველას ვიცნობ. ჩემი ოცნებაა, რომ ქართველები დაბრუნდნენ“, – ამბობს გაბარაევი.

დიდი პოლიტიკა

ახალგორიდან ნასული ქართული ადმინისტრაცია ახლა წეროვანშია. საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარების გარდა, მას ახალგორთან დაკავშირებული



საკითხების გადწყვეტაც უხდება.

51 წლის ზურაბ ფიცხელაური, ახალგორის ქართული ადმინისტრაციის გამგებელი ამბობს, რომ ბევრი ყოველდღიური საკითხის გადაჭრას ის ოსური ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან პირადი ნაცნობობის ხარჯზე ახერხებს. პირადი კონტაქტების იქით კი საკმე არ იძვრის. „მთავარია, რომ ეს ძაფიც არ განწყდეს“.

მისი თქმით, წეროვანიდან თავის მშობლიურ მხარეში დაბრუნება ბევრს უნდა. სამხრეთ ოსეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ომის დროს ახალგორში არავინ მოუკლავთ და არც მაროდირობა ყოფილა. თუმცა, მისი თქმით, ბევრს დაბრუნებაში ხელს „დიდი პოლიტიკა“ უშლის.

როდესაც მაისში ოსურმა ადმინისტრაციამ ფორმა №9-ის გაცემა დაიწყო, რომლითაც სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი, წეროვანში მცხოვრებთა შორის ხმა გაეგარდა, რომ ამ დოკუმენტის გარეშე მშობლიურ მხარეში არავის შეუშვებდნენ.

„აიღებ ფორმა №9-ს და სამშობლოს გამყიდველს დაგიძახებენ. არა იღებ და, ხელცარიელი დარჩები“, – ამბობს ერთ-ერთი ქართველი.

წეროვანის მოსახლეობა დოკუმენტების მისაღებად ახალგორში რიგებში ჩადგა. საერთო ჯამში, დაახლოებით 3,5 ათასმა ადამიანმა აიღო ეს დოკუმენტი და წლის ბოლომდე სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მიღებას ელოდება. საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა მათთვის არ მოუთხოვიათ, მაგრამ იმაზე საუბარს, ვინ აიღო ფორმა ნომერი 9 და ვინ არა, წეროვანში თავს არიდებენ.

ფიცხელაურის თქმით, ასეთი შემომემები, „პატრიოტი ხარ თუ არა“, ბევრს აყოვნებს ახალგორში დაბრუნებისგან. მისი თქმით, თუ ამ შეთანხმებას მთავრობის დონეზე მიაღწევენ და ახალგორში უსაფრთხოების გარანტირებას შეძლებენ, ქართველების უმრავლესობისთვის ახალგორში დაბრუნების პერსპექტივა რეალური გახდება.

სანამ იმაზე მსჯელობენ, დაბრუნდნენ თუ არა ქართველები ახალგორში, იქ დარჩენილი მცირეოდენი მოსახლეობა საღამოობით საკუთარი სახლის წინ სხდება. მათ ნაკლებად აღელვებთ ცხინვალის პარლამენტის არჩევნები და ოპოზიციის მიტინგები თბილისში. მაგრამ რაზეც უნდა საუბრობდნენ, უზარმაზარი დროშა, რომელიც მოპირდაპირე მთაზე ფრიალებს და რომელიც ახალგორის ნებისმიერი წერტილიდან ჩანს, მათ მუდმივად ახსენებთ, ვინ არის ახლა ამ მიწის პატრონი.

კონფლიქტის ზონა

ისევ ომის მოლოდინში

მიუხედავად იმისა, რომ ერგნეთის მოსახლეობას ფულადი კომპენსაციები დაურიგდა, ახალი ცხოვრების დაწყებას ამ არავინ ჩქაროებს. ერგნეთელები ამბობენ, რომ ნანგრევებზე ძველ სოფელში ომის აჩრდილი ისევ დადის >>

გობა აფციაური ერგნეთი



ფოტო - ლ. აბან ხარსელაულიძე

რობინზონ კასრადის ორსართულიანი, გადამწვარი სახლის ვერანდიდან ხელისგულივით ჩანს ცხინვალს.

რობინზონი ვერანდაზე ადის და იქაურობას დურბინდით აკვირდება.

„ხედავთ, ჩანს, როგორ აშენებენ სამხედრო ბაზას“, – ამბობს ის. ერთ-ერთ მთაზე მართლაც დგას სამხედრო სატვირთო მანქანები და ჯავშანტექნიკა.

ერგნეთს ცხინვალისგან კილომეტრზე ნაკლები აშორებს. იგი იმ სოფლების რიცხვშია, რომლებიც აგვისტოს ომის დროს მთლიანად განადგურდა. როგორც კი ერგნეთში შედიხარ, ინყება შავი, ჩონჩხებად ქცეული სახლების დაუსრულებელი რიგი. 180 სახლიდან 120 დამწვარია.

მათ, ვისი სახლის აღდგენაც შეუძლებელია, სახელმწიფომ კომპენსაციის სახით 15 ათასი დოლარის ეკვივალენტი ღარივით გადასცა. თუმცა ომიდან ათი თვის თავზე ადგილობრივ მაცხოვრებლებს სოფელში არც ერთი სახლი არ აღუდგენიათ. ხალხი აქ ისევ ომის მოლოდინში ცხოვრობს.

ერგნეთთან ქართული პოლიციური საგუშაგო ბეტონის ფილებით და ქვიშით სავესტო ტომრებითაა გამაგრებული. 30 მეტრში ასევე ბეტონის ფილებით გამაგრებული კიდევ ერთი საგუშაგოა, სადაც რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დროშები ფრიალებს.

„ჩვენს საგუშაგოს არ გასცდეთ, შეიძლება გესროლონ“, – ქართველი პოლიციელი ოსურ მხარეს მიტოვებული შენობისკენ მიანიშნებს, – იქ, სხვენში სნაიპერის სამალავია“, – ამბობს ის.

აგვისტოს ომამდე ამ ტერიტორიას ქართული მხარე აკონტროლებდა. ოდესღაც აქედან იწყებოდა ერგნეთის ბაზრობა, სადაც ერთ დროს ქართველები და ოსები ერთად ვაჭრობდნენ. ახლა ამ ადგილიდან ოსები რუსებთან ერთად სოფელ ერგნეთს და გორი-ცხინვალის ცენტრალურ მაგისტრალს აკონტროლებენ.

ქართველი პოლიციელები ამბობენ, რომ ცხინვალიდან ხშირად ისმის უმისამართო სროლების ხმა. ამას სოფლის მაცხოვრებლებიც ადასტურებენ.

„ათიოდე დღის წინ საარტილერიო რაზმების წვრთნები ჰქონდათ. ისროდნენ მიზანში საარტილერიო დანადგარებიდან“, – ამბობს ქართველი პოლიციელი.

საგუშაგოსთან რამდენიმე დაჯავშნული „კობრა“ დგას. ქართველ პოლიციელებს პატრულირებისთვის ეს მანქანები

ოთხი თვის წინ გადაეცათ, მანამდე „პიკაპის“ ავტომანქანებით მოძრაობდნენ. ასეთი „პიკაპები“ რამდენჯერმე აფეთქდა ნალმზე.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს ბოლოდან 2009 წლის 20 ივნისამდე კონფლიქტის ზონაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 8 პოლიციელი დაიღუპა და 23 დაიჭრა. პოლიციელები ან წინასწარ დამონტაჟებული მართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობების ან სნაიპერის მსხვერპლნი გახდნენ.

ასევე აგვისტოს ბოლოდან 20 ივნისის ჩათვლით მაროდორების თავდასხმისა და ამოქმედებული ნალმების შედეგად დაიღუპა 6 და დაიჭრა 27 მშვიდობიანი მოქალაქე.

ქალს და ბავშვს ერგნეთში ვერ ნახავთ. ხეხილის ბაღებსა და ყანებს მხოლოდ მამაკაცები უფლიან.

რობინზონ კასრადე თავისი ნასახლარის ეზოში პატარა კოტეჯში ცხოვრობს. ასეთი დროებითი სადგომები მათ, ვისი სახლიც საცხოვრებლად უვარგისია, დანიის ლტოლვილთა საბჭომ აუშენა.

„მთავრობამ კომპენსაცია კი მომცა, მაგრამ ვარჩიე, ამ ფულით ქალაქში ბინა მექირავებინა ცოლ-შვილისთვის. საშიშია აქ ცხოვრება, ყოველ ღამით ისვრიან, დაავადმყოფდა ხალხი. ამბობენ, – კიდევ დაიწყებო ომი. მე ბალ-ბოსტანს ვუვლი, ჭამა ხომ უნდა ოჯახს“, – ამბობს იგი.

ომის დროს დაზიანებული ერგნეთის სკოლა უკვე აღადგინეს, მაგრამ აქაურები მაინც გორის სკოლაში სიარულს ირჩევენ. კონფლიქტის ზონაში მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო მისიის – ევროკავშირის დამკვირვებლების იმედი არავის აქვს.

„ბევრს ვერაფერს აკეთებენ. დღეში ორჯერ შემოივლიან, ცხინვალს ისინიც ჩემსავით დურბინდებით გადახედავენ, გვეკითხავენ, – ხომ არაფერი მომხდარაო და წაველენ“, – ჰყვება რობინზონი.

სოფლის „ბირჟაზე“, სადაც საღამოობით ერგნეთელი კაცები იყრიან თავს, საუბრები ძირითადად ომზეა. ინფორმაციას ცვლიან: ვინ რა იცის ახალი, რა მოისმინეს რადიოში თუ ტელევიზიით. გასულ წელს იხსენებენ და მოსალოდნელ საფრთხეებზე მსჯელობენ.

ერგნეთელები ამბობენ, რომ აგვისტოში ომი გარდაუვალი იყო.

„რუსები მაგისტრის დიდი ხანია, ემზადებოდნენ“. საქართველოს მთავრობას

კი იმაში ადანაშაულებენ, რომ ხალხი წინასწარ არ გააფრთხილა და ევაკუაცია დროულად არ დაიწყო. „ეს რომ მომხდარიყო, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა. იმის მემინია, ახლაც ასე არ მოხდეს. თუ რამე იციან, წინასწარ გვითხრან“, – ამბობს რობინზონი.

„ბირჟაზე“ კიდევ უფრო ძველ ამბებსაც იხსენებენ, იმ დროს, როცა ერგნეთი გორის რაიონში ყველაზე მდიდარი სოფელი იყო. გარდა იმისა, რომ აქ კარგი ხეხილის ბაღებია, მოსახლეობის დიდი ნაწილი ერგნეთის ბაზრობაზე მუშაობდა და დამატებით შემოსავალიც ჰქონდა.

„ოსებთან ერთად ვმუშაობდით ბაზარში. ერთმანეთთან ქორწილებში და სამძიმრებზე დავდიოდით. შემდეგ ბაზრობა დაიხურა, ნელ-ნელა დავკარგეთ ურთიერთობა. მერე ომი იყო და აბა, ახლა რაღა ურთიერთობაზეა ლაპარაკი“, – იხსენებენ ერგნეთელები.

კონფლიქტის ზონაში დარჩენილები ხელისუფლებისგან უსაფრთხოების გარანტიას ითხოვენ, მაგრამ ამ გარანტიას მათ ჯერჯერობით ვერაინ აძლევს.

უენევის დისკუსიების ფორმატში ინიციატივების პრევენციის მექანიზმის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, თუმცა ამ ჯგუფმა, რომელშიც ქართული, ოსური და რუსული მხარეები შედიან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინიციატივით, შეხვედრა მხოლოდ ორჯერ მოახერხა.

ბოლო სამი შეხვედრა ოსური მხარის გამო ჩაიშალა. კოკოითის ხელისუფლება გასული წლის ოქტომბერში დაკარგული სამი ოსი ახალგაზრდას მოძიებას ითხოვს და მათ ქართული სპეცსამსახურების მიერ გატაცებულად მიიჩნევენ. ქართული მხარე აცხადებს, რომ დაკარ-

ოდასღაც აქედან იწყებოდა ერგნეთის ბაზრობა, სადაც ერთ დროს ქართველები და ოსები ერთად ვაჭრობდნენ. ახლა ამ ადგილიდან ოსები რუსებთან ერთად სოფელ ერგნეთს და გორი-ცხინვალის ცენტრალურ მაგისტრალს აკონტროლებენ.

გულების შესახებ არაფერი იცის. ინციდენტების პრევენციის სამუშაო ჯგუფის ერთადერთი მიღწევაა ცხელი ხაზის ამოქმედება, თუმცა ამ მექანიზმის ეფექტურობა ძალზე საეჭვოა.

რამდენიმე დღის წინ სოფელ ნიქოზში, სადაც ასევე ქართული პოლიციური საგუშაგოა განთავსებული, ოსური სოფლების მხრიდან რამდენიმე შეიარაღებული პირი შემოვიდა გზებით სოფელში შეუმჩნეველად შევიდა და ადგილობრივ მწყემსებს საქონლის ოსური სოფლებისკენ გადარეკვა მოსთხოვა. შეიარაღებულმა პირებმა რამდენიმე ძროხა წაიყვანეს.

სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადი-

მერ ჯუღელი ამბობს, რომ ყველა ბილიკზე პოლიციელს ვერ დააყენებს.

მისი თქმით, ცხელი ხაზის პრინციპი ასეთია: ინციდენტის შესახებ მოსახლეობამ სამართალდამცავებს ოპერატიულად უნდა აცნობოს, ქართული პოლიცია კი ცხელი ხაზის მეშვეობით საქმის კურსში, ევროპელ მონიტორებთან ერთად, რუსულ და ოსურ მხარეებს ჩააყენებს, რომლებმაც მომხდარზე სწრაფი რეაგირება უნდა მოახდინონ.

„როდის შემოიპარებიან და რას აგვიტეხავენ, რა ვიცით. ცხინვალისკენ ბევრი ბილიკი მიდის, შემოპარვა ძნელი არ არის. ჩვენები მარტო ცენტრალურ გზაზე დგანან და ვიდრე გაიგებენ, აქ

რა მოხდა, ოსი ბოევიკები უკვე ცხინვალში გაიქცევიან“, – ამბობს 82 წლის შოთა ჯოხაძე.

ადგილობრივ მოსახლეობას საფრთხეს გაუნაღმავი ტერიტორიებიც უქმნის. საერთაშორისო გამწვანებელი ორგანიზაცია „ჰალო ტრასტი“ ყოფილი ბუფერული ზონის სოფლებში მუშაობს, მაგრამ რუსების მიერ მოწყობილი საზღვრების სიახლოვეს ვერ შედის.

გორის რაიონის მინდვრებში ჯერ კიდევ რჩება ბევრი გაუნაღმავი ჭურვი.

„სადაც უნდა გაიხედო, საფრთხეა ჩასაფრებული. ნეტავ ეს ზაფხული მშვიდობიანად ჩაივლიდეს“, – ამბობენ სოფლის ბირჟაზე. ■

ქართულ-აფხაზური შეხვედრა

ქართველები და აფხაზები: რა იქნება მერა

აბვისტოს ომის შემდეგ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიაში პირველად, ორივე მხარეს საერთო მიზანი გაუჩნდა – ალკვეთონ რუსეთის მიერ აფხაზეთის შთანთქმის პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია >>

მარბარიტა ახვლედიანი სტამბოლში



■ სოხუმი

„აფხაზეთის შიდა სუვერენიტეტის გამყარება საქართველოსთან კონფლიქტის დარეგულირებასთან არის კავშირში. ჩვენი უსაფრთხოება ძალიან არის დამოკიდებული ამ კონფლიქტის მოგვარებაზე. კონფლიქტის მოგვარებამდე კი რუსეთის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების მიღებას ვსაჭიროებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათზე ვიქნებით დამოკიდებული სხვა საკითხებთან

მიმართებაშიც“, – განაცხადა ლიანა კვარჩელიამ, აფხაზეთის ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის წარმომადგენელმა, ქართველ და აფხაზ ექსპერტთა შეხვედრაზე, რომელიც ივნისის დასაწყისში შედგა სტამბოლში ბრიტანული ორგანიზაცია Conciliation Resources-ის ორგანიზებით.

ზოგიერთი იაპონელი ბიზნესმენი ბაზარზე მოქმედების სტრატეგიას თამაში

გო-ს მთავარი წესის მიხედვით აგებს: ნუ შეეცდები კონკურენტის ჩამოშორებას (ისე, როგორც ეს ხდება ჭადრაკში), პირიქით, მასთან ერთად იმოქმედე და ასე შეაღწიე მისი გავლენის სფეროში.

თამაშის ეს წესი საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურად გამოიყურება მას შემდეგ, რაც აგვისტოს ომის შედეგებმა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ჩაბმულთა პოზიციები შეცვალა. რუსეთმა რეგიონში საკუთარი პრობლემა გადაჭრა [აგვისტოს ომის შემდეგ], მაგრამ პრობლემა არ გადაუჭრიათ არც ქართველებს და არც აფხაზებს.

თავიდანვე უნდა გაიმიჯნოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან არსებული სიტუაცია; განსხვავებულია ამ კონფლიქტების ისტორიაც და „იქითა“ მხარეს არსებული მოლოდინებიც. კერძოდ, სამხრეთ ოსეთში იმდენად დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა არ ჭარბობს, რამდენადაც ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების სურვილი, აფხაზებს კი სუვერენიტეტის მიღწევის რეალური მისწრაფება აქვთ. ამიტომაც, ომის შემდეგ სერიოზული ცვლილებები სწორედ ქართულ-აფხაზურ ველზე მოხდა.

აგვისტოს ომის შედეგი არც მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ ქართველების იმედების განზილება იყო და არც აფხაზების უსაფრთხოების გამყარება. ომმა საქართვე-

ლოს მისი ტერიტორიები დააკარგინა, აფხაზურ საზოგადოებას კი არ დაუტოვა განვითარების მოდელის არჩევანი, რომელიც მას ჰიპოთეტურად მაინც ჰქონდა.

სიტუაცია, რომელშიც ახლა აფხაზეთი მოხვდა – რუსეთის მიერ ცალსახა აღიარება და დასავლეთის საზოგადოებრიობისგან მკვეთრი იზოლაცია – შეიძლება სულ მალე იმით დასრულდეს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობამ რუსეთზე სრული დამოკიდებულების ფორმა მიიღოს. და ეს კონფლიქტის ორივე მონაწილისთვის – ქართველებისთვისაც და აფხაზებისთვისაც თანაბრად – კატასტროფას ნიშნავს.

ამგვარად, აგვისტოს ომის შედეგად ქართულ საზოგადოებასაც და აფხაზურსაც საერთო, გადაუდებელი პოლიტიკური მიზანი და სურვილი გაუჩნდათ – აღკვეთონ რუსეთის მიერ აფხაზეთის შთანთქმა.

ამ საერთო მიზნის გათვითცნობიერება შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გამხდარიყო – ერთი მიმართულებით სიარული, ერთობლივად მოქმედება, ურთიერთკომპრომისის უნარი.

20 წლის განმავლობაში აფხაზეთის მაცხოვრებლებთან კონტაქტის სრული არქონისა და იქაური ინფორმაციის გარეშე, ქართული საზოგადოება ვერც კი ხვდებოდა, თუ რა მძლავრად იგრძნობდა აფხაზეთში თბილისიდან წამოსული მიუქარა. მრავალწლიანმა სანქციების პოლიტიკამ და იზოლაციამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ აფხაზეთი, გამოსავალს კი არა, მფარველს ეძებდა. აფხაზეთის მაცხოვრებლებისათვის მიუღწეველი იყო დასავლეთის ქვეყნებში სწავლა, დასავლელ პარტნიორებთან ბიზნესის წარმართვა და, საერთოდ, დასავლური ფასეულობების გაცნობა. არადა, რუსეთისკენ გზა ხსნილი იყო, და აფხაზური ჰორიზონტიც უნებლიეთ მეტს ვერ გასწვდა.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ტრაგიკულობაც ისაა, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც ორივე მხარე თავიდანვე აცნობიერებდა საკუთარი იდენტურობისა და თავისუფლების მიმართ რუსეთის მხრიდან წამოსულ საშიშროებას, მათ ვერ შეძლეს თუნდაც ამ ნიადაგზე მოენახათ საერთო ენა. როგორც Conciliation Resources-ის პროგრამების დირექტორი, ჯონათან კოენი ამბობს, „პარადოქსია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მრავალი წლის განმავლობაში აფხაზებისა და ოსების გარე სამყაროსთან ურთიერთობა სწორედ რუსეთზეა მთლიან-

ნად დამოკიდებული, კოლონიზატორად მაინც საქართველოს მიიჩნევენ. და ქართულმა საზოგადოებამ, არათუ ვერ გაცა პასუხი კითხვას – თუ რატომ ხდება ეს – არამედ საერთოდ არ დაუსვამს ასეთი შეკითხვა“.

„დაკარგულია დრო და ქართველები-სადმი ნდობა. ორჯერ ომი – ეს უკვე შეცდომა აღარაა, – ამბობს პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი, – საქართველოსთვის საბედისწერო იყო, როდესაც გადამწყვიტა, რომ ზენოლით, დაძალებით, გამუდმებული პირობების დაყენებით მიაღწევდა მიზანს“.

დღეს საქართველოს აფხაზეთთან ურთიერთობის მთელი სიმძიმის მიუხედავად, ბევრი რამ გახდა ნათელი. აღარ არსებობს ილუზია, რომ შესაძლებელია ამ ტერიტორიების სწრაფად დაბრუნება. ცხადი გახდა, რომ არავითარი დასავლური ჯარი არ დაუბრუნებს საქართველოს აფხაზეთს. როგორც აფხაზები ამბობენ, „იქნებ ახლა მაინც გაიგონ საქართველოში, რომ საქმე მხოლოდ ტერიტორიებს კი არა, ადამიანებსაც ეხებათ“. თუკი საზოგადოება ოცნებას მოიშლის და მოვლენებს რეალურად შეაფასებს, სხვა თუ არაფერი, ეს დღევანდელზე უკეთეს გამოსავალს მაინც დააჩქარებს.

„საქართველოს ინტერესებშია, სტატუსის საკითხი გადადოს და მიზნად იმის გადამწყვეტა დაისახოს, რისი გადამწყვეტაც შესაძლებელია, – ამბობს ვალტერ კაუფმანი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე მეთაურობდა ბიოლის ფონდს საქართველოში. ალბათ, ღირს თუნდაც იმის გათვითცნობიერება, რომ რუსეთი არასოდეს გაქრება ჩრდილოეთი კავკასიიდან; ისევე, როგორც აშშ არ გაუჩინარდება მექსიკიდან. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ასეთი „დერჟავების“ მეზობლად აღმოჩნდნენ, მთავარია, ის მოახერხონ, რომ მათ ქვეყნებში ყველაფერს ეს დიდი მოთამაშეები არ წყვეტდნენ. მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთი კავკასიიდან რუსეთის სრული განდევნის პროპაგანდის ნაცვლად, იმის გათვითცნობიერება მოხდეს, თუ რა ადგილი შეიძლება გამოეყოს რუსეთს კავკასიაში, და მათ შორის აფხაზეთში. ეს უფრო პროდუქტიული იქნება.

ასევე, ვფიქრობ, რომ საქართველო დაინტერესებული უნდა იყოს აფხაზეთთან პრობლემების გადაჭრით და არა მათი გაღრმავებით. ამ თვალსაზრისით, პროდასავლური აფხაზეთი უკეთესია საქართველოსთვის, ვიდრე პრორუსული. ასე რომ, უფრო პრაგმატული იქნებოდა აფხაზეთის იზოლაციის შეწყვეტა და

**საქართველო არჩევანის
წინაშე: ან გააგრძელოს,
ან შეაჩეროს პროცესი,
რომელიც 15 წელია,
გრძელდება და რომელიც
ეკონომიკური სანქციების
მეშვეობით აფხაზეთს
რუსეთისკენ უბიძგავდა.**

პირიქით, საერთაშორისო პროგრამებში მისი ჩართვის მხარდაჭერა“.

„აფხაზეთი ახლა ჩოგბურთის ბურთივითაა, რომელიც მოედნიდან ახტა და ჰაერშია გამოკიდებული. შემდგომი დარტყმით მისი ნებისმიერ მხარეს მიმართვა შეიძლება“, – თქვა სტამბოლის შეხვედრაზე სოხუმელმა ჟურნალისტმა იბრაჰიმ ქკაღუამ.

აფხაზი ექსპერტების თქმით, დღეს სოხუმში ყველაზე მეტს იმაზე კამათობენ, თუ რამდენად ღრმად შეიძლება შეტოვება რუსეთთან ურთიერთობებში, და რამდენად ბევრის შესყიდვის და კეთების უფლება ექნება მას აფხაზეთში. ოპოზიცია, დამოუკიდებელი გაზეთების ჩათვლით, აპროტესტებს საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ რუსეთთან ახლახან ხელმოწერილ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, აფხაზურ მხარეს ფაქტობრივად დამკვირვებლის როლი აქვს მინიჭებული, ასევე – აფხაზეთის რკინიგზის რუსი მენარმეებისთვის სავარაუდო გადაცემას. დიდი შემფოთება მოჰყვა სახელმწიფო დუმის სპიკერის ბორის გრიზლოვის ამასწინდელ განცხადებასაც იმის შესახებ, რომ კიდევ 26 სხვადასხვა შეთანხმებას უნდა მოეწეროს ხელი.

„საქართველო არჩევანის წინაშე: ან გააგრძელოს, ან შეაჩეროს პროცესი, რომელიც 15 წელია, გრძელდება და რომელიც ეკონომიკური სანქციების მეშვეობით აფხაზეთს რუსეთისკენ უბიძგავდა. ამ სანქციებს პრაქტიკული შედეგი არ მოუტანია, სამაგიეროდ, რუსეთს აფხაზეთის მონოპოლიზების საშუალება მისცა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და ეს ყველაზე საშიშია“, – ამბობს ჯონათან კოენი.

და მაინც, იენისში აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის შეწყვეტამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კვლავ ძალაშია პრობლემისადმი დეკლარაციული, რადიკალური მიდგომა.



ფოტო სანტოვანა მახარაძე

■ სოხუმი

ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში საერთაშორისო ანალიტიკური ჯგუფი International Crisis Group წერდა, რომ არ შეიძლება აფხაზეთიდან გაერო-ს მისიის წასვლის დაშვება, რომ სოხუმში მისიის გაგრძელების იმედი აქვთ, რადგან რუსეთთან პირისპირ დარჩენა არ სურთ. ახლა სწორედ ეს მოხდა. გაერო-ს დამკვირვებელთა წასვლის შემდეგ ფარდა დაეშვა და სუსტი აფხაზეთი ძლიერი რუსეთის პირისპირ დარჩა.

„საქართველოს დიპლომატია არასოდეს არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებაში მონაწილეობას, რომელიც თუნდაც ერთი წამით საეჭვოს გახდის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს“, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

თბილისში გამარჯვებულ მიაჩნიათ იმის მიღწევა, რომ რეგიონის დასახელება ქალაქებზე ისევ ძველებურია: „აფხაზეთი (საქართველო)“. რეალურ ცხოვრებაში კი მნიშვნელოვნად დაჩქარდა რუსეთის მიერ აფხაზეთის შთანთქმა – ეს უფრო ხომ არ ჰგავს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას?

„შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რუსეთი აფხაზეთის საზღვრებს დაიცავს და რომელსაც დღეს აფხაზეთის ოპოზიცია აკრიტიკებს, არ არის უვადო. იგი ხუთი წლითაა ხელმოწერილი ვადის გაგრძელების და შეთანხმების გადახედვის უფლებით, – ამბობს ლიანა კვარჩელია, – ხოლო თუ ამ ხუთი წლის განმავლობაში დანარჩენი ქვეყნები არ გვაღიარებენ, ხოლო დასავლეთი და საქართველო აფხაზეთის იზოლაციის პოლიტიკას გააგრძელებენ, მაშინ ეს შეთანხმება ახლანდელზე მეტ აქტუალურობას შეიძენს“.

პრაქტიკული თვალსაზრისით, დღეს ქართული საზოგადოების წინაშე ისე-

თი სიტუაციაა, რომ მან უნდა უპასუხოს ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვას: რა უფრო მთავარია საქართველოსთვის – ჰქონდეს ურთიერთობა აფხაზეთთან, შექმნას სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივა, როდესაც დევნილებიც შეძლებენ იქ დაბრუნებას, ან რაიმე ეკონომიკური ურთიერთობები განვითარდება; თუ უბრალოდ განაცხადოს ხოლმე, – ეს ჩვენი „სივრცეა“? და პასუხზე ბევრი ფიქრის დრო არ არის.

ვალტერ კაუფმანი მიიჩნევს, რომ საქართველოდან წასული მთავარი გზავნილი უნდა იყოს „მშვიდობიანი მოგვარება“, და არა – „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“.

„უახლოეს მომავალში ტერიტორიული მთლიანობა თუ არ მიიღწევა, რაიმე სხვა მაინც იქნება მიღწეული“, – ამბობს ის. აფხაზეთიდან წამოსული გზავნილი კი საინტერესოდ გამოთქვა იბრაჰიმ ჭკადუამ: „დასავლეთი აღიარებს ჩვენს არგუმენტებს, თუკი საქართველო აღიარებს მათ. ესე იგი, ეს არგუმენტები საქართველომდე უნდა მივიტანოთ“.

სტამბოლში შეხვედრისას აღინიშნა, რომ ეს და სხვა გზავნილებიც მხოლოდ ფართო ადამიანური ურთიერთობების დონეზე მიაღწევს მიზანს.

„საქართველოს მოკავშირეები ევროკავშირიდან არავითარ შემთხვევაში არ ცნობენ აფხაზეთს. მათ უნდა დაინახონ, რომ საქართველო ცვლის პოლიტიკას, და საქართველომ ისინი ამაში უნდა დაარწმუნოს, – ამბობს ჯონათან კოენი, – აფხაზეთი უნდა გაიხსნას მთელი მსოფლიოსთვის და არა – რუსეთის საშუალებით. ვიდრე აფხაზეთი საერთაშორისო საზოგადოებრიობას მხოლოდ რუსული ინსტიტუტების მეშვეობით ურთიერთობა, ის რუსეთის ხელში იქნება. აფხაზეთი უნდა გაიხსნას, რომ ადამიანებმა იქიდან მსოფლიოში იმოგზაუ-

რონ არა მხოლოდ რუსეთის გავლით, ვაჭრობა გააჩალოს მსოფლიოსთან არა რუსეთის გავლით; რაც შეიძლება მეტმა ევროპელმა იმოგზაუროს აფხაზეთში და იქ თავიანთი იდეები და ფასეულობები ჩაიტანონ. ეს ადრეც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ახლა გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან აფხაზეთში რუსეთის მონოპოლია გაორმაგდა. აფხაზეთში არცთუ ცოტა ხმაა, რომლებსაც რუსეთის მონოპოლია არ სურთ. ისინი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების იდეას არ იზიარებენ, მაგრამ უნდათ, რომ აფხაზეთს პოლიტიკური არჩევანის შანსი ჰქონდეს. და ეს ადამიანები ახლა გაცილებით მონყვლადები არიან ვიდრე ადრე“.

„ჯონ კენედის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, შეიძლება ითქვას: ნუ ფიქრობ იმაზე, რა შეიძლება გაგიკეთოს შენმა ოპონენტმა, იმაზე იფიქრე, შენ რა შეგიძლია გაუკეთო მას. ასეთი მიდგომა ალბათ საქართველოს იმას ვერ მისცემს, რის მიღებაც მას დაუყოვნებლივ სურს. მაგრამ სხვა გზა – ურთიერთდადანაშაულების, ეჭვებისა და მუქარის – უკვე ნაცადია და მან ის კატასტროფამდე მიიყვანა“.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრება უკლებლივ ყველა საკითხისადმი დემოკრატიულ მიდგომას ნიშნავს. სტამბოლის შეხვედრის ერთ-ერთმა აფხაზმა მონაწილემ, სოხუმის ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ელენე კობახიამ აღნიშნა: „ჩვენ [აფხაზეთი და ქართველები] მოჯადოებულ წრეზე დავდივართ, – ერთი და იმავე ტრაგიკული შეცდომების უსასრულოდ ჩადენას გულისხმობდა, – დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრება კი ველოსიპედით სიარულს ჰგავს – გამოდგებით უნდა ატრიალო პედლები, თორემ დაეცემი“.

თბილისის პოლიციის სამმართველოსთან აქციის დაკავშირება

15 ივნისი - „თავშეკავებული ინსტრუქციის ფარგლებში“

თვითმხილველების თქმით, 15 ივნისს სამართალდამცავები გამიზნულად ურტყამდნენ ყველა ჟურნალისტს, ოპერატორს და ომბუდსმენის თანამშრომელს >>

ენო რობაქიძე



ფოტო REUTERS / დაპირისპირებული

■ თბილისი, 15 ივნისი 2009

15 ივნისს თბილისში პოლიციის სამმართველოს წინ დემონსტრაციის დარბევას Amnesty International 23 ივნისს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა: საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ვალდებულებები შეახსენა, სამართალდამცავების დასჯა მოსთხოვა და მოქალაქეების და, განსაკუთრებით, ჟურნალისტების უფლებების დაცვისკენ მოუწოდა.

იმ დღეს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების ასამდე წარმომადგენელი პოლიციის სამმართველოსთან პლაკატებით, მეგაფონითა და საკუთარი დღისეულით მივიდა. აქციის მონაწილეები იმ ექვსი მხარდამჭერის დაპატიმრებას აპროტესტებდნენ, რომლებიც 12 ივნისს პარლამენტის წინ მომხდარი ინციდენტის გამო დააკავეს.

„ალიანსი საქართველოსათვის“ ახალგაზრდული მოძრაობის წევრი ირაკლი კახიძე იხსენებს, როგორ ვახშობდა მეგობრებთან ერთად 12 ივნისს მცხეთაში რესტორან „სალობიემი“, როცა საღამოს

11 საათისთვის სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული უცნობები დაესხნენ თავს. კახიძის თქმით, მათ სიტყვიერი და ფიზიკური შურაცხყოფა მიაყენეს. თავდამსხმელების რესტორნიდან გაქცევის შემდეგ ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლების უმრავლესობა პატრულმა იმ დღეს პარლამენტარებზე მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობისთვის რესტორანშივე დააპატიმრა. ირაკლი კახიძე არ დაუკავებიათ. როგორც თავად ამბობს, არც ის და არც მისი მეგობრები პარლამენტთან მომხდარ ინციდენტში არ მონაწილეობდნენ.

15 ივნისის აქციის ორგანიზატორები ჰყვებიან, რომ მომიტინგეები პოლიციის სამმართველოსთან ხმამაღლა კითხულობდნენ საკუთარ გვარებს და, მათ შორის დანაშაულში ეჭვმიტანილი მოქალაქეების აღმოჩენის შემთხვევაში, სამართალდამცავებს სთხოვდნენ, ისინი ცივილიზებული ფორმით დაეკავებინათ. პლაკატებით ხელში მომიტინგეები ქალაქის სამმართველოს შენობიდან დაახლოებით 20 მეტრში,

ტროტუარზე იდგნენ. იქვე იყვნენ ჟურნალისტებიც, თვითმხილველების თქმით, სამანქანო მოძრაობა აქციის მიმდინარეობის დროს არ შეფერხებულა.

აქცია ათი წუთის დაწყებული იქნებოდა, როდესაც მომიტინგეებისკენ ხელკეტებითა და კასტეტებით შეიარაღებული ადამიანები დაიძრნენ. მათ ნაწილს – პოლიციის ფორმა, ნაწილს სამოქალაქო ტანსაცმელი და პოლიციის ყილგატები, ნაწილს კი პოლიციის წითელი ქურთუკები ეცვა.

სწორედ ეს მომენტი – დარბევის დაწყება ასახული ITV-ს გადარჩენილ კადრებზე. ისმის სამართალდამცავების გადაახილები: „არ გაუშვა, შეათრე!“ აქციის მონაწილეები და ჟურნალისტები ჰყვებიან, რომ ხელკეტებით შეიარაღებული სამართალდამცავები გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე მომიტინგეები. ისინი აქციის მონაწილეებს სამი მხრიდან – სამმართველოს, სასამართლოს და ქუჩის მხრიდან მიუახლოვდნენ. ხელკეტი ყველა ჟურნალისტსა და აქციის მონაწილეთა უმრავლესობას მოხვდა. რამდენიმე ადამიანი სხეულის მძიმე დაზიანებებით ლუდუშაურის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. „ალიანსი საქართველოსათვის“ ერთ-ერთი ლიდერის, ალასანიას გუნდის წევრის, ზურაბ აბაშიძის დიაგნოზი საკმაოდ მძიმე იყო – ცხვირის მრავლობითი მოტეხილობა და სისხლჩაქცევები მთელ სხეულზე.

ვახტანგ მენაბდე სამმართველოსთან აქციაზე ომბუდსმენის ოფისის ფორმითა და კეპით იყო მისული. მას ჯერ სამმართველოს ეზოში სცემეს, შემდეგ კი შენობაში შეათრეეს. ის იხსენებს, რომ დაჭერილი ახალგაზრდები სამმართველოს შენობაში შეყვანამდე იატაკზე ეწინააღმდეგებოდნენ ისევე სცემდნენ. მოგვიანებით, როგორც ომბუდსმენის ოფისის თანამშრომელს, მას ბოდიში მოუხადეს და სამმართველოს უკანა კარიდან გამოუშვეს. ბოდიში არ მოუხდათ გიორგი ბექაურისთვის. ის ჰყვება, რომ დარბევისას დააკავეს, ჯერ სამმართველოს შენობაში სცემეს და შემდეგ ფეხებზე მიბმული ჯაჭვით პირველადი დაკავების იზოლატორში ჩათრეეს, სადაც კიდევ ერთხელ მიაყენეს ფიზიკური შურაცხყოფა. ბექაური ისე იყო ნაცემი, რომ სამართალდამცავებმა თვითონ წაიყვანეს ლუდუშაურის სამედიცინო ცენტრში, თუმცა კარამდე არ მიიყვანეს და გაჩერებაზე დატოვეს. გიორგი არც დაჭერილების, არც დაჯარიმებულების სიაში არ მოხვდა.

ერთ-ერთი პირველი ინფორმაცია, რომელიც აქციის შემდეგ გავრცელდა, ში-

ნაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება იყო. სამართალდამცავების თქმით, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბლოკირება გაუკეთეს პოლიციის მთავარ შესასვლელს და სამანქანო გზა გადაკეტეს. პოლიცია შეეცადა შესასვლელის და სამანქანო გზის გათავისუფლებას, მომიტინგეები არ დაემორჩილნენ პოლიციას და წინააღმდეგობა გაუწიეს. აქციის მონაწილეები პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწევს ფაქტზე დააკავეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების შემდეგ, დაახლოებით დღის 3 საათზე ორმა ტელეკომპანიამ მაუწყებლობა შეაჩერა. „ახლა ნახოს ხელისუფლებამ, როგორია ამ არხების მუშაობის გარეშე!“ – განაცხადა „მეესტროს“ ხელმძღვანელმა მამუკა ლლონტისმა. ჟურნალისტების უკიდურესი პროტესტი, რომელმაც მაყურებლის ინტერესი უფრო დაზარალა, ვიდრე მთავრობა, 24 საათს გაგრძელდა: „ჩვენ თვითლიკვიდაცია არ გადავიწყვეტია, უბრალოდ, არ გვექონდა არც ერთი კადრი დღის და არა მარტო დღის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლის საჩვენებლად“, – განმარტავს ტელეკომპანია „კავკასიის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნინო ჯანგირაშვილი, რომელიც მამუკა ლლონტის გადანყვებილებას მაშინვე შეუერთდა.

აქციის გასაშუქებლად პოლიციის სამმართველოსთან ტელეკომპანია „კავკასიის“ და „მეესტროს“ გარდა, ინტერნეტ-ტელევიზია ITV-ს, საინფორმაციო სააგენტოების Reuters-სა და I-ის, European Pressphoto Agency-სა და Gevision.tv-ს ჟურნალისტები და ოპერატორები იყვნენ. „რუსთავი 2“-ის, „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაძვლები ჯგუფები აქციაზე არ გამოჩნილან. სამივე არხის

საინფორმაციო სამსახურების პროდიუსერებმა გადატვირთული გრაფიკი და მოუცლელობა მოიმიზეზეს.

ქალაქის პოლიციის სამმართველოსთან მშვიდობიანი მიტინგის დარბევის ვიდეო და ფოტო-მასალის გადარჩენა მხოლოდ ინტერნეტ-ტელევიზია ITV.GE-მ და საინფორმაციო სააგენტო IPN-მა შეძლეს. სწორედ ამ კადრების ინტერნეტით გავრცელების შემდეგ გააშუქეს საზოგადოებრივმა არხმა, „იმედმა“ და „რუსთავი 2“-მა შსს-ს სამმართველოსთან ჟურნალისტებისა და მომიტინგეების დარბევის ფაქტი. თუმცა ნაციონალური არხების ჟურნალისტები ძირითადად შსს-სა და სხვადასხვა სამთავრობო წყაროებზე დაყრდნობით ჰყვებოდნენ ამბავს, რომელსაც ძალიან ბევრი თვითმხილველი და მონაწილე ჰყავდა.

აქციის დარბევისას ნაციემ ადამიანების კადრებს ტელეეთერში შსს-ს მეორე განცხადება მოჰყვა. მინისტრის მოადგილემ, ეკა ზღულაძემ აქციის მონაწილეები სამმართველოს შესასვლელის ბლოკირებაში ისევ დაადანაშაულა. თუმცა ისიც დასძინა, რომ პოლიცია „თავშეკავებული ინსტრუქციის ფარგლებში“ მოქმედებდა, და მათი მიზანი სამი ექვმიტანის დაკავება იყო, რისი უფლებაც მომიტინგეებმა პოლიციას არ მისცეს.

იმ სამი ექვმიტანილიდან, რომლებზეც ეკა ზღულაძე ლაპარაკობდა, ერთ-ერთი ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობის წევრი, დაჩი ცაგურია იყო. მოძრაობის სხვა წევრების თქმით, ცაგურია არ იმალებოდა, აქციის წინა დამეც საკუთარ სახლში გაატარა და ახალგაზრდული მოძრაობის აქტივობებშიც ჩვეულებრივ მონაწილეობდა. 15 ივნისს აქციის მონაწილეებმა არ იცოდნენ, რომ პოლიცია ცაგურიას დაპატიმრებას აპირებდა, შესაბამისად, სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობა არც გაუწევიათ. აქციის დარბევა მოულოდნელად დაიწყო და სხვებთან ერთად დაჩი ცაგურიაც დაიჭირეს.

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილის განმარტებით, სანამ პროცესი ფიზიკურ შეტაკებაში გადაიზარდებოდა, დაახლოებით 10–15 პოლიციელი გამოვიდა სამმართველოდან და მათ დანაშაულში ექვმიტანილი პირების „ჩვეულებრივი პროცედურით“ დაპატიმრება სცადეს. აქციის სხვა მონაწილეებმა პოლიციას ხელი შეუშალეს და სწორედ ამის შემდეგ გამოვიდნენ სამმართველოს შენობიდან პოლიციის სხვა თანამშრომლები. შოთა უტიაშვილი ვერ აზუსტებს პოლიციელთა საერთო რაოდენობას. აქციის მონაწილეებისა და თვითმხილვე-

ლების თქმით კი, სამმართველოს შენობასთან მინიმუმ ასი თანამშრომელი იყო.

„დაკავების პროცედურა გადაიზარდა ფიზიკურ შეტაკებაში და პოლიციელების ნაწილმა თვითნებურად გადაწყვიტა, რომ არ იქნებოდა მომგებიანი ამ ამბის გაშუქება, რის გამოც, ნაართვეს კამერები ფოტო და ტელეოპერატორებს, – ამბობს შოთა უტიაშვილი. ამიტომაც დაისაჯნენ პოლიციის თანამშრომლები. ორ მათგანს სასტიკი საყვედური გამოვუცხადეთ, ოთხს საყვედური და სამს შეუწერდა უფლებამოსილება“.

15 ივნისს ხელკეტებით ცემეს და კამერები ნაართვეს „მეესტროს“ ორ ოპერატორს, „კავკასიის“, ინტერნეტ ტელევიზიის, Gevision.ge-ს ოპერატორებს. ფოტოკამერა ჩამოართვეს და გადაღებული მასალა წაუშალეს საინფორმაციო სააგენტო Reuters-ის ფოტოჟურნალისტს დათო მძინარიშვილს. „კავკასიის“ ოპერატორი თემურ თანდაშვილი ამბობს, რომ კამერა გატეხილი დაუბრუნეს და კასტიდან წაშალეს მასალა, რომელსაც დარბევის დანებებიდან 8-10 წუთის განმავლობაში იღებდა. გადაღება მოასწრეს სტუდია „მეესტროს“ ოპერატორებმაც, მაგრამ მათაც წაუშალეს გადაღებული ვიდეომასალა. მიუხედავად იმისა, რომ ეკა ზღულაძის მიერ ჟურნალისტებისთვის მოხდილი ბოდიში საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე წევრმა გაიმეორა და ჟურნალისტებს, დაზიანებული აპარატურის საფასურად, ზარალის ანაზღაურებაც შესთავაზა, ვიდეოკადრების წაშლას, პრეზიდენტით დანებებული, შოთა უტიაშვილით დამთავრებული, ყველა უარყოფს. „არაფერი არ მოუჭრიათ და მოუპარავეთ!“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ნინო შუბლაძესთან ინტერვიუს დროს.

პოლიციის სამმართველოს შენობაში აქციის დროს დაკავებული ახალგაზრდების შესახებ სახალხო დამცველის ოფისი დეტალური ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს. სოხარ სუბარის განცხადებით, დაკავებულებს წამების კვალი და სერიოზული ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებათ. სახალხო დამცველი 15 ივნისს პოლიციის ძალადობას წინასწარ გამიზნულ და დაგეგმილ ქმედებად თვლის და დანაშაულში ექვმიტანილი პოლიციელების პასუხისმგებლობაში მიცემას ითხოვს. თუმცა, შოთა უტიაშვილის განცხადებით, პოლიციელების ეს ქმედება სპონტანური იყო და კანონშესაბამო ბრძანება არავის გაუცია. დამნაშავე პოლიციელები დაისაჯნენ, ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი კი დღის წესრიგში არ დგას. 

**ხელკეტებით სხვადასხვა
და კამერები წაართვეს
„მეესტროს“ ორ ოპერატორს,
„კავკასიის“, ინტერნეტ
ტელევიზიის, GEVISION.
GE-ს ოპერატორებს.
ფოტოკამერა ჩამოართვეს
და მასალა წაუშალეს
საინფორმაციო სააგენტო
REUTERS-ს.**



თინათინ სილაპული
რესპუბლიკური
პარტიის წევრი

ხელისუფლების აქილავის ქუსლი

ყოველგამე, თუ მოხდა სასწაული და სახლში წავიდი, შიშით
დავყურებ ტელეფონს. წინასწარ ვიცი, რომ მორიგი ღაჭირის
შესახებ აუცილებლად დარეკავენ. თინათინ სილაპული

ამის შემდეგ დაიწყება დაუსრულებელი პროცესი დაკავებუ-
ლის ძებნის, ერთი საპატიმროდან მეორეში, ერთი პოლიციიდან
მეორეში და ასე უწყვეტად. ისიც კი დიდი წარმატებაა, თუ დაგ-
დეს პატივი და გაგიმხილეს, სად წაიყვანეს და რას ედავებიან.

მეთოდები ძველია და მრავალჯერ ნაცადი. ნარკოტიკები ან
სამხედრო არსენალი, რომელსაც ზოგჯერ ბავშვების კარადაში
პოულობენ, ზოგჯერ სხვენში, და იშვიათად ჯიბეში. ან რა მნიშ-
ვნელობა აქვს, სად იპოვიან, ან საერთოდ იპოვიან თუ არა,
როდესაც არც მონზე გჭირდება და არც პასუხის მომკითხავი
გყავს. ჩვენ გამოძიებას ანგელოზად მოვლენილი ჰყავს მანტიანი
გახვეული დაბრმავებული მართლმსაჯულება, რომელიც ერთი
ჩაქურჩის დარტყმით, ერთმანეთის მიყოლებით, მთელ საქართვე-
ლოში ისეთი ხალისით წერს ორთვიანი პატიმრობის განაჩენებს,
მადლიერების ნიშნად, კოლე-
გას დასასვენებლად უშვებდეს
თითქოს.

ეს საქმეები გაჭრილი ვაშ-
ლივით ჰგავს ერთმანეთს. აკა-
ვებენ გვიან ღამით, აკავებენ
ძირითადად ქუჩაში, შემდეგ
მრავალი საათის განმავლობაში
ამ ახალგაზრდების შესახებ
არაფერი ისმის და, როდესაც
შეძრწუნებული მშობლები და
ახლობლები ქვეყანას აანოკე-
ბენ მათთვის ძვირფასი ადამი-
ანების ძებნაში, ვინმე კეთილის
მსურველი ინკოგნიტო ჩუმად
აგებინებთ, – ამა და ამ პოლიციაში ჰყავთ, ნარკოტიკი / იარაღი
ჩაუგდესო. შემდეგ ტარდება სასამართლო პროცესები წინასწარ
განსაზღვრული მსჯავრით. როგორც წესი, დაკავებულები დანა-
შაულს არ აღიარებენ, მოსამართლეს ძალადობისა და ზენოლის
შესახებ უყვებიან. თუმცა მართლმსაჯულებას ჩვენთან თვა-
ლებიც და ყურებიც დახშული აქვს და შედეგიც, შესაბამისად,
ერთმანეთის მსგავსია.

ჩემი მსჯელობა ცარიელი სიტყვები და მხოლოდ ემოცია რომ
არ იყოს, თბილისში „ალიანსი საქართველოსთვის“ ჩუღურეთის
შტაბის უფროსის, რესპუბლიკელი მიხეილ გაბუნიას საქმის
ერთ დეტალს მოვყვები. მოსამართლეს წესით საქმეში უნდა
ნაეკითხა, რომ დაკავების დროს გაბუნიას მაკაროვის ტიპის
იარაღი ამოუღეს, რომელზეც თურმე თავადაც უთქვამს, –
ბაბუამ მაჩუქაო. თუმცა, შემდეგ იმავე საქმის მასალებში, სხვა
გვერდზე წერია, რომ ამოღებული იარაღი ზიგზაუერი ყოფილა.
მიშა გაბუნია კი მოსამართლეს დაწვრილებით მოახსენა, რა
ვითარებაში და როგორი ზენოლით მოაწერინეს ხელი საქმის
ბაბუის ნაწილზე. ჭეშმარიტების დადგენის სურვილით აღსა-
ესე მოსამართლეს კითხვები, ეჭვები, ინტერესი არ გასჩენია

და ორთვიანი საწყისი სასჯელი გამონერა, – შესაძლოა, კიდევ
შეიძინოს იარაღი და ამიტომ უნდა გამოგვეტოთო. ამ ერთ
წინადადებაში იმდენი პრობლემაა, ერთი დიდი კვლევისა-
თვის გამოდგებოდა. გაუგებარი და დაუდგენელია, რა იარაღი
ამოიღეს, გაუგებარი და დაუდგენელია, რა ვითარებაში მიიღო
პოლიციამ ჩვენებები, დაუდგენელი და გაუგებარია ზიგზაუერის
ისტორია, რომელიც საერთოდ არ ამოუღიათ ჩხრეკის დროს,
თუმცა შემდეგ სწორედ ის „აღმოუჩინეს“ და ბოლოს, გაუგებარ-
რია მთავარი – თუკი მოსამართლემ დაიჯერა ბაბუის ისტორია,
გადანყვეტილებაში კიდევ ერთხელ შეძენის შესაძლებლობა რა
მოტივაციით დაუშვა.

გასულ კვირას, ასეთი დაპატიმრებები გორშიც მოხდა. მთე-
ლი ქალაქი ქუჩაში გამოვიდა. საქართველო პატარა ქვეყანაა
და ყველამ ყველაფერი იცის, გორი
კიდევ უფრო პატარაა, და ვერავის
გამოაპარებ ავსა და კარგს. გორელები
ამბობენ, – მთელი ქალაქის თვალაა გუ-
დაძების ოჯახი და მათი ბიჭებიო. ვერ
იპოვით მათზე ავის მთქმელს. თუმცა
გორში არავის ეპარება ეჭვი, რომ სწო-
რედ ასეთი ბიჭების დაჭერით ცდილობს
ხელისუფლება საყოველთაო შიშისა და
დაუცველობის სინდრომის დამკვიდრე-
ბას. სწორედ ისეთი სანიშნურო, პატივსა-
ცემი და ქალაქის საყვარელი ადამიანე-
ბის – როგორებიც თამაზ ტლაშაძე და
ზაალ გუდაძე არიან – დაჭერით უნდა
ხელისუფლებას, ყველა დაარწმუნოს,



■ პოლიციისთან შუბაპაპის შიმდაბ, თბილისი, 28 მაისი 2009

რომ უკან არაფერზე დაიხვეს, ყველას დაიჭერს, სამართალს
გააყალბებს და შიშზე დაფუძნებულ მორჩილ საზოგადოე-
ბას შექმნის. მაგრამ გორში სამი დღის განმავლობაში ხალხი
ქუჩაში გამოდიოდა. დაკავების დღეს ათეულობით ადამიანი
მაჩერებდა გორში და მიყვებოდა მათ შესახებ, სიყვარულს
გამოხატავდა და დახმარებას მოხოვდა.

ამ ისტორიებში კი, პირადი ტრაგედიის გარდა, გაცილებით
უფრო დიდი ხიფათი დევს. ათეულობით დაჭერილი ჩვენი
თანამოქალაქის საქმეები, შესაძლოა, ხელისუფლების აქილავის
ქუსლი და დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდეს. უსამართლოდ
განწირულ, ნაცემ და ციხეებში გამოკეტილ ახალგაზრდებს
ოჯახები, ნათესავები და მეგობრები ჰყავთ. ბუნებრივია, მათი
უმრავლესობა ოპოზიციური პარტიების წევრები და, შესაძლოა,
მხარდამჭერებიც კი არ არიან, მაგრამ რაც უფრო გაიზრდება
იმ ადამიანების წრე, რომელთაც ქვეყანაში გაძლიერებული
უსამართლობის ტალღა გადაუფლის, მით უფრო რთული
გახდება ყველაზე უფრო მშვიდი და განონასწორებული
ადამიანების ემოციების კონტროლი. ■



ფოტო: თამარ ჯანაშიანი/საპილო

ქარნალისტური გამოქიჩა

ფარმაციის ბნელი მხარე

საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რა ნამლებს
სვამს. ფარული გარიგებებისა და კორუფციის ნიშნები
ქართულ ფარმაცევტულ ბიზნესში

ილისო ჯანაშია და სტუდია „მონიტორი“

ოლიგოპოლიური ფარმაცევტული ბაზარი

საქართველოში, მოქალაქის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯის 48% ნამლებზე მოდის და არა ექიმის მომსახურებაზე. რადგან ქვეყანაში დაზღვევის ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განვითარებული, ამიტომ პაციენტებს ნამლების შეძენა საკუთარი ჯიბიდან უწევთ. ნამლის თანხას არც ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახელმწიფო პროგრამა ე.წ. 5-ლარიანი დაზღვევა ანაზღაურებს.

2008 წელს საქართველოში წლიური ინფლაცია 5,5 პროცენტი იყო. გლობალური და ომისშემდგომი კრიზისის გამო, პროდუქტსა და სხვადასხვა მოხმარების საგანზე ფასები თუ შესამჩნევად არ კლებულობს, არც იზრდება. ერთადერთი გამონაკლისი მედიკამენტებია. გასული წლიდან დღემდე ძირითადი მოხმარების ნამლების ფასი რიც შემთხვევებში 200 პროცენტითაც გაიზარდა.

სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს“ დირექტორი, ნიკა რამიშვილი, რომელიც ერთი წელი აკვირდებოდა ნამლის ფასების

დინამიკას, აცხადებს, რომ ფართო მოხმარების მედიკამენტებზე ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 2008 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ულტრაბიოტიკის ფასი 11, 75-დან – 19 ლარამდე, პრედუქტალი 15,30-დან – 32, 45 ლარამდე, ამოქსიცილინი 1,48-დან – 3,20 ლარამდე, გინიპრალი 2,50-დან – 9 ლარამდე, მოვალისი 16, 38-დან – 22 ლარამდე. „თუ დავაკვირდებით ქართულ ბაზარზე არსებულ 7000-მდე დასახელების ნამალს, მაშინ მედიკამენტებზე ფასები საერთო ჯამში მხოლოდ 2-3%-ით იზრდება, მაგრამ თუ 100 ყველაზე მოთხოვნადი ნამლის ფასის ანალიზს ვაკეთებთ, მაშინ ზრდა ძალიან დიდია“, – აცხადებს რამიშვილი. მისივე თქმით, ნოემბრიდან დღემდე ამ მედიკამენტების ფასი კიდევ 10-15%-ით გაიზარდა.

„როცა ქვეყანაში უმუშევრობაა, ბანკებმა, სადაზღვევო ორგანიზაციებმა და სამშენებლო კომპანიებმა ხალხი სამსახურიდან გაათავისუფლეს და მსყიდველუნარიანობა მცირდება, ასეთ ვითარებაში არაოლიგოპოლიური ნამლებზე ფასი გაიზარდოს“, – ამბობს ნიკა რამიშვილი და, ერთი

შეხედვით, ალოგიკურ მოვლენას ასე ხსენის: „მე რომ ფარმაცევტული კომპანიის პრეზიდენტი ვიყო და, ფაქტობრივად, არ მყავდეს კონკურენტი, რა ფასსაც მინდა, იმას დავადებდი“.

„ბაზარი, რომელშიც ორი-სამი მსხვილი კომპანია 70-80%-ს ფლობს, ოლიგოპოლიური ბაზარს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფირმებს აქვთ ფარული გარიგების შესაძლებლობა, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური ზრდა და წარმოების შეზღუდვა, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება მომხმარებელი დააზარალოს“, – აცხადებს დამოუკიდებელი ექსპერტი, დავით ნარმანია.

„ავერსისა“ და PSP-ს ოფიციალური ვებგვერდებზე მითითებულია, რომ „ავერსი“ ქვეყნის ფარმაცევტული ბაზრის 35%-ს აკონტროლებს, PSP კი – 30%-ზე მეტს. სიდიდით მესამე კომპანია – GPC კი ბაზრის 15%-ზე მეტს მფლობელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ფარმაცევტული ბაზარი ოლიგოპოლიურია.

ოლიგოპოლიური ბაზარზე თითოეული ფირმის გადანყვეტილება გავლენას



ახდენს საბაზრო სიტუაციაზე და, ამავე დროს, დამოკიდებულია სხვა ფორმების გადაწყვეტილებებზე, რომლის მიღებისას ოლიგოპოლისტი ფირმა იძულებული ხდება, გაითვალისწინოს ბაზრის სხვა მოთამაშის შესაძლო რეაქციაც.

მოშლილი სახელმწიფო კონტროლი და უკონტროლო ფასები

ევროკავშირის ქვეყნებში, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის გარდა, სახელმწიფოს მიერ წამლის ფასებზე პირდაპირი კონტროლი ხორციელდება. ამ ორ ქვეყანაშიც მხოლოდ ახალდაპატენტებული წამლის ფასებია თავისუფალი. საქართველოში, თავად ფარმაცევტული ბაზრისგან განსხვავებით, ფასები თავისუფალია; იმდენად თავისუფალი და უკონტროლო, რომ ხშირად წამალზე ფასნამატები ათას პროცენტამდეც აღის. ფასების ცვლილებებზე ზემოქმედების ფაქტორებს PSP უცხოელი მწარმოებლის მიერ ფასების მატებით და ვალუტის კურსის ცვლილებით ხსნის და აცხადებს, – „კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასების ზრდის წინააღმდეგ ჩვენ ფაქტობრივად უძლურები ვართ“.

„ევროსა და დოლარის კურსის ცვალებადობა გარკვეულწილად ახდენს გავლენას ფასებზე, მაგრამ თუ უცხოური ვალუტის კურსი იზრდება, ფარმაცევტული კომპანიები მაშინვე ზრდიან ფასებს, ხოლო თუ კურსი მცირდება, სამუხაროდ, ფასებს არაფერ ამცირებს“, – აცხადებს ექსპერტი, დავით ნარმანიანი.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, საბაჟოებზე შემოტანილი წამლის ფასსა და საპრაისო, ანუ საბოლოო ფასს შორის ფასნამატი ასეულობით პროცენტს უტოლდება. ინფორმაცია ამოწერილია კონკრეტული ინვოისებიდან და მითითებულია დოკუმენტის ნომერი და თარიღი.

■ დუოვიტის საპრაისო ფასია 11,22 ლ, ხოლო შემოტანის – 1,5 ევრო. ფასნამატი

გამოდის 247,4% (ინვოისი №329 2008, 22 სექტემბერი PSP).

■ ციპრონოლის საპრაისო ფასია 9,87 ლ, საზღვარზე შემოტანის ფასი 1,75 ევრო, ფასნამატი – 162% (ინვოისი №329 2008, 22 სექტემბერი PSP).

■ ვალოკორდინის (50 მლ) საპრაისო ფასია 9,36 ლ, შემოტანის ფასი ინვოისის მიხედვით 0,73 ევრო. ფასნამატი – 208% (ინვოისი №276 2008, 26 ივლისი PSP).

■ PEO 1G (ceftriaxone) გასაყიდი ფასია 13.48 ლ, შემოტანის ფასი 0,75 ევრო, ფასნამატი 735% (ინვოისი №225 2008, 26 ივნისი PSP).

PSP-მ ზემოთ ჩამოთვლილი ფასნამატები არ დაადასტურა. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ფასნამატი წამლებზე 0-30%-მდე მერყეობს საბითუმო ვაჭრობაში და 0-20%-მდე საცალო ვაჭრობაში. თუმცა, სპა-ს ფარმაცევტული ქარხნის GMP-ს წარმომადგენელმა, გიორგი ანთაძემ, გადაცემა ბიზნესკურიერში (18.06.09) დასმულ იმავე შეკითხვას სხვაგვარად უპასუხა და აღნიშნული ფასნამატები არ უარყო, რაც „კომპანიის ტრანსპორტირების, საოპერაციო და რიგი დანახარჯებით“ ახსნა.

2005 წლის 15 აგვისტოს, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროექტების Euro Health Group-მა მოაზნადა ფარმაცევტული პოლიტიკისა და რეგულაციების რეკომენდაციები, რომელიც 16-პუნქტიანია და ერთ-ერთ პუნქტში მითითებულია, რომ ჯანდაცვის პოლიტიკის სააგენტომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს მედიკამენტების ფასების რეგულაციის სხვადასხვა მეთოდს, იმისათვის, რომ დადგინდეს სანყის ფასის რაიმე ფორმა.

მსგავს რეკომენდაციებში, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პერიოდულად კეთდება, ხელისუფლებას მილიონობით ლარი აქვს გადახდილი, თუმცა, თითქმის არც ერთი მათგანი არ შესრულებულა.

ახალი ავთიაქების ბაზრიდან ბაქოვის მიზნებზე

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, საქართველოში 6000-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი შემოდის, რომელთა საერთო ღირებულება 2006წ. 99 მლნ. დოლარი, 2007წ. –145 მლნ. დოლარი, ხოლო გასულ წელს 129 მლნ. დოლარი იყო. აქედან თითქმის ნახევრის იმპორტიორი PSP და „ავერსია“ და მათი წილი მედიკამენტების იმპორტში დაახლოებით იმდენია, რამდენიც დანარჩენი 50-მდე იმპორტიორისა ერთად.

„სამი ძირითადი მოთამაშე (PSP, „ავერ-

სი“, GPC) ამ ბაზარზე შეთანხმდა და მომწოდებლები გადინანსილეს. ვთქვათ, რომელიმე თუ მუშაობს „რიხტერთან“, დანარჩენი ორი მასთან არ მუშაობს. თუ ეუბნები, – ახალი ორგანიზაცია ვარ და მინდა თქვენთან თანამშრომლობა, – გეუბნებიან, – მე მაქვს ხელშეკრულება უკვე არსებულიებთან და მეტი აღარ მჭირდება“, – აცხადებს ერთ-ერთი ავთიაქის მეპატრონე, რომელიც ვინაობის გამხელას, მოსალოდნელი პრობლემების შექმნის გამო, უფრთხის. ასეთი ავთიაქები ვერ თანამშრომლობენ მსხვილ მწარმოებელ კომპანიებთან და იძულებულიები არიან, მედიკამენტები ადგილობრივი შემომტანებისგან თითქმის საცალო ფასში შეიძინონ.

ფარმაცევტული კომპანია „სახალხო ავთიაქის“ 33 ავთიაქის მფლობელი, ვალერი კვარაცხელია იმ პერიოდს იხსენებს, როცა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე დაიწყო დამკვიდრება. „ურთულესი იყო უცხოელ მომწოდებლებთან ურთიერთობა. 2 წელი დაგვჭირდა, რომ ეს ჩაკეტილი წრე გაგვერღვია. პირველი კომპანია იყო „ბერლინჰეიმ“, რომელმაც ჩვენთანაც დადო ხელშეკრულება, რის შემდეგაც კონკურენტებმა ფასის დაგდება სცადეს. პირველ ეტაპზე, რუსული კომპანია „პროტეკი“ გვანვდიდა წამლებს. ასეთ შემთხვევაში ფასი გეზრდება, რადგან მწარმოებელსა და შენ შორის კიდევ ერთი რგოლია. შეკვეთას როცა აკეთებ და ფასს დაგიგდებენ, შეიძლება ღიდ კომპანიას არ დაეტყოს, მაგრამ პატარა გაანადგუროს. შეიძლება გაქრე საერთოდ, და ასე, სხვათა შორის, ბევრი კომპანია გაქრა საქართველოში. ჩვენც ვიზარალეთ, მაგრამ ავიტანეთ ეს ყველაფერი და გადავრჩით“.

PSP-ს დღეს საქართველოში 120 ავთიაქი აქვს, „ავერსი“ – 160. ამავე დროს, ისინი მსხვილი იმპორტიორები არიან და სხვა ავთიაქის მფლობელები წამლების ძირითად ნაწილს ამ ორი მსხვილი კომპანიისგან იძენენ. „ავერსი“ და PSP ადგილობრივ ავთიაქებს წამლებს მის მიერ დაწესებული საცალო ფასის 14%-იანი ფასდაკლებით აძლევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ავერსი“ და PSP, კარდა იმისა, რომ საცალო და საბითუმო ვაჭრობას ეწევიან, მათ ასევე სხვა ავთიაქების შემოსავლის კონტროლის სრული საშუალებაც აქვთ, რადგან ახალი ავთიაქი, მედიკამენტზე უფრო მაღალი ფასის დაწესების შემთხვევაში, წამალს ვეღარ გაყიდის და ამ ორი კომპანიის საავთიაქო ქსელს კონკურენტის ვეღარ გაუწევს. ამ 14%-დან ავთიაქები არათუ მოგებას იღებენ, სხვადასხვა გადასახადების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად არსებობაც უჭირთ. ერთ-ერთი

„შიკაბებს აქვთ ფარული გარიგების შესაძლებლობა, რომლის მიზანია ფასების ხალოვნური ზრდა და ნარკოების შეზღუდვა, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება მოხსნა რეალური ღირებულება“

რესპონდენტის თქმით, მომწოდებლების მხრიდან 14%-იანი ფასდაკლების მიზანია, რომ კონკურენტებისთვის ავთიაქების შენარჩუნება შეუძლებელი გახდეს. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ ორი კომპანიის ავთიაქების რაოდენობა თანდათან იზრდება, დამოუკიდებელი ავთიაქებისა კი, პირიქით, მცირდება.

ჩვენ კითხვაზე, თუ რატომ დაანესეს 14%-იანი ფასდაკლება, PSP ზოგად განცხადებას აკეთებს: „ბიზნესში მიღებული და აპრობირებული მეთოდია – საცალო და საბითუმო ვაჭრობაში დისქუსიონი დამოკიდებულია ამა თუ იმ კონკრეტული შესყიდვის მოცულობაზე და გადახდის პირობებზე“.

ევროპულ ქვეყნებში ნამალზე ფასს სახელმწიფო არეგულირებს. უმეტეს ქვეყანაში საცალო და საბითუმო ავთიაქებს შორის სხვაობა 20%-დან 30%-მდე მერყეობს. ერთადერთი გამონაკლისია დიდი ბრიტანეთის 17%, მაგრამ იქ ავთიაქებისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადი არ არსებობს. („ფარმაცევტული სექტორის რეგულირება ევროპაში: ეფექტურობის, ხარისხისა და თანასწორობისათვის“. ავტორები: ე. მოსიალოსი, მ. მრახუკი, ტ. უოლი). 14% მხოლოდ საქართველოშია.

„ავერსი“ და PSP კლინიკების მფლობელები

გარდა იმისა, რომ „ავერსი“ და PSP მსხვილი იმპორტიორები არიან, ფლობენ ფარმაცევტულ ქარხნებს, აწარმოებენ მედიკამენტების გენერიკებს, მათ საკუთარი კლინიკებიც აქვთ. კომპანია „ავერსი“ რამდენიმე კლინიკის მფლობელია, მათ შორის, თბილისში, მარნეულში, რუსთავეში, ლანჩხუთსა და გორში. იმავე გეგმის შესახებ PSP საკუთარი ვებ-გვერდიდან იუნყე-

ბა: „ზოგადად, PSP-გვგუფი მოიაზრება საქართველოს ბაზარზე, როგორც ყველაზე მსხვილი ჰოსპიტალური ოპერატორი, რომელიც სამედიცინო ბაზრის მესამედს, დაახლოებით, 35-40%-ს დაკავებს“.

რამდენად კეთილსინდისიერია ერთდროულად აწარმოო, გაანაწილო, დაუნიშნო და უმკურნალო საკუთარი წამლებით, არის თუ არა ფარმაცევტული კომპანიების მიერ კლინიკების გახსნა ინტერესთა შეუთავსებლობა? ამ კითხვას PSP ასე პასუხობს: „ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს. მიგვაჩნია, რომ კომპანია, რომელიც გათვითცნობიერებულია და ახლოს არის ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთან, მაღალ დონეზე შეძლებს საავადმყოფოების მართვას. ეს ფართოდ მიღებული პრაქტიკაა ამერიკასა და გერმანიაში“.

ბაზრის უფრო სრულყოფილად ასათვისებლად ეს ორი ფარმაცევტული კომპანია ქართველ ექიმებს წამლების დანიშვნას ან მედიკამენტების მათი სააფთიაქო ქსელიდან შესყიდვას „ურჩევს“. ექიმები ამის შესახებ ხმამაღლა არ საუბრობენ, მაგრამ პაციენტებმა მოგვანოდეს ამ კომპანიების ლოგოიანი ის რეცეპტისმაგვარი ქვითრები, რომელზეც ექიმები წამლებს წერენ. ქვითარი ორ პირადაა – ერთი პაციენტს ეძლევა, რომლითაც ის მითითებულ ავთიაქში შეიძენს წამალს და ქვითარს დატოვებს, ხოლო მეორე პირი ექიმს რჩება იმის საბუთად, რომ მან აღნიშნული კომპანიის წამალი გამოიწერა. ამ მეთოდით ფარმაცევტულ კომპანიებს ექიმების კონტროლის საშუალება ეძლევათ. ერთ-ერთი შიდა მოხმარების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გარკვეული რაოდენობის წამლის გამონერის სანაცვლოდ, კომპანია ექიმებს, ნახალისების მიზნით, უნაზღაურებს

უცხოეთში კონფერენციაზე მოგზაურობის ხარჯებს, ან აძლევს ფულად ბონუსებს.

ექიმებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის არსებულ უკანონო გარიგებას „ადამიანის უფლებათა ცენტრიც“ ამხელს. მათი წარმომადგენლების თქმით, ექიმები ავადმყოფებს აძლევენ დანიშნულებას და პირდაპირ უთითებენ, ავალევენ, მედიკამენტები კონკრეტულ ავთიაქში შეიძინონ. „ხშირია შემთხვევა, როცა კონკრეტულ ავადმყოფს მოცემული მედიკამენტებით მკურნალობა არ ესაჭიროება, მაგრამ მას ძვირად ღირებული წამლები შეაძენინეს. აღმოჩნდა, რომ ექიმები ავთიაქებისაგან თვის ბოლოს გაყიდული წამლის ოდენობის 7%-ს იღებენ გასამრჯელოდ“, – აცხადებენ ისინი.

ღარღვევი წარმოებაში

საქართველოს კანონმდებლობით, სარეგისტრაციო პროცედურა ითვალისწინებს გენერიკების (პრეპარატი, რომელსაც გაუფიდა საპატენტო ვადა და აღარ წარმოადგენს გამომგონებლის საკუთრებას და მის წარმოებას სხვადასხვა მწარმოებლები იწყებენ) ბიოეკვივალენტობის (გენერიკის ორიგინალთან შესაბამისობა) კვლევის მასალების ექსპერტიზასაც. კანონში მითითებული არაა, ვინ შეიძლება გააკეთოს საქართველოს ფარმაცევტული ქარხნების მიერ დამზადებული წამლის ბიოეკვივალენტობის ანალიზი, ამიტომაც ამ ფუნქციას საკუთარ თავზე იღებენ თავად ფარმაკომპანიები, რომლებსაც, გამოედის, რომ სახელმწიფო „ბრმად“ ენდობა. სამედიცინო რეგულირების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სულ 24 ქართული წარმოების პრეპარატია მსგავსი მეთოდით გამოკვლეული. ექსპერტები ეჭვქვეშ აყენებენ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და აცხადებენ, რომ დოკუმენტში მითითებულ დროში, ანუ რამდენიმე თვეში, ათეულობით გენერიკის კვლევის ჩატარება შეუძლებელია. PSP-ს მონაცემებით, კომპანია ამგვარი კვლევა 21 პრეპარატზე ჩაატარა. მათივე მტკიცებით, თითოეულის კვლევას 4-6 თვე მოსწოდება. არადა, საქართველოში 907 სამკურნალო საშუალება იწარმოება.

„ქართული გენერიკების ბიოეკვივალენტობა დადასტურებული არ არის“, – ამ განცხადებას ექსპერტი თინა ტურძელაძე აკეთებს. ეს ნიშნავს, რომ არავინ იცის, საქართველოში წარმოებული წამლები შესაბამეობა თუ არა ორიგინალს და რამდენად ხარისხიანია. ქართულ ფარმაციაში გენერიკების რაოდენობა დღითი დღე იზრდება და ორიგინალებს ენაცვლება. ეს



ფოტო თბილისი პარამიკაში



ჩანაცვლება ხშირად სასამართლო დავის საგანიც ხდება.

ფრანგული ფარმაცევტული კომპანია „ლე ლაბორატუა სერვიე“, უკვე ერთი წელია, საპატენტო უფლების დარღვევის გამო, PSP-ს ფარმაცევტულ ქარხანას, GMP-ს სასამართლოში უჩივის. ქარხანა GMP, უკვე 2 წელია, „აგულანსა“ და „ამრას“ აწარმოებს, რომლებიც, ფრანგული კომპანიის მტკიცებით, მათ მიერ დაპატენტებულ აქტიურ ნივთიერება „პერინდოპრილს“ შეიცავს. „სერვიეს“ ადვოკატის განცხადებით, საფრანგეთისა და ბრიტანეთის ლაბორატორიებმა დაადასტურეს, რომ ქართული პრეპარატი აღნიშნულ ნივთიერებას შეიცავს, თუმცა ქართულმა სასამართლომ დასკვნა არ გაიზიარა. GMP-მ სარჩელს ახალი სარჩელი შეაგება და ფრანგულ კომპანიას საქართველოში პატენტის არასწორად მიღებაში დასდო ბრალი, თუმცა სასამართლო დავა წაავსო.

GMP-ში არც ერთი გენერული მედიკამენტი არ იწარმოება, რომლის პატენტის ვადა გასული არ არის. „სერვიეს“ შემთხვევაში, ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ მისთვის პატენტის გაცემის სამართლებრიობას. მათ პატენტს ევროპაში ვადა გაუვიდა და ამიტომ საქართველოშიც უნდა გაუქმდეს“, – აცხადებს PSP.

„ქართული ფარმაცეპოლოგიური ფირმები ცდილობენ, ჯერ კიდევ დაპატენტებული უცხოური ორიგინალი პრეპარატები ქართული წარმოების პრეპარატებით ჩანაცვლონ, იმ საბაბით, რომ დაირღვა კანონი, მაგალითად საფრანგეთში, და სამართალს საქართველოში ეძებენ. ქართული ბაზარი კი საკმაოდ პატარაა უცხოური ფარმაცევტული გიგანტებისთვის და, შესაბამისად, ნაკლებად საინტერესოც, ამიტომ ქართულ ბაზარზე თავიანთი ინტერესების დასაცავად იშვიათად დაიბრუნებენ“, – აცხადებს ტურძელაძე

„სერვიესგან“ განსხვავებით, პრეტენზიები არ გააჩნია შვეიცარიულ კომპანია „ჰოფმან ლა როშის“, რომლის კუთვნილი მედიკამენტის – „ქსენიკალის“ გენერიკს, სახელწოდებით – „ორლიპი“, ასევე ქართული კომპანია GMP ამზადებს. საქართველოში „ჰოფმან ლა როშის“ წარმომადგენლის, გიორგი რამიშვილის განცხადებით, ეს არ ეწინააღმდეგება საპატენტო უფლებებს, რადგან პრეპარატს საერთაშორისო პატენტი კი აქვს, მაგრამ საქართველოში დაპატენტებული არ არის. მისივე თქმით, „ორლიპი“ ევროპის ქვეყნებში ვერასოდეს გავა, რადგან ევროპის ბაზარზე მათი კომპანიის მიერ დამზადებული მედიკამენტი იყიდება.

ფარმაცევტული კომპანიების ლოზსტაში ხელისუფლებამ

„მოგესალმებით, პატივცემულო საზოგადოებავ! მინდა შემოგთავაზოთ ჩემი ხედვა, როგორც პარლამენტის წევრის და ფარმაცევტულ სექტორში მოღვაწე მენეჯერის“, (საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური საკითხთა კომიტეტის სხდომის ოქმი №51; 28.04.2005) – ასე მიმართა დეპუტატმა ოქრიაშვილმა კომიტეტის სხდომაზე შეკრებილ საზოგადოებას. გამოსვლაში წამლების ხარისხს გაკვირით შეეხო და წამლების სააგენტოს ფარმაცევტული ბიზნესის დაცვისკენ ღიად მოუწოდა: „ფარმაციის, როგორც ეკონომიკის დარგის განვითარების ხელშეწყობის მისია უნდა გაიზაროს სააგენტოს ყველა თანამშრომელმა და ამით იხელმძღვანელოს ყოველდღიურ ცხოვრებაში“.

ოქრიაშვილის გამოსვლაში ორი წინააღმდეგობა: პირველი – კანონი უკრძალავს საქართველოს პარლამენტის წევრს პარალელურად იყოს მენეჯერი; მეორე – წამლის სააგენტოს მიზანია „...მოსახლეობის ეფექტური, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველსაყოფად ფარმაცევტული დანსებულებების სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი“, და არა – ბიზნესის ხელშეწყობა.

2005 წლის პირველ ივლისს კახა ოქრიაშვილმა პარლამენტის სხდომას „კანონპროექტის შექმნის მიზანი“ განუმარტა, როგორც „ბიზნესთან დაკავშირებული სახელმწიფო პრიორიტეტის მხარდაჭერა, რაც ბიზნესისთვის ზედმეტი ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებაში გამოიხატება“. სხდომის სტენოგრამიდან ირკვევა, რომ კომიტეტის თავმჯდომარის, გიგი წერეთლის განმარტებით, სათანადო ცვლილებები კომიტეტში კახა ოქრიაშვილის ინიციატივით მომზადდა.

კანონში ორი ძირითადი ცვლილება მოხდა, რომლის შედეგადაც, წამლის რეგისტრაციის მძიებლისთვის მედიკამენტის შემოტანის და გაყიდვის უფლების მოპოვება გამარტივდა. ცვლილების თანახმად, „რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი რეგისტრაციის მძიებელს“. თუ კანონით განსაზღვრულ ვადაში „რეგისტრაციის მძიებელს არ ეცნობება გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, სამკურნალო საშუალება რეგისტრირებულიად ითვლება და სააგენტო ვალდებულია, გასცეს სარეგისტრაციო მონობა“. ამავე დროს, წამლის რეგისტრაციის ვადა 4-დან 3 თვემდე შემცირდა.

წამლის სააგენტოს ყოფილი უფროსი თინა ტურძელაძე აცხადებს, რომ „ფარმაცევტული ბაზრის რეგულაციის მთავარი ინსტრუმენტია რეგისტრაცია, ანუ წამლების სახელმწიფო ექსპერტიზა, რომლის საფუძველზეც მათი ბაზარზე დაშვების ნებართვა გაიცემა. სახელმწიფომ კი, ერთი მხრივ, შეზღუდა რეგისტრაციის ვადა, მეორე მხრივ – წამლის სააგენტოს საშტატო ერთეული; არ გამოყო სათანადო დაფინანსება. საპროცედურო ვადის დარღვევის შემთხვევაში კი, დაწუნებული წამლის ბაზარზე შემოსვლის ალბათობა გაიზარდა. ჯანდაცვის კომიტეტის მიერ წამლის შესახებ კანონში გაკეთებული ეს ჩანაწერი მსოფლიო ფარმაცევტულ კანონმდებლობაში უპრეცედენტოა“.

ფარმაცევტული ბაზრის რეგულაციაში 2002 წლის 3 მაისსაც მოხდა ერთი ნიშანდობლივი ცვლილება, რომელიც წამლების სერიულ კონტროლს ენებოდა. ჯანდაცვის მაშინდელმა მინისტრმა, ამირან გამყრელიძემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, სავალდებულო სერიულ კონტროლს ექვემდებარებოდა: ა) სუბსტანციები; ბ) ნარკოტიკული და სანარკოზე საშუალებები; გ) ვაქცინები და შრატები; დ) სისხლის პრეპარატები, სისხლის შემცვლელი და ხსნარები კონსერვაციისთვის; ე) ანტიბიოტიკები; ვ) საინფუზიო გადასასხმელი ხსნარები; ზ) საინექციო სამკურნალო საშუალებები; თ) თვალის წვეთები; ი) პედიატრიული წამლები.

ერთი თვის თავზე, მინისტრის ახალი ბრძანებით, ჩამონათვალიდან ამოიღეს ე), ვ), ზ), თ), ი) ქვეპუნქტები, რის შემდეგაც აღნიშნული ჯგუფის მედიკამენტთა სერიული შემოწმება კონტროლს აღარ ექვემდებარება. ამ გადაწყვეტილების ანალიზით ირკვევა, რომ გაუქმდა ყველა იმ მედიკამენტის სერიული შემოწმება, რომელიც კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს შემოჰქონდათ საქართველოში. ჩამონათვალში დატოვეს ყველა ისეთი მედიკამენტი, რომელიც საქართველოში სახელმწიფოს შემოაქვს და რომელთა (მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებების და შრატების) შემოწმებაც, ლაბორატორიის არარსებობის გამო, შეუძლებელია.

ამ ბრძანებით ძალაში დარჩა სუბსტანციების ანუ იმ ნივთიერებების სახელმწიფო სერიული კონტროლი, რომლისგანაც მზადდება წამალი. თუმცა, ექსპერტები აცხადებენ, რომ არ ხდება სუბსტანციების სათანადო კონტროლი: „კაცმა არ იცის, რისგან მზადდება წამალი. ფარმაცევტული კომპანიები თვითონ აკეთებენ სუბსტანციისა და გამზადებული წამლის ანალიზს და თავადვე გასცემენ სარეალიზაციო

სერტიფიკატს. შერჩევითი კონტროლი მანც უნდა ტარდებოდეს ნორმალურად და ეს უნდა ხდებოდეს სისტემატურად და არა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ“, – აცხადებს ლაბორატორია „ჯეოლაბის“ დირექტორი, ქეთევან ბარამიძე.

კომპანია PSP-ს განცხადებით, „სუბსტანციები შემოდის ამერიკიდან და ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან. წარმოებისათვის აუცილებელი აქტიური სუბსტანციის ყველა სერია კი ქარხანა GMP-ს თანამედროვე დონის ლაბორატორიაში მოწოდება“. კომპანია „ავერსის“ წარმომადგენლებმა ინტერვიუზე უარი განაცხადეს, მათ არც ჩვენ მიერ გაგზავნილ წერილობით კითხვებზე გასცეს პასუხი.

თავად მედიკამენტებს, რომლის სუბსტანციები და ინ ბალკები (დაუფასოებელი პრეპარატი, რომელიც ბლისტრებში ჯერ არ არის განანიღბული) შემოტანილია სხვადასხვა ქვეყნიდან, არ აწერია მწარმოებელი ქვეყანა და საბოლოოდ მასზე მწარმოებელ ქვეყანა უთითებენ საქართველოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელმა არ იცის, რომელი ქვეყნიდან შემოტანილი ნივთიერებებითა და სუბსტანციებით დამზადებულ პრეპარატს მოიხმარს. წამალზე მწარმოებლის არმითითება ამა თუ იმ საეჭვო წარმომავლობის პრეპარატის შენიღბვის საუკეთესო საშუალებაა.

სერიულის მსგავსად, კანონით, სავალდებულოა მედიკამენტების შერჩევითი კონტროლიც. 2007 და 2008 წლებში, წამლის სააგენტომ ტენდერში გამარჯვების შემდეგ კონტრაქტი გაუფორმა ფარმაცევტულ ლაბორატორია „ჯეოლაბს“. ლაბორატორიამ 2007 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით 236 მედიკამენტი გამოიკვლია, საიდანაც 39 დასახელების მედიკამენტი (17%) უფარგისი აღმოჩნდა. ამავე წელს წამლის სააგენტომ „ჯეოლაბს“ შეამოწმებინა 97 სარეგისტრაციო ნიმუში. აქედან 12-ის ანალიზის მეთოდები უფარგისი იყო, 43 კი ე.წ. რისკის ჯგუფს წამოადგენდა.

2008 წელს, „ჯეოლაბთან“ კონტრაქტი წლის მიწურულს, 29 ოქტომბერს გაფორმდა, ხოლო საკვლევი მედიკამენტები – 47 სარეგისტრაციო ნიმუში და 39 მედიკამენტი შერჩევითი კონტროლისთვის ლაბორატორიაში დეკემბრის თვეში შევიდა. 47-დან 3 უფარგისი იყო, 7-ს უფარგისი ანალიზის მეთოდები ჰქონდა, ანუ მისი ვარგისიანობა არ დასტურდებოდა. 39 მედიკამენტიდან კი უფარგისი არც ერთი არ აღმოჩნდა. „რაც შეეხება 2009 წელს, მთელი ეს პერიოდი ფარმაცევტული ბაზარი უკონტროლოდაა. სახელმწიფო მთელი წელი რომ წამალს არ იყიდის და დეკემბრის ბოლოს 39 დასახელების მედი-

კამენტს შეამოწმებს, ამას კონტროლი არ ჰქვია“, – ამბობს ქეთევან ბარამიძე.

აღმოჩნდა, რომ წელს, ფასთა კოტირებით შერჩეულმა სახელმწიფო ლაბორატორიამ – „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრმა“ გაიმარჯვა. საგანგებო ტესტირის არქონის გამო, ეს ლაბორატორია წელს მედიკამენტების სრულ ანალიზს ვერ ატარებს, ამიტომ გარკვეულ მედიკამენტებზე ტესტებს PSP-ს ქარხნის GMP-ს ლაბორატორიას შეუკვეთავს. ქეთევან ბარამიძის განცხადებით, გარდა იმისა, რომ ეს ინტერესთა კონფლიქტს იწვევს, ასევე საშუალებას იძლევა, ყველა მწარმოებლის ანალიზის კონფიდენციალური მეთოდი და წამლის დოსიები თავისუფლად მოხვდეს ადგილობრივი მწარმოებლის ხელში.

GMP-ს წარმომადგენელი ინტერესთა კონფლიქტს ვერ ხედავს და აცხადებს, რომ ყველა ქვეყანაში მწარმოებელი ამოწმებს საკუთარ მედიკამენტებს, ხოლო თუ სახელმწიფოს ხარისხის გადამოწმების სურვილი ექნება, რა თქმა უნდა, საამისო ინსტრუმენტს უნდა ფლობდეს.

ქართულ ბაზარზე 6000-ზე მეტი წამლის სხვადასხვა დოზა-ფორმის 18 000-მდე პრეპარატი ბრუნავს. გასულ წელს სააგენტომ მხოლოდ 39 შეამოწმა. სახელ-

ბი პენსიონერების მედიკამენტებით უზრუნველყოფისთვის 755 000 ლარი გამოეყო. იმავე 17 დეკემბერს გამოიცა ქუთაისის მერიის ბრძანება, ქუთაისში ამ პროგრამის ფარგლებში მომსახურე სააფთიაქო ქსელის შერჩევისთვის დროებითი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. ამავე 17 დეკემბერს გაზეთ „24 საათში“ ამის შესახებ განცხადება გამოქვეყნდა. განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადება წარდგენილი უნდა ყოფილიყო 18 დეკემბრის 10-დან 16 საათამდე, ხოლო გამარჯვებული უნდა გამოვლენილიყო ამავე 18 დეკემბერს 16 საათის შემდეგ. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი შედგენილია ამავე 18 დეკემბერს 16 საათსა და 30 წუთზე, რომლითაც ირკვევა, რომ კონკურსში მპს „ავერსისა“ და PSP-ს ერთობლივმა წინადადებათა გამარჯვება („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ ჩატარებული სამთავრობო ფონდების მონიტორინგის ანგარიშიდან)

რამდენიმე თვის შემდეგ PSP-მ და „ავერსმა“ მმართველ პარტიას – „ნაციონალურ მოძრაობას“, საარჩევნო კამპანიისთვის 100-100 ათასი ლარი გადაუხადეს. PSP-ს დამფუძნებელი კი „ნაცმოძრაობიდან“ კენჭს თავად იყრიდა და დღეს იგი პარლა-

სახელმწიფოს მხრიდან ხარისხზე კონტროლი ფაქტობრივად არ არსებობს. ფარმაცევტული კომპანიები არიან წამლის შემოგზავნილები, დისტრიბუტორები, დამამზადებლები, და ბოლოს - მომხმარებლები.

მწიფო კი, რომლის მოვალეობა ხარისხის კონტროლია, რეკლამას კერძო ფარმაცევტულ კომპანიებს უწევს. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრი, ლაშა ჟვანია აცხადებს: „ყურადღება მიაქციეთ ამ (GMP) წარმოების ლოგოს და აქაური მედიკამენტი შეიძინეთ. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ ქართულ წარმოებას, დასაქმებასა და საქართველოში მეტი შემოსავლების შემოტანას. აუცილებლად საქართველოში წარმოებული პრეპარატი შეიძინეთ, რომელიც მაღალხარისხიანია, უცხოეთში წარმოებული წამლების იდენტურია და საკმაოდ იაფიც“. მინისტრის ეს განცხადება PSP-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზეც უდევს.


ფარმაცევტული კომპანიებისა და ხელისუფლების ფარული ბარიერები

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის №719 განკარგულებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქუთაისის მერიას ქუთაისში მცხოვრე-

მენტში მმართველი პარტიის უმრავლესობის წევრია.

დღევანდელი რეალობა

სახელმწიფოს მხრიდან ხარისხზე კონტროლი ფაქტობრივად არ არსებობს. ფარმაცევტული კომპანიები არიან წამლის შემოგზავნილები, დისტრიბუტორები, დამამზადებლები, და ბოლოს – მომხმარებლები, რადგან პოსპიტალური ქსელის გარკვეულ ნაწილს ფლობენ. ამ ბოლო დროს კი, ნაცვლად კონკურენციის გაზრდისა, სახელმწიფომ მათ წამლის ხარისხის კონტროლის ექსკლუზიური უფლებაც გადასცა.

უკონკურენტო ფარმაცევტულ ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან ხარისხზე კონტროლის არარსებობა, მედიკამენტების მიმართ სანდობას ამცირებს და ფასებს კატასტროფულად ზრდის. დღეს საქართველოში ადამიანებმა არ იციან, რა წამლებს სვამენ და რამდენად ეფექტიანია ის მათი ჯანმრთელობისათვის. 



სასოლო ჩემო რვა

რატომ ფერხდება სასკოლო რეფორმა

უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი მესამედ იცვლება.

თამარ ღონღაძე



ფოტო: ლაშით მისი

რევორმის დასაწყისში, 2004 წელს არავის ჰქონდა ილუზია, რომ პოზიტიურ შედეგებს ერთ-ორ წელიწადში მივიღებდით, მაგრამ საკმაოდ მტკივნეული და მწვავე პროცესების მიუხედავად, კონცეპტუალურად სრულიად ახალი, ბავშვსა და სწავლების ხარისხზე ორიენტირებული სისტემის შექმნა დაიწყო. მაშინდელი კანონმდებლობით სკოლას ავტონომიურად მართვის რეალური საშუალება მიეცა.

დღეს, თუკი თვალს მივადევნებთ უკანასკნელ ექვს თვეში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებათა ნუსხას, ამკარაა, რომ რეფორმის კურსი ან სტრატეგიულად შეიცვალა ან დიდი ხნით გადავადდა. ყოველ შემთხვევაში, ის ცვლილებები, რომელთაც პარლამენტში ამჟამად განიხილავენ, არც მოსწავლეზეა ორიენტირებული და არც სწავლების ხარისხზე. პედაგოგებს, ფაქტობრივად, არ რჩებათ მოტივაცია, მოემზადონ სერტიფიცირებისთვის, ხოლო სკოლებს – აკრედიტაციისთვის.

მოქმედი კანონმდებლობით, თუკი სკოლა ვერ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, ზედიზედ ორჯერ არ აქვს გავლილი აკრედიტაცია ანდა ზედიზედ ორჯერ მინიჭებული აქვს პირობითი აკრედიტაცია, ეს შეიძლება გახდეს არამართო სამეურვეო საბჭოს ლიკვიდაციის ან დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის, არამედ მთლიანად სკოლის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საფუძველიც. ამჟამად მომზადებული ცვლილებით ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მთელი პასუხისმგებლობა გადადის სამეურვეო საბჭოსა და დირექტორზე, სკოლას კი დახურვის საფრთხე არ ემუქრება; პედაგოგს არ რჩება პროფესიული განვითარების საბაზი. ამ ცვლილებით მათ სამსახურის დაკარგვის აღარ შეეშინდებათ, მით უმეტეს, რომ ბოლოს დამტკიცებული ცვლილებებით, მასწავლებელთა სავალდებულო სერტიფიცირება უკვე გადადებულია 2013-2014 სასწავლო წლამდე.

ამჟამად განსახილველ ცვლილებათა პროექტში 2013-2014 სასწავლო წლამდეა გადადებული საჯარო სკოლების აკრედიტირებაც, ხოლო ლიცენზირებული კერძო სკოლების – 2012-2013 წლამდე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობა ჯერ ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს და, ბუნებრივია, მათი უმრავლესობა დღეს ვერ გაივლიდა აკრედიტაციას. ამავ ცვლილებებით, აღარ იქნება სავალდებულო, მასწავლებელს ჰქონდეს

მხოლოდ მაგისტრის აკადემიური ხარისხი. თუკი პედაგოგი გაივლის მომზადების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას, ის მუშაობას ბაკალავრის ხარისხითაც შეძლებს. გარდა ამისა, დაკონკრეტდა სახელოვნებო და სასპორტო განათლების დონე და ამ საგნების მასწავლებლებს მოეთხოვებათ შესაბამისი უმაღლესი განათლება.

ცვლილებათა ამავ პროექტით, თუკი მასწავლებელი პროფესიული ეთიკის კოდექსს დაარღვევს, სამინისტრო აღარ იქნება ვალდებული, გამოიყენოს დისციპლინარული ხასიათის ღონისძიებები. ანუ თუ, მაგალითად, მასწავლებელი სცემს ბავშვებს და ამის გამო მას დირექტორი სამსახურიდან დაითხოვს, ის კვლავ შეძლებს მუშაობის დაწყებას სხვა სკოლაში. მოქმედი კანონმდებლობით, ასეთ შემთხვევაში, პროფესიული განვითარების ცენტრს პედაგოგისთვის შეეძლო ჩამოერთმია მასწავლებლობის უფლება. ეს ქვეპუნქტი ცვლილებათა ახალ პროექტში ამოღებულია.

რაც შეეხება სკოლის ავტონომიურობას, თუკი პარლამენტი ამ ცვლილებებს დაამტკიცებს, სკოლის მართვა აღარ იქნება დამოკიდებული იმ საზოგადოებაზე, რომელიც სკოლას წარმოადგენს. ანუ დირექტორს, სამეურვეო საბჭოს, მშობლებს და მასწავლებლებსაც ფაქტობრივად ერთმევათ მართვის ბერკეტები. სამეურვეო საბჭოში გადანყვეტილების ხმის უფლებით ინიშნება სამინისტროს წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლება მოიწვიოს სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილი საჯარო დისკუსიებში ამბობდა, რომ „ხშირ შემთხვევაში, სამეურვეო საბჭოები არამედიტები იმიტომ არიან, რომ არ იციან არც საკუთარი უფლებამოსილებები, არც მოქმედების სწორი სამართლებრივი გზა და არც სამინისტროს ზოგადი პოლიტიკა. ასე რომ, ერთი კაცი, რომელიც ამაში კომპეტენტურია, ყველა საბჭოს წაადგება“.

თუმცა, საეჭვოა, საქართველოში მოიძებნოს 2000-ზე მეტი ისეთი კომპეტენტის ადამიანი, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე საუბრობს, რადგან საქართველოში 2000-ზე მეტი საჯარო სკოლაა. გარდა ამისა, კონსულტაციები და დახმარების უფლება სამინისტროსა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს აქამდეც ჰქონდათ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და

შეფასების ცენტრის დირექტორი სიმონ ჯანაშია მიიჩნევს, რომ წინასწარ შეუძლებელია იმის თქმა, რამდენად გააქტიურდება სამეურვეო საბჭოს მუშაობა მასში სამინისტროს წარმომადგენლის დანიშნით. „შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს, რადგან თუ საბჭოს წევრები ისედაც პასიურები არიან, მოსალოდნელია, რომ მათ მთელი პასუხისმგებლობა ამ ადამიანს გადააბარონ და მის გადანყვეტილებებს დაელოდონ, თუ ასე არ მოხდება, არ არის გამორიცხული კონფლიქტებიც“.

გარდა ამისა, ცვლილებები უნდა შეეხოს კიდევ რამდენიმე მუხლს, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო დაანესებს კონტროლს, თუ რამდენად სრულდება სკოლებში არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის, არამედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. მაგალითად, ამგვარი აქტით სამინისტროსთვის შესაძლებელი ხდება, არ დაეთანხმოს სამეურვეო საბჭოს გადანყვეტილებას და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს. მოქმედი კანონმდებლობით, თუკი დირექტორი ამ აქტს გაასაჩივრებდა, მას ავტომატურად უბრუნებოდა უფლებამოსილება სასამართლოს საბოლოო გადანყვეტილებამდე. ახლა შეტანილი ცვლილებით, დირექტორი მოიხსნება თანამდებობიდან, ხოლო სამინისტრო დანიშნავს მისი მოვალეობის შემსრულებელს საქმის საბოლოოდ დასრულებამდე.

ცვლილებათა ამ პროექტში ბოლომდე არ არის განმარტებული, თუ რა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევაზეა ლაპარაკი. სკოლის დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, თეა თუთბერიძე აცხადებს, რომ მინისტრის ბრძანებით, დღესაც უამრავ სისულელეზე უცხადებენ სკოლებს გაფრთხილებას; „მაგალითად იმაზე, თუ რატომ არ აქვს სკოლას მისსავე ეზოში არსებული ხეები აყვანილი ბალანსზე, ან რატომ არა აქვს სკოლას წყალი, როცა მთელს სოფელს არა აქვს წყალი და ასე შემდეგ. სხვათა შორის, ამგვარი აქტებით სამინისტრომ უკვე მოხსნა რეგისტრაციიდან ნახიდურის, საქაშეთისა და გურჯაანის სკოლების დირექტორები. გარდა ამისა, ამ პროექტში არ არის განწერილი, თუკი სასამართლო დირექტორის სასარგებლოდ გამოიტანს გადანყვეტილებას, სამინისტრო როგორ ალადგენს მას“.

არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარი

ცვლილებები სკოლების მართვის რეალური გამოცდილებით იყო ნაკარნახევი. როგორც ჩანს, რეფორმის მიმდინარეობისას ვერ მოხერხდა საზოგადოების კარგად ინფორმირება იმის შესახებ, რომ გადანყვეტილებები თვითონ უნდა მიიღონ და პასუხისმგებლობა ყველაფერზე სამინისტროს აღარ მოსთხოვონ. თუმცა დღეს, თუ მასწავლებელი სკოლაში ცუდად იქცევა, ამაში მშობელი, პედაგოგს და სკოლას კი არა, პირდაპირ სამინისტროს ადანაშაულებს. და მართლაც – როდესაც დირექტორის მიერ ერთი მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვა, პოლიტიკოსების განცხადებების საფუძველი ხდება, ეს ნიშნავს, რომ ეს სისტემა ისე არ მუშაობს როგორც იყო ჩაფიქრებული.

სიმონ ჯანაშიას თქმით, რეფორმის კურსი მიმართული იყო მენეჯმენტის სისტემის შექმნაზე: ანუ სახელმწიფო ადმინისტრირებას კი არ უნებდა ყველა პროცესს სკოლაში, არამედ ქმნიდა პირობებს. სისტემაში იგულისხმებოდა ისიც, რომ მასწავლებელი არ არის საჯარო მოხელე, ის არის დაქირავებული იმ ფულით, რომელსაც მოსწავლე მიიტანს სკოლაში. „ახლა კი გაჩნდა მოსაზრება: ხომ არ გამოვიყენოთ ადმინისტრირება, როგორც მეთოდი მენეჯმენტამდე მისვლისათვის? იქნებ გვჭირდება ნაწილობრივი ადმინისტრირება იმისთვის, რომ ხალხმა ისწავლოს, როგორ მართოს საკუთარი თვით?“ – აცხადებს სიმონ ჯანაშია, თუმცა დასძენს, რომ ნინასნარ ძნელია იმის განსაზღვრა, რამდენად საუკეთესოა ეს გზა. მისი აზრით, სამეურვეო საბჭოების მუშაობის გააქტიურება სხვა საშუალებებითაც იყო შესაძლებელი – როგორცაა ტრენინგები და პასუხისმგებლობების მათზე მკვეთრად გადაბარება. „სკოლის შიდა საკითხებზე სამინისტრომ საჯაროდ უნდა თქვას, რომ ეს მას არ ეხება. ანუ მათ ეხებათ მხოლოდ პირობების შექმნა და არა გადანყვეტილებების მიღება. ეს საზოგადოების დიდ ნაწილს არ ესმის და ყველაფერზე პასუხს სამინისტროსა და მის ხელმძღვანელს სთხოვს“, – ამბობს ჯანაშია.

თუმცა ამ ცვლილებების გარეშეც, საქართველოს რეგიონებში სკოლების ცენტრალიზაცია უკვე დაწყებულია. ამას ადასტურებს 14 ივნისის სამეურვეო საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები.

სკოლების უმრავლესობაში საარჩევნო კამპანია არ გამართულა. საქართველოს უამრავ რაიონში ადგილობრივი თვითმ-

მართველობის ორგანოების წარმომადგენლები და გამგებლები უშუალოდ ადგენდნენ სიას, ვინ უნდა შესულიყო ამ საბჭოებში. მათთვის არასასურველ ადამიანებს აიძულებდნენ, მოეხსნათ კანდიდატურები და უახლოესი ნათესავების სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ. მათ, ვინც არ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, დღემდე ავიწროებენ.

კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის საჯარო სკოლაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რესურსცენტრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოს წევრობის კანდიდატა უმრავლესობა. მათ აზრი ღიად და დაუფარავად გამოხატეს. სამეურვეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მარინა ოდიშვილი ამტკიცებს: „გამგეობის, საკრებულოს წარმომადგენლები გვემუქრებოდნენ, კრიმინალებიც გამოიყენეს დასამინებლად. ერთ-ერთი მშობელი, რომელიც კენჭს იყრიდა, ცხინვალისგან დევნილია და მას უშუალოდ ჩვენი გამგებლის მდივანი დაემუქრა, – დახმარებას შეგინწყვეტო. მიუხედავად ამ დაშინებისა, ამ ქალბატონმა მაინც არ მოხსნა კანდიდატურა. ცალკე ემუქრებიან დირექტორს, მისი შვილი უკვე დაითხოვეს სამსახურიდან. ყოველივეზე საგანგებო წერილით მივმართე რესურსცენტრს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ჩვენი სოფლიდან კილომეტრნახევარში დგას რუსის ჯარი, მას არ დაუშინებია ეს ხალხი ისე, როგორც ეს ჩვენმა ადგილობრივმა უწყებებმა შეძლეს“.

თითქმის იდენტური ვითარება შეიქმნა ამავე რაიონის სოფელ სასირეთის, ხაშურის რაიონის მეშვიდე და დედოფლისწყაროს რაიონის პირველ საჯარო სკოლებში. თუმცა, როგორც ხაშურის რაიონის მეშვიდე სკოლის დირექტორმა მანანა ლაცაბიძემ გვაცნობა, ის შეხვდა რაიონის გამგებელს და ამ ეტაპისთვის პრობლემა აღმოფხვრილია, ანუ გამგეობა აღარ ეცდებოდა, ჩაერიოს კანდიდატურების შერჩევაში.

ცვლილებების პროექტი, სავარაუდოდ, მალე შევა ძალაში. მასში რამდენიმე საგულისხმო დადებითი სიახლეცაა. მაგალითად, მასწავლებლისთვის აღარ იქნება სავალდებულო, ჰქონდეს მხოლოდ მაგისტრის აკადემიური ხარისხი. თუკი პედაგოგი გაივლის მომზადების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას, ის მუშაობას ბაკალავრის ხარისხითაც შეძლებს. ეს ალბათ უფრო მეტ ახალგაზრდას მისცემს შესაძლებლობას, უკეთ მოერგოს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და 2004 წლისთვის დადგენილ სტანდარ-

ტებს. დაკონკრეტდა სახელოვნებო და სასპორტო განათლების დონეც და ამ საგნების მასწავლებლებს მოეთხოვებათ, შესაბამისი უმაღლესი განათლება ჰქონდეთ (213 მუხლის მე-2-3 პუნქტები).

რაც შეეხება ცვლილებების უფრო სადავო პუნქტებს, ჯერჯერობით უცნობია, როგორ შეცვლის უკვე ცენტრალიზაციისკენ დაძრულ პროცესებს სკოლაში ეს ცვლილებები. მთავარია, მათი გავლენით სკოლებში დამოუკიდებლად მართვის სურვილი სულ არ დაიკარგოს, რადგან ამ სურვილის გარეშე, შესაძლოა, ისევე უკან, მარიონეტებით მართულ სივრცეში დავბრუნდეთ.

გვინდა, მეტი გონებაგახსნილი, აზრიანი ახალგაზრდა ვიხილოთ, არ გვინდა ბავშვებისთვის სკოლაში სიარული სავალდებულო ტანჯვად იქცეს. ჩვენს კერძო და საჯარო სკოლებს შორის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავებაც სწორედ ეს არის – კერძო სკოლებში ბავშვების უმრავლესობას აქვს სწავლის აზარტი. როგორც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი დავით ჰაიჭაძე აღნიშნავს: „კარგი მართვა და ხარისხიანი სწავლება მეტწილად ძვირადღირებულ სკოლებში ხორციელდება. საქართველოს მომავალი დღეს ალბათ ამ სკოლებში ყალიბდება, მაგრამ რეფორმის მიზანი უწინარესად ჩვეულებრივი საჯარო სკოლების მოდერნიზება უნდა იყოს“. დაუშვებელია, რომ ეს მიზანი, როგორც პრიორიტეტი, ხელისუფლების თვალთახედვიდან საერთოდ გაქრეს. ■

რაფორმის კურსი ან სტრატეგიულად შეიხვეწა ან გადაკვდა. ცვლილებაში, როგორცაა პარლამენტში ამაჟამად განიხილავან, არც მოსწავლეებსა და არც სწავლებლის ხარისხზე. პედაგოგებს, ფაქტობრივად, არ ჩნდებათ მოტივაცია, მოაქვანონ სერტიფიკაციისთვის, სოლო სკოლებს – აკრედიტაციისთვის.



მიქარქოეზული სივართულა

საკუთარი თავის ძიების პროცესი დასრულდა. „მაესტრომ“ უკვე იცის, რომ ის ოპოზიციის ტელევიზიად დარჩება >>

იკა ჭითანაშვილი, ანიტა თვაშარი

თანამგზავრული მაუწყებლობის უფლება ტელეკომპანია „მაესტროს“ მთელ საქართველოში გავრცელების საშუალებას მისცემს. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი ირაკლი მოსესვილი ამბობს, რომ ნებართვის გაცემის „ხელის შემშლელი ფაქტორები“ აღარ არსებობს. კომისიამ მიიღო „მაესტროს“ მფლობელის, მამუკა ლლონტის არგუმენტები, რომ საქართველოში საავტორო უფლებები დაურეგულირებელია და არალიცენზირებულ ფილმებს სხვა ტელეკომპანიებიც უშვებენ. ამით „მაესტროს“ წინააღმდეგ ძირითადი ბრალდება მოიხსნა. უკვე დასრულებულია საერთო ლიცენზიის მოპოვებისათვის თითქმის ერთნაირი დავაც ეროვნულ კომისიასთან.

მთელი საქართველო საკუთარ აუდიტორიად – ეს „მაესტროს“ დიდი ხნის ოცნება იყო. ამბიციური მიზნების დასახვა მუსიკალურმა არხმა, რომლის მაცურებლის უმრავლესობა თბილისელი თინეიჯერი მელომანი იყო, 2007 წლის ნოემბერში დაიწყო. ნოემბრის აქციების დაშლამ და ტელეკომპანია „იმედის“ დახურვამ არხის ხელმძღვანელს გადამწყვეტი ბიძგი მისცა. იმ პერიოდში ეთერში პირველად გავიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „პროფესია ჟურნალისტი“. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სპეციალიზირებული ლიცენზიის

მქონე არხს ასეთი პროგრამის გაშვება არ შეეძლო, თუმცა „მაესტროს“ ამ გზით საინფორმაციო ვაკუუმის შევსება უნდოდა. „პროტესტის გრძობა გავგინდა და გადავწყვიტეთ, ფორმატი შეგვეცვალა“, – აღნიშნავს მამუკა ლლონტი.

ბრძოლა არხის ახალი სახის მოსაპოვებლად ამით გამწვავდა. კანონის დარღვევისთვის „მაესტროს“ იძულებული გახდა, რვა თვის განმავლობაში ეთერიდან მოეხსნა პოლიტიკური გადაცემები. „მაესტროს“ თხოვნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიცენზიის მიღების შესახებ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არ დააკმაყოფილა, რადგან, კანონის მიხედვით, კომისიას ახალი განაცხადის განხილვა გაფრთხილების მიღებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეუძლია. „მაესტრომ“ ამ პროცედურებს გვერდი აუარა, ვადის ამუშურვას არ დაელოდა და კომისიას სასამართლოში უჩივლა.

მაღე „მაესტროსთვის“ ახალი ლიცენზიის მიცემის საკითხის განხილვა სასამართლოს კედლებს გასცდა და პოლიტიკური გარიგებების საგანი გახდა.

„პოლიტიკური საფრთხის არიდების მოტივით“, პარლამენტმა „მაესტროს“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების გაშუქების ნებართვა მისცა და რვათვიანი პაუზის შემდეგ განახლდა გადაცემები –

„პროფესია ჟურნალისტი“, „გამოკითხვა“ და „უკომენტაროდ“.

ამ დროიდან „მაესტრომ“ ახალი სტატუსის „გამყარება“ დაიწყო. „ოპოზიციური არხი“ – უკვე პირდაპირ ასე მოიხსენიებდნენ მას უცხოურ პრესაშიც და ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც.

კიდევ ერთი „ოპოზიციური“ არხის გაჩენა ლოგიკური იყო: ტელეკომპანია „იმედის“ პროსახელისუფლებო არხად გადაქცევის შემდეგ მედია ბაზარს სჭირდებოდა საპირწონე, რომელიც „კავკასიასთან“ ერთად სახელმწიფო პროპაგანდას დაბალანსებდა. საზოგადოებას ეტყოდა იმას, რაც ნაციონალური მაუწყებლების ეთერს მიღმა რჩებოდა.

„მაესტრომ“ საკუთარი მისია დაახლოებით ასე დაინახა – მას სიმართლე უნდა გაეგრძელებინა. თუმცა, სპეკტიციზმი სწორედ ამ მისიის შესრულებისას ჩნდება. ზეიად ქორიძე ვარაუდობს, რომ როდესაც ორი სხვადასხვა მხარე ერთ და იმავე მოვლენაზე სიმართლის საკუთარ ვერსიას გთავაზობს, შედეგად შეიძლება მივიღოთ ორი ტყუილი. „ობიექტურობას საშუალო არითმეტიკულით ვერ მიიღებ. ერთი ამბობს თავის სიმართლეს, მეორე თავისას და რაღაც მესამე კი ივარგება და ეს მესამეა სინამდვილეში ის, რაც საზოგადოებას აინტერესებს“.

ჟურნალისტი ია ანთაძის თქმით, საკამათო თავად ფაქტი გახდა და არა მისი შეფასება. შედეგად კი, საზოგადოება არაინფორმირებული რჩება.

მედია მკვლევარების აზრით, ობიექტურობის შენარჩუნებას „მაესტროს“ ცდილობს გადაცემით – „უკომენტაროდ“. სპეციფიკური ფორმატი თითქოს მიუკერძოებლობის გარანტი უნდა ყოფილიყო, თუმცა კადრების წყობითა და მთავარი თემის არჩევით ბალანსი მაინც დარღვეულია.

მედია მკვლევარი ნინო დანელია ტენდენციურობის საილუსტრაციოდ ერთსა და იმავე დღეს „რუსთავი 2“-სა და „მაესტროს“ ეთერში გასულ სიუჟეტებს ადარებს. „მამინ, როცა „რუსთავი 2“-მა გია გაჩეჩილაძის ქუთაისში ჩასვლა და მოსახლეობასთან შეხვედრა არ გააშუქა, „მაესტროს“ ნაბუქოს სტრატეგიული პროექტის განხილვა არ უჩვენებია“, – აღნიშნავს ნინო დანელია.

ჟურნალისტი ია ანთაძეც იხსენებს ერთ-ერთ შემთხვევას, როცა „მაესტრომ“ დილის ეთერში აჩვენა კადრები, სადაც პრეზიდენტი და პატრიარქი 9 აპრილის მემორიალთან ერთად იდგნენ. მოგვიანებით კი, როცა ჟურნალისტი თავად მივიდა მიტინგზე, აღმოჩინა, რომ 9 აპრილის მემორიალთან პრეზიდენტის გვერდით ლევან

გაჩეჩილაძე იყო, თუმცა „მაესტროს“ ეს კადრი, სხვა არხებისგან განსხვავებით, არ უჩვენებია.

„მაესტროს“ მიერ პოლიტიკური პროცესების გაშუქება, „ვარდების რევოლუციამდე“ „რუსთავი 2“-ის მუშაობის სტილს ჰგავს, როცა კადრების შერჩევითა და ოპოზიციური პარტიებისთვის საეთერო დროის უმეტესი ნაწილის დათმობით ტელეკომპანია რევოლუციური მუხტის გაძლიერებას ცდილობდა.

თუმცა „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ეროსი კინმარიშვილის აზრით, „მაესტროსა“ და „რუსთავი 2“-ს შორის პარალელის გავლება უადგილოა. „ეს სპილოსა და ჭიანჭველას შედარებას ჰგავს“, – ამბობს კინმარიშვილი. „მაესტროს“ ჯერ კიდევ მხოლოდ თბილისსა და მის შემოგარენში მაუწყებლობს, შესაბამისად, მისი გავლენის არეალი, „რუსთავი 2“-თან შედარებით, დღესაც გაცილებით ნაკლებია.

კინმარიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ 2003-ში მან კონკრეტულ ოპოზიციურ ძალას „სიმშვიდის გარანტია“ და „კომფორტული გარემო“ შეუქმნა, „მაესტროსგან“ განსხვავებით, „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამებში მთავრობა და ოპოზიცია თანაბრად იყო წარმოდგენილი.

მამუკა ლლონტი კი არხის ტენდენციურობას არა მდელა სტანდარტებით, არამედ მაყურებლის რაოდენობის მიხედვით აფასებს. „ბალანსი რომ დემოკრატიულობის განმსაზღვრელი იყოს, მაშინ კანონში იქნებოდა შეტანილი, – აღნიშნავს არხის მფლობელი, – ვის რა პროპორციით ვაჩვენებ, ამას ჩემი ბიზნესი მკარნახობს“.

დაუბალანსებლობას „მაესტროში“ ვიდუოტეჟნიკის სიმწირითაც ამართლებენ. „მაესტროს“ სულ ხუთი კამერა აქვს. ამიტომ, მაგალითად კახეთში სააკაშვილის ვიზიტის ჩვენებას, ოპოზიციური პარტიების მიტინგის გაშუქებას ამჯობნიებს.

არჩევანი ოპოზიციური თემატიკის სასარგებლოდ მხოლოდ არხის მფლობელის პოლიტიკური მოსაზრებებით არაა ნაკარნახევი. მამუკა ლლონტი ამბობს, რომ ეს გარკვეულწილად მისი, როგორც ბიზნესმენის არჩევანია.

ნინო დანელიას აზრითაც, ასეთი ტელეკომპანიის შექმნა შესაბამებოდა არა მარტო მფლობელის იდეოლოგიას, არამედ ძალიან პრაგმატულ ინტერესსაც, რომ ოპოზიციური არხი იქნებოდა პოპულარული, გაჩნდებოდა რეკლამა და შემოვიდოდა ფული.

„ჩვენს საიტზე ყოველდღიურად საშუალოდ ექვსიდან 10 000-მდე მომხმარებელი

შემოდის. იყო დღეები, როცა მაყურებლის რაოდენობა 38 000-ს აღწევდა“, – აღნიშნავს მამუკა ლლონტი და დასძენს, რომ არხის პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ეთერში უცნობის რეალური შოუ „საკანი №5“ გავიდა, – „არ ველოდი, რომ პროექტი ასეთი წარმატებული იქნებოდა“.

„საკანი №5“-ის ეთერში გაშვების გადწყვეტილება „მაესტროს“ ხელმძღვანელმა არხის საბჭოსთან შეთანხმებით მიიღო. ჟურნალისტებითა და სახალხო დამცველის წარმომადგენლით საბჭო ლლონტმა პოლიტიკურ სამაუწყებლო სივრცეში დამკვიდრებისა და ნდობის მოპოვების მიზნით შექმნა. „საკანის“ ეთერში გაშვების სანინაღმდეგოდ არგუმენტები არ აღმოჩნდა. თუმცა, როგორც ნინო ჟიჟილაშვილი ამბობს, მათი მხრიდან უარყოფითი რეკომენდაციის მიცემის შემთხვევაში, უცნობია, გაითვალისწინებდა თუ არა ამ არგუმენტებს მამუკა ლლონტი.

რეალურად, „მაესტროს“ ოპოზიციური არხის იმიჯი სწორედ ამ პოლიტიკურმა შოუმ გაუმყარა. „საკანი №5“ ცდილობს, პატარა ფართობზე ნაკვერჩხალი მოაგროვოს და გააღვივოს, – აღნიშნავს ზვიად ქორიძე, – იგი პროტესტების შემგროვებელია“.


„საკანი №5“ – არხის მხრიდან მისი პოზიციის განმსაზღვრელი მანიფესტია. ეს ნიშნავს იმას, რომ „მაესტროს“ ხელისუფლების მიმართა განსაკუთრებულად კრიტიკული და რომ მისი კარი ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის ყოველთვის ღიაა. ალბათ, ამიტომაც გაუჩნდათ ოპოზიციურ პარტიებს „მაესტროს“ მიმართ „ჩვენი არ-

ხის“ განცდა. ნინო ჟიჟილაშვილის თქმით, მის გადაცემაში ოპოზიციონერი სტუმრები ისე მოდიან, როგორც საკუთარ სახლში. მათ ჰგონიათ, რომ ამ არხზე „მათი ჟურნალისტები“ მუშაობენ, და რომ არხი პირდაპირ „მათ საქმეს“ აკეთებს. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც პროსახელისუფლებო არხების მიმართ დაპირისპირებულ მხარეს ზუსტად ასეთივე განცდა აქვს.

თუმცა, „რუსთავი 2“-სგან განსხვავებით, „მაესტროს“ ჟურნალისტები აცხადებენ, რომ მამუკა ლლონტი მათ სარედაქციო საქმიანობაში არასდროს ერევა და ამ მხრივ სრულ თავისუფლებას გრძნობენ. რადიო „უცნობისა“ და „მაესტროს“ ერთობლივი პროექტის, „უცნობი კავკასია“, ავტორი ნინო ჟიჟილაშვილი აღნიშნავს, რომ მას ასეთი თავისუფლება მანამდე არასდროს ჰქონია, და არც „ყვითელი თუ წითელი ბარათები“ მიუღია.

მამუკა ლლონტის მტკიცებით, ტელეკომპანიისთვის შემოსავლის წყარო მხოლოდ რეკლამებია და ოპოზიციური პარტიებისგან ფინანსური დახმარება არასდროს მიუღია, თუმცა რამდენიმე თვის წინ „მაესტროს“ ცდუნების წინაშე დადგა. გაზეთ „ბათუმელებთან“ ინტერვიუში, ზურაბ ნოლაიდელმა დაადასტურა, რომ ამ არხისთვის ინვესტიციების მოზიდვას აპირებდა. თუმცა, მან ასევე განაცხადა, რომ არხის დაფინანსება მისი იდეა არ ყოფილა. როგორც „მაესტროს“ საბჭოს რამდენიმე წევრი ამბობს, ლლონტმა მათი რჩევა გაითვალისწინა და თანხაზე უარი თქვა. თუმცა, ნოლაიდელის პარტიამი გვითხრეს, რომ ფინანსური გარიგება ლევან გაჩეჩილაძეს, ზურაბ ნოლაიდელს და მამუკა ლლონტს

მედიის მდგრადობის ინდექსი: საქართველო



შორის წილებზე დავის გამო ჩაიშალა.

„მაესტროს“ შემოსავლის წყარო ბოლომდე გამჭვირვალე არაა. ერთადერთი, რაც მამუკა ლლონტიმ საჯაროდ განაცხადა ისაა, რომ აპრილის საპროტესტო აქციების დაწყებამდე, ნინო ბურჯანაძემ „მაესტროს“ ეთერში პოლიტიკური რეკლამის განთავსებამი 20 ათასი ლარი გადაიხადა. ასევე, პოლიტიკური რეკლამისთვის დრო შეიძინეს ეკა ბესელიამ და კახა კუკავამ.

„მაესტროს“ ხელმძღვანელის თქმით, აგვისტოდან არხი ახალი, უფრო დიდი შენობიდან გააგრძელებს მუშაობას. 25 მაისს, „მაესტროს“ ოფისთან ხელყუმბარა აფეთქდა. საქმე შენობის დაზიანების მუხლითაა აღძრული. „მაესტროს“ ჟურნალისტების თქმით, პატრული 45 წუთის დაგვიანებით მივიდა. მამუკა ლლონტი კი აცხადებს, ის ფაქტი, რომ აფეთქებას „შენობის დაზიანების“ და არა „ტერაქტის“ კვალიფიკაცია მიანიჭეს, ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებაზე მიუთითებს. ლლონტი მიიჩნევს, რომ ხელოვნურად შექმნილი ბარიერები არხის პოპულარობას კიდევ უფრო გაზრდის.

სექტემბრიდან „მაესტროს“ საინფორმაციო არხად გარდაქმნას გეგმავს, რომელიც უკვე მთელ საქართველოს დაფარავს. როგორც ლლონტი ამბობს, მუშაობის გაფართოებისთვის საჭირო თანხების მოძიებას კომპანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესმენებთან თანამშრომლობით აპირებს.

„მაესტროს“ სამომავლო გეგმებში შინა-არსობრივი ბალანსისა და მიუკერძოებლობის მიღწევა არ შედის. მამუკა ლლონტი ამტკიცებს, რომ „მაესტროს“ პოლიტიკური მხარე არც არის, ის ოპოზიციური ტელევიზიაა და ასეთად დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღევანდელი ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვა. ამით კი „მაესტროს“ არ გაიმეორებს „რუსთავი 2-ის“ გზას და კრიტიკას გამარჯვების ეიფორიით არ ჩანაცვლებს.

ჯერჯერობით ამის პრეცედენტი ქართულ მედიაში არ არის. ჟურნალისტთა ანთაძის თქმით, პრობაგანდისტულ არხად ქცევის საფრთხე მუდმივად არსებობს. როცა პოლიტიკური მღელვარება გადაივლის, ასეთი მედიასაშუალება წელში ვეღარ გაიმართება და მუდმივად იმ პოლიტიკურ ძალასთან იქნება ასოცირებული, ვისთან ერთადაც უკეთესი მომავლისთვის იბრძოდა. „ასე დაემართა „რუსთავი 2“-ს, ეს მოუვა ყველა მედიასაშუალებას, რომელიც არ მოერიდება იმას, რომ მხარე იყოს კონფლიქტურ სიტუაციაში. ამ გზას ადგას ახლა „მაესტროს“, მაგრამ – ნებაყოფლობით“.

ჯანდაცვა

დაზღვევის გარეშე ჯანდაცვა არ არსებობს

საჭიროა „იაფი დაზღვევის“ მარკეტინგული ანალიზი, შეცვლა და დახვეწა, რათა დაზღვევამ რეალური ფასი შეიძინოს >>

თიანო ცომაია



საქართველოს ფოტო

„იაფ დაზღვევაში“, წინასწარი გათვლებით, 500 ათასამდე ადამიანი უნდა ჩართულიყო. პროგრამის დაწყებიდან 4 თვის თავზე კი მთავრობის ინიციატივას სულ 40 000 ადამიანი გამოეხმაურა. თუმცა, ვიდრე პროგრამას განაჩენს გამოვუტანდეთ, ჯერ მისი საფუძვლიანი შეფასებაა საჭირო; მით უფრო, რომ მსგავსი რამ დღემდე არ გაკეთებულა. ექსპერტ დავით გზირიშვილის თქმით, საკითხის სათანადო კვლევა არ ჩატარებულა არც მაშინ, როცა პროგრამა იწყებოდა და არც ახლა, როცა მისი განხორციელება მიმდინარეობს. ამიტომ დასკვნების გაკეთება მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება.

საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარის დევი ხეჩინაშვილის აზრით, სადაზღვევო ინდუსტრიისათვის პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც ადამიანებს მარტივად ხელმისაწვდომ სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს და ქვეყანაში სრულიად ახალი სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თუმცა, ექსპერტ დავით გზირიშვილის თქმით, შეთავაზებული პროდუქტი მოსახლეობისათვის საკმარისად მომხიბვლელი არ აღმოჩნდა. მიზეზები, რომელთა გამოც, სასურველი რაოდენო-

ბით პირთა ჩართვა არ მოხდა, ბევრია და რთული. მათ შორის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არასტაბილური პოლიტიკური გარემოა, რაც აფერხებს დაბალმოსავლიან მოსახლეობას, ჯანმრთელობა თუნდაც არნახულად დაბალ ფასად დააზღვიოს. გზირიშვილი მეორე ფაქტორსაც გამოჰყოფს: ხელმოკლე ოჯახებში ჯანმრთელობის საფრთხეებისგან წინასწარ დაცვა დაზღვევის გზით, სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების ფონზე, ნაკლებად აქტუალურია.

დაზღვეველი ადამიანები ყველა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენენ. განსაკუთრებით რთულია თვითდასაქმებული ადამიანების ჩართვა დაზღვევის სისტემებში. ხეჩინაშვილის თქმით, ასეთი ადამიანების რიცხვი დაახლოებით 2 მილიონამდეა საქართველოში. „იაფი დაზღვევის“ მიზანი იყო, სწორედ თვითდასაქმებულებს მისწვდომოდა და, ფინანსური სტიმულირების გზით, რომლის დროსაც სახელმწიფო დაზღვევის ხარჯების მესამედს თავად დაფარავდა, გაეადვილებინა მათთვის სადაზღვევო სისტემაში ჩაბმა. „ეს ინდუსტრია ძნელად იღებს ქუჩიდან მისულ ადამიანებს, პროგრამის საშუალებით შესაძლებელი იყო გარღვევა“, – ამბობს ხეჩინაშვილი.

თუმცა, თვითონ ჯანდაცვის სისტემის ფუნდამენტური რეფორმა გაცილებით ადრე დაიწყო. გზირიშვილის თქმით, ამ კურსს ქვეყანა, უკვე რამდენიმე წელია, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ დროის განმავლობაში მოხდა, ის არის, რომ სახელმწიფომ მკვეთრად განსაზღვრა თავისი ვალდებულება და როლი ჯანდაცვის სფეროში და საქართველოში მანამდე მოქმედი უნივერსალური მიდგომა (რაც ევროპაშიცაა გავრცელებული და თანაბრად ყველას დახმარებას გულისხმობს) შეცვალა ამერიკული მიდგომით, როდესაც სახელმწიფო პრიორიტეტებს საზღვრავს და მოსახლეობას შერჩევით ეხმარება.

ამ მოდელის მიხედვით, ჯერ კიდევ „იაფი დაზღვევის“ გამოცხადებამდე, სახელმწიფომ ვალდებულება ყველაზე გაჭირვებულ მოსახლეობაზე იკისრა და ჯანდაცვაზე გამოყოფილი საზოგადოებრივი სახსრების უდიდესი ნაწილი მათზე მიმართა. დანარჩენ მოსახლეობას კი უთხრა, რომ საკუთარ ჯანმრთელობას თავად უნდა მიხედოს. ამ მიდგომის შედეგად, უმწეო მოსახლეობა უფრო საიმედოდ დაცული აღმოჩნდა, ვიდრე საზოგადოების დანარჩენი, დაბალშემოსავლიანი ნაწილი. ამის შემდეგ სიტუაციის დასაბალანსებლად სახელმწიფომ საზოგადოების შედარებით ხელმოკლე ნაწილს ჯანმრთელობაზე ზრუნვაში თანამონაწილეობა შესთავაზა. ასე დაიწყო „იაფი დაზღვევის“ პროგრამა, რომლის მთავარი არსი სუბსიდირება იყო: ანუ წლიური 60-ლარიანი პოლისიდან 80 პროცენტს სახელმწიფო აფინანსებს. „ეს ნაბიჯი სხვა არაფერია, თუ არა ფუნდამენტური სოციალური რეფორმების გარდამავალ ეტაპზე მტკივნეული ზეგავლენის შერბილება“, – ამბობს გზირიშვილი. მას უკვირს, რომ მსჯელობის და დისკუსიის საგანი რეფორმის ზეგავლენის დროებითი შერბილების ღონისძიებები გახდა და არა თავად რეფორმა.

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის ერთ-ერთი რეკომენდაციაა დაზღვევის პროგრამაში ჩართვის პერიოდის გახანგრძლივება. პროგრამის გახანგრძლივების სურვილს კერძო სადაზღვევო კომპანიების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებიც გამოთქამენ. „ამ ტიპის პროექტს კარგი ანალიზი და რამდენიმე წელი სჭირდება, რომ რაიმე სერიოზულ შედეგებზე ვილაპარაკოთ“, – ამბობს „ჯი პი აი ჰოლდინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თინათინ სტამბოლიძე.

მოზიდული პრემიების მიხედვით, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ლიდერი კომპანიაა. კომპანიაში პერიოდულად ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე აცხადებენ, რომ ის შემთხვევები, რასაც იაფი დაზღვევის პოლისი ფარავს, მოსახლეობისათვის აქტუალური არ არის. მოთხოვნა ცოტა განსხვავებულ მომსახურებაზეა, რომელშიც მოსახლეობა ფულს გადაიხდის.

მოსახლეობის დამოკიდებულება პროდუქტის მიმართ არაერთგვაროვანია. ძირითადად მოლოდინი უფრო დიდია, ვიდრე პოლისი ფარავს: როცა იგებენ, რომ მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევების ანაზღაურება ხდება, პოლისის შექმნაზე უარს ამბობენ. მართლაც, ბაზისური სადაზღვევო პოლისი მოიცავს ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ, გადაუდებელ სტაციონარულ და უბედური შემთხვევის შედეგად საჭირო სტაციონარულ მომსახურებას. პოლისი არ აფინანსებს გეგმიურ ოპერაციებს.

„იაფმა დაზღვევამ“ ჯანდაცვის სისტემური პრობლემები გააშოშვლა: ექსპერტირაკლი სასანიას თქმით, რეალურად არ არსებობს სადაზღვევო ბაზარი, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები ჩამოუყალიბებელია, ინფორმაციის სიმწირის გამო, ძნელია რისკების დათვლა, საავადმყოფოები და სადაზღვევო კომპანიები პაციენტთა შესახებ ინფორმაციის არ აღრიცხავენ, ან ეს აღრიცხვა არ არის სრული. არ ხდება ინფორმაციის კოდირება, უმეტეს სამედიცინო დანესტებულებებში არ ხორციელდება სწორი მენეჯმენტი. ამიტომ „ვერავენ იტყვის ზუსტად, რა უნდა ღირდეს პოლისი: 5, 7 თუ 3 ლარი. ინფორმაციის არასრულფასოვნების გამო, მტკიცებულებაზე და კვლევაზე დაფუძნებული მონაცემების დადება დღეს შეუძლებელია“, – დასძენს ირაკლი სასანიას.

ყოფშიძის სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს გადაუდებელი განყოფილების ხელმძღვანელი ვახტანგ კალიანი ამბობს, რომ მათ კლინიკაში არ ხდება იმის აღრიცხვა, თუ კონკრეტულად რომელი პოლისიანი ანაზღაურდა ხარჯები: პაციენტი ფლობს რომელიმე სადაზღვევო კომპანიის

პოლისს, მაგრამ კონკრეტულად რომელი პროგრამით უნაზღაურდება მას ხარჯები, რესპუბლიკურში არ აღრიცხავენ.

ლუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში სტატისტიკა უფრო ზუსტია და კონკრეტულად არის ცნობილი ის შემთხვევები, როცა „იაფი დაზღვევის“ ფარგლებში უმკურნალეს პაციენტს. თუმცა საავადმყოფოს მენეჯერი მიხეილ დოლიძე იმასაც დასძენს, რომ ასეთი შემთხვევები ერთეული იყო.

დავით გზირიშვილი ფიქრობს, რომ ამ ეტაპზეც კი არ არის გვიან პროდუქტის დახვეწაზე ვიზრუნოთ, როგორც „მიგ-თავისს“, ისე ფასის თვალსაზრისით. მაქსიმალურად ზუსტ მარკეტინგულ და სოციოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით დაგეგმილმა ცვლილებებმა, შეიძლება მართლა მკვეთრად გაზარდოს „იაფ დაზღვევაში“ ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

დევი ხეჩინაშვილის აზრით, აუცილებელია იმ შემთხვევების პოპულარიზაცია, როცა შექმნილი დაზღვევით მოხდა ხარჯების ანაზღაურება. თუმცა ხეჩინაშვილი დასძენს, რომ ესეც არ არის საკმარისი: როგორც ის ამბობს, ორიგინალური აზროვნება აქვთ ქუთაისში, სადაც ასეთი შემთხვევა მოხდა: ადამიანი, რომელმაც შეიძინა 5-ლარიანი დაზღვევა, ხიდან ჩამოვარდა, მას სამედიცინო მომსახურება დასჭირდა, რისი ანაზღაურებაც იაფი დაზღვევის პროგრამის ფარგლებში მოხდა და ამ პირმა 5000 ლარი მიიღო. ის იტალიურ ენოში ცხოვრობდა. მართალია, მეზობლებმა საკუთარი თვალით ნახეს, თუ რამხელა სარგებელი შეიძლებოდა მიეღოთ პროგრამისგან, ამან სულაც არ უბიძგათ, თავადაც შეეძინათ პოლისი. ერთ-ერთ მეზობელს ისიც კი უთქვამს: ალბათობის თეორიის მიხედვით, რადგან ჩემი მეზობელი ჩამოვარდა ხიდან, ან მე ალარ ჩამოვვარდებიო.

დასაწყისში კი პრობლემა იყო ისიც, რომ პროგრამის ირგვლივ საინფორმაციო კამპანია მხოლოდ ხელისუფლებამ წარმართა, რამაც ვერ მოიცვა მოსახლეობის დიდი ნაწილი; თანაც, სწორედ ხელისუფლებისგან მოსწოდებული ნოვაცია გამოჩენისთანავე პოლიტიკურ სარჩულში გაეხვია. როგორც

- „იაფი დაზღვევის“ პროგრამა 2009 წლის 1 მარტიდან დაიწყო და მისი სამოქმედო ვადა 30 ივნისამდე განისაზღვრა.
- პროგრამაში 10 სადაზღვევო კომპანიაა ჩართული.
- 2009 წელს „იაფი დაზღვევის“ პროგრამისთვის სახელმწიფომ 11 750 000 ლარი გამოყო. პოლისი მოიცავს ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ, გადაუდებელ სტაციონარულ და უბედური შემთხვევის შედეგად საჭირო სტაციონარულ მომსახურებას.
- „იაფი დაზღვევის“ საბაზისო პოლისის წლიური ღირებულება 60 ლარია, ანუ თვეში 5 ლარი, სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი თანხა საჭიროების შემთხვევაში 8 000 ლარია. პოლისის წლიური ღირებულებიდან ფიზიკური პირი იხდის 19.80 ლარს, 40.20 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა.



მთავრობის მორიგი სადავო გადანყვეტილება, „იაფი დაზღვევის“ პროგრამაც ოპოზიციური პარტიების კრიტიკის ობიექტი გახდა. ამ ფონზე კი, სათანადო კვლევებისა და ანალიზის არარსებობამ მოსპო პროგრამის უფრო რაციონალურად შეფასების საშუალება.

ჯანდაცვის ექსპერტის, ირაკლი სასანიას აზრით, „იაფი დაზღვევის“ ლანძღვა არ შეიძლება, რადგანაც ამან შეიძლება სადაზღვევო სისტემის დაფინანსების დისკრედიტაცია გამოიწვიოს. ასე თუ მოხდება, მაშინ ჯანდაცვა ვერ შედგება, რადგანაც ჯანდაცვა არ არსებობს დაზღვევის გარეშე“.

„ჯი პი აი ჰოლდინგის“ წარმომადგენელი, თინა სტამბოლიშვილი ამბობს, რომ ამ ეტაპზე პოლისის პირობების დახვეწა საჭირო, იმისთვის, რომ „იაფმა დაზღვევამ“ საკუთარი მიზნების მიღწევა შეძლოს. საჭიროა, მომხმარებელს რეალურად სასარგებლო პროდუქტი შესთავაზონ, საზოგადოებასთან გამჭვირვალე კომუნიკაცია დაამყარონ და PR-ის ელემენტებისგან გათავისუფლდნენ.

სტამბოლიშვილის აზრით, მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ ევროპული გამოცდილების გათვალისწინება: მაგალითად, ჩეხეთში ნებისმიერი დასაქმებულისთვის დაზღვევა სავალდებულოა. იქ გადასახადის სახით ხელფასიდან ყველამ უნდა იხადოს გარკვეული პროცენტი. პარალელურად კი, მოქალაქე ირჩევს სადაზღვევო კომპანიას, ხოლო სახელმწიფო უხდის ფულს სადაზღვევო კომპანიის მთელს ოჯახზე. ასეთი პოლისით ჩეხეთში პრაქტიკულად ყველაფერია დაზღვეული. სტამბოლიშვილის თქმით, „იაფი დაზღვევიდან“ ჩეხეთის მოდელამდე სულ ერთი ნაბიჯია.

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის ავტორი ოთარ კიკვაძე ამბობს, რომ „იაფი დაზღვევის“ პროგრამის სრულყოფა მყარ ეკონომიკურ საფუძვლებზე უნდა იყოს დამყარებული. მისი ერთ-ერთი რეკომენდაციაა, მოიძიოს სახელმწიფომ დამატებითი სახსრები იმისათვის, რომ სადაზღვევო პაკეტი შესული სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი გაიზარდოს.

დევი ხეჩინაშვილი კი ამბობს, რომ დაზღვევის გზას უკვე დავადექით. ახლა საჭიროა ამ გზის შეფასება, შედეგების ეტაპობრივი დემონსტრირება და შეფასება და, აქედან გამომდინარე, ახალი ამოცანების დასახვა.

სხვაგვარად, „იაფი დაზღვევა“ ფასს მართლაც დაკარგავს.

დავა „ლალიძის წყლები“ გააო

18 საფეხურით ქვევით

2 წლის წინ დაკეტილი „ლალიძის წყლები“ გაიხსნა, თუმცა, ამ ფაქტს არც ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აღიარებს და არც ლალიძეების ოჯახი >>

ნათია ახალაშვილი



ლალიძის წყლები, თბილისი 2009

ფოტო: თინათინა ბარბაქაძე

დაახლოებით ორწლიანი პაუზის შემდეგ „ლალიძის წყლები“ რუსთაველის გამზირს დაუბრუნდა, ოღონდ მიწის ქვეშ და არც იმდენად მიმზიდველი სახით. 18 საფეხურის ჩავლის შემდეგ ყოფილ ქვედა დარბაზში ახალი მხოლოდ ისაა, რომ ნესტის სუნი დგას. წყლის ჩამოსასხმელი დახლის მიღმა კვლავ გახამებულ თეთრ წინსაფარსა და ჩაწში გამოწყობილი ქალბატონი მანანა დგას. დარბაზში ვერ დასხდებით, რადგან ჯერ ისევ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ საეჭვოა, მეორედ ვინმეს კიდევ გაუჩნდეს ამ 18 საფეხურის ჩავლის სურვილი. „ლალიძის წყლების“ დანარჩენ დარბაზებში დღეს ასეთი მდგომარეობაა – გამზირის მხარეს მდებარე ნახევრად გარემონტებული დარბაზები დაკეტილია, „მწვანე დარბაზის“ ადგილას კი ორიოდე კვირის წინ რესტორანი „ტალიანდური სახლი“ გაიხსნა, რომლის მფლობელიც შპს „ტაი-ფუდა“ა.

რამდენიმე წლის წინ ლალიძეების ოჯახს საფირმო მალაზია იმ მოტივით არ მიჰყიდეს, რომ ის კულტურის ძეგლი იყო. მიტროფანე ლალიძის შვილიშვილის, თორნიკე ლალიძის თქმით, მათ ამ თხოვნით

შევარდნაძის ხელისუფლებასაც მიმართეს და სააკაშვილის მთავრობასაც. ოჯახს სურდა, საგვარეულო მალაზია დაებრუნებინა, რომელიც მიტროფანე ლალიძემ 1906 წელს გახსნა, 1926 წელს კი შენობა სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცა.

თუმცა, 2007 წელს „ლალიძის წყლების“ ყოფილ საფირმო მალაზიას პრეზიდენტმა პირადი განკარგულებით სულ სხვა მფლობელი შეურჩია. 2007 წლის ოქტომბერში, მალაზიის მთელი ფართი (855,19 კვ.მ.), პირდაპირი მიყიდვის წესით, 1,3 მილიონ ლარად საკუთრებაში გადასცეს ივანე ხავთასს.

ივანე ხავთასი მანამდე იუსტიციის სამინისტროს შენობაში 583 კვ.მ. ფართის სარდაფს ფლობდა. ბრძანების თანახმად, „ლალიძის წყლების“ სანაცვლოდ, მას ეს სარდაფი სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ უნდა გადაეცა. „ლალიძის წყლების“ საფირმო მალაზიისთვის პროფილი 20 წლის განმავლობაში უნდა შეენარჩუნებინა; ექვს თვეში ერთხელ კი ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ სამინისტროსთვის უნდა ეცნობებინა. ასევე, მყიდველს არ ჰქონდა უფლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად

შესრულებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე, გაეყიდა, გაეცვალა, გაექირავებინა, იჯარით გაეცა ან გირაოში ჩაედო გადაცემული ქონება.

თუმცა, პირობების უმრავლესობა დაირღვა – ხავთასმა სამინისტროსთან შეუთანხმებლად გაასხვისა მალაზიის პროსპექტის მხარეს მდებარე ნაწილი, სადაც „ტაო-პრივატ ბანკის“ ფილიალის გახსნა იგეგმება. თვითონ ხავთასს ფართის მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა. სწორედ ამ ნაწილში – სარდაფშია გახსნილი დღეს „ლალიდის წყლები“.

ივანე ხავთასი, გაფრთხილების მიუხედავად, არც მიმდინარე საქმიანობის შესახებ აწვდიდა სამინისტროს ცნობებს. ეკონომიკის სამინისტროს სახელმძღვანელო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ქეთევან ორაგველიძე აცხადებს, რომ გამაფრთხილებელი წერილები სამინისტროს უკან უბრუნდებოდა. შემდეგ „ივანე ხავთასის მეზობლისგან გავარკვიეთ, რომ იგი საზღვარგარეთ იყო წასული. 2009 წლის მაისში გამოჩნდა ხავთასის წარმომადგენელი კახა გურგენიძე. ამ დროისათვის ხავთასს უკვე ერიცხებოდა ჯარიმაც – 470 600 აშშ დოლარი. ამავე დროს, საჯარო რეესტრიდან გავარკვიეთ, რომ ქონების გამზირის მხარეს მდებარე ნაწილს ახალი მეპატრონე ჰყავდა – ვინმე ტალახაძე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იგი ამ ფართში „ტაო-პრივატ ბანკის“ ფილიალის გახსნას აპირებს. აღმოჩნდა, რომ ტალახაძე ამ ობიექტის მესამე მყიდველია. კონტრაქტის განსაკუთრებული, დამატებითი პირობა დარღვეულია. ხავთასს სამინისტროს თანხმობის გარეშე გაყიდვის უფლება არ ჰქონდა“, – აცხადებს ქეთევან ორაგველიძე.

ეკონომიკის განვითარების სამინისტროში „ლალიდის წყლების“ საფირმო მალაზიის გახსნის ფაქტს არ აღიარებენ, რადგან ეს სპეციალურმა კომისიამ უნდა დაადასტუროს. ამიტომ სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე მათი მთავარი პრიორიტეტი სწორედ მალაზიის გახსნაა. „ჩვენ უნდა ვაიძულოთ მყიდველი, რომ პირობა შეასრულოს. თვის ბოლომდე ან ჯარიმა უნდა გადაიხადონ, ან უნდა გაასაჩივრონ, ან ჩვენ უნდა გავატაროთ კანონით დაშვებული ღონისძიება, თანხა ამოვიღოთ და მალაზიას პროფილი შევუწინარწინოთ“, – აღნიშნავს ორაგველიძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში სარჩელი შეიტანა თორნიკე ლალიძემაც, პრივატიზაციის ბათილად ცნობის მოთხოვნით. ლალიდის ადვოკატის ირმა მახათაძის თქმით, 2007 წლის ივლისში კანონში ცვლი-

ლების შედეგად კულტურული ძეგლის პრივატიზების ნებართვას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გასცემდა. ადვოკატი აცხადებს, რომ არაერთხელ ითხოვა საჯარო ინფორმაცია ყოფილი „ლალიდის წყლების“, როგორც კულტურული ძეგლის, პრივატიზებისთვის გაცემული ნებართვის შესახებ, თუმცა პასუხად მიიღო, რომ შესაბამისი შეთანხმების ან სანებართვო დოკუმენტაცია არც კულტურის და არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში არ მოიპოვება.

„რატომ მიიჩნია ეკონომიკის განვითარების სამინისტრომ ივანე ხავთასი კეთილსინდისიერ მყიდველად და რა წინაპირობა ჰქონდა მის მიერ ამ ობიექტის ყიდვას? პრეზიდენტის განკარგულებას საფუძვლად ივანე ხავთასის წერილი დაედო. წერილის ასლი ხელთ მაქვს და მასში ხავთასი წერს, რომ თანახმაა, რუსთაველის 30-ში 600 კვ.მ-მდე ფართი (სარდაფი) უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს, იმ პირობით, რომ სახელმწიფოსგან, პირდაპირი მიყიდვის წესით, პრეზიდენტის შესაბამის აქტის საფუძველზე, შეიძინოს 1,3 მილიონად „ლალიდის წყლების“ საფირმო მალაზიის კუთვნილი ფართი“, – განმარტავს ადვოკატი ირმა მახათაძე.

ივანე ხავთასი ექიმი, ოზურგეთში მუშაობს, აქ კი მისი წარმომადგენელი კახა გურგენიძე გახლავთ. გურგენიძე მიიჩნევს, რომ ობიექტს პროფილი შენარჩუნებული აქვს და „ლალიდის წყლები“ გახსნილია. „ახლა ნაუცბათევადა გავხსენით, რადგან იყო მოთხოვნა. აქამდე იმიტომ არ გვაკეთებდით რემონტი, რომ თბილისის მერია ატარებდა პროსპექტის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. შემდეგ 2009 წლის 9 აპრილიდან დაიწყო აქციები და სარემონტო მასალების შემოტანის საშუალება არ გვქონდა. ახლა უკვე შეგვიძლია შემოვიტანოთ ეს მასალები და პარალელურ რეჟიმში ვიმუშაოთ – თან წყალი გაიყიდება, თან სარემონტო სამუშაოები ჩატარდება“, – აზუსტებს იგი.

სამინისტროში კი დღემდე მიიჩნევენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა – „ლალიდის წყლების“ საფირმო მალაზიისთვის პროფილის შენარჩუნება – არ შესრულებულა. თუმცა, ხელშეკრულებაში არ იყო ზუსტად დადგენილი ვადა, როდის უნდა გახსნილიყო მალაზია.

„ჩვენ ვცდილობთ, ვიდრე ერთი შანსი მანც არსებობს, ამ ადამიანს გავასხსნევინოთ მალაზია და მკვეთრ ნაბიჯებზე ამიტომ არ მივდივართ. ეს ადამიანი არაკეთილსინდისიერი მყიდველი აღმოჩნდა და ხელშეკრულების პირობები დაარღვია, მა-

გრამ ჩვენ ვერ კიდევ არ ვჩივით. თუ არ დადგინდა, რომ პირობა ნამდვილად შესრულებულია, ისე, როგორც სახელმწიფომ დაადგინა, ის დაკარგავს ამ ქონებას“, – აღნიშნავს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ეკა ჯანაშია.

„ლალიდის წყლების“ ერთადერთი მწარმოებელი სააქციო საზოგადოება „ლალიძე“. მისი დირექტორი თორნიკე ლალიძე განმარტავს, რომ მათ ქარხანაში შპს „ტაი-ფუდის“ წარმომადგენელმა 35 ლიტრი სიროფი იყიდა და სწორედ ამ სიროფისგან დამზადებული წყალი იყიდება დღეს სარდაფში. „ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყენებს ისინი და ისე მივეცით სიროფი. ეს ხელშეკრულების გაფორმების გარეშე მოხდა, ამის შემდეგ კი არც ერთ წვეთ სიროფს აღარ მივეცით მათ. სამარცხვინო და დაუშვებელია, რომ „ლალიდის წყალი“ სადღაც სარდაფში იყიდებოდეს. იქ არავინ ჩავა წყლის დასალევადა“, – აცხადებს თორნიკე ლალიძე.

საპასუხოდ კახა გურგენიძე ამბობს: „ისინი თუ სიროფს არ მომცემენ, ესე იგი, რაღაც დაინტერესება აქვთ, რომ „ლალიდის წყლები“ არ გაიყიდოს და ახლა ვცდილობთ, დავადგინო ეს ინტერესები“.

თორნიკე ლალიდის ადვოკატი ვარაუდობს, რომ საქმის განხილვა სექტემბერში დასრულდება. „სამინისტროს შესანიშნავი საშუალება აქვს, ბათილად ცნოს ეს პრივატიზაცია და პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცეს მართლაც დაინტერესებულ პირს და კეთილსინდისიერ მყიდველს“, – აღნიშნავს ირმა მახათაძე.

გაურკვეველია, ვინ უნდა უპასუხოს შეკითხვას – როდის ექნება თბილისის ტრადიციად და სიმბოლოდ ქცეული „ლალიდის წყლების“ კოლორიტული მალაზია; წესით – სასამართლომ. **□**

**„მედიკუმთ, ამ ადამიანს
გაუხსნაწიფოთ
„ლალიდის წყლები“. ის
პრაქტიკულსინდისიერი
მყიდველი აღმოჩნდა და
ხელშეკრულების პირობები
დაარღვია, თუ არ დადგინდა,
რომ პირობა შესრულებულია,
ის დაკარგავს ამ
ქონებას“, – აცხადებენ
ეკონომიკის განვითარების
სამინისტროში.**



ცხოველების უფლებები

ავსრათ თუ მოვკლათ?

ცოფისგან დაცვა პირველ რიგში მანანნალა

ცხოველებს სჭირდებათ. მათზე ზრუნვა საკუთარ თავზე ზრუნვასაც ნიშნავს >>

მარიკა ქონიაშვილი, სალომე ალანია



ფოტო მარია ქონიაშვილი

საქართველოში უპატრონო ძაღლები-სა და კატების რეგისტრაცია არასდროს მომხდარა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში პირველ-მა ვეტერინარულმა კლინიკამ დაახლო-ებით 26 000 ძაღლი დახოცა. თუმცა, რთულია იმის განსაზღვრა, რა შედეგი მოიტანა ათასობით ძაღლის დახოცვამ. სავარაუდოდ, შედეგი ამ მასობრივ ხო-ცვას საერთოდ არ ჰქონია – მექანიკური გამოხშირვით, ანუ მოკვდინებით, პრო-ბლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. ექს-პერტების თქმით, მოკლული შინაური ცხოველის ადგილს სხვა, გარეუბნიდან შემოსული, ნახევრად ველური ცხოვე-ლი იკავებს, რომელიც შესაძლოა, ბევრი სხვა დაავადების მატარებელი იყოს.

რისკის ჯგუფში ყველა ძუძუმწოვარი ცხოველი შედის, რადგან ცოფი ტყიდან ვრცელდება. ამიტომ ყველა თანხმდე-ბა, რომ პრობლემის გადაწყვეტა სწო-რედ აქედან უნდა დაიწყოს. მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, გარეულ ცხო-ველებს ორალურ ვაქცინაციას უკეთებენ, რაც ინფექციის თავიდან აცილების პირ-ველი ნაბიჯია. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოში არანაირი კვლევა არ ჩატარებულა, ზუსტად განსაზღვრული არაა, სადაც ცოფის ძირითადი კერა.

ცოფის პრევენციის მეორე, ყველაზე ეფექტური გზაა უპატრონო ძაღლების პოპულაციის შემცირება.

საქართველო ამ მხრივაც ყველანაირ საერთაშორისო სტანდარტს ჩამორჩე-ბა. სტანდარტი კი ასეთია: მანანნალა ძაღლების პოპულაცია რომ შემცირდეს, მათი სტერილიზაცია ან კასტრაცია და ვაქცინაციაა საჭირო. ამ მეთოდებით უნდა ხელმძღვანელობდეს „პირველი ვეტერინარული კლინიკა“, რომელმაც 2006 წლის ივნისში მერიის ტენდერ-ში გაიმარჯვა და მანანნალა ძაღლე-ბის პოპულაციის კონტროლი საკუთარ თავზე აიღო. მერიაში აღიარებენ, რომ ტენდერის პირობები სრულყოფილი არ იყო. კლინიკისთვის სავალდებულო არ ყოფილა ძუ ძაღლების სტერილიზაცია, რაც მანანნალა ძაღლების გამრავლე-ბას ყველაზე ეფექტურად შეაფერხებდა. თუმცა, პირველი ვეტკლინიკა მანანნალა ძაღლების აცრაზე პასუხისმგებლობას საერთოდ იცილებს თავიდან და ვაქცი-ნაციას მხოლოდ მიკედლებულ შინაურ ცხოველებს უკეთებს (მიკედლებულს იმ ცხოველს უწოდებენ, რომელიც ქუჩაში კი ცხოვრობს, მაგრამ ადამიანის მფარ-ველობის ქვეშაა). ვეტერინარული კლი-ნიკის დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე

ამტკიცებს, რომ ვაქცინაციაც კი არ იძ-ლევა ცოფიანი ცხოველისგან დაკბენილი სხვა ცხოველის დაცვის გარანტიას.

ამით ამართლებენ პირველ ვეტერი-ნარულ კლინიკაში იმ ფაქტს, რომ 2 წლის განმავლობაში მათ დაჭერილი მანანნალა ძაღლების უმრავლესობა დახოცეს. რამდენიმე წლის წინ საშინ-ლად არაჰუმანური იყო ქუჩის ძაღლის მოკვლის პროცედურაც. ქუჩებში რკი-ნის მამებით დაჭერილი ცხოველები ე.წ. ბეიკერის ორმომდე მიჰყავდათ, შიგ-ნით ყრიდნენ, დენს უტარებდნენ და ასე კლავდნენ. პირველ ვეტკლინიკაში ამტკიცებენ, რომ ისინი დღეს ცხოვე-ლების დახოცვის გაცილებით ჰუმანურ მეთოდს იყენებენ. მართალია, მანანნა-ლა ძაღლებს ისევ რკინის მამებით იჭე-რენ (რაც, უკვე დიდი ხანია, ევროპა-ში აკრძალულია), მაგრამ ამტკიცებენ, რომ ახლა მათ ევთანაზიის საშუალებით კლავენ. ბეიკერის ორმოს კი ლემის გა-დასაყრელად ისევ იყენებენ. გასული ორი წლის განმავლობაში დაჭერილი ძაღლებიდან სიკვდილს მხოლოდ 10 პროცენტი გადაურჩა და ისიც – მხო-ლოდ მიკედლებული ცხოველები.

თითო ცხოველის ევთანაზიაში, ტენ-დერის პირობებით, პირველი ვეტკლი-ნიკა 46 ლარს იღებდა (გასული წლის ნოემბრიდან – 35 ლარს) მაშინ, როცა კასტრაციასა და აცრაში, საერთო ჯამ-ში, 37 ლარი ერგება სახელმწიფოსგან. პროექტის ფარგლებში კი, 2,5 წლის გან-მავლობაში სახელმწიფომ პირველ ვეტ-კლინიკას 1 681 668 ლარი გამოუყო.

ცხოველთა დამცველი ორგანიზაციები პირველ ვეტერინარულ კლინიკას ძაღ-ლებს არაჰუმანური გზით დაჭერასა და მოკვდინებაში ადანაშაულებენ. ცხოვე-ლების ქართველი დამცველების პოზი-ციას ამაგრებს საერთაშორისო ორგა-ნიზაცია WSPA-ც, (World Society for the Protection of Animals). მათი შეფასებით, უპატრონო ძაღლების მასობრივი ჟლეტა არაეფექტური და თანაც საკმაოდ ძვირი მეთოდია.

საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიუღებელია ისიც, რომ კრემატორიუმის არარსებობის გამო, ლემს ცხოველთა სამარხში ყრიან. საზღვარგარეთ მკვდა-

რი ძაღლების განადგურება მხოლოდ კრემატორიუმებში ხდება. ნუგზარ ბოლქვაძე კი ამტკიცებს, რომ ეს გზა არა-ეფექტურია, რადგან ფილტრი, რომლის საშუალებითაც კრემატორიუმში ტოქსიკური ნივთიერებების განმეორება ხდება, თავის საქმეს მაინც ვერ ასრულებს.

მანანალა ძაღლების გამრავლებას ხელს უწყობს სპეციალური თავშესაფრის არარსებობაც. საზღვარგარეთ, ამგვარ თავშესაფრებში უპატრონო ძაღლებს გარკვეული დროით იკედლებენ და მკურნალობენ.

თავშესაფრის აშენება საქართველოში 2010 წელს იგეგმება. უკვე დიდი ხანია, მერიის საკუთრებაშია ტერიტორია, სადაც ჰოლანდიელები თავიანთი ხარჯებით თავშესაფრის აშენებას და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფას აპირებენ. პარალელურად, მდგომარეობას ისიც გამოსწორებს, რომ პირველი ვეტკლინიკის სატენდერო ვადა 2009 წლის 31 დეკემბერს ამოიწურება, მერია კი – როგორც „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებენ – ახალ კომპანიას უფრო სრულყოფილ სატენდერო პირობებს შესთავაზებს. თუკი ძაღლების მოკვლა მართლა აღარ იქნება ქუჩის ძაღლებთან ბრძოლის ერთადერთი გზა და უპირატესობას სტერილიზაცია-ვაქცინაციის მეთოდს მივანიჭებთ, საერთაშორისო ორგანიზაციები დაფინანსებითა და ტრენინგებით დახმარებას გვპირდებიან.

უპატრონო ცხოველების პრობლემაზე მუშაობა თბილისის საკრებულომაც სულ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. საერთაშორისო ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებთან კონსულტაციებით შეიქმნა პროექტი, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, ქუჩის ძაღლებისა და კატების აღრიცხვა და კლასიფიკაცია უნდა მოხდეს. უკვე ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მათი ჰუმანური მეთოდით დაჭერა – სტერილიზაცია და გაშვება. არავინ გამორიცხავს და, მათ შორის არც საერთაშორისო ორგანიზაციები, რომ აგრესიული და დაავადებული ცხოველის ლიკვიდაცია აუცილებელია, თუმცა მხოლოდ ჰუმანური გზით.

თუკი სახელმწიფო ცხოველებში ცოფის პრევენციისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას დაიწყებს, ეს ადამიანების ინფიცირების რისკსაც შეამცირებს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2008 წლის რეპორტში წერია, რომ ადამიანებში ცოფის შემთხვევების სტაბილურად მაღალი დონე გამოწვეულია დასახლებულ პუნქტებში მოხეტიალე ცხოველების, ძი-

რითადად ძაღლების, მატებით და მათი აუცრელობით. არსებობენ აგრეთვე „პატრონიანი“ აუცრელი ცხოველებიც. ვიდრე ეს პრობლემა არ მოგვარდება, ცოფის შემთხვევები ადამიანებში კვლავ იქნება.

საქართველოში წლის განმავლობაში ცოფზე აცრას დაახლოებით 28 ათასი ადამიანი იკეთებს. მთელ მსოფლიოში ამ კუთხით ყველაზე დიდი მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაშია. შარშან ცოფით 7 ადამიანი დაიღუპა, როდესაც დასავლეთ ევროპაში ცოფით სიკვდილი აღარ ფიქსირდება.

ერთ-ერთი დიდი პრობლემა, კანონის არარსებობაცაა. საკრებულოს 2001 წლის გადამწყვეტილება თბილისის ტერიტორიაზე ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების შენახვის წესების შესახებ არსებობს, მაგრამ იმის გამო, რომ მის შესრულებას არავინ აკონტროლებს, მის არც არავინ ემორჩილება. მაგალითად, ეს დოკუმენტი კრძალავს ალიკაპის გარეშე ცხოველის ქუჩაში გაყვანას, თუმცა ალიკაპიანი ცხოველის პოვნა ქალაქში გაგიჭირდებათ. საკრებულოში წარდგენილი პროექტი ამ წესების დახვეწასაც ითვალისწინებს. წინასწარი ვარაუდით, აიკრძალება ძაღლების გაყვანა, მაგალითად, ბავშვების სათამაშო მოედნებზე. ასევე, მეპატრონის ვალდებულება იქნება, ააღაგოს ცხოველის ექსკრემენტები, რაც ნებისმიერ პარკსა და ქუჩაში გეხვდება. წესების მაკონტროლებელი კი სავარაუდოდ პოლიცია იქნება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ცვლილების შეტანას პოლიციის შესახებ ორგანულ კანონში. არ არის

გამორიცხული, ძაღლების მფლობელებს გადასახადიც დაუნესდეთ. პროექტი ითვალისწინებს ქალაქის თვითმმართველობაში ცხოველებზე ზრუნვის განყოფილების შექმნას. მისი მოვალეობა იქნება მანანალა ძაღლების პოპულაციის კონტროლი და საგანმანათლებლო სისტემაში ცხოველებზე ზრუნვის კურსის შეტანა. მხოლოდ ამ ღონისძიებების თანმიმდევრული ამოქმედების შემდეგ შეძლებს საქართველო წავიდეს, ვთქვათ, ინდოეთზე წინ, სადაც ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის გამო, დღესაც მსოფლიოში ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება ცოფით. **□**

მერიამ ალიკაპან, რომ ტანდარის პირობები სრულყოფილი არ იყო. კლინიკისთვის სავალდებულო არ უოფილა ქუ ძაღლების სტერილიზაცია, რაც მანანალა ძაღლების გამრავლებას ყველაზე უფაქტურად შეაფერხებდა. პირველი ვეტკლინიკა მანანალა ძაღლების ახარაზე პასუხისმგებლობას საერთოდ იხილავს თავიდან.



ფოტო: მანანალა ძაღლების

■ ვებინარა, თბილისი 2009



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები

თანასწორობის გარანტია ერთი პირობით

თბილისი – ქალაქი, რომელშიც მოსახლეობის ნაწილის არსებობა გათვალისწინებული საერთოდ არ არის >>

მაკა ჯანიანი



ფოტო: REUTERS / ქალაქის ღრუბნი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა რომ იცვლება, ამის დასტურად ყველაზე ხშირად ინკლუზიური განათლების პრეცედენტს იშველიებენ ხოლმე. თბილისის ათ საპილოტე სკოლაში დაწყებული ექსპერიმენტი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან რეგონებზეც გავრცელდება, მართლაც ყველაზე ხელშესახები შედეგია. რეალობის კიდევ უფრო მკვეთრ შეცვლას ელიან მას მერე, რაც შემოდგომაზე საქართველო გაერო-ს კონვენციის წევრი გახდება და ოფიციალურად იკისრებს ვალდებულებას, იზრუნოს ამ ადამიანების საზოგადოებაში სრულფასოვანად ჩართვაზე.

თუმცა, საქართველო კონვენციაზე ხელს მოაწერს ერთი პირობით, რომ სასწრაფოდ არავინ მოგვთხოვს ქალაქების ინფრასტრუქტურის გადამწყობას ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებებიც იყოს გათვალისწინებული. ამ დათქმის მიზეზი სათანადო ფინანსების არარსებობაა. და ვიდრე ფინანსები არ არსებობს, თბილისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებებზე მხოლოდ 0.2 პროცენტით არის მორგე-

ბული – რომ აღარაფერი ვთქვათ, საქართველოს პატარა ქალაქებზე.

2006 წელს ორგანიზაცია PAconsulting-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყველა კატეგორიის ინვალიდი უჩიოდა არაადაპტირებულ გარემოს, კონკრეტულად კი იმას, რომ ქალაქში თავისუფლად ვერ მოძრაობდა და, თუნდაც ეტლით, თითქმის ვერც ერთ დაწესებულებაში ვერ შედიოდა.

იმ დროისთვის, ოფიციალური მონაცემებით, უსინათლოთათვის შუქნიშნებთან სპეციალური ხმოვანი სასიგნალო მონიშნულობა თბილისში მხოლოდ ორგან იყო დამონტაჟებული; ფეხით მოსიარულეთა მინისქვეშა გასასვლელებში კი საეტლე ბილიკები – მხოლოდ ვაკის პარკთან და სამგან – ილია ჭავჭავაძის გამზირზე. საქართველოში მოქმედი 11 საპილოტე სკოლიდან, სადაც ინკლუზიური განათლება მიმდინარეობს, პანდუსებით, სპეციალური ბილიკებით და სველი ნერტილებით აღჭურვილი იყო მხოლოდ ორი სკოლა; გადაადგილებისთვის აუცილებელი საშუალებები არც თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში არსებობდა.

სამი წლის თავზე ცვლილება მინიმალურია. შეზღუდული შესაძლებლობის

პირებისთვის ნაწილობრივ მოსახერხებელია ის 40-მდე ყვითელი ავტობუსი, რომელსაც პანდუსი და დაბალი ასასვლელი აქვს. პანდუსებით უზრუნველყოფილ ტერიტორიებს კი ქალაქში ვერისა და „9 აპრილის“ ბალები ემატება. სპეციალურად მოაწყვეს საპილოტე პროგრამაში ჩართული სკოლებიც. თუმცა, ბევრგან პანდუსი მოშლილია, ლიფტი კი არ მუშაობს. ბილიკების დახრის კუთხისა და სხვა ტექნიკური მიზეზების გამო, დღემდე ჭირს მინისქვეშა საეტლე ბილიკებით სარგებლობაც.

თბილისის იმ იშვიათ შენობებს შორის, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზეა მორგებული, ერთ-ერთია დღის ცენტრი „ანიკა“, სადაც 7-დან 22 წლამდე ბავშვები და ახალგაზრდები დადიან, ძირითადად ცერებრული დამბლის დიაგნოზით. „ანიკას“ შენობა ჩვენი ქვეყნისთვის უნიკალურია – ეტლიან ადამიანს მის ნებისმიერ კუთხეში უპრობლემოდ შეუძლია მოხვედრა და ტუალეტითა და საცურაო აუზითაც სხვების დაუხმარებლად სარგებლობა. ამ კეთილმოწყობილ ცენტრში მისასვლელად კი მათ ლიფტიანი ავტობუსი ემსახურებათ.

„ანიკა“ ამ ადამიანებისთვის მათი ყოველდღიურობის სრული ალტერნატივაა: ვიდრე კომფორტულ ავტობუსში ჩასხდებოდნენ და რამდენიმე საათს საოცნებო გარემოში გაატარებდნენ, ეტლიანი ბავშვები სადარბაზოებში მშობლებს ხელით ჩაჰყავთ. მათი სახლების აბსოლუტურ უმრავლესობას არათუ სპეციალური ლიფტები არ აქვს, ხშირად არც ჩვეულებრივი ლიფტები მუშაობს.

ცენტრის ხელმძღვანელი ირინა ინასარიძე ამბობს, რომ ეს ხშირად მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების პრობლემა არ არის: „იყო ასეთი შემთხვევა: არასამთავრობო ორგანიზაციის „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ თხოვნით, სახლებში, სადაც ეტლით მოსარგებლე ადამიანები ცხოვრობდნენ, ერთხანს „თბილისის კორპუსი“ ლიფტებს ურიგოდ აკეთებდა, მაგრამ ზოგან სახლების ბინადრებმა უარი განაცხადეს

თანადაფინანსების წილის გადახდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს წილი შელავათიანი იყო. იგივე ვითარებაა საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და სხვა დაწესებულებებშიც“.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები, სანარმოები და ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სანარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, ასევე – კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისთვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის. დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, სხვადასხვა ობიექტის მოწყობა, მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ისინი არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებასა და მოთხოვნებს.

როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განმარტავენ, ეს კანონი რომ დღემდე არ მოქმედებს, კანონდებლობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების, ანუ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების არარსებობის ბრალია.

არასამთავრობო ორგანიზაციის „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ წევრი, გიორგი ძნელაძე მიიჩნევს, რომ პრობლემა უმტკივნეულოდ მოგვარდება, თუკი სახელმწიფო სამშენებლო სატენდერო პირობებს დახვეწს. თუკი სატენდერო წინადადებაში ჩაიდება მოთხოვნა, რომ მშენებელს შენობის ადაპტირება ევალება. „ის მაინც ასრულებს სამუშაოს და, კიბის მაგივრად პანდუსს თუ დააყენებს, რაც არ ებეგრება, რა უნდა წააგოს? 60-ის ნაცვლად 80-სანტიმეტრიან კარს თუ გააკეთებს, ერთგვარი ეკონომიაც გამოუვა. რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, კარის სახელურს ცოტა ქვემოთ თუ დაამაგრებს? – არავითარი. ჩვენთვის კი ეს აუცილებელია“, – ამბობს გიორგი ძნელაძე. მისი თქმით, „იგივე პანდუსი, სპეციალური ლიფტი, არ არის მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის. შეიძლება მისით სარგებლობა დასაქირდეთ მოხუცებს, ფეხმძიმე ქალებს, ბავშვებს საბავშვო ეტლებით. დღეს ეს ინფრასტრუქტურის თანამედროვე დიზაინია და არა სპეცპროექტირება“.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტრუქტურების განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, თეა კვინტარაძემ „ლიბერალს“ განუცხადა, რომ ტენდერებში, რომელსაც სააგენტო მომავალში გამოაცხადებს, აუცილებლად ჩაიდება შენობების ადაპტირების პირობა.

რაც შეეხება კერძო სამშენებლო კომპანიებს, დღეს შენობების ადაპტაცია, ფაქტობრივად, მათ კეთილ ნებაზე დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ სამშენებლო კომპანიებისთვის ამ თემაზე სპეციალური სემინარებიც გამართა, სახლების პროექტირებისას სემინარზე მოსმენილი საკითხები არავის გაუთვალისწინებია. ახალი შენობების აბსოლუტური უმრავლესობა მთლიანად არაადაპტირებულია. როგორც ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი, რატი იონათამიშვილი ამბობს, გამოწვევისა სამი სახლი, რომელიც ვაკეში აშენდა.

ირინა ინსარაძე იხსენებს: „ჯანდაცვის სამინისტრომ კინოში დაგვატიფა. შენობას საშინლად ვინრო და მაღალი კიბე ჰქონდა. ყველანი გავწვალდით. ძალიან უნდოდათ, ბავშვებისთვის ესაიშოვნებინათ – ხელში აყვანაც კი შესთავაზეს, მაგრამ მათ ეს არ სიამოვნებთ. ბევრი 14-15 წლისაა, უკვე დიდია და არ უნდათ, ასე რომ ექცეოდნენ“.

ირინა ინსარაძისთვის ადაპტირებული გარემოს კლასიკური მაგალითი ასეთია: „ამერიკაში, ერთ ჩვეულებრივ სასტუმროში მსოფლიო კონგრესზე შევიკრიბეთ. ერთი მონაწილე გვყავდა, უხელო, უფეხო. მოძრაობდა მოტორიანი ეტლით, რომელსაც მხრით მართავდა. როცა სასესიო დღის შემდეგ დარბაზიდან გამოვედით, დავინახე, რომ ლიფტისკენ წავიდა. წავედი დასახმარებლად. არ დასჭირვებია – ლილაკს ნიკაპი მიაჭირა, ლიფტი გამოიძახა, შევედით, ისევე ნიკაპით მიუთითა, რომელი სართული უნდოდა, გაჩერდა ლიფტი, გავიდა, პირით მოარგო პლასტიკური გასაღები კარს, გაალო და ნომერში შევიდა.

მერე დავაკვირდი შენობას – ყველაფერი: ლილაკი, სახელური, გასაღების ბუდე – ისეთ დონეზე იყო გაკეთებული, რომ ნებისმიერი სიმაღლისა და მდგომარეობის ადამიანი მისწვდებოდა; ყველაფერს ბრაილის შრიფტით ჰქონდა მიწერილი, რა იყო და როგორ უნდა მოგეხმარათ. უსინათლოს ყოველთვის ეცოდინებოდა, რომელ სართულზე იყო, რომელ ოთა-

ხში, რა ატრიბუტთან... ჩვენთან ასეთ გარემოზე ჯერ ოცნებაც არ შეიძლება“.

იქ, სადაც გარემოსთან ადაპტირების პრობლემა მოხსნილია, ყველას ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა, სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია დენ კიპლინგერი – „მეფე ხეიბარი“, რომლის ცხოვრებაზეც ამავე სახელწოდების, არაერთი კონკურსის ლაურეატი ფილმი გადაიღეს. ცერებრული დამბლით დაავადებული დენი ცნობილია თავისი ნახატებით, რომლებსაც სპეციალური მონოტილობის დახმარებით ხატავს. მისი ნამუშევრები წარმატებით მხოლოდ ავტორის ბიოგრაფიის გამო არ სარგებლობს.

დენ კიპლინგერმა სირთულეები დედის, მეგობრების, მასწავლებლების, ლექტორების – მთელი ამერიკის დახმარებით დაძლია. გამართული სისტემის პირობებში, იგივე გზის გავლა ადამიანის ნებისყოფასა და სურვილზე დამოკიდებული. იქ კი, სადაც სისტემა მოიკოჭლებს, სურვილი და ნებისყოფა საკმარისი არ არის.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განმარტავენ, რომ გაერო-ს კონვენციის მე-9 და მე-20 მუხლების (ინფრასტრუქტურის შესაბამისობის მოთხოვნა) მოთხოვნების ინპლემენტაცია მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული და, ნაკლებად სავარაუდოა, უახლოეს ხანებში მათი შესრულება მოხერხდეს. სამინისტროში იმასაც ამბობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტირება, გაერო-ს კონვენციაზე მიერთების შემდეგ, თანდათანობითაც იქნება შესაძლებელი. **■**

**ვილრა ფინანსაბი
არ არსებობს,
თბილისი შავლუღული
შესაქვალუბაბის მქონე
აღამიანების საქირუბაბა
შხოლოდ 0.2 პროცენტით
არის მოგაბული - რომ
ალარაფარი ვთქვათ,
საქართველოს პაბარა
ქალაქაბა.**



გავშვითა სახლში

სოციალურად ობოლი

როდესაც საზოგადოებისთვის ნორმას ის, რომ დედა შვილს გავშვითა სახლში თვითონ აგარეხს და როცა ამ მიდგომაზე მთელი სოციალური სისტემაა აგებული, ეს სისტემა სასწრაფოდ უნდა დაინგრიეს, - ფიქრობენ პოლონელი ექსპერტები >>

მაგდა ნოვაკოვსკა



გავშვითა სახლის ალსაზრდალის ანარქიკლი ფანჯარაში, თბილისი 2009

ფოტო: იუსტიცია მინისტროს მხარე

ეს სისტემა ჩვენთან ჯერაც ნგრევის პროცესშია. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ საქართველოში დღემდე მხოლოდ ლაპარაკობენ გავშვითა დიდი თავშესაფრების დახურვისა და მათი პატარა, ოჯახური ტიპის სახლებად გადაკეთების აუცილებლობაზე. სახელმწიფო კი გაჭირვებულ მშობელს იმდენად უსისტემოდ ეხმარება, რომ კრიზისში მყოფი ოჯახებისთვის ერთადერთი ყველაზე „იოლი“ გამოსავალია, საკუთარი შვილი გავშვითა სააღმზრდელო დაწესებულებაში საკუთარი ნებით ჩააბაროს.

ჯანდაცვის სამინისტროს 2008 წლის მონაცემებით, 27 გავშვითა სახლში 1623 ბავშვი ცხოვრობდა. ამ ბავშვების უმეტესობა, როგორც მათ უწოდებენ, სოციალურად ობოლია.

„სოციალურად ობოლი ნიშნავს ბავშვს, რომელსაც თუნდაც ერთი ცოცხალი მშობელი ჰყავს, მაგრამ სააღმზრდელო

დაწესებულებაში იზრდება. ზოგიერთი მშობელი ამით იხსნის ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებლობას“, - განმარტავს ნინო ნუცუბიძე, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ თანამშრომელი.

„ეს კომუნისტური ტრადიციაა, - აღნიშნავს პოლონელი ექსპერტი ტომეკ პოლკოვსკიც, - და შეძლებისდაგვარად დროზე უნდა მოისპოს, რადგან ასეთი მიდგომა საბჭოთა პერიოდში ჰქონდა სახელმწიფოს - თუ ბავშვის მოვლას თავს ვერ ართმევ, ჩვენ, ანუ სახელმწიფო, უკეთესად გავზრდით მას და ასე, ინსტიტუციებში ზრდიდნენ ყველაზე წარმატებულ ჩეკისტებს და „კაგებებს“ თანამშრომლებს. ახლა ჩვენი მიზანი ეს ხომ არ არის?“

უმთავრესი პრობლემა ის, რომ საქართველოში მოქმედ პრაქტიკულად ყველა დაწესებულებაში, სადაც ბავშვები „ყაზარმულად“ ცხოვრობენ, კოლექტიური მუშაობის პრინციპი მოქმედებს. ეს ნიშნავს

სამყაროს მონყვეტილ, დიდი ლობით შემოსაზღვრულ, დიდ შენობას, სადაც დიდ ჯგუფებად დაყოფილი ბავშვები საერთო ოთახებში ცხოვრობენ. მათთან მომუშავე სპეციალისტი კი ცოტაა - საშუალოდ, ოც ბავშვთან ერთი აღმზრდელი მუშაობს. ასეთ პირობებში თითქმის გამორიცხულია ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობა, კონკრეტულ აღმზრდელსა და პატარას შორის ემოციური კავშირის დამყარება.

„ბავშვი, როდესაც ხვდება ინსტიტუციაში, კარგავს მთავარ ურთიერთობებს, გრძნობებს, უსაფრთხოების შეგრძნებას. სამყარო, რომელიც მანამდე მშობლებთან მიჯაჭვულობაზე იყო აგებული, ინგრევა და ბავშვი სასწრაფოდ ეძებს რაიმე დასაყრდენს. ასეთ ბავშვთა სახლებში კი, სადაც აღმზრდელებს ერთდროულად ბევრ ბავშვზე ზრუნვა უწევთ, ეს შეუძლებელია. ამ დროს ბავშვი ემოციურად ითიშება და მხოლოდ ბიოლოგიურ დონეზე იბრძვის

გადარჩენისთვის. ცოტა ხანში ის თითქოს ეგუება თავის მდგომარეობას, იწყებს სიცოცხლს და თამაშსაც კი, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული პროცესია, სინამდვილეში კი მოხდა მისი ემოციური უნარების სრული ჩახშობა“, – ამბობს ექსპერტი ტომეკ პოლკოვსკი.

ამ პროცესს, ანუ მშობელთან მიჯაჭვულობის შეწყვეტას, ფსიქოლოგები დეპრევაციას ეძახიან. მისი დაძლევა რეალურად რამდენიმე გზითაა შესაძლებელი. პირველ რიგში გასაკეთებელი საქმე გაჭირვებული მშობლების ფინანსური დახმარება იქნებოდა ისე, რომ მათ შეილებოდა უკან, სახლებში მიიღონ. ჩვენთან მსგავსი პროგრამა პრევენცია-რეინტეგრაციის სახელით, რამდენიმე წელია, არსებობს. პროგრამის პირველი კომპონენტი გულისხმობს შეჭირვებული ოჯახების ფინანსურ დახმარებას, რათა შეჩერდეს ბავშვთა სახლებში პატარების ჩაბარების პროცესი. ამ მიზნით ოჯახს თვიურად უნდა მიეღოს 80 ლარი – ჯანმრთელ ბავშვზე, 130 ლარი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარაზე. მეორე კომპონენტის მიხედვით კი, უკვე ჩაბარებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება უნდა მომხდარიყო ასევე ფინანსური ხელშეწყობით. დღეს პროგრამა შეჩერებულია. ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ის ამოქმედდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზუსტად ჩამოყალიბდება დახმარების გაცემის კრიტერიუმები. სავარაუდოდ, ეს კრიტერიუმები იქნება მკაცრი, რომ გამოირიცხოს ბავშვის ჩაბარების საფრთხით სპეკულირება – მოტივი, რის გამოც, თავის დროზე პროგრამის მოქმედება შეაჩერეს.

მანამდე კი სოციალურად ობოლ ბავშვებზე განსხვავებულად ზრუნვის პროცესი თვითონ ბავშვთა სახლებში უნდა დაიწყოს. ასეთია პოლონური პროექტის მიზანიც. ტომეკ პოლკოვსკი და მისი კოლეგა, სილვია ბოროვეცი, საქართველოში ბავშვთა სახლებში მომუშავე სპეციალისტებს ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მუშაობის ახალ მეთოდს ასწავლიან. პროგრამა ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“, USAID-ის და პოლონეთის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული და ინსტიტუტებში მომუშავე პედაგოგებისთვის ბავშვებთან და მათ ოჯახებთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდის სწავლებას ითვალისწინებს.

დიღმის ბავშვთა სახლის დირექტორი ლელა მერაბიშვილი პროგრამის ერთ-ერთი მონაწილეა. დირექტორის კაბინეტის ფანჯარა ეზოში გადის. იქიდან კი ბავშვების ჟრიალური ისმის, რომლებიც ახალ მოედანზე ფეხბურთს თამაშობენ. დიღმის სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვებს

თითქოს არაფერი აკლიათ – არც საჭმელი, არც გართობა და არც ზრუნვა, მაგრამ ლელა მერაბიშვილი ამტკიცებს, რომ მათ სრულფასოვანი განვითარების შანსი მხოლოდ ოჯახურ გარემოში აქვთ.

„დედა ბავშვის სანახავად აქ ორ კვირაში ერთხელ მოდის, და ყოველ ბავშვს ისეთი ბედნიერი სახე აქვს იმ ერთი საათის განმავლობაში, რომ რაც უნდა ვეცადო, ასეთ ბედნიერებას ვერ მივანიჭებ“, – ამბობს ლელა.

ოჯახთან და ბავშვთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობის შემდეგ დიღმის ბავშვთა სახლიდან შარშან მშობლებთან თორმეტი ბავშვი დაბრუნდა. წელს შვიდმა მშობელმა გამოთქვა სურვილი, შვილები სააღმზრდელო დაწესებულებიდან შინ წაეყვანათ.

„ყველანაირად ვცდილობთ, რომ მათ შორის განყვეტილი ძაფე აღვადგინოთ, ისე, რომ თვითონ მშობლები მიხვდნენ, რომ მათი შვილები აქ არ უნდა იყვნენ. ყველა ოჯახში, თუნდაც ძალიან გაჭირვებულში, მოინახება ერთი ბავშვის ადგილი, ერთი ლოგინი და საკვებიც“, – ამბობს ლელა.

იმისათვის, რომ თუნდაც ყველაზე გაჭირვებულ ოჯახში ბავშვის ადგილი მოინახოს, ოჯახს დახმარება სჭირდება ისე, რომ ერთი მხრივ ბავშვზე ზრუნვის უნარი ჰქონდეს, მეორე მხრივ კი გაუჩნდეს მისი რჩენის საშუალება. სახელმწიფოში არსებული სოციალური დახმარების, გადამზადების და დასაქმების პროგრამები კი ზღვაში წვეთია.

სახელმწიფო სუბსიდიების სააგენტოს მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს მიღმა საქართველოში 104 ათასი ბავშვი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ, წლებიანდელი მონაცემებით, 203 ბავშვი დაბრუნდა ოჯახში, 1114 ბავშვის მშობელს კი შინ აღმოუჩინეს დახმარება, ბავშვთა სახლებში ბავშვების რაოდენობა, ჯამში, მაინც გაიზარდა.

„საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა, მაგრამ მაინც მოიძებნება საკმაოდ დიდი თანხა პრობლემის გადასაჭრელად, თუნდაც ის ბიუჯეტი ავილოთ, რითაც არსებული ბავშვთა სახლები ფინანსდება“, – რჩევის სახით ამბობს ტომეკი.

თუმცა, დიდი თავშესაფრების შენახვა სახელმწიფოს დღემდე უფრო „ეიოლება“, ვიდრე ოჯახთან კომპლექსური მუშაობა და ახალი, ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების გახსნა. შედეგად, დღეს საქართველოში 27 დიდი ინსტიტუციაა. მათ შენახვაზე ხელისუფლება ყოველწლიურად 11 მილიონ ლარს ხარჯავს. თუ ამ თანხას გავყოფთ ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობაზე, გამოვა, რომ თითოეულ ბავშვზე სახელმწიფო წელიწადში 500 ლარს ხარჯავს. პოლონელი ექსპერტ-

ბი კი ფიქრობენ, რომ შესაძლებელია, ამ თანხის უფრო ეფექტურად გადანაწილება ისე, რომ ძველი სისტემის ნგრევაც დაიწყოს და სოციალურად ობოლი ბავშვების მომავალზეც უკეთ ვიზრუნოთ.

მომავალი კი, თუ პოლონურ სტატისტიკას მოვიშველიებთ, ინსტიტუციაში გაზრდილ ადამიანებს ასეთი აქვთ: მათ აქვთ ოთხჯერ მეტი შანსი ისევე სახელმწიფოს საზრუნავი გახდნენ – ან კრიმინალური საქმიანობა დაიწყონ და მოხვდნენ ციხეში, ან ცხოვრებისეული უნარების არქონის გამო, სოციალურ დახმარებაზე სამუდამოდ გახდნენ დამოკიდებულნი.

სახელმწიფო აღიარებს იმას, რომ ინსტიტუციური აღზრდა არასწორია და ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ გვაქვს კანონი ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ, მოქმედებს სახელმწიფოს ბავშვის დაცვის პროგრამაც. ამ პროგრამის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია იღებს, რომ 2012 წლამდე დიდი ინსტიტუციების უმრავლესობა უნდა დახუროს. თუმცა, ჯანდაცვის სამინისტროში ამ ვადის შესრულება საეჭვოდ მიაჩნიათ და აცხადებენ, რომ ეს ამ ეტაპზე შეუძლებელია. მათი თქმით, ამ ინსტიტუციების გაყიდვისა და მოპოვებული თანხით მათი ალტერნატივის შექმნის გადწყვეტილება პრემიერ-მინისტრის დონეზეა მისაღები.

პოლონურ პროგრამაში ჩართული სპეციალისტები კი ფიქრობენ, რომ ბავშვებზე ზრუნვის ახალი მეთოდების სწავლა და არსებული სახელმწიფო პროგრამების დახვეწა არის ერთ-ერთი ხერხი საბოლოო მიზნის მისაღწევად. ამავე დროს, საჭიროა მთლიანად სისტემასთან ბრძოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ნინო ნუცუბიძე ამბობს, დიდ ინსტიტუციებში გაზრდილი ბავშვების სახით, არა საკუთარი თავის შემოქმედ ადამიანებს, არამედ სახელმწიფოზე მუდმივად დამოკიდებულ მომხმარებელს მივიღებთ. ■

**სახელმწიფო გაჭირვებულ
გოგონას ივანას
უსისტემოდ ეხმარება,
რომ კრიზისში გყოფი
ოჯახებისთვის ერთადერთი
ყველაზე „იოლი“
გამოსავალია. შვილი
ბავშვთა სააღმზრდელო
დაწესებულებაში საკუთარი
ნებით ჩააბაროს.**



გარემო

თრუსოს ხეობა საკუთარ სიბღიძრეს ემსხვერპლა

ეკოლოგიური სიტუაცია თრუსოს ხეობაში ამჟამად უსაფრთხოა, თუმცა ამ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა მეთოდური დაკვირვება. ასეთი სპეციალური კომისიის დასკვნა >>

თაომ ბარძიგაშვილი



ფოტო თაომ ბარძიგაშვილი

თრუსოს ხეობა

ნახშირმჟავა აირის შემცველი მინერალური წყაროები – ის, რითაც თრუსომ მიიზიდა მენარმეები, მთელი ყაზბეგის რაიონშია გავრცელებული. მეცნიერების თქმით, CO2, რომელსაც გაზირებული სასმელებისა და ნაყინის წარმოებაში იყენებენ, ყაზბეგში კიდევ 15-მდე სხვა ადგილას მოიპოვება.

ამიტომ, როდესაც 2005 წელს შპს „კასარამ“ გარემოს დაცვის სამინისტროს თრუსოს ხეობაში CO2-ის მოპოვების განცხადებით მიმართა, ნოდარ ცერცვაძე, როგორც საქმის განსახილველად სამინისტროში მიწვეული ექსპერტი, კომპანიისთვის ლიცენზიის გაცემის წინააღმდეგი იყო. წინააღმდეგ წავიდნენ სხვა სპეციალისტებიც, რადგან „კასარას“ დირექტორის, გია სოსელიას თავდაპირველი განაცხადის მიხედვით, ქარხნის გამართვას შიგ ხეობაში გეგმავდა. ცერცვაძის შეფასებით კი, თრუსო საინტერესო არა მხოლოდ მისი ფერადი ტრავერტინებითა და ბუყბუყა ტბებით, არამედ უნიკალური ზომიერი კლიმატით, ფაუნით და ლანდშაფტით. სწორედ ამიტომ არასასურველია ნებისმიერი, და, მით უმეტეს, სამენარმეო ჩარევა ამ თავისებურ „მიკროსამყაროში“. „ჩემი ნება რომ ყოფილიყო, მე მანდ ცხვარსაც კი არ შევუშვებ-

დი!“ – აცხადებს ცერცვაძე. მოგვიანებით, ხეობაში ნახშირმჟავა აირის მოპოვებაზე 25-წლიანი ლიცენზია გარემოს დაცვის სამინისტრომ შპს „კასარას“-ს მაინც გადასცა. თუმცა მენარმემ სპეციალისტების რჩევები გაითვალისწინა და ქარხნის აშენება ხეობის შესასვლელთან დაგეგმა, ხეობის სიღრმეში კი მხოლოდ ჭაბურღილი დატოვა. ნოდარ ცერცვაძის აზრით, ამით გარემოსთვის ზიანის მიყენება გამოირიცხა – მძღავრ და ინტენსიურ მინისქვეშა პროცესებს თვითონ ჭაბურღილი ვერაფერს დააკლეს. კომპანიას თრუსოს მინერალური წყლების საბადოებში მოპოვებული ნახშირმჟავა აირი გაზირებული სითხის სახით საგანგებო ჭურჭელში უნდა ჩამოესხა და დაინტერესებული მენარმეებისთვის მიეყიდა. „კასარას“ დირექტორი ვარაუდობდა, რომ თრუსოში წამოწყებული ბიზნესით ბიუჯეტში ყოველწლიურად მილიონ ლარამდე თანხას შეიტანდა და ყაზბეგის რაიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც შეუწყობდა ხელს. ლიცენზიის მიხედვით, „კასარას“ დავალა, 2 წლის განმავლობაში შეეფასებინა ნახშირმჟავა აირის სავარაუდო მარაგი, რეგულარულად დაკვირვებოდა, შეიცვ-

ლებოდა თუ არა ამოსული წყლის ინტენსივობა, შემადგენლობა და სხვა პარამეტრები. ეს მონაცემები შემდეგ ხეობაში ეკოლოგიური სიტუაციის შესაფასებლად უნდა გამოეყენებინათ. 2008 წლის ივლისში სამინისტრომ შეამოწმა, თუ რამდენად ასრულებდა კომპანია ლიცენზიის პირობებს და აღმოაჩინა, რომ „კასარამ“ ამ პირობის შესრულება დათქმულ ვადაში ვერ მოასწრო. გარემოს დაცვის სამინისტრომ მენარმე 500 ლარით დააჯარიმა და დაავალა დაკვირვებების დაუყოვნებლივ დაწყება. თუმცა ამავე დროს გარემოს დაცვის სამინისტრომ ეკონომიკის განვითარების სამინისტროს არსებული დარღვევების შესახებ წერილობით აცნობა, სადაც მიუთითა, რომ ეს დარღვევები, შესაძლოა, ხეობაში ბუნებრივი კატასტროფის მიზეზიც გამხდარიყო. ამ წერილის საფუძველზე ეკონომიკის სამინისტრომ შპს „კასარას“ ლიცენზია გაუუქმა.

„კასარას“ დირექტორისთვის გადაწყვეტილება სრული მოულოდნელობა იყო. ჯარიმის დაწესების და გადახდის შემდეგ იგი არ ელოდა, რომ ორი თვის თავზე ლიცენზიასაც გაუუქმებდნენ, იმის მიუხედავად, რომ სამინისტრომ მას შეცდომების გამოსწორების დროც მისცა. მისი შეფასებით, სამი წლის განმავლობაში შპს „კასარამ“ საკმაოდ ბევრი რაბის გაკეთება მოასწრო: შეისწავლა ადგილის გეოლოგია, დადგა ჭაბურღილი და ადგილზე ძირითადი აღჭურვილობა დაამონტაჟა. მარაგის ოდენობის შეფასება მხოლოდ ამ სამუშაოების შემდეგ იყო შესაძლებელი.

სოსელია ლიცენზიაში მისთვის პრაქტიკულად შეუსრულებელი პირობების ჩაწერას სამინისტროს აბრალებს: „ხელს რომ ვანერდი, კომპეტენტური არ ვიყავი, რომ მცოდნოდა, 2 წელი საკმარისი არ იყო. ეს ლიცენზიის გამცემ სპეციალისტებს ევალებათ“.

გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ მენარმეს საკმარისი დრო ჰქონდა, ვადებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ სამინისტრო გაეფრთხილებინა. ასე რომ მოქცეულიყო, ვადების გადაწევა „აღბათ შესაძლებელი იქნებოდა“.

2008 წლის შემოდგომაზე შპს „კასარამ“ სასამართლოში ლიცენზიის გაუქმების ბრძანება გაასაჩივრა და ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს დაუპირისპირდა.

თუმცა, ამ დროისთვის თრუსოს დასაცავად წამოწყებული გარემოს დამცველების კამპანია უკვე საკმაოდ ძლიერი იყო. ყველაზე მეტად კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი CENN აქტიურობდა. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, 2008 წლის ზაფხულში „[ტურისტებმა], რომლებიც ხეობაში იყვნენ ასულეები“, მათ თხოვნით მიმართეს, რომ ბოლო დროს ხეობაში ტრავერტინული ნალექების ფერის შეცვლის მიზეზი გაერკვიათ – ნარინჯისფერი ტრავერტინები ახლა ალგალაგ გაშავებულიყო. თავის მხრივ, ორგანიზაციამ 2008 წლის ივლისის დასაწყისში გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართა, რომ გაერკვია, რამდენადაა დაკავშირებული ტრავერტინების ფერის შეცვლა ჭაბურღილთან, და ხომ არ აზიანებს ის გარემოს.

საკითხის გასარკვევად გარემოს დაცვის სამინისტრომ სპეციალური კომისიაც შექმნა. კომისიაში შევიდნენ სამინისტროს თანამშრომლები (გეოლოგები, ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი, იურისტი), სხვადასხვა არასამთავრობო სამეცნიერო და ბუნების დაცვის ორგანიზაციები და ყაზბეგის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელიც.

27 მაისს კომისიამ თრუსოს ხეობა დაათვალიერა. ჭაბურღილამდე გზის 8-კილომეტრიანი მონაკვეთი კომისიის წევრებმა ფეხით გაიარეს. ფერდობებიდან ჩამოშლილი ქვები გზაზე უხვად ეყარა, რის გამოც, ის მანქანისთვის მიუვალი იყო. ჭაბურღილამდე მთელ მანძილზე გზის გასწვრივ მილსადენის თხრილები იყო გაკეთებული, და ზოგან ლიად, ზედაპირზე, ზოგან კი მიწაში ჩაფლული მილები იდო. თვითონ ჭაბურღილთან აირის მკვეთრი სუნი იდგა. ნყალთან ერთად ამოსული ნახშირორჟანგი აირი წყლისგან აქვე მდებარე რეზერვუარებში განცალკევდებოდა და მომავალში მილსადენით თხუთმეტობედ კილომეტრის მოშორებით, კობთან ასაშენებლად დაგეგმილ ქარხანაში უნდა გადაქაჩულიყო. ამჟამად კი ნახშირორჟანგი უბრალოდ ჰაერში იფანტებოდა.

გზადაგზა კომისიის წევრებმა დაათვალიერეს ტრავერტინების დანალექები და ტბა, რომელსაც, ზედაპირზე მუდმივად ამომავალი გაზების გამო, ბუყბუყა ტბას უწოდებენ. ტრავერტინები ზოგან მართლაც მუქი ფერის იყო. თუმცა კომისიის წევრების აზრით, ტრავერტინების გამავ-

ბა ჭაბურღილთან კავშირში არ უნდა იყოს. მათი თქმით, ეს ბუნებრივი მოვლენაა, დანალექის ფერი წყლების შემადგენლობასა და მიმართულებაზეა დამოკიდებული და რამდენიმე წელიწადში ისევ შეიძლება საპირისპიროდ შეიცვალოს.

ასე ფიქრობს ჰიდროგეოლოგი ნოდარ ცერცვაძეც: „ჭაბურღილის მინისქვეშა წყაროებზე არანაირი უარყოფითი ზეგავლენა არ აქვს“. ამიტომ ლიცენზიის შეჩერება, ბუნების შესაძლო კატასტროფის საბაბით, მისი აზრით, სრულიად უსაფუძვლო იყო. მეცნიერის თქმით, ლიცენზია თავიდანვე არ უნდა გაცემულიყო, მაგრამ რადგან უკვე გაიცა, და მენარმემ „ამდენი შრომა და ფული“ ჩადო, უსამართლოა, ამ ეტაპზე წარმოების შეჩერება.

კომისიის წევრის პაატა ჭიბაშვილის თქმით, ისინი შეთანხმდნენ, რომ ჭაბურღილს აქამდე გარემოსთვის ზიანი არ მოუყენებია და პრაქტიკულად არც მომავალში უნდა მიაყენოს. თუმცა, ამავე დროს, უსაფრთხოების გარანტირებისთვის ჭაბურღილზე სისტემატიური დაკვირვება საჭირო. „თვითონ ჭაბურღილი გაკეთებულია იდეალურად და გარემოსთვის მაქსიმალურად უვნებელი ზონაა შერჩეული“, – აღნიშნა ჭიბაშვილმა.

მისი თქმით, კომისიის ერთადერთი შენიშვნა იყო საცავების ესთეტიკური შეუსაბამობა ხეობის ლანდშაფტთან. ამ უკანასკნელის გამოსწორება კი შესაძლებელია რეზერვუარების გარშემო ქვის, ხეობაში სოფლის სახლების მაგვარი ნაგებობების აშენებით.

ხეობაში მენარმეობას პრობლემა არც ტურისტული კომპანიებისთვის შეუქმნია. ტურისტული კომპანია „კავკასუს ტრაველის“ განცხადებით, შარშან მთელი ზაფხულის განმავლობაში თრუსოს ხეობაში გასვლები რეგულარულად იმართებოდა. თუმცა, კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ამ ხელშეუხებელი ბუნების შუაგულში ჭაბურღილის დანახვამ უცხოელი ტურისტების გაკვირვებაც გამოიწვია. ნელს კი, უსაფრთხოების მიზნით, კომპანია ამ მარშრუტის რეკლამირებასაც არ აკეთებს, რადგან ხეობა სამხრეთ ოსეთს ესაზღვრება.

თვითონ მენარმე გია სოსელია აღნიშნავს, რომ ის ხეობის ეკოლოგიას სიფრთხილით ეპყრობა. „ადგილობრივი მოსახლეობა არავის მისცემს იქ რამის გაფუჭების უფლებას. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ხეობას, რადგანაც ზაფხულობით საქონელი გადაჰყავთ და იქაურობას საძოვრებადაც იყენებენ“.

კომისიის სხვა წევრი, ჰიდროლოგი გიორგი სულიკაშვილი აღნიშნავს, რომ

თრუსოს ხეობის ისტორია გამოდგება იმის საილუსტრაციოდაც, რომ ქვეყანას ხშირად უნევს არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ სარგებელსა და ბუნების დაცვას შორის. მისი თქმით, ნებისმიერი ჭაბურღილის გაყვანა იწვევს ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას. „თუ ბუნების დაცვაზე გვაქვს აქცენტი, მაშინ არაა მიზანშეწონილი ასეთი ლიცენზიის გაცემა. მეორე მხარეა, ეკონომიკურად ის რამდენად გამართლებულია. აქ ყველაზე კარგია ოქროს შუალედი მოიძებნოს“.

ნოდარ ცერცვაძე აცხადებს, რომ თრუსოს ხეობა იდეალური ადგილია ტურისტული და სამონადირო ბიზნესისთვის. მისი თქმით, იქაურობა გვჭირდება „ერთი საუკუნის მერეც, რომ ავიყვანოთ ხალხი და ვანახოთ „აი, ასეთი იყო ოდესღაც საქართველო“. ბოლო-ბოლო ასეც იქნება“, – ამბობს ცერცვაძე.

ვინ როდის შეძლებს თრუსოს ხეობით თავმონონებას, ეს ნაწილობრივ გარემოს დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოზეცაა დამოკიდებული. თავის დროზე ტბაც და ტრავერტინებიც ბუნების ძეგლის სტატუსით, საბჭოთა „წითელ წიგნში“ იყო შეტანილი, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „წითელი წიგნი“ გაუქმდა და, შესაბამისად, ამ ძეგლებმა ოფიციალური სტატუსი დაკარგა. სააგენტოს ამჟამად აღრიცხვაზე მხოლოდ 14 ბუნების ძეგლი აქვს აყვანილი. თუმცა, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ლაშა მოისწრაფიშვილის თქმით, ახლო მომავალში დაგეგმილია ბუნების ძეგლების ხელახალი აღწერა იმ ობიექტების ჩათვლით, რომლებიც ადრე „წითელ წიგნში“ იყო შეტანილი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, წესით, თავიდან უნდა შეისწავლონ და განსაზღვრონ თრუსოს სტატუსიც. ოფიციალური სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ბუნების ძეგლად აღიარებულ თრუსოს უკვე კანონი დაიცავს და იქ სამენარმეო საქმიანობა კანონით იქნება აკრძალული.

მანამდე კი თრუსოს ხეობაში ეკოლოგიური სიტუაციის შემონიშნებას თავისი ძალებით აპირებს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი CENN. „ჩვენ ახლა ველოდებით კომისიის დასკვნას. როგორც კი ამ დასკვნას მივიღებთ, დავიქირავებთ ექსპერტებს, რომლებიც გადაამოწმებენ დასკვნაში მოცემულ არგუმენტებს“, – განაცხადა CENN-ის პროგრამების მენეჯერმა კახა ბახტაძემ. „ვეცდებით, ამ საქმეს ბოლომდე გავყვეთ და ჩავატაროთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა“. ასე რომ, კომისიის დასკვნის შემდეგ თრუსოს ხეობის საკითხი, სავარაუდოდ, განხილვის ახალ ფაზაში გადავა. 



თვალსაზრისი

ბუნების შეღავრების აუქსიონი

„თვალისმომჭრელად თეთრი“ – ასე აღწერას „წითელ წიგნში“ თრუსოს ტრავერტინული მინდვრები, რომელიც დღეს შავია >>

რეზო გათიანაძე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)



■ შაჟუნა

ფოტო: მონიზა აუზუსიძე

ახობხის „ფანჯარა“, თეკენტერის ქა, სხვაგვარი საყინულე, დაშბაშის კანიონი, თოვლიანი უფსკრული, უდაბნოს სვეტი, ნამარხი ტყე, „ბუმბერაზთა ქვაფენილი“, ქვაკაცა, ქუაქანცალია, ფორფოტები, ხორხები, მოხეტიალე ლოდები, თრუსოს ტრავერტინები...

„საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ შედგენისას ბუნების ეს იშვიათობები განსაკუთრებული დაცვის ობიექტად მიიჩნეეს. გეოგრაფების სპეციალურმა ჯგუფმა რამდენიმე ასეული ასეთი ძეგლი აღწერა, „წითელი წიგნის“ კომისიამ აქედან 77 შეარჩია და დაცული ტერიტორიის სტატუსი მიანიჭა. არაორგანული ბუნების ძეგლებში მღვიმეები, ლოდები, ბუნებრივი სვეტები, ტბები, ჩანჩქერები და ვოკლუზები გაერთიანდა.

ლაფსუსები ძეგლების შერჩევის პროცესშიც გაიპარა. ერთ-ერთი ანოტაციით, „ხევსურთა სოფელ როშკაში არსებული ორი უზარმაზარი ლოდი მიეკუთვნება მსოფლიოს უდიდესი („მოხეტიალე“) ლოდების რიცხვს. მათთან შედარებით ხევსურთა სახლები სათამაშო ხუხულებივით გამოიყურება. სოფლის ზემოთ უფრო დიდი ლოდებიცაა“.

რატომ მიიჩნეეს ეს ორი ლოდი მსოფლიოში უდიდეს მოხეტიალე ქვებად,

როცა სოფლის ზემოთ უფრო დიდი ლოდებია და ეს „უფრო დიდი ლოდები“ რატომ არ შევიდა ბუნების ძეგლების სიაში, გაუგებარია.

სტატუსის გარეშე დარჩა ის ძეგლები, რომლებიც „წითელი წიგნის“ გამოცემის შემდეგ აღმოაჩინეს (მაგალითად, ყუმისთავის მღვიმე – 300 მეტრი სიგრძის მინისქვეშა ტბით).

ძეგლების პარამეტრებიდან გამომდინარე, არ იყო დადგენილი ბუნებრივი ზონები. შესაბამისად, მათ ბუნებრივ გარემოს არაფერი იცავდა და მთელი ეს თეტიკური ღირებულება კანონიერების ფარგლებში შეიძლება დაკარგულიყო. ბევრი ძეგლი საბჭოთა პერიოდშივე განადგურდა. ძეგლს – კანიონი, კანონს კი არავინ იცავდა. ასე დანაწილდა სუვენირებად ბუნების ძეგლები. განადგურდა გოდერძის ნამარხი ტყე და ის მღვიმეები, სადაც ტურისტულ მარშრუტებს ნაკლებად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა.

ძეგლების ერთი ნაწილი სამეცნიერო ექსპერიმენტებსაც შეენირა. ათიოდე წლის წინ, სათაფლიის დინოზავრის ნაკვალევის მოვლის მიზნით, ერთ-ერთმა საერთაშორისო ფონდმა 9 ათასი დოლარი გამოყო. ძეგლის გარშემო ცემენტის ჯებირი გაკეთდა, ფერდობზე ჩამოსული

წყალი შემოღობილში ჩადგა, გაიყინა და ნაკვალევი სკდომა დაიწყო. ჯებირი მონგრეეს, მაგრამ ნაფეხურები მნიშვნელოვნად დაზიანდა.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ კანონი „ბუნების დაცვის შესახებ“ და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტები. არაორგანული ბუნების ძეგლებიც სტატუსის გარეშე დარჩა.

მაგალითად, ზღვის ფსკერზე მიმდინარე ინტენსიური მინისძვრების, ვულკანების, წყალქვეშა მენყურებისა და სხვა დინამიკური პროცესების შედეგად წარმოშობილი მეტეხის კლდის ერთი ნაწილი სამშენებლო კომპანიამ მოასუფთავა და დააბეტონა.

ერთ-ერთი გამორჩეული სანახაობა, რაც საქართველოს ლიბერალურ პოლიტიკას ემსხვერპლა, თრუსოს ტრავერტინებია. აღმავალი წნევიანი წყლებიდან დაღეძილი მინერალების განსაკუთრებული სილამაზისა და უნიკალურობის მიუხედავად, ხეობაში წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაიცა. ჭაბურღილის მოწყობის შემდეგ თრუსოს თეთრ-ნარინჯისფერი ლანდშაფტი გაშავდა. გეოლოგების ნაწილის თქმით, თუ ჭაბურღილი წყაროების ცირკულაციის ზონაშია, ტრავერტინების გაშავების მიზეზი სხვაგან აღარ უნდა ვეძიოთ.

წიაღის მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული მნიშვნელობის მქონე უბნების დაცვას განსაზღვრავს დებულება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“. დებულების მე-40 მუხლის მიხედვით, „წიაღის უბნებს, რომელთაც მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული ღირებულება აქვთ, შეიძლება მივაკუთვნოთ დაცული ტერიტორიების შესაბამისი კატეგორია“. თრუსოს ტრავერტინებს ეს სტატუსი 1965 წლის 3 დეკემბერს მიენიჭათ.

სალიცენზიო ობიექტის განსაკუთრებული ღირებულების შესახებ ხელისუფლებას „წითელი წიგნიდანაც“ უნდა სცოდნოდა: „ტრავერტინული მინდვრები

– თითქოს მოქარგული ზედაპირით... გამჭვირვალე წყალი თხელ ფენად ეფინება ამ თვალისმომჭრელად თეთრ ზედაპირს და არენს უამრავ მოკამკამე პანია გუბეს. მიდხარტ ტრავერტინებზე და ფეხი თითქმის არ გისველდებათ“... – იმის დასადგენად, თუ რატომ დაახასიათეს თრუსოს შავ-თეთრი ტრავერტინები, როგორც „თვალისმომჭრელად თეთრი“, „ნითელი წიგნის“ ერთ-ერთ ავტორს დავუკავშირდით. გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, კობა ხარაძის განცხადებით, „შეუძლებელია, ტრავერტინები ბუნებრივად, მით უმეტეს, სეზონურად გაშავდეს. თრუსო არაერთხელ მინახავს და გადამიღია. შავი ტრავერტინები არასდროს ყოფილა და შეუძლებელია, ყოფილიყო, რადგან მათი ფორმირება კირ-ტუფებისგან ხდება, ეს კი, ბუნებრივად თეთრია“. თუმცა, „ნითელი წიგნის“ მაღალმხატვრული ტექსტები ახლა მხოლოდ ირონიას ინვესს. მით უფრო, რომ ჭაბურღილების შედეგად ტრავერტინების დაზიანება ადვილად პროგნოზირებადი იყო.

როგორც დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, თრუსოში ლიცენზიის გაცემის პროცესში სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ. დაცული ტერიტორიების დეპარტამენტმა თავდაპირველად უარყოფითი დასკვნაც გასცა, თუმცა მოგვიანებით საკითხი „უფრო მაღალ დონეზე“ გადაწყდა.

ლოგიკა, რომლითაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მამინდელი მინისტრი ლიცენზიის გაცემაზე დათანხმდა, ასეთი იყო: საბჭოთა ბუნების ძველი დამოუკიდებელ საქართველოში გაუქმებულად უნდა ჩათვლილიყო, ინვესტიცია კი სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების გაზრდას უზრუნველყოფდა. წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმით, ჭაბურ-

ღილებიდან ბიუჯეტში ყოველწლიურად 800 000 ლარი უნდა შესულიყო, რასაც დაემატებოდა ყაზბეგის რაიონის განვითარების ფონდში ყოველწლიურად შეტანილი 440 000 ლარი – „ხეობის მოვლისა და რაიონში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებისთვის“.

საქართველოს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტმა უარყოფითი დასკვნის შესაცვლელად აბსურდული არგუმენტი გამოიყენა. დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი აქტით, „თრუსოს ხეობაში წარმოდგენილი მინერალური წყლების საბადოები არ მდებარეობენ ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე. დეპარტამენტი თანახმაა წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემაზე“.

სინამდვილეში, დეპარტამენტის თავდაპირველი უარყოფითი დასკვნის საფუძველს, ყაზბეგის ეროვნული ნაკრძალი კი არა, არაორგანული ბუნების ძველის სტატუსი წარმოადგენდა.

საქართველოს კანონი წიაღის შესახებ არა მარტო დადგენილი ბუნების ძველების დაცვას, არამედ ახლად აღმოჩენილი და შეუსწავლელი ძველების დაცვასაც გულისხმობს. კანონი კრძალავს დაცული ტერიტორიის ფარგლებში ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაცვის რეჟიმით. წიაღით სარგებლობისას ასეთი ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში კი, წიაღით მოსარგებლე ვალდებულია, „შეაჩეროს სამუშაოები და აცნობოს სამინისტროს“.

აქედან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ძალადაკარგული სამართლებრივი აქტი კი არა, მოქმედი კანონმდებლობა დაარღვია. შესაბამისად, გარემოზე მიყენებული ზიანის დადგენის

შემთხვევაში, პასუხისმგებლობა, ლიცენზიის მიმღების გარდა, გამცემზეც უნდა გადახანდეს.

დოკუმენტაციის ანალიზი სხვა კანონდარღვევებსაც ააშკარავებს. წიაღის შესახებ საქართველოს კანონით, ლიცენზიის გაცემამდე გეოლოგიურ ინფორმაციას უნდა გაეწოდებინათ. თუმცა არსებობდა გამოწვევის სიცი – მცირე მასშტაბის საქმიანობისთვის, მათ შორის, დღე-ღამეში 20 მეტრ/კუბამდე მინისქვეშა წყლების მოპოვებისთვის.

ინვესტორმაც ბიზნეს-გეგმა კანონს მორგო და საპროექტო სიმძლავრედ 18 მეტრ/კუბი განსაზღვრა. თუმცა, იქვე მიუთითა, რომ მარაგები დათვლილი არ იყო და წიაღის მოპოვება-გადამუშავება მისი შესწავლის შემდეგ იგეგმებოდა. სამინისტროშიც არავის გასჩენია კითხვა, საიდან მოიტანეს 18 მეტრ/კუბი სიმძლავრე, თუკი მარაგები დამტკიცებული არ იყო. ბუნებრივი, ბიზნეს-გეგმაში ეს ციფრი მხოლოდ სახელმწიფო ექსპერტიზის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, განწყვეტილების პროცესში საზოგადოების ჩართვისა და სხვა პროცედურების გვერდის ავლისთვის ჩაიდო. რეალურად რამდენი მეტრ/კუბი წყალი იღვრებოდა ჭაბურღილიდან და რა შესაბამისობაში იყო სალიცენზიო პირობებთან, ამით არც გარემოს დაცვის ინსპექცია დაინტერესებულა.

2005 წელს შპს „კასარაზე“ გაცემული 25-წლიანი ლიცენზია გასულ წელს გაუქმდა. თუმცა, როგორც იტყვიან, მოსახლენი უკვე მოხდა: ტრავერტინების გაშვების შემდეგ საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე დატვირთულმა ტურისტულმა მარშრუტმა თავისი ხიბლი დაკარგა და გარემოში შეუქცევადი პროცესები დაიწყო. ■



■ ღალის წყალსაცავი



კრიტიკა საქონტროლო განყოფილებაში

ქარვასლაში, თანამედროვე ხელოვნების

კლუბის გამოფენაზე გაიკვამ, რომ

საქართველო მარადიული პატარაა,

რომელიც მუდამ ამათ მოლოდინშია, მშვიდად

ძილი და საქართველოს მოქალაქეობა

კი – სინონიმები **ნათია გულიაშვილი**

ირონია გამჭოლია და ორივეს თანაბრად გასდევს – პროექტის სათაურსაც („იძინე მშვიდად, შენ საქართველოს მოქალაქე ხარ“) და უშუალოდ პროექტის ფარგლებში მოწყობილ გამოფენასაც (Stop waiting Georgia, შეწყვიტე ლოდინი).

ირონია ერთგვარი დასკვნითი ემოციაა, რაც 9 არტისტს გამოფენის კონცეფციაზე თითქმის ერთნაირი ფიქრის შემდეგ დარჩა და რისი გადმოცემაც ფოტოს, ვიდეოს, ტექსტილზე ილუსტრაციის და კიდევ სხვა საშუალებებით სცადეს.

გამოფენის კონცეფციად კი შარშანდელი აგვისტოს ომი და საზოგადოების პოსტომისიული მდგომარეობის ჩვენება აარჩიეს, ანუ ნიჰილიზმის, სტრესის და ჩაძინებული რეალობის, რომელშიც განვლილი ომის გაანალიზებას საზოგადოება არ ჩქარობს და ვერც სასონარკვეთის დაძლევის ახერხებს.

Stop waiting Georgia ომის თემატიკის მქონე პირველი გამოფენა არაა. ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში, იმავე ქარვასლაში „არტისტერიუმის“ გამოფენაზე ბევრი ნამუშევარი საომარი თემატიკით იყო შთაგონებული. თუმცა ამჯერად საინტერესო იყო ომიდან ერთი წლის თავზე, უფრო დიდი დროის დისტანციიდან თემის ახალი აქცენტებით წინ წამოწევა.

ცენტრალური ნამუშევარი, საიდანაც შემდეგ გამოფენის სახელწოდებაც წამოვიდა, იყო სოფიო ჩერქეზიშვილის ფოტო – Stop waiting Georgia, ანუ „შეწყვიტე ლოდინი“. ფართო ფორმატის ფოტოზე გამოსახული პატარა ძილის ნაპირას ზის და სივრცეს გაჰყურებს. მინანქრი ტექსტი კი ასეთია – „ჰორიზონტი ჰგავს ჩვენს ცხოვრებას, ის მუდმივ მოლოდინშია. აღარ არის დრო, რომ იყო მარტო პატარა ძილი“.

ამ ხერხით შეახსენა ავტორმა საზოგადოებას, რომ მისი მთავარი პრობლემა პასიურად მოლოდინე მარადიული პატარა ძილის როლში ყოფნაა, ვისთვისაც მოლოდინის პროცესი დაუსრულებლად გრ-

ძელდება, ამასობაში კი, თვალსა და ხელს შუა ეკარგება აწმყოც და მომავალიც.

უსასრულო და განმეორებითი მოქმედებების ხაზს აგრძელებდა ვიდეონამუშევრებიც.

„ჩემი პატარა ჯარისკაცი“ ერთი კადრის მუდმივი განმეორება იყო, სადაც ადამიანი ხელებით მიწას სრესს, პარალელურად კი ტექსტი მოგვინოდებს: „შეიყვარე შენი მიწა და შენ იქნები ყველაზე ძლიერი. შეიგრძენი სურნელი და მიხვდები, რომ აქ არის შენი წარსული, აწმყოც და მომავალიც“. სიტყვების პათეტიკურობაში ირონიის დაჭერა რთულია, რადგან არ ჩანს ავტორის მხრიდან ამის გამოკვეთილი სურვილი, თუმცა გამოფენის საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, ირონიის არსებობა ლოგიკური იქნებოდა.

მაკა ბატიაშვილის „60 წამი ჟანგბადის გარეშე“ – აქ მთავარი გმირი გოგონა ორ მოქმედებას იმეორებს, ხან წყალში იძირება, ხან ზედაპირზე ამოდის და ჩაისუნთქავს. ჩაყვინთვა აქ უპაურობის, სულის შეხუთვის იმიტაციაა, ზედაპირზე ამოსვლა და სიტყვები „შენ გადარჩები ყველა სიტუაციიდან“ კი – ის, რისი გაგონებაც კრიტიკულ მომენტში სურს გოგონას.

წარმოდგენილი ნამუშევრების ფონზე, მასალის და გადანაცვების ორიგინალურობით ეფექტური აღმოჩნდა მაკა ბატიაშვილის მეორე ნამუშევარი – სკულპტურა „ჩიტი“. მასალა, რომლიდანაც ავტორმა „ჩიტი“ შექმნა, გორის თეატრში აგვისტოს დღეებში ჩამოგდებული ბომბია. „ფერმწერი ვარ, მაგრამ არ მინდოდა, ეს რაღაც ტილოზე გამომესახა. მინდოდა, უშუალოდ, მატერიალურად მქონოდა ამ სამიწებელსთან შეხება. როცა ეს ბომბი ჩამომიტანეს, დიდხანს მედო, ვუყურებდი და ბოლოს დავინახე, რომ აქედან ჩიტი გამოვიდოდა“, – ამბობს მაკა ბატიაშვილი. ჩიტი, როგორც დიდი მეტამორფოზა, ბოროტებისა და სიკვდილის გარდაქმნა თავისუფლებად.

საგამოფენო სივრცის თითქმის ერთი კედელი მხატვარ ნინო ბინიაშვილის ნამუშევარს ეკავა. „მეფემან ბრძანა“ – ტექსტილზე წარმოდგენილი სიუჟეტი. ილუსტრაციები ესკიზური ტიპის პერსონაჟებით და ტექსტი იგავური მოტივებით, საერთო ჯამში, ქმნის ომის აბსურდულ სურათს, სადაც გამარჯვებული არავინ რჩება“.

პერსონაჟი №300 „გმირებს და გოლიათებს ებრძვის. მეტოქეებს საჭურველმა ვერ უშველა და მოკვდნენ, მაყურებელი კი გაიძახოდა: ღმერთი გვწყალობსო!“

ეს ომის ნიუანსებია, აგრესია, დაპყრობა და ცრუ „ბედნიერი“ დასასრული. ისევ მინიშნება საზოგადოებაზე, რომელიც გამუდმებით და ყოველთვის ამაოდ ეძებს გამარჯვებულს და დამარცხებულს, მის ამ ძებნას კი ასევე მუდმივად გასდევს ინფანტილური, ზოგჯერ ექსტრემისტული რელიგიური ფონი.

გამოფენაზე ბედნიერი დასასრულის ერთგვარ მცდელობას ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევარი „ცეკვა“ ასრულებდა, ცეკვა, როგორც თითქოს ომის ანტიონიმი და ოპტიმიზმის საშუალება.

თუმცა, ტიმჩენკოს „ცეკვაში“, ისევე, როგორც მთელ ამ გამოფენაში, ოპტიმიზმი მკაცრად მოზომილი იყო. ეფექტურად და მრავალფეროვნად გამოხატული ირონია მაყურებელს ტყუილი იმედით თავის გაბრუნების შანსს არ უტოვებდა და შეიცავდა ერთგვარ მინიშნებასაც: საზოგადოებამაც აუცილებლად უნდა მოზომოს მისთვის საჭირო ოპტიმიზმის ოპტიმალური რაოდენობა, მშვიდი ძილის მარადიულ მდგომარეობაში რომ არ დარჩეს. იგივე უნდა გააკეთოს ხელოვანმაც იმიტომ, რომ მისი ხელოვნება, ახალი რეალობის შემქმნელი თუ არა, ეფექტური რეაქცია მაინც იყოს სხვების მიერ შექმნილ რეალობებზე; და როგორც ერთ-ერთმა დამთვლიერებელმა თქვა, არ იქცეს მხოლოდ „გვამისთვის საკონტროლო სროლად“, ანუ – ხელოვნებისთვის, რომელიც დიდი ხნის წინ მოკვდა. **Q**

ნიგნაბი შინიკური სიბრძნე

მალსაზ ხარპედია

მელანქოლიამ შეიძლება სისტემის სრულ ეფემერიზაციამდე და ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის უარყოფამდე მიგვიყვანოს, და ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი თანამედროვე საქართველოში.

ბესიკ ხარანაულს აქვს ასეთი სტრიქონები: „რაც მოინყინე, მას თავიდან ველარ მოინყენ და ახალი მოსაწყენი უნდა ეძიო, ერთ მოწყენაში ორჯერ ვერ შეხვალ...“. 200-ზე მეტი წლის წინ კიდევ ერთმა ბესიკმა დაწერა: „სევდის ბალს შეველ შენალონები: მოკრეფად მსურდა ვარდის კონები“. ასეთი მაგალითების მოყვანა ქართული სიტყვიერებიდან უსასრულოდ შეიძლება, რაც ჯეკი ბოურინგის იდეას ადასტურებს იმის თაობაზე, რომ სევდა ყველა ენაზე სრულყოფილად გამოიხატება და მისთვის აღმოსავლეთ-დასავლეთისა თუ სხვა კულტურული ცნებები სულერთია.

სევდა, მელანქოლია უნივერსალური მოვლენაა. ყველა ერთია, ფრანგული *ennui* და გერმანული *Weltschmerz*, ჩინელების *bei qiu* და იაპონელთა *kanashii*, პორტუგალიური *saudade* და რუსული *тоска*, ესპანური *duende* და თურქული *hüzün*.


ქართულ ენაშიც მრავალნაირად გამოიხატება მელანქოლია: მოწყენილობა, ქმუნვა, ნალველი, სევდა... ცოტა სხვა რამეს ნიშნავს დარდი და მწუხარება, ასევე ჯავრი, უგუნებობა, დაღრევილობა, ურვა და დაღონება, თუმცა ეს სიტყვები მაინც მელანქოლიის იმ დიდ სიტყვიერ წრეში თავსდება, რომელიც ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობასაც გამოხატავს და კულტურულსაც.

თანამედროვე ფსიქიატრები ამ მოვლენას პათოლოგიურ დანაკლისს (*abnormal bereavement*) უწოდებენ, ან ფსიქოტურ დეპრესიას (*psychotic depression*), და ეს ცნებები, ჯეკი ბოურინგის აზრით, ძალიან მოუქნელია იმისთვის, რათა „ადამიანური არსებობის უმდიდრესი განზომილება“ გამოხატოს და მართლაც, შეუძლებელია, ამ ორმა მუშა ტერმინმა თუნდაც ერთი ნახნაგი მოიცვას იმ ნაყოფიერი მდგომარეობისა, რომელსაც სევდა ჰქვია. ჯეკი ბოურინგი მელანქოლიის ნამდვილი ადვოკატია. იგი უარს ამბობს ამ სიმდიდრის მედიკალიზაციაზე და მკვეთრად აცალკევებს მას დეპრესიისგან. იგი არ ითვალისწინებს მელანქოლიისა და გლოვის ფროიდი-

სეულ ოპოზიციას, სადაც მელანქოლია გაიგებოდა, როგორც რალაც სტატიკური მდგომარეობა, რომელიც ნებისმიერი განვითარების ბლოკირებას ახდენდა. პირიქით, მელანქოლია ამ წიგნში კრეატივს უტოლდება, იგი შთაგონების წყაროა, წინსვლის საწინდარი. ავტორი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ბაღებზე, პეიზაჟის არქიტექტურაზე და მოგონებათა სურნელებზე წერს, „მელანქოლიას“ ჩაულრმავდა და მთელი წიგნი დაწერა ამ სულიერ მდგომარეობაზე. აქამდე, როცა საუბარი მელანქოლიაზე ჩამოვარდებოდა, ყველა, როგორც წესი, XVII საუკუნის ერთი ბეჯითი ინგლისელის, რობერტ ბარტონის გიგანტურ ნაშრომს, 1500-გვერდიან *The Anatomy of Melancholy*-ს იხსენებდა ხოლმე. ახლა კი უკვე 240-გვერდიანი, ლაკონური, მოქნილი და თანამედროვე კვლევა გვაქვს, სადაც, პლინიუსის გაქანების მქონე სწავლულის ნაცვლად, ახალგაზრდა მეცნიერი გვესაუბრება თანამედროვეობაზე.

ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, რამ განაპირობა ჩემი ეს არჩევანი. რალა მაინცდამაინც მელანქოლიის კვლევით და ვინცე წიგნებზე წერა „ლიბერალში“? ჩემი აზრით, დღეს სწორედ მელანქოლიის დეფიციტი იგრძნობა ჩვენ მედიატორისტულ ქვეყანაში. დღეს, როცა ერთი მხრივ სწორხაზოვნება და რკინის მიხან-მიმართულება მეფობს, მეორე მხარეს კი დეპრესიითა და შიშით დაუძღურებული ადამიანები დგანან, მელანქოლია ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მდგომარეობად რჩება, რომელიც შეანელებდა დროის მსვლელობას და მოგვცემდა საგნებში შეღწევის საშუალებას. სევდა ახალისებს წარმოსახვას და სხვა კუთხით გვანახებს ყველაფერს, რაც გარშემო ხდება, იგი ისტორიასაც ახლებურად გვაკითხვს.

ფლობერს უთქვამს თავის „სალამბოზე“: „ცოტა ვინმე თუ ხვდება, რამხელა სევდა დამჭირდა, რათა კართაგენი აღმედგინა“-ო. მის გარდა, კიდევ ძალიან ბევრი ხელოვანი შეიძლება ჩამოვთვალოთ, ვინც ქმუნვას იყო და არის აყოლილი. კინოში ანტონიონი, ბერგმანი და ტარკოვსკი, მხატვრობაში ედუარდ ჰოპერი და გერჰარდ რისტერი. თანამედროვე მუსიკაში, რა თქმა უნდა, ტომ უეიტსი და ნიკ ქეივი არიან ჩამომსხდა-



Field Guide to Melancholy by Jacky Bowring
მელანქოლიის გზამკვლევი ჯეკი ბოურინგი

რი „წყლისა პირსა“, კლასიკურ მუსიკაში ჰილდეგარდ ფონ ბინგენი, ერიკ სატი, ოლივიე მესიანი და, მესიანისვე გავლენით, დასვედიანებული ხენრიკ გურეცკი (მოდით, ბარემ გია ყანჩელიც მივაკუთვნოთ ამ მელანქოლიკებს, მერე რა, რომ სტრავინსკიდან მოედინება) და მრ. სხვ... მელანქოლია ძალზე მრავალსახოვანია, არსებობს რელიგიური, ეროტიული, ნოსტალგიის მელანქოლია, ანდა სულაც „ჰეროიკული მელანქოლია“, რის საუკეთესო თანამედროვე ნიმუშადაც ჯეკი ბოურინგი ბეტმენს მიიჩნევს.

მე რომ მკითხოს კაცმა, მელანქოლია მთლიანად მომავალზეა მიმართული, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგები წარსულის ვერდაძლევის უკავშირებენ ამ პათოსს. ჩემთვის იგი წინააღმდეგობაა, უარყოფა, გნებავთ პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება (გახსენეთ ვალტერ ბენიამინის „მემარცხენე მელანქოლია“). მელანქოლია ხშირად ცინიკური სიბრძნეა, უძალი ადამიანთა მთავარი იარაღი, რომელმაც შეიძლება სისტემის სრულ ეფემერიზაციამდე და ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის უარყოფამდე მიგვიყვანოს, და ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი თანამედროვე საქართველოში, საუკეთესო პასუხი ხელისუფლების იმ ეფემერულ დათმობებზე, კომისიებსა და გამოძიებებზე, რომლითაც საცხა ქართული სატელევიზიო მედია. ყველაფერ ამას, ისევ ყოველისწამლევაკვი ცინიკური მელანქოლია მირჩევნია.



ოლესია ვართანიანი კოლუმბიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, 2002-2004 წლებში ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)-ის დირექტორი

„უცოდველი დემოკრატიის“ დასასრული

ოლესია ვართანიანი

ლიბერალი როგორ შეიცვალა საქართველოს მიმართ განწყობა ვაშინგტონში ავგისტოს ომის შემდეგ?

ბუშის ადმინისტრაციის დროს საქართველო იმ ადგილად იქცა, სადაც ჩვენი ძალისა და მხარდაჭერის ჩვენება გვინდოდა. საერთო სურათი ისევე იგივეა და საქართველო ახლაც ისეთ ქვეყნად მიგვაჩნია, რომელსაც მხარს ვუჭერთ და რომელიც მნიშვნელოვანია რუსეთთან მიმართებაში. მაგრამ შეიცვალა მიდგომა, თითქოს საქართველო ერთი „პატარა, უცოდველი დემოკრატია“.

ლიბერალი რას გულისხმობთ?

საქართველოს მიმართ მსოფლიოს კეთილგანწყობა მის დემოკრატიულობაზე იყო დაფუძნებული. ახლა ამ საკითხში ცვლილებებია. აქტუალური გახდა კითხვები, რომლებსაც ადრე არავინ სვამდა. უმაღლეს დონეზე არა, მაგრამ არიან ვაშინგტონში შედარებით დაბალ-რანგის ადამიანები, რომელთა სახელებს გაზეთებში ვერ ამოიკითხავთ. ასეთმა ადამიანებმა სწორედ ამ კითხვების დასმა დაიწყეს.

ლიბერალი ამბობენ, რომ ამერიკის მხრიდან საქართველოსთვის პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას სააკაშვილსა და ბუშს შორის პირადი ურთიერთობა განაპირობებდა. როგორ ფიქრობთ, ობამასთან თუ შედგება სააკაშვილი მსგავსი ურთიერთობის დამყარებას?

ობამა ბუშისგან ძალიან განსხვავებული ადამიანია. ის საერთოდ არ იცნობს სააკაშვილს და ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთივე კარგ ურთიერთობას დაამყარებს მასთან, როგორც ბუში.

ლიბერალი ობამას გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებთანაც შესაძლებელია, რომ სააკაშვილმა პერსონალური ურთიერთობების დამყარება მოახერხოს?

არიან პირები, რომლებიც პირადი მოსა-

ზრებებით მხარს უჭერენ საქართველოს. ისინი არ არიან ისეთი ენთუზიასტები, როგორც ბუში და მაკეინი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, სახელმწიფო მდივანი მიშას მეგობარია და, ასევე, ვიცე-პრეზიდენტიც. მაგრამ, მიმაჩნია, რომ ამ ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან ნაკლებად გაიგონებთ ისეთ რამეს, რაც თავს კარგად გაგრძობინებთ, მაგალითად, – „ჩვენ გვინდა საქართველო ნატო-ს წევრი გახდეს“. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, საერთო მხარდაჭერა თქვენი ქვეყნის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ ამერიკის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება.

ლიბერალი რა გავლენა შეიძლება იქონიოს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების „გადატვირთვამ“ საქართველოსადმი მხარდაჭერაზე?

რუსეთი არ არის ამერიკის საგარეო პოლიტიკის უდიდესი პრიორიტეტი. ამავე დროს არ ვფიქრობ, რომ რამე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს მათ ურთიერთობაში. „გადატვირთვის“ დილაკს ისევე იმისთვის გამოიყენებენ, რომ ძველი პოლიტიკა განაგრძონ, მხოლოდ უფრო თანმიმდევრულად და ფრთხილად. საქართველოს საკითხი რუსეთსა და ამერიკას შორის უთანხმოების მიზეზად რჩება. არსებობს შიში, რომ შეერთებული შტატები, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის საკითხების სანაცვლოდ, საქართველოს დათმობს. არ მგონია, რომ ამის სერიოზული საფრთხე იყოს. ვფიქრობ, ამერიკა ევროპასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას აპირებს. შეერთებული შტატები ეცდება, უფრო აქტიურად ჩართოს ევროპელები საქართველოსა და სხვა ქვეყნების საქმეებში.

ლიბერალი ავგისტოს ომის შემდეგ საქართველოს ყველაზე დიდი ფინანსური დახმარება შეერთებულმა შტატებმა გაუწია. ამბობენ, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ სა-

აკაშვილი ხელისუფლებაში დარჩენილიყო. არ ვიცი, იყო თუ არა ეს მოტივაცია, მაგრამ ნამდვილად ასე გამოვიდა.

ლიბერალი ბოლო სამი თვეა, ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა სააკაშვილის გადადგომაა. როგორ უყურებენ ამ საპროტესტო აქციებს ვაშინგტონიდან?

ფიქრობენ, რომ ხელისუფლება კარგს შვრება, თავს რომ იკავებს. საერთოდ, ეს არ არის ძალიან აქტუალური თემა ვაშინგტონში. დიდ ქვეყანაში დემონსტრაციებს არ აღიქვამენ დიდ პრობლემად. ვფიქრობ, ეს აქციები პრეზიდენტისთვის სსსარგებლოცაა. არავინ აკვირდება დეტალებს, თუ ვის სცემა პოლიციამ, და სცემა თუ არა საერთოდ. ასეთი საპროტესტო აქციები შორიდან ისე აღიქმება, როგორც დემოკრატიის გამტკიცების მაჩვენებელი.

ლიბერალი ქართველი პოლიტიკოსები ხშირად განიხილავენ რუსული ფულის არსებობას ოპოზიციამში.

ასეთ რამეებზე ან წუმად უნდა იყო, ან რამე უნდა მოიმოქმედო. არ შეიძლება მხოლოდ ბრალდებებისა და ვარაუდების გამოთქმა. თუ მართლაც ასე ფინანსდება, უნდა აღძრა საქმე, უნდა გახადო პროცესი გამჭვირვალე და ციხეში უნდა ჩასვა, თანაც დიდი ხნით. სხვაგვარად, ეს ვარაუდები მთლიანად საკითხის დამაჯერებლობას აკნინებს და დემოკრატიული ოპოზიციის წარმოქმნას უშლის ხელს.

ლიბერალი ფიქრობთ, სააკაშვილი დარჩება ხელისუფლებაში თავისი ვადის გასვლამდე?


ვფიქრობ, მას შეუძლია პოსტი შეინარჩუნოს 2013-მდე. სააკაშვილმა თავისი ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთა. საკითხავი ახლა ის არის, რა იქნება მისი წასვლის შემდეგ. ვფიქრობ, ისტორიის ახალი თავი სწორედ მაშინ უნდა დაიწყოს.

გვიხიანეთ

მთელ საქართველოში

უცვლელ სიხშირეზე

106.4



fm

www.106.4.ge





ბაზანიჭვებური საქართველოს ბანკი

ბანკნობით ანაბანი,
ჩაჩითით ბათიანაშაშაშ,
აოოობით ფუნანო ვიოვი
და ბიბა



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

